ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი

(სამეცნიერო-კვლევითი პროექტი)

გორი
2024

UDK (უდკ) 355.45(47922)+355.58(479.22)

ტ-74

ავტორთა ჯგუფი:

პოლოკოვნიკი **გიორგი ლაღიაშვილი** - საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დოქტორი;

გენერალ-ლეიტენანტი **დავით თევზაძე** - ფილოსოფიის დოქტორი;

გენერალ-მაიორი **თენგიზ შუბლაძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბრიგადის გენერალი **ამირან სალუქვაძე** - მკვლევარი;

ვიცე-პოლკივნიკი **ივანე ოქრომჭედლიშვილი** - ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი;

ბრიგადის გენერალი **ვლადიმერ იმნაძე** - მკვლევარი;

ირაკლი ბათიაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;

გენერალ ლეიტენანტი **ჯონი ფირცხალაიშვილი** - მკვლევარი;

ნიკოლოზ ესიტაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი;

თინათინ კროპაძე - სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;

ქეთევან კვესელავა - ინჟინერიის აკადემიური დოქტორი (ინ-ფორმატიკაში);

ნიტა ჭაბაშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრა-მის (ფსიქოლოგიის მიმართულებით) დოქტორანტი;

გიორგი გერგაული - სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;

მაიორი - **გიორგი ბოცვაძე** - საჯარო მმართველობის აკადემიუ-რი დოქტორი;

სოფიო ჩუნთიშვილი - ეროვნული თავდაცვის აკადემიის მა-გისტრატურის მსმენელი;

ანა კაშია - ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის მსმენელი;

ილია კეშელავა - ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრა-ტურის მსმენელი;

რედაქტორი:

ისტორიის დოქტორი ზურაბ მჭედლიშვილი

ISBN 978-9941-8-6814-6

წინასიტყვაობა

წინამდებარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ნაშრომი მომზადდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ეგიდით. ნაშრომში გამოკვეთილია ქვეყნის კრიზისული ვითარებიდან გამოსვლისა და თავდაცვითი ამოცანების გადაჭრის საკითხები, აგრეთვე მოსახლეობისა და მატერიალური რესურსების მაქსიმალური ჩართვის საჭიროება საერთო ეროვნულ ძალისხმევაში.

ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევის ძირითადი მიმართულება, მოიაზრებს თავდაცვის შემდეგ ძირითად ელემენტებს:

1. **სამხედრო თავდაცვა** - თავდაცვის ძალების ამოქმედება საკმარისი წინააღმდეგობების პრინციპებზე დაყრდნობით, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ჩართვამდე.
2. **სამოქალაქო თავდაცვა** - არასაბრძოლო თავდცავითი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო მართვის ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფენ.
3. **ფსიქოლოგიური თავდაცვა** - ქვეყნის დაცვისათვის ფსიქოლოგიური მზაობა.
4. **ეკონომიკური თავდაცვა** - ეკონომიკის ქმედითუნარიანობის შენარჩუნება.

5. **სოციალური თავდაცვა / სამოქალაქო მზაობა** - კრიზისის ან ომის დროს ხანგრძლივი პერიოდით საზოგადოების ქმედითუნარიანობის(სიცოცხლისუნარიანობის) შენარჩუნება.
6. **ტოტალური თავდაცვის ფარგლებში სამხედრო მოქმედებათა სპეციფიკა.**

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

კვლევის მიზანი 11

კვლევის ამოცანა 12

თემის აქტუალურობა 12

საკვლევი კითხვები 14

კვლევის ჰიპოთეზა 15

კვლევის ობიექტი 16

კვლევის მეთოდოლოგია 16

კვლევის ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა 17

თავი I. სამხედრო თავდაცვა 18

1. გეოგრაფიული ფაქტორები და მათი გავლენა თავდაცვითი ამოცანების ჩამოყალიბებაზე 19

2. სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა რეგიონსა და მსოფლიოში 37

3. თავდაცვის შესაძლებლობათა ზრდის არსებული მოდელები - ტერიტორიული თავდაცვის ძალები 60

3.1.შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო სექტორის ინტერესთა თანაბრობის პრინციპი 60

3.2. ტერიტორიული თავდაცვის ადგილი ტოტალური თავდაცვის დოქტრინაში 63

3.3. რა არის ტერიტორიული თავდაცვის ფორმირებების ძირითადი ხიბლი? 70

4. ნაწილობრივი და ტოტალური მობილიზაცია 71

5. რეზერვი და სარეზერვო ძალების ფორმირების პრინციპები. ტერიტორიული თავდაცვის მიზნები და ამოცანები 76

5.1. რეზერვი და სარეზერვო ძალების ფორმირების პრინციპები 76

5.2 ტერიტორიული თავდაცვის მიზნები და ამოცანები 85

6. ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის მოთხოვნები და დათქმები-დაშვებები ქართული ტერიტორიული თავდაცვის მოდელის ასაგებად 88

7. საინფორმაციო უზრუნველყოფა 91

7.1. საინფორმაციო უზრუნველყოფის აქტუალობა 91

7.2. საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნები, ამოცანები და მიმართულებები 93

8. ძირითადი რეკომენდაციები 98

თავი II. სამოქალაქო თავდაცვა 101

2.1. საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპები 104

2.1.1. სამოქალაქო თავდაცვა - ქვეყნის ტოტალური თავდაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტი 104

2.1.2. სამოქალაქო თავდაცის სისტემის ჩამოყალიბება და მისი განვითარების ეტაპები 107

2.1.3. სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები 132

2.2. სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ევროპის ქვეყნებში 140

2.3. საქართველოში თანამედროვე ეტაპზე სამოქალაქო თავდაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი მიმართულებები 169

2.3.1. სამოქალაქო თავდაცვის მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა..... 169

2.3.2. საომარი მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეების შესახებ მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება (სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები, I ჯგუფი, მე-4 ამოცანა)..... 203

2.3.3. მოსახლეობის დაცვა 206

2.3.4. ეკონომიკის ობიექტების მდგრადი ფუნქციონირების ამაღლების ღონისძიებების გატარება..... 214

2.3.5. სამოქალაქო თავდაცვის ძალები 227

2.3.6. მოსახლეობის ყველა ფენის მომზადება (სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები, I ჯგუფი, მე-3 ამოცანა)..... 249

თავი III. ფსიქოლოგიური თავდაცვა..... 256

3.1მცირერიცხოვანი ქვეყნების გამოცდილების ანალიზი.... 269

3.2 ტოტალური თავდაცვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა-2030-ის მიხედვით..... 275

3.3 თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები... 279

თავი IV. ტოტალური თავდაცვის ეკონომიკური კომპონენტი-- ----------321

4.1. ეკონომიკური თავდაცვის ძირითადი ელემენტები..... 324

4.2.უკრაინის ეკონომიკური თავდაცვა მიმდინარე ომის პირობებში..... 328

4.2.1. უკრაინის ეკონომიკა ომამდე პერიოდში..... 328

4.3.2. ომის გავლენა უკრაინის ეკონომიკაზე 332
4.3.3. საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა..... 338
4.3.4. უკრაინის ეკონომიკური პოლიტიკა ომის პირობებში 345
4.3.5. შეჯამება 349
თავი V. სოციალური თავდაცვა/სამოქალაქო მზაობა 358
თავი VI. ტოტალური თავდაცვის ფარგლებში სამხედრო მოქმედებათა სპეციფიკა 393
6.1 ეროვნული წინააღმდეგობის კონცეფციის საფუძვლები 393
დანართი 1..... 482
დანართი 2..... 483
დანართი 3..... 484
დანართი 4..... 485
ძირითადი რეკომენდაციები 486
დასკვნა 500
გამოყენებული ლიტერატურა 501

კვლევის მიზანი

მას შემდეგ, რაც ტოტალური თავდაცვა ქვეყნის თავდაცვის ძირითად სტრატეგიად იქნა მიჩნეული (რამაც, სხვათაშორის, ასახვა თავდაცვის კოდექსშიც ჰპოვა), დღის წესრიგში დადგა ტოტალური თავდაცვის ძირითადი კომპონენტების საქართველოს სინამდვილისთვის ადაპტირების პრობლემა. ამან, თავის მხრივ, წარმოშვა ამდაგვარი ადაპტირების შესაძლებლობების შესწავლის აუცილებლობა: რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ადაპტირება საერთოდ შესაძლებელია, ანდა რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ის შესაძლებელი გახდეს. შესაბამისად, იკვეთება კვლევის მიზანი: **იმ ამოცანების დადგენა, რომელთა გადაჭრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობას მოგვცემს შევისწავლოთ ტოტალური თავდაცვის კონცეფციის საფუძვლები და აღნიშნული გავაანალიზოთ სხვადასხვა წარმატებული ქვეყნების მაგალითზე, რაც თავისთავად შესაძლებელს გახდის საქართველოსთვის ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის ეფექტურ გამოყენებას.**

- ასევე გამოვარკვიოთ აღნიშნული კონცეფციის თავსებადობა საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობასთან მიმართებაში და დავადგინოთ რამდენად ეფექტური იქნება ზემოაღნიშნული კონცეფციის საქართველოში დანერგვა.

კვლევა ასევე მიზნად ისახავს გაანალიზოს ტოტალური თავდაცვის კონცეფცია, წარმოაჩინოს მისი საქართველოში დანერგვის საჭიროებები და პრიორიტეტები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო უსაფრთხოებისათვის. ეს ყოველივე კი, რეგიონში მოქმედი სხვადასხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების სტრატეგიული და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოსათვის ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის ეფექტურ გამოყენებას შუწყობს ხელს.

კვლევის ამოცანა

ტოტალური თავდაცვის სტარტეგიის თითოეული კომპონენეტის მიმართ განისაზღვროს პრობლემების ის წრე, რომელმაც, საქართველოს პირობებში, ამ სტრატეგიის განხორციელბას შესაძლოა დაბრკოლებები შეუქმნას.

თემის აქტუალურობა

საკვლევი თემის აქტუალობა სწორედ მიზნითაა გაპირობებული: ეს არის პრაქტიკულად პირველი კვლევა, რომელიც კომპლექსურად, ტოტალური თავდაცვის ყველა ძირითადი კომპონენტის მიმართ ცდილობს იმ პობლემების იდენტიფიცირებას, რომლებსაც საქართველოში აღნიშული სტრატეგიის რეალიზაცია შეიძლება წააწყდეს.

ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვის კონცეფციის შექმნისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მისი ფსი-

ქოლოგიური მიმართულებით განხილვა და გააზრება. წინამ-დებარე პროექტში სწორედ სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვა და მოსახლეობის მისთვის მზაობა არის ერთ-ერთი საკვლევი თემა. რატომ არის მნიშვნელოვანი სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვა? ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი პირ-ველი, რაზეც დღეს აქტიური მუშაობა უნდა მიდიოდეს, სწო-რედ ქვეყნის მოსახლეობის მაღალი საბრძოლო სულისკვეთე-ბის უზრუნველყოფა და მისი შენარჩუნებაა.

ისტორია, მაღალი საბრძოლო მორალისა და სულისკვე-თების წარმატებულ არაერთ შედეგს გვამცნობს და შესაბამისი მაგალითების მარტივად გახსენება უახლოესი წარსულიდანაც შეგვიძლია. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ საქართველოში რუსეთის მორიგი შემოჭრის ან სხვა შემთხვე-ვაში, ქვეყანაში დარჩენის და აგრესორის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლისა თუ ქვეყნიდან წასვლისათვის მოსახლეობის რა ნაწილია მზად. აღნიშნული საკითხის შესწავლა მოიცავს შე-საბამისი თეორიული მასალის მოძიებას, მიმოხილვას და პრაქ-ტიკული კვლევების ჩატარებას. კვლევებში ასევე მოიაზრება უკვე არსებული შედეგების გაანალიზება და მიმდინარე პრო-ცესების ირგვლივ თანამედროვე კვლევების დაგეგმვა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კვლევითი პრო-ექტის პროდუქტი იქნება მონაცემებზე დაფუძნებული სახელ-

მძღვანელო დოკუმენტი, მნიშვნელოვანია რელევანტური კვლევის ჩატარება და სანდო შედეგების მიღება. კვლევა შესაძლებელია ჩატარდეს ჰიბრიდულ (ონლაინ ან ადგილზე) რეჟიმში.

საკვლევი კითხვები

1. რა არის ტოტალური თავდაცვა?
2. რა დადებითი და უარყოფითი თვისებები გააჩნია ტოტალურ თავდაცვას იმ ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით, რომლებსაც უკვე დანერგილი აქვთ აღნიშნული კონცეფცია?
3. რამდენად ეფექტური იქნება საქართველოში აღნიშნული მოდელის დანერგვა?
4. რა შესაძლებობებს იძლევა დასაცავი გეოგრაფიული სივრცე (ქვეყნის ტერიტორია) ?
5. როგორი უნდა იყოს ტერიტორიული თავდაცვის ძალები და, ზოგადად, როგორი უნდა იყოს თავდაცვის ძალების ორგანიზაციული ჩარჩო?
6. რეგიონულ ჭრილში, თავდაცვის ძალებისთვის რა ფინანსური რესურსი გაგვაჩნია და როგორ უნდა მოხდეს ცოცხალი ძალის რეზერვების მთლიანი ან ნაწილობრივი მობილიზაცია?
7. მოსახლეობის ინფორმირებულობის, მათი აღქმებისა და დამოკიდებულებების კვლევების შედეგად როგორია თავდაც-

ვისთვის მოსახლეობის ფსიქოლოგიური მზაობა, ფსიქოლოგიური მედეგობა და განწყობები?

კვლევის ჰიპოთეზა

ტოტალური თავდაცვის კონცეფცია გათვლილია პატარა და მოქნილ სახელმწიფოებზე. იგი საშუალებას იძლევა ქვეყანამ დროის მცირე მონაკვეთში მოახდინოს ეროვნული რესურსების მობილიზება და ადეკვატურად უპასუხოს სახელმწიფოს წინაშე მდგარ საფრთხეებს. აღნიშნული მოდელის საქართველოში დანერგვით ქვეყანა შეძლებს დროის მცირე მონაკვეთში მოახდინოს სახელმწიფო უწყებების კოორდინაცია, სწორად და დროულად მოახდინოს სახელმწიფო რესურსების მობილიზება და მათი სწორი მიმართულებით წარმართვა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყანაში შექმნილი საფრთხის ან კრიზისის სწრაფ და ეფექტურ დარეგულირებას.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყნისათვის ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის განხორციელება, მისი ხუთივე კომპონენტის მოთხოვნათა თვალსაზრისით, შეუძლებელია. ეს შესაძლებლობები უნდა შეიქმნას და ამ მიზნით, აუცილებელია ეროვნული პროგრამის შემუშავება, რაზედაც პასუხისმგებლობა მინისტრთა კაბინეტმა უნდა აიღოს.

კვლევის ობიექტი

ტოტალური თავდაცვის კონცეფციის საფუძვლები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროექტის მეთოდოლოგიური საფუძვლები ეფუძნება სისტემური ანალიზის მეთოდს.

სისტემური ანალიზის მეთოდს ბევრი უპირატესობა აქვს. ის, შესასწავლი პრობლემის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ასპექტებს შორის ურთიერთკავშირის დადგენის პარალელურად, დამატებით, ამ კავშირის სხვადასხვა განზომილებაში განხილვის საშუალებასაც იძლევა. ანუ, შესაძლებელს ხდის, მაგალითად, სამხედრო-პოლიტიკური საკითხების ანალიზისას სოციალ-ეკონომიკური და ეთნო-კულტურული ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებსაც პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა აქვთ შესასწავლ პრობლემაზე. ეს საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ პრობლემა სხვადასხვა თვალსაზრისით და შედეგები მაქსიმალურად მივუახლოვოთ ობიექტურ რეალობას. ეს მეთოდი ასევე ძალზედ ეფექტურია ისეთი ქვეყნების შესწავლისას, რომლებსაც სრულიად განსხვავებული ისტორიული თუ ეთნო-კულტურული იდენტობა გააჩნიათ და ხშირად სახელმწიფოებრივ მმართველობას სწორედ მდიდარ ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ახორციელებენ.

პროექტში ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკული კვლევების ჩატარება. პრაქტიკული კვლევა მოიაზრებს შემდეგ კვლევით მეთოდებს:

რაოდენობრივი კომპონენტი - კითხვარები (ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე) - შესაძლებელია სატელეფონო გამოკითხვა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით;

თვისებრივი კომპონენტი - ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეები სამხედრო და სამოქალაქო სექტორიდან(ფოკუს-ჯგუფების ჩატარება).

ამ ეტაპზე კვლევით პროექტში წარმოდგენილია მხოლოდ თვისებრივი კვლევის შედეგები.

კვლევის ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას: უმაღლეს სასწავლებლებში დამატებითი ლიტერატურის სახით შესაბამისი სალექციო კურსის კითხვისას; სსიპ. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებისათვის და მსმენელებისათვის. იგი გამოადგებათ თავდაცვის სამინისტროს უწყებებს, და სხვა პოლიტიკური უწყებების სამსახურის წარმომადგენლებს. ნაშრომი ასევე ღირებული იქნება აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

თავი I. სამხედრო თავდაცვა

შესავალი

ტოტალური (საყოველთაო) თავდაცვის სტრატეგიის სამხედრო კომპონენეტი ორ სივრცედ იშლება:

ა) საკითხები, რომლთა გადაწყვეტა ქვეყნის სამხედრო წინააღმდეგობის შესაძლებლობებს უზრუნველყოფენ, ასე ვთქვათ, სამხედრო თავდაცვის სტრატეგიული კომპონენეტი;

ბ) საკითხები, რომლებიც უშუალოდ საბრძოლო სივრცეში წინააღმდეგობას (ბრძოლის წარმოებას) ეხება.

პირველი მოიცავს დასაცავი გეოგრაფიული სივრცის (ქვეყნის ტერიტორიის) შესაძლებლობების კვლევას, ტერიტორიული თავდაცვის ძალების და საერთოდ, თავდაცვის ძალების ორგანიზაციას, ომის რესურსებისა და ცოცხალი ძალის რეზერვების მთლიან ან ნაწილობრივ მობილიზაციას და ა.შ., ხოლო მეორე - ე.წ. „ველზე“ ბრძოლის ტექნოლოგიას, სპეციფიკურ ტაქტიკას და სტრატეგიას.

წინამდებარე თავში სწორედ პირველ ჯგუფში ნაგულისხმები საკითხებია განხილული, ხოლო მეორე ჯგუფის საკითხებს კვლევის მე-6 თავი ეძღვნება.

პირველი თავის ავტორები არიან:

გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე (ქვეთავები **1 , 3 ,6**);

გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი (ქვეთავი **4**);

ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე (ქვეთავები **2, 7**);

ბრიგადის გენერალი ვლადიმერ იმნაძე (ქვეთავი **5**).

მე-8 ქვეთავი, პირველ თავში განხილული საკითხებიდან გამომდინარე რეკომენდაციებს ეხება.

1. გეოგრაფიული ფაქტორები და მათი გავლენა თავდაცვითი ამოცანების ჩამოყალიბებაზე

გეოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც, რეალურად, ლანდშაფტური, კლიმატური, ურბანული, წიაღისეული რესურსებისა და ეკოსისტემის ვითარების სრულ ჩამონათვალს გულისხმობს, სამხედრო სტრატეგიისა და თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავებისა და ოპერატიული დაგეგმვისთვის, თავისი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უპირველესია.

თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ,,***სამხედრო გეოგრაფია პროფესიონალებისა და დაინტერესებულთათვის,***“[1] ჯონ კოლინზი, ეხება რა გეოგრაფიულ მოცემულობათა სამხედრო თვალსაზრისით ანალიზის მეთოდოლოგიას, რამოდენიმე

1 **John M. Collins**. Military Geography for Professionals and the Public. Potomac Books, INC. Washington, D.C., 2006 (p. XXIV+435)

პლასტს გამოყოფს, რომლებიც ***სივრცის ანალიზის ფორმატის***[2] სახით არიან მოცემული. აღნიშნული ფორმატი **ხუთ** საფეხურს ეყდნობა:

გეოგრაფიული მონაცემების ბაზა

(სივრცის ანლიზის ფორმატი):

1.

ფიზიკური გეოგრაფია			
ადგილი	ლანდშაფტი	ზღვა	ამინდი
ზომა, ფორმა.	დრენაჟი, გეოლოგია, ნიადაგები, მცენარეული საფარი.	ყინულიანი ზღვა, მოქცევა და დინებები, ტალღები და მათი ნაპირზე განშლადობა, ზღვისპირი.	კლიმატი, დღის სინათლე.

2.

კულტურული გეოგრაფია		
განსახლების მოდელი	დასახლებები	გზები
რასობრივი შემადგენლობა, ეთნიკური ჯგუფები, ტომები და კლანები, რელიგიები, სამოქალაქო ჯანდაცვა.	ქალაქები, სამხედრო ბაზები, სამხედრო ინფრასტრუქტურა, ფორტიფიკაცია.	რკინიგზები, აეროპორტები, საზღვაო პორტები, არხები, მილსადენები.

2 იქვე, გვ. 340

3.

სამხედრო მისიები	
შეტევა, თავდაცვა, სამშვიდობო ოპერაციები, რეკოგნოსცირება/დაზვერვა, სამოქალაქო საქმეები, ლოგისტიკური უზრუნველყოფა, ფსიქოლოგიური ოპერაციები, სამაშველოოპერაციები, ჰუმანიტარული დახმარება.	არატრადიციული ომი, ამბოხების ჩახშობა, ანტიტერორისტული ოპერაციები.

4.

სამხედრო შედეგები		
სტრატეგიული ანალიზი	ტაქტიკური ანალიზი	ლოგისტიკური ანალიზი
გეოპოლიტიკა, ძირითადი სივრცეები, სტრატეგიული სივრცეები, მობილობა, კოალიციები, ინფრასტრუქტურა.	საკვანძო ადგილები, ხედვა, საცეცხლე ზონები, საფარი და შენიღბვა, წინაღობები, მიახლოების სვლაგეზი.	მომარაგება, მოვლა-შენარჩუნება, ტრანსპორტირება, აგება/მშენებლობა, სამედიცინო მომსახურება.

5.

გავლენა სამოქმედო გეგმებზე	
გავლენა საკუთარ სამოქმედო გეგმებზე.	გავლენა მოწინააღმდეგის სამოქმედო გეგმებზე.

სხვათაშორის, იქვე კოლინზი აღნიშნავს,[3] რომ გეოგრაფიული მონაცემების შეგროვება-ანალიზის საფუძველი, ანუ მისი არსი, სრულად შეიძლება გამოიკვეთოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც განსაზღვრულია ***სამხედრო მისიების კონტექსტი.*** თუმცა, ის ასევე ამატებს შემდეგ მოთხოვნასაც: ***სივრცის ანალიზისათვის გეოგრაფიულ მოცემულობათა ბაზა მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერასთან ერთად ის კულტურულ-გეოგრაფიულ და პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მოცემულობას ეყრდნობა.***

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფორმატი ვინმეს შესაძლოა ზედმეტად დატვირთული, ან საქართველოს სამხედრო-გეოგრაფიული კვლევისთვის არარელევანტური ეჩვენოს (მაგალითად, **ფიზიკურ-გეოგრაფიულ** ნაწილში არარელევანტური ჩანს ***ყინულოვანი ზღვის*** და ***ტალღების განშლადობა,*** ე.წ. სერფი (Surf), ანდა ის, რომ არ არის ნახსენები ჰიდროგრაფიული მონაცემების გავლენის (მდინარეები, ტბები) მნიშვნელობა), თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოლინზი ამერიკელი სტრატეგია და მისთვის გეოგრაფიული სივრცეები (აშშ-ს გადასახედიდან) გაცილებით სხვა მასშტაბებისა და განზომილებებისაგან შედგება. ასევე, მისი **კულტურულ-გეოგრა-**

3 იქვე, გვ.345

ფიული ხედვა ლოგიკურს ხდის ***განსახლების მოდელების, რასობრივი სხვაობებისა*** და მოცემული გეორაფიული სივრცისათვის მოსახლეობის ***ტომობრივ-კლანური*** განსხვავებების განხილვას.

როგორ შეგვიძლია ამ ფორმატის გამოყენება საქართველოს გეოგრაფიული სივრცის აღსაწერად?

თუ სამხრეთ კავკასიის რუკას[4] შევხედავთ (სურათი1), ვნახავთ, რომ ის გეოგრაფიულად ოთხ ძირითად არედაა გაყოფილი:

1. **კოლხეთის დაბლობი,** რომელიც შავ ზღვასაა მიბჯენილი.
2. **მტკვარი-არაქსის დაბლობი,** რომელიც კასპიის ზღვას ებჯინება.
3. **დიდი კავაკასიონის სამხრეთი კალთები,** რომლებიც ჩრდილოეთიდან ზღუდავენ ამ დაბლობებს.
4. **მცირე კავკასიონის მთიანეთი** - სამხრეთის „ზღუდე“.

---

4 (სამხრეთ კავკასია)
https://en.wikipedia.org/wiki/Caucasus#/media/File:Caucasus_topographic_map-en.svg

სურათი.1 სამხრეთ კავკასიის რუკა

რაც შეეხება ლანდშაფტის თავისებურებებს, რომლებიც ამ რეგიონის პროფილს ზოგადად განსზღვრავენ, შემდეგია:

- ორი სანაპირო ზოლი;
- მთები;
- ტყეები;
- ტბები და წყალსაცავები;
- მდინარეები და არხები;
- ნახევრად უდაბნოს ზონები და სტეპები (ნახევრად სტეპები).

ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია რეგიონში მყოფი ქვყნებისათვის და მათი გეოგრაფიული სისუსტეებისა და შედარებით ძლიერი მხარეების შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა.

მაგალითად, მთები, წარმოადგენს რა ბუნებრივ ბარიერს, შეიძლება როგორც პლიუსად მივიჩნიოთ (აგრესიის შემაკავებელი ფაქტორი), ასევე მინუსადაც: შიდა კომუნიკაციების შეზღუდულობა, რეგიონების იზოლირების ტენდენცია, სეპარატიზმის ხელშემწყობი ფიზიკური ფაქტორი და ა.შ.

სხვათაშორის, არც ერთ ზემოთჩამოთვლილ ფაქტორს აბსოლუტური მნიშვნელობა (მისი დადებითად თუ უარყოფითად განხილვის თვალსაზრისით) არა აქვს: თითოეული მათგანი ისევე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ეს მთების შემთხვევაში ვქენით. ამიტომ, შეუძლებელია ვთქვათ, როგორც ეს ხშირად ხდება, რომ ზოგადად, გეოგრაფიული გარემო ხელსაყრელია თუ არა რაიმე სახის მოქმედებისათვის, სანამ არ იქნება დაზუსტებული რის მიმართ ხდება ამ ხელსაყრელობის დადგენა (ე.წ. ***სამხედრო მისიების კონტექსტი,*** კოლინზის ტერმინოლოგიით). მაგალითად, თუ მთის ფლობა ჩვეულებრივ ხელსაყრელია (დაცვის გაადვილების კუთხით, მითუმეტეს თუ მოწინააღმდეგე დაბლობიდან ცდილობს მის დაკავებას), ტყის მასივით დაფარული მთა მთლიანად აქარწყლებს ამ უპირატესო-

ბას: ტყის მასივების დაცვა ძალიან რთულია ზოგადად, ხოლო ტყით დაფარული მთაგორიანი სივრცის დაცვა განსაკუთრებით.

როგორ ხდება სამხრეთკავკასიური გეოგრაფიული ფაქტორების პროეცირება საქართველოზე?

- **ზღვის სანაპირო ზოლი და ზღვისპირა დაბლობი** (შავი ზღვა და კოლხეთის დაბლობი);
- **მთები** (დიდი კავკასიონი მასზე „მიბმული“ ქედებით; უმაღლესი მწვერვალი - შხარა (5201 მ.) და სამხრეთი (მცირე) კავკასიონი, ასევე მასზე მიბმული მთიანი სისტემით;
- **ტყეები** (უკავია საქართველოს ტერიტორიის 34%);
- **შიდა ტბები** (11მ-მდე დიდი ტბა, რომელთაგან უდიდესი (40 მ-მდე) ფარავნის ტბაა, ხოლო ყველაზე ღრმა (101მ-მდე) - რიწის);
- **მდინარეები** (საქართველოს ტერიტორიაზე მიედინება 2.600 - დე მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-ს აღწევს);
- **სავარგულები** (სახნავ-სათესი მიწები - 16%, საძოვრები 25%);
- **ნახევრად უდაბნოს ზონები** (მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ელდარის დაბლობი, გარდაბნის ვაკე, შირაქ-გარეჯის ზეგანი).

ყველაფერი ეს კარგად იკითხება **საქართველოს ფიზიკურ რუკაზე (სურათი 2)**:[5]

სურათი 2. საქართველოს ფიზიკური რუკა

ახლა, განხილვის ლოგიკა რომ გამოჩნდეს, წარმოვიდგინოთ, რომ ამოცანად გვაქვს დასახული დასვლეთ საქართველოს შესაძლო შემოჭრისაგან დაცვა, ანუ, კოლინზის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ესაა ჩვენი **სამხედრო მისიის კონტექსტი.**

5 (საქართველოს ფიზიკური რუკა) https://www.google.com/search?q=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%

ვნახოთ, თუ რა მოცემულობასთან გვექნება ამ შემთხვევაში საქმე?

ზოგადად, საქართველოს დასავლეთი ეყრდნობა კოლხეთის დაბლობს, რომელსაც, თავის მხრივ, დასავლეთიდან 310 კმ სიგრძეზე ეკვრის შავი ზღვა, რომელსაც ეს დაბლობი ებჯინება. მაგალითად, ვიკიპედია[6] შემდეგნაირად ახასიათებს ამ დაბლობს: ესაა კოლხეთის ბარის დაბალი ნაწილი, მოიცავს აკუმულაციურ ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე სტრუქტურულ-ეროზიულ გორაკ-ბორცვებს ზღვის დონიდან 200 მ-მდე. დაბლობის სიგრძე - 153 კმ, სიგანე - 115კმ, ხოლო კლიმატი და ლანდშაფტი - სუბტროპიკული. კოლხეთის დაბლობი ოდნავ დახრილია შავი ზღვისაკენ და გადაკვეთილია მცირე სიღრმის ხეობებით. იგი სამკუთხედის ფორმისაა, ფუძით შავ ზღვაზე, ხოლო წვერით ქალაქ ზესტაფონთან. აჭარასა და აფხაზეთში კოლხეთის დაბლობი ვიწრო ზოლად ვრცელდება. კოლხეთის დაბლობის მთავარი მდინარეა **რიონი** და მისი შენაკადები. კოლხეთის დაბლობს ასევე ეკუთვნის მდინარეების ენგურის, კოდორის, სუფსისა და ნატანების ქვემო დინებები. ბევრია ტბა. კოლხეთის დაბლობზე გავრცელებულია სუბტროპიკული ეწერი, ალუვიური, ჭაობიანი და ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები. გორაკ-ბორცვებზე წითელმიწები და ყვითელმიწებია. დაბლობის ზღვისპირა ნაწილში ჭაობიანი ტყეებია, დაუჭაობებელ

ნაწილში კოლხური ტყის ნარჩენები. კოლხეთის დაბლობის უდიდესი ნაწილი მჭიდროდ არის დასახლებული და მაქსიმალურად არის ათვისებული მეურნეობისათვის.

სხვათაშორის, ლანდშაფტის ეს თავისებურებანი კარგად ჩანს დასავლეთ საქართველოს **ოროგრაფიულ რუკაზე**[6] **(სურათი 3):**



სურათი 3. დასავლეთ საქართველო ოროგრაფიულ რუკაზე

6 დასავლეთ საქართველოს ოროგრაფიული რუკა https://www.google.com/search?q=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90&rlz=1C1GCEA_e

აქვე, სურათის მეტ-ნაკლები სიცხადისათვის კიდევ ორი რუკა მოვიშველიოთ:

ა) დასავლეთ საქართველოს მდინარეები[7] **(სურათი 4):**

სურათი. 4 დასავლეთ საქართველოს მდინარეები

7 დასავლეთ საქართველოს მდინარეები https://www.google.com/search?q=%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94&rlz

ბ). დასავლეთ საქართველოს ქალაქები და გზები[8] **(სურათი 5)**

სურათი. 5 დასავლეთ საქართველოს ქალაქები და გზები

რა თქმა უნდა, ყველა ეს მოცემულობა ძალიან ზედაპირულ სურათს იძლევა თუ კი კოლინზის ***სივრცის ანალიზის ფორმატს*** გავყვებით, თუმცა ესეც საკმარისია გარკვეული ვარაუდების გამოსათქმელად თუ კი ჩვენი მისიის კონტექსტს გავიხსენებთ: **დასვლეთ საქართველოს შესაძლო შემოჭრისაგან**

8 დასავლეთ საქართველოს ქალაქები და გზები https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Physical_map_of_Georgia_(ka).svg

დაცვა, სადაც სიტყვა ,,დაცვა“ შესაძლოა სიტყვა ,,შეკავებამაც“ შეცვალოს.

ვნახოთ, კოლხეთის დაბლობი, როგორც გეოგრაფიული სივრცე, რა შესაძლებლობებს აჩენს სავარაუდო მოწინააღმდეგის მოქმედების გეგმაში. ერთი შეხედვით, ზღვის ზოლის სიფართოვე თითქო უპირატესობის მიმცემია ფართე საზღვაო სადესანტო ანდა, ერთდროულად, სადესანტო და სახმელეთო ოპერაციის ჩასატარებლად (ვთქვათ, პირობითი მოწინააღმდეგე დასავლეთიდან და ჩრდილო დასავლეთიდან გვიტევს), თუმცა ნიადაგის თავისებურება, სამელიორაციო ნაგებობების, მდინარეებისა და ხევების ქსელი, ჯავშანტექნიკის გამოყენებისას, იძულებულს გახდის მოწინააღმდეგეს მხოლოდ **არსებული საგზაო ქსელით შემოიზღუდოს,** ხოლო დაბლობის **სამკუთხა ფორმა,** წესით, შეტევის სავარაუდო პოტენციალსაც შეამცირებს, ვინაიდან, ნაცვლად გაშლისა, შეტევის ფრონტი ვიწროვდება და ეს დაბლობის მთელ სიგრძეზე (153 კმ) სივრცეს ხსნის ორმხრივი საფლანგო დარტყმებისათვის. **ბუნებრივია, აღნიშნულ ფლანგებზე შესაბამისი ძალები ან უკვე უნდა არსებობდეს, ანდა მათი დროული თავმოყრა უნდა იყოს შესაძლებელი (იხ.სქემა 1):**



სქემა 1.

ასეთ პირობებში, ამდაგავრი მოქმედება ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან სტრატეგიის ანა-ბანა მოწინააღმდეგისთვისაც ცნობილია. შესაბამისად, გასასინჯი სხვა ვარიანტები ყოფილა და არ ის, რომელიც თითქო ბუნებრივი ჩანდა.

თუმცა, **ნიშნავს თუ არა ეს, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან სადესანტო ოპერაციების შესაძლებლობა უნდა უგულვებელვყოთ? რა თქმა უნდა, არა.**

სადესანტო ოპერაცია შესაძლოა კარგად იქნეს გამოყენებული ძირითადი შეტევის შესანიღბად, ანდა ძირითადი ძალისხმევიდან ჩვენი ძალების განსაზიდად, დასანაწევრებლად და, ამგვარად, უპირატესობის მოსაპოვებლად. მაშასადამე, როდესაც მისიის კონტექსტი **დასავლეთ საქართველოს შესაძლო**

შემოჭრისაგან დაცვას გულისხმობს, მიუხედავად ყველაფრისა, ზღვისპირა ზოლზე დესანტირების მცდელობის შეკავება მაინც ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად იკვეთება. ამდაგვარ ვარაუდებზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება უფრო დაზუსტებული ამოცანების გამოკვეთა, რაც, შესაძლოა გახდეს კონკრეტული ოპერატიული გეგმის საფუძველი. კიდევ ერთ გეოგრაფიულ ფაქტორზე გავამახვილოთ ყურადღება: ეს არის განსახლებისა და სხვადსხვა რეგიონებში მოსხლეობის სიმჭიდროვის მოცემულობა. შევხედოთ საქართველოს ტერიტორიის განსახლების რუკას [10] (**სურათი 6**):



სურათი 6. საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვე

აქ ყურადღება მივაქციოთ საზღვრისპირა რეგიონების ერთგვარ „სიცარიელეს“: ჩრდილოეთის საზღვარზე (გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთის ერთი მონაკვეთისა) და სამხრეთის საზღვრის ცენტრალურ და უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე მოსახლეობის სიმჭიდროვე არ აღემატება 1-5 ადამიანს კვადრატულ კილომეტრზე. მაგრამ ამდაგვარი განსახლება, შესაძლოა, აგრესიის წამახალისებელი ფაქტორი აღმოჩნდეს, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მეზობლებში გაჩნდეს „ცდუნება“ საზღვრების „უმტკივნეულო“ გადმოწევისა, მაგალითად, ჩრდილოეთის საზღვარზე, როგორც ეს ქვემოთ სქემაზეა მოცემული[9] **(იხ. სქემა 2):**



სქემა 2. ჩრდილოეთის საზღვრის გადმოწევის ერთ-ერთი სავარაუდო ვარიანტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რუსული ბაზების გამოყენებით

9ttps://www.google.com/search?q=etnic+map+of+geoergia&rlz=1C1GCEA_enGE882GE882&oq=etnic+map+of+geoergia&aqs=chrome..69i57j0i13i512j0i390l3.15532j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8#imgrc=Dlq89RpSvNwVIM

აღნიშნული ვითარება მოითხოვს არა მარტო ეროვნული თავდაცვის სისტემის, როგორც მთლიანობის გადააზრებას, არამედ დღის წესრიგში **ტერიტორიული თავდაცვის ძალების არსებობის აუცილებლობასაც აყენებს.**

მეტიც, თუ გავითვალისწინებთ ფიზიკური გეოგრაფიის მოცემულობას,[10] ვინაიდან იგივე საზღვრისპირა რეგიონები ერთმანეთისგან წყალგამყოფი ქედებითაა იზოლირებული, დავინახავთ, რომ მათ შორის ჰორიზონტალური კომუნიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც, თავის მხრივ, ასევე ადგილობრივი თავდაცვითი შესაძლებლობების არსებობას მოითხოვს.

სხვათაშორის, აღნიშნული ვითარება იმასაც აჩვენებს, რომ საქართველოს შემთხვევაში ომი სულაც არ **წარმოადგენს იმ აუცილებლობას, რომ ტერიტორიული თავდაცვის ძალების გამოყენების საკითხი დადგეს.**[11] აღნიშნულის განხილვას მესამე და მეექვსე **ქვეთავებში** დავუბრუნდებით.

დაბოლოს, როგორც ჩანს, საქართველოსთვის სრული მოცულობით ადაპტირებული კოლინზის სივრცის ანალიზის ფორმატი საფუძვლად უნდა დაედოს სამხედრო შედეგების

10 იხ. ოროგრაფიული რუკა
11 იხ. ქვემოთ, §3

სტრატეგიული, ტაქტიკური და ლოგისტიკური კუთხით ანალიზს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შესაძლო სამხედრო მისიების ჩამონათვალს.

2. სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა რეგიონსა და მსოფლიოში

სამხედრო, იგივე თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვა, მისი ფორმირება ნებისმიერი სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების პარამეტრებით აფასებენ რამდენად მილიტარიზებულია ქვეყანა, რეგიონი, მსოფლიო. სამხედრო ხარჯების ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება. 2022 წელს ყველა ქვეყნის ჯამურმა სამხედრო ხარჯებმა რეკორდული, 2,24 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინეს.

ნებისმიერი სახელმწიფოს სამხედრო ხარჯების სტრუქტურა, მისი ცვლილებების დინამიკის შესწავლა, ხარჯების სტაბილურ დონეზე შენარჩუნება, ან კლება თუ მატება, სპეციალისტებს ბევრი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს.

ხარჯების სტრუქტურის შესწავლისას ყურადღება ექცევა თუ რა კომპონენტების განვითარებაზე კეთდება აქცენტი, ხდება თუ არა ჭარბი მარაგების დაგროვება და ა.შ.

სამხედრო ხარჯები - ესაა სახელმწიფოს ფინანსური დანახარჯები თავდაცვის ძალების საომარი მოქმედებებისათვის მოსამზადებლად, ასევე მათ ყოველმხრივ უზრუნველსაყოფად, როგორც მშვიდობიან, ისე საომარი მოქმედებების დროს.

ზოგადად, ხარჯების ზრდის ტენდენციაზე ზეგავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

- ინფლაცია, ფასების ზრდა შეიარაღებაზე;
- დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება;
- ბოლო ომების და კონფლიქტების ხასიათი;
- ფსონი თანამედროვე იარაღსა და მაღალ ტექნოლოგიებზე.

სახელმწიფოს სამხედრო ხარჯები საშუალებას უნდა იძლეოდეს:

- უზრუნველყოს თავდაცვის ძალების აღჭურვა თანამედროვე შეიარაღებით, ტექნიკით, აღჭურვილობით, საბრძოლო მასალების სათანადო მარაგებით;
- შექმნას თავდაცვის ძალების სამხედრო-მატერიალური ბაზა;
- განავითაროს ადგილობრივი სამხედრო მრეწველობა;
- განავითაროს თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები;
- შექმნას სამხედრო მოსამსახურეების სოციალ-ეკონომიკური უზრუნველყოფის ბაზა.

სამხედრო ხარჯების ზრდა, პირდაპირ არის დამოკიდებული, ერთის მხრივ, გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებსა და რისკებზე, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო ხარჯების ანალიზი, ცვლილებების, ზრდის ან შემცირების დინამიკა, ბიუჯეტის პრიორიტეტები საშუალებას იძლევა შეფასდეს შემდეგი: ამ კონკრეტული ქვეყნის წინაშე იზრდება თუ მცირდება საფრთხეები. რა თქმა უნდა, ეს იქნება ამ ქვეყნის ხელისუფლების სამხედრო მიმართულებით მუშაობის დანახვა და არა გარედან მოცემული შეფასებები.

სამხედრო ხარჯების პრიორიტეტების ანალიზიც ასევე იძლევა სხვადასხვა დასკვნების გაკეთების საშუალებას. სამხედრო ხარჯებში ჩანს კონკრეტულ ქვეყანაში ჯარის, სამხედროების სოციალურ პრობლემებზე კეთდება აქცენტი თუ საბრძოლო კომპონენტზე, სახმელეთო კომპონენტზე, ავიაციაზე, თავდაცვით შეიარაღებაზე, თუ პირიქით, შეტევითზე. ანალიზი ასევე გვიჩვენებს: არსებული მარაგების დანაკლისის შევსება ხდება, თუ ჭარბი მარაგების შექმნა, სატაბელო შეიარაღების შევსება ხდება, თუ რომელიმე კომპონენტის გაძლიერება, თუნდაც მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

სამხედრო ხარჯების მხრივ პირველობას ამერიკის შეერთებული შტატები ინარჩუნებს. 2003 წელს აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი 368 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2022 წელს კი 801 მილიარდს. 2023 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი 858 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

ვითარება მსოფლიოში, სამხედრო ხარჯების ზრდის ფაქტორები და ტენდენციები

თანამედროვე მსოფლიო გახდა ფეთქებადი და არაპროგნოზირებადი. მიმდინარეობს ისეთი გლობალური ცვლილებები, რომლებსაც ბოლო საუკუნის განმავლობაში რამდენჯერმე ჰქონდათ ადგილი პირველი და მეორე მსოფლიო ომების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. იცვლება სამხედრო დაპირისპირების ხასიათიც.

მაგალითად, ე.წ. ცივი ომის, თუ რკინის ფარდის პერიოდში მომხდარ ლოკალურ ომებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებს არ ახლდა მსოფლიოს წამყვან, განსაკუთრებით ბირთვულ სახელმწიფოებს შორის ისეთი მძაფრი დაპირისპირება და რიტორიკა, როგორსაც ახლა ვადევნებთ თვალს. უკრაინაში რუსეთის შეჭრას კი დასავლეთის მხრიდან ისეთი ეკონომიკური სანქციები მოჰყვა, როგორიც ისტორიას არ ახსოვს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემა ფაქტობრივად ჩამოიშალა. მსოფლიო

უსაფრთხოების არქიტექტურა ეყრდნობოდა შეიარაღების კონ-ტროლის ფუნდამენტურ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს: ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება (1963 წ.); ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის შესახებ (1968 წ.); ხელშეკრულება ანტი-სარაკეტო სისტემების გავრცელების შეზღუდვის შესახებ (1972 წ.); ხელ-შეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (1979 წ.); ხელშეკრულება საშუალო და ახლო მოქმედების რაკე-ტების ლიკვიდაციის შესახებ (1987 წ.); ხელშეკრულება ევრო-პაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ (1990 წ.); ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცი-რების შესახებ - 1 (1991 წ.); ხელშეკრულება სტრატეგიული შე-ტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ - 2, ხელი მოეწერა, მაგრამ ძალაში არ შესულა, თუმცა სხვა დამატებითი შეთანხმე-ბები გაფორმდა (1993 წ.); ხელშეკრულება სტრატეგიული შეტე-ვითი პოტენციალის შემცირების შესახებ (2002 წ.); ხელშეკრუ-ლება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შე-სახებ -3 (2010 წ.).

ზემოთ აღნიშნული შეთანხმებებიდან ძალაში შემორჩა მხოლოდ ხელშეკრულებები ბირთვული იარაღის გამოცდის და გავრცელების შესახებ. თუმცა, რუსეთის ბოლო განცხადე-ბის გათვალისწინებით, ბირთვული იარაღის გამოცდის პრაქ-

ტიკა შესაძლოა განახლდეს. რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რუსეთმა შეაჩერა ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ - 3.

რუსეთსა და დასავლეთს შორის დიალოგი არ არსებობს. დიპლომატიური ურთიერთობები ნულოვან ნიშნულზეა. ამ ფონზე შეიარაღებაზე კონტროლის კიდევ ერთი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება რუსეთის მხრიდან, კიდევ უფრო ამძიმებს გეოპოლიტიკურ ფონს.

ბოლო წლების ომების ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამხედრო დაპირისპირება კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოსგან მოითხოვს რესურსების სრულ, ტოტალურ მობილიზებას, ომის წარმოებისთვის ეკონომიკის მზადყოფნას, დიდძალ სამხედრო-ტექნიკურ და სამობილიზაციო რესურსებს. ახალ ომებში, საბოლოო ჯამში, წარმატება აღმოჩნდება იმ მხარეს, რომელსაც მეტი რესურსი, გამოწვევებთან მიმართებაში მეტი მდგრადობა აღმოაჩნდება.

მაგალითისთვის შეიძლება აზერბაიჯან-სომხეთის 2020 წლის 44-დღიანი დაპირისპირება მოვიყვანოთ. ომის შედეგებზე გავლენა მოახდინეს არა მხოლოდ სამხედრო ხელოვნებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევამ ან სხვა ფაქტორებმა, არამედ გადამწყვეტი როლი იქონია სხვაობამ რესურსებს შორის. აქ იგულისხმება როგორც ადამიანური რესურსები, ისე შე-

იარაღების და ტექნიკის რაოდენობა, ხარისხობრივი სხვაობა და საბრძოლო მასალების მარაგები.

უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებული ომიც იგივე ტენდენციას გვიჩვენებს. ორივე მხრიდან იხარჯება უზარმაზარი რესურსები. უკრაინის მედეგობას და წარმატებას მეტწილად განსაზღვრავს საერთაშორისო თანამეგობრობის გაერთიანება რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და უკრაინისათვის კოლოსალური მასშტაბის დახმარების გაწევა. ორი წლის განმავლობაში უკრაინას სულ მცირე 200 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დახმარება გაეწია.[12] დიდი ალბათობით რუსეთის ხელისუფლება არ მოელოდა უკრაინისათვის ასეთი მასშტაბის მხარდაჭერის აღმოჩენას.



დიაგრამა 1. ფინანსური დახმარების მონაცემები

12 https://www.statista.com/chart/28489/ukrainian-military-humanitarian-and-financial-aid-donors/

თანამედროვე და მომავლის ომებში წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორები იქნება სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის გამართული სტრუქტურა და ფუნქციონირება, სამხედრო და სამოქალაქო სფეროებში მაღალი ტექნოლოგიებ-ის გამოყენება და რესურსების ტოტალური მობილიზება.

რესურსების ტოტალურ მობილიზებაში უნდა ვიგულის-ხმოთ, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური, მატერიალური, ტექნიკური, სამრეწველო და სხვა სახის რეზერვების მიმართვა ომის ინტერესებისათვის.

ლოგიკურია ის გარემოება, რომ ასეთ დაძაბულ გეოპო-ლიტიკურ ვითარებაში, ომების და კონფლიქტების ფონზე, მსოფლიოში სამხედრო ხარჯები იზრდება. ბოლო წლების გან-მავლობაში თავდაცვაზე გამოყოფილმა ხარჯებმა ყოველწლი-ურად 2 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. შეიარაღებაზე კონტროლის აქამდე არსებული ხელშეკრულებების გაუქმების ან შეჩერების პირობებში და დიდ სახელმწიფოებს შორის არსე-ბული დაძაბულობების, ასევე უკრაინის ომის ფონზე, დიდი ალბათობით, სამხედრო ხარჯების ზრდის ტენდენცია შენარ-ჩუნებული იქნება.

რეგიონის ქვეყნების სამხედრო ხარჯები

სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაშიც შეიმჩნევა. ყველაზე მკვეთრი ზრდა ირანს აქვს. თუ 2021 წლის ბიუჯეტი 12 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2022 წელს უკვე 24 მილიარდი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია ის, რომ 2022 წელს 3-ჯერ გაიზარდა ირანული შეიარაღების ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.[13] ბოლო 10 წლის განმავლობაში ირანი აქტიურად ავითარებს სამხედრო მრეწველობას. ერთ-ერთი პრიორიტეტი უპილოტო საფრენი აპარატების განვითარებაა. ღია წყაროებზე დაყრდნობით, სამხედრო მანევრებში ირანული წარმოების შეიარაღების და ტექნიკის წილმა 90%-ს გადააჭარბა, რაც ირანის შეიარაღებული ძალების ადგილობრივი წარმოების შეიარაღებასა და ტექნიკაზე გადაიარაღების ტენდენციაზე მიუთითებს.

უახლოეს წლებში სამხედრო ხარჯების გაზრდის შესახებ განცხადება გააკეთა თურქეთმაც. 2003 წელს თურქეთის თავდაცვის ბიუჯეტი 14 მილიარდ დოლარზე ოდნავ მეტი იყო. 2024 წლისთვის თურქეთი გეგმავს ქვეყნის თავდაცვაზე 40 მილიარდზე მეტი დახარჯოს.[14] სხვა მიმართულებებთან ერთად, ყურადსაღებია დაფინანსების რეკორდული ზრდა სამეცნიე-

13 https://take-profit.org/statistics/military-expenditure/iran/
14 https://meta-defense.fr/en/2023/10/18/turkish_defense_budget_2024/

რო-კვლევით საქმიანობაზე. ყურადღება მიექცევა ასევე სამოქა-ლაქო თავდაცვას.

საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებოა რუ-სეთის მილიტარიზაცია უკრაინაში არაპროვოცირებული საო-მარი აგრესიის გაჩაღების ფონზე. რუსეთის ეკონომიკა მაქსიმა-ლურად გადაერთო ომის უზრუნველყოფაზე. რუსეთის სამ-ხედრო-სამრეწველო კომპლექსი მაქსიმალურადაა დატვირ-თული. ეს ეხება როგორც შეიარაღების და ტექნიკის გამოშვე-ბას, მოდერნიზებას და რემონტს, ასევე საბრძოლო მასალების და რაკეტების წარმოებას. გარდა ღია და ფარული ციფრებისა, ომის უზრუნველყოფაში აქტიურადაა ჩართული ბიზნესი და მოსახლეობა. ღია წყაროებით უამრავი ინფორმაცია ვრცელდე-ბა ჯარისთვის გაკეთებული შემოწირულობების შესახებ. შესა-ბამისად, დღეს რთულია ითქვას თუ რა თანხას შეადგენს რუ-სეთის თავდაცვის ბიუჯეტი.

ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთმა 2021-22 წლებში თავდაცვაზე 65-66 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა. 2023 წელს კი რუსეთის სამხედრო ხარჯებმა 86 მილიარდი აშშ დო-ლარი შეადგინა, რაც მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ მე-სამედზე მეტს შეადგენს.[15]

15 Военные расходы России 2023 | Take-profit.org

მეზობელი ქვეყნების სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა

აზერბაიჯანის და სომხეთის სამხედრო ხარჯების მუდმივი ზრდა, მეტწილად, განპირობებული იყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით. როგორც ზრდის ტემპით, ასევე მშპ-სთან შეფარდებით და აბსოლუტურ ციფრებში საქართველო ორივე ქვეყანას საგრძნობლად ჩამორჩება.

სრულყოფილი ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია სამხედრო ხარჯები შეფასდეს როგორც აბსოლუტურ ციფრებში, ისე მისი მშპ-სთან და ბიუჯეტის მოცულობასთან თანაფარდობაში, რადგან ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტები და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ბიუჯეტთან და მშპ-სთან მიმართებაში პროცენტული გამოხატვა გვიჩვენებს თუ რამდენად გასამხედროებულია სახელმწიფოს ხარჯები და რამდენად აწევს ტვირთად თავდაცვის ხარჯები ქვეყნის ეკონომიკას. აბსოლუტური ციფრების ანალიზი კი გვიჩვენებს თავდაცვის უწყებათა ხარჯებისა რეალურ პრიორიტეტებს: რამდენი იხარჯება სოციალურ უზრუნველყოფაზე, ინფრასტრუქტურაზე, საბრძოლო მომზადებასა და სამხედრო შესყიდვებზე.

თავის მხრივ, სამხედრო შესყიდვებზე დაკვირვება, მონაცემების ანალიზი, საშუალებას იძლევა შეფასდეს რომელი ქვე-

ყნებიდან და რა ტიპის შესყიდვებს ახორციელებს ქვეყანა, რამდენად და რა ტიპის შესყიდვებზეა დამოკიდებული და რომელი ქვეყნიდან, რა პრიორიტეტებია შესყიდვებში, რამდენად ჭარბად ხდება ტექნიკასთან ერთად საბრძოლო მასალების დაგროვება და სხვა.

სამხედრო ხარჯების დინამიკის დეტალური ანალიზი სპეციალისტებს საშუალებას აძლევს შეაფასონ რამდენად იცვლება ქვეყნის სამხედრო პოტენციალი, ემზადება თუ არა ქვეყანა საომარი მოქმედებებისთვის, აქცენტს აკეთებს თავდაცვითი თუ შეტევითი პოტენციალის გასაძლიერებლად, ჯარების რომელ სახეობას და გვარეობას აძლიერებს, რამდენად ავითარებს მაღალ ტექნოლოგიებს და სხვა.

აზერბაიჯანი და სომხეთი კონფლიქტის გაყინვის პერიოდიდან, ანუ 1994 წლიდან ინარჩუნებდნენ მილიტარიზებულ სამხედრო ბიუჯეტებს, მუდმივად ნარჩუნდებოდა სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ადრეული წლების ანალიზზე მეტად, უფრო საინტერესოა როგორი ბიუჯეტით შეხვდნენ მხარეები ე.წ. 44-დღიან ომს, ასევე რა ტენდენციაა ომის შემდეგ.

2020 წლის, ანუ ომის წინ დაგეგმილი ბიუჯეტები ასე გამოიყურებოდა: აზერბაიჯანი-1,9 მლრდი აშშ დოლარი, სომხეთი-625 მლნი აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანის

ბიუჯეტი 3-ჯერ აღემატებოდა სომხეთისას. ეს უპირატესობა ნარჩუნდებოდა წლების განმავლობაში.

2020 წლის ომის შემდეგ აზერბაიჯანმა ბიუჯეტი 20%-ით გაზარდა და 2,2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.[16] სხვა წყაროებით 2,6 მილიარდიც ფიქსირდება. აზერბაიჯანი შემდგომ წლებშიც გეგმავს სამხედრო ხარჯების ზრდას. კერძოდ, 2025 წლისთვის თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე აზერბაიჯანი 2,8 მილიარდ აშშ დოლარს გამოყოფს.[17]

ორი ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტების შედარებისას, ხშირად გამოთქვამდნენ მოსაზრებას, თითქოს სომხეთი ნაკლები დაფინანსების კომპენსირებას რუსეთიდან შეიარაღების დაბალი ფასებით ახდენდა. თუმცა, თუ შევისწავლით ორი ქვეყნის სამხედრო შესყიდვებს, რა მონაცემების მოპოვებაც ღია წყარო-

16https://jamnews.net/ru/%D0%B2%D0%BE%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B5-%D1%80%D0%B0%D1%81%D1%85%D0%BE%D0%B4%D1%8B-%D0%B0%D1%80%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B8-%D0%B8-%D0%B0%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0/

17https://russian.eurasianet.org/%D0%B0%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0%D0%BD-%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%B4%D0%BE%D0%BB%D0%B6%D0%B0%D0%B5%D1%82-%D1%83%D0%B2%D0%B5%D0%BB%D0%B8%D1%87%D0%B8%D0%B2%D0%B0%D1%82%D1%8C-%D0%B2%D0%BE%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B5-%D1%80%D0%B0%D1%81%D1%85%D0%BE%D0%B4%D1%8B

ებით არის შესაძლებელი, შეძენილი შეიარაღების და ტექნიკის რიცხოვნობის მხრივ, საგრძნობ სხვაობას დავინახავთ.

ამ წლების განმავლობაში აზერბაიჯანი აწარმოებდა თანამედროვე შეიარაღების და ტექნიკის შეძენას არა მხოლოდ რუსეთიდან და ბელარუსიდან, არამედ ისრაელიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, პაკისტანიდან, უკრაინიდან, კანადიდან, შვეიცარიიდან, ავსტრიიდან. მაშინ, როცა სომხეთი მიბმული იყო მხოლოდ რუსეთის შეიარაღებაზე. 2020 წლის ომამდე 2-3 წლის განმავლობაში სომხეთი რუსულ შეიარაღებას რუსეთიდან ისევ რუსეთის მიერ გაცემული სესხით ყიდულობდა. თუმცა შეძენილი ტექნიკის გარკვეული ნაწილი 2020 წლის ომში ვერ გამოიყენა, ან ზოგიერთი ტიპის შეიარაღებამ სათანადო ეფექტიანობა ვერ გამოავლინა. მაგალითად, ვერ შეძლეს სუ-30 ტიპის თვითმფრინავების გამოყენება. როგორც ღია წყაროებში წერენ, სომხეთმა ვერ შეძლო აღნიშნული ოთხი თვითმფრინავისთვის შეიარაღების მიღების დასრულება. ეს კითხვებს ბადებს რუსეთ-სომხეთის საიმედო პარტნიორობასთან დაკავშირებით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ SIPRI-ს ანგარიშის თანახმად, 2020 წელს აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, 17%-თ გაიზარდა, ხოლო სომხეთის 2,6%-თ შემცირდა.

2020 წელს აზერბაიჯანის სამხედრო ხარჯებმა სახელმწიფო ბიუჯეტის 12,7% შეადგინა, სომხეთისამ კი 16,7%. როგორც ჩანს, სომხეთის სამხედრო ხარჯები მეტად აწვებოდა ქვეყნის ბიუჯეტს, თუმცა ბიუჯეტის სიდიდის გამო, აბსოლუტურ ციფრებში აზერბაიჯანის დანახარჯები 3-ჯერ მეტი იყო.

ესაა ღია ციფრები. თუმცა, ბევრი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანი გაცილებით მეტს ხარჯავს თავდაცვის მიზნებისთვის. ეს კი აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს შეიძინოს მეტი შეიარაღება და ტექნიკა, შექმნას მეტი მარაგები, ჩაატაროს მეტი წვრთნები, მეტად განავითაროს სამხედრო მრეწველობა და დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები.

მეზობელი ქვეყნების შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები: რეზერვი, სამხედრო მრეწველობა, ტექნოლოგიები, მატერიალური მარაგები

მნიშნელოვანია მეზობელი ქვეყნების თავდაცვის ხარჯების მონიტორინგი, მათი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებზე ასახვის ჭრილში.

აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა იწყება 2006 წლიდან. 2006-2007 წლებში თავდაცვის ხარჯები 2005 წელთან შედარებით 2-2,5-ჯერ მეტია, 2008-10 წლებში დაახლოებით 5-ჯრ, ხოლო 2011 წლიდან ვიდრე 2015 წლამდე

პერიოდის ხარჯები 2005 წელთან შედარებით 10-ჯერ იზრდება. 2016 წლიდან სამხედრო ხარჯები ისევ უბრუნდება 2008-10 წლების დონეს, თუმცა ეს მოცულობაც 3,5-4-ჯერ მეტია, ვიდრე სომხეთის თავდაცვის ბიუჯეტი. [18]

ამ წლებს უკავშირდება აზერბაიჯანში სამხედრო მრეწველობის განვითარება. 2005 წელს აზერბაიჯანში შეიქმნა თავდაცვის მრეწველობის სამინისტრო.[19] აზერბაიჯანის სამხედრო მრეწველობამ ჯერ ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება აითვისა. 10 წლისთავზე აზერბაიჯანი უკვე 900 სახეობის, ხოლო კიდევ 5 წელში, ანუ 44-დღიანი ომის წინ, 2 ათასი სახეობის სამხედრო დანიშნულების ნაწარმს უშვებდა, მათ შორის სნაიპერულ შაშხანებს, ავიაბომბებს, უპილოტო საფრენ აპარატებს, ჯავშანტრანსპორტიორებს, საარტილერიო ჭურვებს და სხვა. აზერბაიჯანის სამხედრო მრეწველობა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის თურქეთთან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, რუსეთთან, ისრაელთან და სხვა.

90-ანი წლების ბოლოდან აქტიურად ვითარდება სომხეთის სამხედრო მრეწველობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემ-

18 https://evnreport.com/politics/military-expenditures-and-the-economy-behind-the-war-of-weapons
19 https://caliber.az/post/106998/

დეგ სომხეთში ათობით სამხედრო დანიშნულების და სხვადასხვა პროფილის საწარმო დარჩა. ამ საწარმოებთან ერთად სამხედრო სამრეწველო კომპლექსში გაერთიანდნენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ფიზიკის, რადიო-ფიზიკის, ელექტრონიკის, ქიმიის და სხვა დარგობრივი ინსტიტუტები. სომხეთის სამრეწველო კომპლექსი ორიენტირებულია ვიწრო მიმართულებების ტექნოლოგიების განვითარებაზე; კერძოდ, ესენია: უპილოტო საფრენი აპარატები, ოპტიკურ-ელექტრონული საშუალებები, თბოვიზორები და სხვა. თუმცა, აზერბაიჯანთან შედარებით სომხეთის ფინანსური რესურსები შეზღუდულია, რაც ადგილობრივი სამხედრო მრეწველობის განვითარებაზეც აისახება. თუმცა, სომხეთის პოტენციალი ამ კუთხით, ყურადსაღებია.

სომხეთის ჯარის შეიარაღებაში არსებული უპილოტო საფრენი აპარატების უმეტესობა ადგილობრივი წარმოებისაა. მათ შორის, სომხეთი აწარმოებს დამრტყმელ უპილოტო საფრენ აპარატებს. სომხეთი ახორციელებს ცეცხლსასროლი და საარტილერიო სისტემების რემონტს, აწარმოებს საავიაციო უმართავ რაკეტებს, საავიაციო ბომბებს, ყუმბარმტყორცნებს,

ახდენს ძველი საბჭოური, მათ შორის საჰაერო თავდაცვის სისტემების კაპიტალურ შეკეთებასა და მოდერნიზაციას და სხვა.[20]

საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების ანალიზი

თავდაცვის სამინისტროს კონცეპტუალურ და სახელმძღვანელო დოკუმენტებში დეტალურადაა გაწერილი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო და მიმდინარე გლობალური ტენდენციები. თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში (თსმ) ვკითხულობთ: „ძალთა სტრუქტურის ფორმირებასა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის ძალების (სთძ) ოპერირებას არათანაბარ პირობებში, მასზე ბევრად აღმატებულ მოწინააღმდეგესთან.“[21]

ამ გარემოების გათვალისწინებით თავდაცვის სამინისტროს ხედვაში აღნიშნულია, რომ ეროვნული შეკავება და თავდაცვა მიღწეული იქნება ტოტალური თავდაცვის მიდგომით.[22] თსმ-ის თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში ჩატარებულმა საბრძოლო მოქმედებების მოდელირებების სერიამ აჩვენა „სტრუქტურული ცვლილებების

20 https://dzen.ru/media/id/5dab435843fdc000b16380ad/voennaia-promyshlennost-armenii-vozmojnosti-i-ambicii-5f833ad242a69673f7a7d797).
21 თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა
22 თავდაცვის სამინისტროს ხედვა

და საბრძოლო ფუნქციების განვითარების საჭიროება მთელ რიგ მიმართულებებზე.“[23]

უკრაინის გამოცდილება მოდელირებების გამოცდილების საკითხშიც არის გასათვალისწინებელი. როგორც ცნობილი გახდა დასავლური სააგენტოების პუბლიკაციებიდან, უკრაინის „კონტრშეტევის“ მოდელირებებმა აჩვენეს, რომ უკრაინას დასახული მიზნებისთვის უნდა მიეღწია. კონტრშეტევა კი უშედეგოდ დასრულდა. შესაბამისად, საქართველოს გენერალურ შტაბში ჩატარებულ მოდელირებებს თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობამ კიდევ უფრო მეტი კრიტიკის თვალით უნდა შეხედოს და სთძ-ის შესაძლებლობების კიდევ უფრო მეტ გაზრდაზე გააკეთოს ორიენტირება.

უკრაინა-რუსეთის, მთიანი ყარაბაღის, ბოლოს კი ღაზას სექტორში მიმდინარე ომების გამოცდილება, ასევე გეოპოლიტიკური ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიდი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე არის დაბალი. მიდგომა, თითქოს საქართველოს თავდაცვის ძალებმა უნდა შეძლონ წინააღმდეგობის გაწევა გარკვეული ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, იმ გათვლით, რომ შემდგომში საერთაშორისო თანამეგობრობა

23 თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა

შესძლებს ჩარევას და მშვიდობის აღდგენას, ეყრდნობა 2008 წლის გამოცდილებას და დღეს, როცა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მსოფლიო უსაფრთხოების ძველი არქიტექტურა მთლიანად ჩამოიშალა, აღარ იმოქმედებს. ყველაფერს წყვეტს ვითარება ბრძოლის ველზე. სამხედრო მოქმედებებში წარმატების, დასახული მიზნების და ამოცანების მიღწევა კი დამოკიდებული იქნება სახელმწიფოს ომისათვის წინასწარ მომზადებაზე, ყველა სახის რეზერვების არსებობაზე და ომის დროს არსებული რეზერვების დაცვაზე, შენარჩუნებასა და შევსებაზე.

სამხედრო პოტენციალის და მრეწველობის მხრივ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიც უკრაინაა, ომის დაწყებიდან ძალიან მოკლე ვადებში, დამოკიდებული აღმოჩნდა გარე დახმარებაზე. საქართველოს გეოგრაფიული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, გაჭირდება ლოგისტიკის საერთაშორისო მარშრუტების გამართული და უსაფრთხო მუშაობა. შესაბამისად, საჭირო რეზერვების სწორად გათვლას და წინასწარ დაგროვებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება.

ბოლო ომების გამოცდილების გათვალისწინებით მთლიანად არის გადასახედი ტაქტიკური და ოპერატიული გათვლების მახასიათებლები, დღის ან კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად გათვალისწინებული ნორმების და საბრძოლო კომპლექტების რაოდენობა, რის შემდეგაც უნდა განისაზღვ-

როს თავდაცვის ძალებისთვის საჭირო საბრძოლო მასალების, კერძოდ ტყვია-წამლის, საარტილერიო ჭურვების და რეაქტიული არტილერიის რაკეტების, საავიაციო ბომბების და რაკეტების, საჰაერო თავდაცვის რაკეტების და საბრძოლო მასალების, საწვავ-საპოხი მასალების, სურსათის, ფორმის, აღჭურვილობის და სხვა სამხედრო ქონების ნორმები და მარაგების მოცულობა.

საქართველოს თავდაცვის ძალებს სამხედრო მოქმედებების წარმოება ავიაციის და არტილერიის არათანაბარი რაოდენობის პირობებში მოუწევთ, რაც, ბოლო გამოცდილებების გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად, უპილოტო საფრენი აპარატების დიდი რაოდენობით უნდა დაბალანსდეს. დიდი რაოდენობით დრონების შეძენა-დამზადების გარდა, მნიშვნელოვან და რთულ ამოცანას წარმოადგენს საჭირო რაოდენობით ოპერატორების და სხვა ტექნიკური პერსონალის, სარემონტო ბაზების წინასწარი მომზადება.

ხანგრძლივი პერიოდის, თუნდაც რამდენიმე თვის განმავლობაში საომარი მოქმედებების წარმოებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსების მომზადება, რაც ასევე დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან და დროსთან.

საქართველოს არ გააჩნია უკრაინის მსგავსი ტერიტორიული სივრცე და სტრატეგიული სიღრმე იმისათვის, რომ ომის დაწყების შემდეგ ჰქონდეს მანევრის და რესურსების მობილიზებამდე ტერიტორიების დროებით დათმობის საშუალება. მოწინააღმდეგის შეკავება და სამხედრო მოქმედებების წარმოება უნდა მოხერხდეს საწყის ზღუდეებზე. ამისათვის სახელმწიფო და მისი თავდაცვის ძალები წინასწარ უნდა იყვნენ მზად, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

აღნიშნული პრობლემების მოკლე ვადებში, გეგმაზომიერად გადაჭრის აუცილებელი პირობაა ეკონომიკის განვითარება და თავდაცვის დაფინანსების ზრდის ტენდენციის შენარჩუნება. ბოლო წლების მანძილზე თავდაცვის ხარჯებზე გამოიყოფა მთლიანი შიდა პროდუქტის 2%, ნარჩუნდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპები. 2024 წლის ბოლოს მთლიანი შიდა პროდუქტი 85 მილიარდ ლარს მიაღწევს. მშპ-ის ზრდის შესაბამისად, იზრდება სამხედრო ხარჯებზე გამოყოფილი ფინანსების მოცულობაც.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, საქართველო, თავდაცვაზე გამოყოფილი სახსრების მხრივ, ჩამორჩება მეზობელ სახელმწიფოებს. ჩამორჩენაა სამობილიზაციო რეზერვის მომზადების და მატერიალური მარაგების დაგროვების კუთხითაც.

სახელმწიფო მზად უნდა იყოს ხანგრძლივი სამხედრო მოქმედებებისთვის ომის საწყის ეტაპზე. ომისათვის მზადყოფნაში იგულისხმება თავდაცვის ძალების გეგმით გათვალისწინებული ვადით საომარი მოქმედებების წარმოებისთვის საჭირო რეზერვის სრული მზადყოფნა, საჭირო რაოდენობით შეიარაღების და ტექნიკის არსებობა და თავმოყრა განსაზღვრულ რაიონებში, საჭირო რაოდენობით საბრძოლო მასალების რეზერვების შექმნა და ეშელონირება და მათი დაცულობა, საომარი რაიონის მზადყოფნა საინჟინრო თვალსაზრისით, სამოქალაქო თავდაცვის მზადყოფნა და სხვა.

ძირითადი მიგნებები

1. ბოლო ომების ტენდენციების გათვალისწინებით, სახელმწიფო, მისი თავდაცვის ძალები მზად უნდა იყოს ხანგრძლივი ომისთვის, რისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება მოსახლეობის, ეკონომიკის, თავდაცვის სისტემის გამძლეობა, მედეგობა, თვითმობილიზების უნარი.
2. მნიშვნელოვანია თავდაცვის სისტემის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვა, შეიარაღების და ტექნიკის, საბრძოლო მასალების, მატერიალური და ადამიანური რესურსების დაგროვება, თავდაცვის ძალების ბრძოლისუნარიანობისთვის და მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო მარაგების შექმნა.

3. სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარება, მოსახლეობისთვის სტაციონარული და მობილური თავშესაფრების მომზადება.
4. სახელმწიფოს ლოგისტიკური უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროების და მარშრუტების მომზადება.

3. თავდაცვის შესაძლებლობათა ზრდის არსებული მოდელები - ტერიტორიული თავდაცვის ძალები[24]

3.1.შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო სექტორის ინტერესთა თანაბრობის პრინციპი

1953 წელს, ვერმახტის გენერალ-მაიორმა ალფრედ ვაიდემანმა, როდესაც გერმანიის ტერიტორიაზე 1944-1945 წლებში მიმდინარე ბრძოლებში მესამე რეიხის მარცხის მიზეზებს აანა-

24 წინამდებარე პარაგრაფი და აგრეთვე, ნაწილობრივ **§6**, წარმოადგენს სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ანგარიშის „**ტერიტორიული თავდაცვის სისტემის ისრაელური მოდელის საქართველოსთვის ადაპტირების შესახებ**“ გადამუშავებულ ვარიანტს. ანგარიში მომზადდა სამეცნიერო ჟურნალში „***სამხედრო თეორია***“ გამოსაქვეყნებლად, თუმცა მისი ვრცელი ვერსია 2019 წელს გამოქვეყნდა პირველი არხის ელექტრონულ ჟურნალში **„სპა“,** სათაურით „**მოსაზრება საქართველოში ტერიტორიული თავდაცვის ძალების ორგანიზაციის შესახებ“.** წერილში გამოთქმული ძირითადი მოსაზრება, რომ *,,თავდაცვისათვის საქართველოს, სულ ცოტა, სამკომპონენტიანი თავდაცვის სტრუქტურა უნდა გააჩნდეს,ხოლო ქვეყნის თავდაცვის ამოცანები ამ სამს შორის უნდა გადანაწილდეს“*- **აქ უცვლელადაა გადმოტანილი.**

ლიზებდა,[25] ყურადღება რამოდენიმე ფაქტორს მიაქცია, რომელთაგან ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებად ტერიტორიული თავდაცვისათვის სახელმწიფოს სრული უუნარობა მიიჩნია. ეს უუნარობა, ვაიდემანის აზრით, გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ 1939 წლისათვის (სხვა სიტყვებით, ომის დაწყებისთვის) გერმანიას არ გააჩნდა არანაირი გეგმა რეზერვების გამოყენებისა; ,,*ომი დაიწყო არსებულ ადამიანურ რესურსებზე ზუსტი მონაცემების გარეშე, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუშალა ეკონომიკის სამხედრო რელსებზე ეფექტური გადაყვანის შესაძლებლობას და ადამიანური რესურსების მიზანშეწონილ გამოყენებას*"- წერს ვაიდემანი. ამ მიზეზით, სხვათაშორის, ომის მსვლელობისას, ვერ მოხერხდა **შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო სექტორის ინტერესთა გათანაბრება**, რამაც საბოლოო ანგარიშით, ჯერ ეკონომიკური პოტენციალის რღვევა, ხოლო შემდეგ, სამობილიზაციო შესაძლებლობათა დრამატული ვარდნა გამოიწვია. 1944 წლისათვის გერმანია, საკუთარი ტერიტორიის დაცვის მიზნით, იძულებულია **სახელდახელოდ**

---

25 Генерал-майор в отставке **Альфред Вейдеман**. Каждый человек на своем посту, *კრებულში*: **Итоги Второй мировой войны. Выводы побеждённых**, СПб.: Полигон; М.: АСТ, 1998, გვ. 287-296 (ორიგინალი – ***Bilanz des Zweiten Weltkrieges. Erkentnise und Verpflichtungen fur die Zukunft***. — Hamburg, 1953)

შექმნას ე.წ. ,,ფოლკს შტურმის“ ფორმირებები, სხვა სიტყვებით, ვიწროტერიტორიული ფორმირებები, სადაც იგზავნებოდნენ ის მამაკაცები, რომელთა არმიაში გაწვევა სხვადასხვა მიზეზით (ასაკი, ვარგისიანობა) არ ხდებოდა, აგრეთვე, მოზარდები და გაწვევიდან „ჯავშანის“ მქონე სპეციალისტები.

სხვა სიტყვებით, ვაიდემანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რასაც დღეს ომისათვის სამოქალაქო მზაობას, ანუ კრიზისის ან ომის დროს ხანგრძლივი პერიოდით საზოგადოების ქმედითუნარიანობის (სიცოცხლისუნარიანობის) შენარჩუნებას დავარქმევდით და რაც სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გამართულად ფუნქციონირების არსებით პირობას წარმოადგენს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან **სამოქალაქო თავდაცვის გამართული ფუნქციონირება ომის დროს სახელმწიფო მართვის ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფს.**

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ როგორც ომისთვის მზადებისას, ასევე თავად ომის წარმოებისას, **შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო სექტორის ინტერესთა თანაბრობა,** ერთ-ერთი იმ მოთხოვნათაგანია, რამაც ომის ეფექტური მართვა შეუძლია უზრუნველყოს. ამ პრინციპის რეალიზაცია სახელმწიფოს მიერ ადამიანთა რესურსის სრული მოცულობით მიზნშეწონილ გამოყენებას გულისხმობს. ეს კი, მოცემული „სრული მოცულობის“ ზედმიწევნით ზუსტ აღწე-

რას ნიშნავს, რაც, წლიდან წლამდე, მრავალმხრივ სტატისტიკურ მონაცემთა კვლევაზეა დაფუძნებული. ამდენად, სახელმწიფოს შესაძლო ომისათვის მზადების პროცესში, **შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო სექტორის ინტერესთა თანაბრობის** მოთხოვნა შეგვიძლია ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპადაც მივიჩნიოთ, რასაც ნებისმიერი სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს.

3.2. ტერიტორიული თავდაცვის ადგილი ტოტალური თავდაცვის დოქტრინაში

ახლა, ლოგიკურად დაისმის კითხვა თუ სად ჩანს ტერიტორიული თავდაცვის ძალების ადგილი ტოტალური თავდაცვის სისტემაში, თუ კი ტერიტორიული თავდაცვის ძალებში 1944 წლის მოდელის ,,*ფოლკს შტურმის*" ფორმირებებს ვიგულისხმებთ? თუმცა, ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მოკლედ, თავად ამდაგვარი ფორმირებების გამოჩენის წინაპირობებს შევეხოთ და ვცადოთ გავერკვეთ, 21-ე საუკუნეში რატომ იძენენ ეს ფორმირებები მნიშვნელობას?

საქმე იმაშია, რომ ტერიტორიული თავდაცვის სისტემების არსებობა დღეს გაპირობებულია იმ პრობლემებით, რომელთა ჩამონათვალი საკმაოდ სერიოზულად გამოიყურება:

- საზღვრისპირა რეგიონების მონიტორინგის პრობლემა;

- სასაზღვრო შენაერთების მხარდაჭერა, რეგულარული არმიის ნაწილების ჩართვამდე;
- ქვეყანაში არსებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის გაძლიერება;
- მოსახლეობისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარება ბუნებრივი, ტექნოგენური, ან სხვა მიზეზით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემები ახალი არ გახლავთ და მათი გადაჭრის გზებიც, მეტ-ნაკლები ნაირგავრობის მიუხედავად, მაინც ექვემდებარება სტანდარტიზაციას. 21-ე საუკუნემ ჩამონათვალს **ტერორისტულ ორგანიზათა აქტივობათა გაუვნებელყოფის** მხარდაჭერაც დაუმატა. სხვადსხვა ქვეყანაში სხვადსხვა მექანიზმი ჩამოყალიბდა ამდაგვარი პრობლემების ნეიტრალიზაციისათვის. მაგალითად:

- **აშშ** - ეროვნული გვარდია;
- **საფრანგეთი** - სამხედრო ჟანდარმერია;
- **გერმანია** - ტერიტორიული ძალები;
- **დანია** - „სამშობლოს დაცვის“ ძალები;
- **ნიდერლანდები** - სამოქალაქო თავდაცვის ძალები და სამხედრო პოლიცია;
- **საბერძნეთი -** ჟანდარმერია და ეროვნული გვარდია;
- **თურქეთი** - ჟანდარმერია;

- **ეგვიპტე** - უშიშროებისა და სამოქალაქო თავდაცვის ძალები;
- **ვიეტნამი** - სამოქალაქო ლაშქარი;
- **ალჟირი** - ნაციონალური ჟანდარმერია და ა.შ.

1973 წლის თებერვალში, აშშ თავდაცვის მდივნის თანაშემწის (თავდაცვის მინისტრის მოადგილე) ოფისისთვის მომზადდა ვრცელი მოხსენება: ,,***ტერიტორიული თავდაცვა ნატოსა და არა-ნატოსეულ ევროპაში (Territorial Defense in NATO and Non-NATO Europe)***,"[26] სადაც გაანალიზებულია ტერიტორიული თავდაცვის ძალების სპეციფიკა გერმანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, შეიცარიასა და იუგოსლავიაში. ნაჩვენებია ასეთი ძალების სარგებლიანობა, განსკუთრებით, **საბიუჯეტო ხარჯების დაზოგვის თვალსაზრისით** და მათი ბმის **სხვადსხვა მოდელები** რეგულარულ ნაწილებთან მიმართებაში. ეს მოდელები, მართლაც რომ სხვადასხვანაირია.[27]

მაგალითისთვის, დიდი ბრიტანეთის სახმელეთო ძალების სტრუქტურა ითვალისწინებდა შემდეგ დაყოფას:

- რეგულარული არმია;

---

26 **Horst Mendershausen**. Territorial Defense in NATO and Non-NATO Europe. *A report prepared for OFFICE OF THE ASSISTANT SECRETARY OF DEFENSE/INTERNATIONAL SECURITY AFFAIRS. February 1973.*

27 ბუნებრივია, განხილული მოდელები გასული საუკუნის 70-იანი წლების რეალობას ასახვს, თუმცა არც დიდად შეცვლილა.

- ტერიტორიული არმია და რეზერვები.

სადაც ტერიტორიული არმია განიხილება როგორც ***სახმელეთო ძალების პირველი რიგის რეზერვი*** და გამოიყენება:

- სახმელეთო ძალების გასაძლიერებლად;
- მეტროპოლიის დასაცავად;
- მეტროპოლიის ტერიტორიაზე ბირთვული დარტყმის შედეგების ლიკვიდაციისათვის და შიდა განწესებისათვის.

სამობილიზაციო გაშლის შემთხვევაში ტერიტორიული არმია გადადის რეგულარული არმიის შემადგენლობაში.

ტერიტორიული ძალების დაკომპლექტების სქემებიც სხვადასხვაა. მაგალითად, **ნორვეგიაში *ადგილობრივი თავდაცვის ძალები*** კომპლექტდება სამხედროვალდებული მოსახლეობის ნაწილისაგან 35-დან 44 წლამდე, რომელთაც გაიარეს სავალდებულო სამხედრო სამსახური და ასევე იმსახურეს სავალე ნაწილების რეზერვში. ასეთი დანიშნულების ძალების მობილიზაციისას შესაძლებელი იყო 40-დე ბატალიონის ფორმირება.[28]

სხვადასხვაა ასევე მიდგომა წვრთნისა და მომზადების პროცესისადმი: მაგალითად, **კანადაში**, სადაც რეგულარული არმია კომპლექტდება მხოლოდ კონტრაქტით და მთლიანადაა

28 იქვე, გვ. 64-70

გამორიცხული სავალდებულო გაწვევა, ტერიტორიული პრინციპით იქმნება ე.წ. ,,militia,”-საჯარისო ფორმირებები, რომელთა ოფიცრები და ჯარისკაცები გამოსასვლელ დღეებში გადიან წვრთნას, ხოლო წელიწადში რამოდენიმეჯერ ხდება მათი გაწვევა ერთ, ან ორკვირიან შეკრებაზე. ბუნებრივია, ეს ნაწილებიც ნებაყოფილობითი პრინციპითაა დაკომპლექტებული და „დიდი ომის“ შემთხვევაში ისინი სრულფასოვანი ფორმირებების გაშლის ძირითად საფუძველს წარმოადგენენ.[29]

საინტერესო და თავისებურია **ლიეტუვას** მოდელი, რომელიც ეყრდნობა 1918 წელს დაფუძნებული **ლიეტუვას მსროლელთა კავშირის** ტრადიციას. 2014 წელს დაიწყო მისი რეალური აღორძინება და უკვე (შესაძლოა, უკრაინის მოვლენების გავლენით) 2015 წელს, მხოლოდ ვილნიუსის ოლქში, მსროლელთა რაოდენობა გაიზარდა 10-ჯერ და მეტად. მოხდა მათი დაქვემდებარება თვდაცვის მინისტრზე, რომელიც ნიშნავს **მსროლელთა სარდალს** და ამავდროულად, თვითონაცაა მსროლელი. მსროლელები აქტიურად მეცადინეობენ, მათ შორის, სამხედრო პოლიგონების გამოყენებით და ძირითადად, ჩართულები არიან ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაში. ორგანიზაციაში გაერთიანებულია სხვადასხვა ასაკის ადამიანი, რო-

29 იქვე, გვ.43

მელთა მიზანია **ლიეტუვის, მისი სუვერენიტეტისა და ევრო-პულ ღირებულებათა** დაცვა [30].

ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს **ისრაელის** ტერიტორიული თავდაცვის სისტემის ორგანიზა-ცია.[31]

ამ ორგანიზაციის წინაპირობას წარმოადგენს ისრაელის ტერიტორიის სიმცირე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ფრონტის სიღრმისა და სტრატეგიული ზურგის არარსებობას. აქედან გამომდინარე, ტერიტორიულ-ზონალური პრინციპით ფორმირებული ტერიტორიული თავდაცვის ნაწილები გამიზ-ნულია ***ფრონტის გარღვევის ლიკვიდაციისათვის, დივერსიუ-ლი ან დესანტირებული ჯგუფების ნეიტრალიზაციისათვის, ანდა (ოკუპაციის შემთხვევაში) პარტიზანული მოქმედებების გაშლისათვის.*** ტერიტორიული თავდაცვა ხორციელდება ***გა-სამხედროებული დასახლებების ფორმით.***

ვფიქრობთ, ცალკე აღნიშვნის ღირსია, ასევე **გერმანული ტერიტორიული ძალების** ფუნქციონირება.[32]

---

30 https://uain.press/articles/yak-vlashtovana-systema-terytorialnoyi-oborony-lytvy-ros-26361

31 იხ. [6]: Г. С. КОТАНДЖЯН, О ПРОБЛЕМЕ ОРГАНИЗАЦИИ ТЕРРИТОРИАЛЬНОЙ ОБОРОНЫ ГОСУДАРСТВА НА ПРИМЕРЕ ИЗРАИЛЯ

32 იხ. Horst Mendershausen. Territorial Defense in NATO and Non-NATO Europe. A report prepared for OFFICE OF THE ASSISTANT SECRETARY OF DEFENSE/INTERNATIONAL SECURITY AFFAIRS. February 1973. გვ. 45-63

საქმე იმაშია, რომ ნატოს ოპერატიულ და სტრატეგიულ სისტემაში გერმანიის ჩართვამ ბუნებრივად გამოიწვია არსებული სამხედრო შესაძლებლობების სამ, ფუნქციურად განსხვავებულ, ნაწილად გაყოფა:

- **რეგულარული შენაერთები**, რომლებიც უშუალოდ ალიანსის სარდლობის დაქვემდებარებაშია;
- **ტერიტორიული** და **სამოქალაქო თავდაცვის** შენაერთები.

უკანასკნელი ორი **ეროვნული სარდლობის** დაქვემდებარებაში რჩება. ამგვარად, გერმანიას სამკომპონენტიანი თავდაცვის სტრუქტურა გააჩნია და ქვეყნის თავდაცვის ამოცანები ამ სამს შორისაა განაწილებული:

- **რეგულარული ძალები** - ალიანსის ძალების შემადგენლობაში აგრესიის მოგერიება. ამისათვის ისინი მუდმივ მზადყოფნაში არიან.
- **ტერიტორიული თავდაცვის ძალების** ამოცანები შემოიფარგლება გერმანიის ტერიტორიაზე:

- საჰაერო თავდაცვის ორგანიზაციით;
- ანტისადესანტო ღონისძიებებით;
- სახმელეთო საზღვარზე შემოჭრის მცდელობათა აღკვეთით;
- ფრონტზე მოქმედი ძალების შევსებითა და მოქმედი არმიისათვის უზრუნველყოფის ორგანიზაციით.

- **სამოქალაქო თავდაცვის ძალებისათვის** განსაზღვრულია:

- უშუალოდ მოსახლეობის დაცვა;
- სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- მომარაგების უზრუნველყოფა და მოქმედი არმიისა და ფრონტის საჭიროებისათვის პროდუქციის გამოშვების უზ-რუნველყოფა.

ამის მიხედვით, სხვადასხვაა ამ სამი კომპონენტის საბ-რძოლო მზადყოფნაც:

- ➢ რეგულარული ძალები **სრულადაა** დაკომპლექტებული და მზადაა მოქმედებისათვის;
- ➢ ტერიტორიული თავდაცვის ძალები მხოლოდ **კადრირებუ-ლი** ნაწილებისაგან შედგება და მათი გაშლა მხოლოდ ომის დაწყებისას იწყება;
- ➢ საომარ მოქმედებათა დაწყებისას, სამოქალაქო თავდაცვის ძალები, გარდა წინასწარ განსაზღვრული თავდაცვითი ღო-ნისძიებებისა, ადგილობრივ ადმინისტრაციებზე დაყრდნო-ბით მონაწილეობას იღებენ **ახალ ფორმირებათა** შექმნაშიც.

3.3. რა არის ტერიტორიული თავდაცვის ფორმირებების ძირითადი ხიბლი?

რა თქმა უნდა, **ბიუჯეტი:** *ტერიტორიული თავდაცვი ძა-ლები გაცილებით „იაფია“ რეგულრულ შენაერთებთან მიმარ-თებაში.*

I ქვეთავში ვაჩვენეთ, რომ საქართველოში რეალურად არსებობს სივრცე ტერიტორიული თავდაცვის ფორმირებების გამოყენებისათვის. ასე რომ, პრობლემა იმდაგვარად კი არ დგას, გვჭირდება თუ არა ისინი, არამედ სხვაგვარად: **როგორ და რითი დავიწყოთ ამ ძალების ფორმირების პროცესი საქართველოში?**

ნაწილობრივ, ამ კითხვაზე პასუხი მე-6 ქვეთავშია გაცემული.

4. ნაწილობრივი და ტოტალური მობილიზაცია

მობილიზაცია არის ომის მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების კომპლექსი, რომელთა მიზანია არსებული რეზერვების, ძალების და საშუალებების აქტიურ მდგომარეობაში მოყვანა, თავმოყრა. ეს პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს ქვეყნის შეიარაღებული ძალების, ეკონომიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ან მათი რაიმე ნაწილის სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანაში.

მობილიზაცია ითვალისწინებს:

- ომის დროს სამხედროვალდებული პირების ჯარში გაწვევას;
- სამხედრო ძალების მშვიდობიანი მდგომარეობიდან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკისა და

სახელმწიფო ორგანოების სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანას.

მობილიზაციისათვის მზადყოფნა არის მშვიდობიანობის პერიოდში მიმდინარე ღონისძიებათა კომლექსი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწსებულებების და ორგანიზაციების მიერ სამობილიზაციო რესურსების და რეზერვების შექმნას, ქვეყნის ტერიტორიის მომზადებას საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს შეიარაღებული ძალების მზადყოფნისათვის და სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადადუდებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

მობილიზაციის ძირითად შინაარს შეადგენს შეიარაღებული ძალების და ეკონომიკის მობილიზაცია. შეიარაღებული ძალების მობილიზაციის არსია ჯარების და ფლოტის ძალების გეგმაზომიერი გადაყვანა ომიანობის დროის ორგანიზაციასა და შემადგენლობაზე, ამასთან იზრდება შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა რეზერვში მყოფი მოქალაქეების მობილიზაციით გაწვევის ხარჯზე, ხორციელდება ჯარების მობილიზაცია, ახალი სამხედრო ფორმირებების გაშლა და საბრძოლო შერწყმა.

ეკონომიკის მობილიზაცია შეადგენს ქვეყნის საერთო მობილიზაციის ძირითად ნაწილს იმ მიზნით, რომ გაიშალოს იარაღის, სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალების, ეკიპირების, აღჭურვილობისა და სხვა მატერიალური საშუალებების მასობრივი წარმოება.

ეკონომიკის მობილიზაცია მოიცავს:

- სამრეწველო წარმოების გაშლას;
- კავშირგამბულობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ორგანოებისა და საშუალებების გარდაქმნას;
- ადამიანური რესურსების განაწილებას.

მობილიზაციის გამოცხადება არის სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტის) და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კომპეტენცია.

მობილიზაცია შეიძლება იყოს როგორც ნაწილობრივი, ისე ტოტალური და შეიძლება განხორციელდეს ღია ან ფარული ხერხით.

ნაწილობრივი მობილიზაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება საგანგებო მდგომარეობის დროს და ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის განსაზღვრულ ოპერატიულ მიმართულებებზე ან /და შესაბამის რეგიონში სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების ნაწილობრივ გამოყენებას.

პირველ რიგში, ნაწილობრივი მობილიზაციის დროს გაიწვევიან მოთხოვნადი სამხედრო სპეციალისტები და ოფიცრები:

- სამხედრო მოსამსახურეები საბრძოლო გამოცდილებით, რომელთაც მიღებული აქვთ გამოცდილება საბრძოლო მოქმედებებში;
- ნამსახურები ჯარში;
- უმცროსი ოფიცრები 50 წლის ასაკამდე.

ასევე ნაწილობრივი მობილიზაციის დროს გაიწვევიან სპეციალისტები:

- საერთო საჯარისო;
- სატანკო;
- საარტილერიო;
- მძღოლები;
- საბრძოლო მანქანების მძღოლ-მექანიკოსები;
- კავშირგამბულობის.

ნაწილოვბრივი მობილიზაცია აგრეთვე ხორციელდება რეალური სამობილიზაციო მზადყოფნის შესამოწმებლად და სტიქიური უბედურების დროს.

ტოტალური მობილიზაცია არის საგანგებო ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ, შეიარაღებული ძალების სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა

და სახელმწიფო ორგანოების საომარ მდგომარეობაში მოქმედებების მუშაობის განსახორციელებლად.

ტოტალური მობილიზაციის შემადგენელი ნაწილებია:

- სამხედრო მხარე: პირადი შემადგენლობის სამხედრო სამსახურში გაწვევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების დასაკომლექტებლად, მათი საბრძოლო შერწყმა და ქვედანაყოფებისა და შენაერთების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა, პირველი რიგის სტრატეგიული რეზერვების გაშლა და საბრძოლო შერწყმა.
- ეკონომიკური მხარე: მრეწველობის ტოტალური გადაყვანა სამხედრო რელსებზე, სამხედრო საშუალებების და პროდუქციის გამოშვება შეიარაღებული ძალების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადაყვანა, სამხედრო ტექნიკისა და საშუალებების დაჩქარებული წესით გამოშვება.
- სოციალური და ფსიქოლოგიური მხარე: სახელმწიფოში მცხოვრები ყველა რასის და რელიგიის წარმომადგენლების მიერ მონაწილეობის მიღება ქვეყნის დაცვის სასიცოცხლო საქმეში.

ტოტალური მობილიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურების, თვითმართველობის, თავდაცვის ძალების, ასევე მთელი ხალხის სულიერ, ფიზიკურ, ეკონომიკურ და სხვა

პოტენციალის მუდმივ მზადყოფნას მტრის თავდასხმის მოგერიებისათვის და ერის გადასარჩენად.

5. რეზერვი და სარეზერვო ძალების ფორმირების პრინციპები. ტერიტორიული თავდაცვის მიზნები და ამოცანები

5.1. რეზერვი და სარეზერვო ძალების ფორმირების პრინციპები

დღევანდელ მოცემულობაში არავისთვის არის საიდუმლო ის ფაქტი, რომ ე.წ. ,,პირველხარისხოვანი" ქვეყნები თავისი გეოპოლიტიკური (ან პოლიტიკური) მიზნების მისაღწევად იყენებენ ძალოვან მეთოდებს. ისინი ამ მეთოდებით აშკარად ერევიან სხვა ქვეყნების შიდა პოლიტიკაში.

სულ უფრო ხშირად ქვეყნებს შორის თანამედროვე ურთიერთობების, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაწყვეტა ხდება ლოკალური ომების, რევოლუციების, აჯანყებების მეშვეობით.

ომს დღეს არავინ არავის უცხადებს. ომი უბრალოდ ქმედების მორიგი ეტაპია უკვე გაჩაღებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ექსპაანსიისა(თავდასხმის ობიექტი მოსახლეობის ცნობიერებაზე). ხდება მოსახლეობაში კოდის ჩადება, რომ აგრესორი არის განმანთავისუფლებელი და ქვეყნის ხელისუფ-

ლება უუნაროა დაიცვას თავისი მოსახლეობა და მხოლოდ გარე ჩარევა მიიყვანს ქვეყანას კეთილდღეობამდე. ასეთ პირობებში გადასვლა მშვიდობის პერიოდიდან ომის პერიოდში შეუმჩნეველია.

კატასტროფის აღქმა ხდება მაშინ, როდესაც სახლები იწვის, იღუპება ხალხი (როგორც მშვიდობიანი, ასევე სამხედრო), ჩერდება ტრანსპორტი, არ არის სინათლე, წყალი, სითბო. როდესაც აგრესორი გეგმიურად ანადგურებს არსებობის წყაროებს, სიკეთეს და კეთილდღეობას.

თუ ქვეყანა საკმაოდ ძლიერია, მაშინ საიდანღაც ჩნდება ,,მეხუთე კოლონა“ და ეს ყველაფერი შემდგომ გადადის „ფერად რევოლუციებში “ (რისი მაგალითებიც ჩვენ გვაქვს). ამას აგრესორი აწარმოებს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელსაც არ გააჩნია თავდაცვის იარაღი, არ არის გაერთიანებული გასამხედროებულ ფორმირებებში და ეს ყველაფერი მოსახლეობას არ აძლევს გადარჩენის გარანტიას.

ბოლო წლებმა დაგვანახა ომი, რომელსაც არ აქვს არავითარი კანონი; როდესაც სამიზნე ხდება არა შეიარაღებული ძალები, პირადი შემადგენლობა, ტექნიკა და შეიარაღება, არამედ ქვეყნის ინფრასტრუქტურა და მშვიდობიანი მოსახლეობა.

აქედან გამომდინარე, XXI საუკუნემ მოითხოვა ქვეყანაში თავდაცვის ახალი ღონისძიებების განხორციელება-ტოტალური თავდაცვის სისტემის შექმნა.

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2-ე ქვეპუნქტში წერია, რომ ,,საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალია".

ქვეყნის ტოტალური თავდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყანაში ძლიერი სარეზერვო სისტემის შექმნა.

ძლიერი სარეზერვო სისტემა ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმით, თავდაცვის ძალების სამობილიზაციო გეგმით, თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარზერვო სამსახურის კანონის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აგრეთვე თავდაცვის მინისტრის და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელის ბრძანებების საფუძველზე.

განვიხილოთ რა მიდგომები უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს რეზერვის ორგანიზებასთან დაკავშირებით:

1. თავდაცვის ძალების რეზერვის მუდმივი განვითარება;
2. რეზერვის მართვის ეფექტიანი და მოქნილი სისიტემა;
3. სამობილიზაციო რესურსის ოპტიმალური გამოყენება;
4. ტოტალურ თავდაცვაში მოქალაქეების ფართო ჩართულობა.

თავდაცვის ძალების რეზერვი იქმნება თავდაცვის ძალების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად.

სამხედრო საზოგადოებაში არსებობს : რეზერვისტი და თადარიგში მყოფი სამხედრო მოსამსახურე. გავარჩიოთ რა განსხვავებაა მათ შორის.

რეზერვისტი არის პირი, რომელიც იმყოფება თადარიგში, მაგრამ მას აქვს გაფორმებული კონტრაქტი თავდაცვის ძალებთან, რომ ის იმყოფება თავდაცვის ძალების სამობილიზაციო რეზერვის შემადგენლობაში.

მას შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ სამსახურში და თავდაცვის ძალების გეგმის მიხედვით მუდმივად გაიაროს შეკრებები (აქტიური რეზერვი).

თადარიგის სამხედრო მოსამსახურე არის პირი, რომელიც დათხოვნილია თავდაცვის ძალებიდან და ჩარიცხულია თადარიგში (სამობილიზაციო რეზერვი).

განვიხილოთ რა ამოცანები დგას რეზერვის წინაშე:

- თავდაცვის ძალების ომის შტატზე გადასვლისას ცოცხალი ძალის მიმდინარე დეფიციტის შევსება;
- ომის დანაკარგების შევსება;
- ტერიტორიული რეზერვის (სახალხო ლაშქრის) არსებობა;
- სტიქიური უბედურებისას ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა.

რა ამოცანებია მობილიზაციის წინაშე:

- ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით თადარიგის ვალდებულთა გაწვევა;
- ომის საწყის პერიოდში თავდაცვის ძალების გადაყვანა საომარი დროის სტრუქტურასა და შემადგენლობაზე;
- ყველა დარგის გადასვლა საომარ მდგომარეობაზე.

რა დანიშნულება აქვს რეზერვს და მობილიზაციას:

- თავდაცვის ძალების ზრდა, შევსება და გაძლიერება;
- დანაკარგების შევსება;
- რეზერვის ქვედანაყოფების (გვარდია), ტერიტორიული თავდაცვის რეზერვის და მოხალისეთა გაერთიანება.

თავდაცვის ძალების რეზერვის სტრუქტურა:

1) თავდაცვის ძალების რეზერვი მოიცავს:

- აქტიურ რეზერვს;
- სამობილიზაციო რეზერვს.

2) აქტიური რეზერვი შედგება:

- ტერიტორიული რეზერვისაგან;
- სპეციალისტთა რეზერვისაგან.

3) სამობილიზაციო რეზერვი შედგება:

- მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვისაგან;
- ზოგადი სამობილიზაციო რეზერვისაგან.

აქტიური რეზერვი ნებაყოფლობითია. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთან ფორმდება ხელშეკრულება. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ პირი ირიცხება აქტიურ რეზერვში და ითვლება სამხედრო სამსახურში გაწვეულად. აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირებს აღრიცხავს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

აქტიური რეზერვის ძირითადი ამოცანებია :

- ომის შტატზე გადასვლა;
- ბრძოლა და სამხედრო მხარდაჭერა;
- სამოქალაქო სპეციალისტთა სამხედრო სამსახურზე გადაყვანა.

1.აქტიური რეზერვი უზრუნველყოფს რეზერვისტის სწრაფ ჩართვას თავდაცვის ძალების შემადგენლობაში და აძლიერებს თავდაცვის ძალებს.

2. სამობილიზაციო რეზერვის ძირითადი დანიშნულებაა თავდაცვის ძალების გაძლიერება და მხარდაჭერა.

სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვას ექვემდებარება პირი, რომელიც:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დათხოვნილია რეზერვში და აქტიურ რეზერვში არ ირიცხება.

- პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით სამხედრო სამსახური არ გაუვლია (თუ კანონმდებლობა უწყობს ხელს).

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ აქტიური რეზერვი შედგება:

- ტერიტორიული რეზერვისაგან;
- სპეციალისტთა რეზერვისაგან.

ტერიტორიული რეზერვი იქმნება მცირე სამობილიზაციო დროში თავდაცვის ძალების დამატებითი საბრძოლო მხარდაჭერის და საბრძოლო უზრუნველყოფის, რაოდენობრივი ზრდისა და ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების მიზნით.

ტერიტორიული ძალები უნდა შევიდეს ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში და ორგანიზაციულად გაერთიანდეს ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებში.

ტერიტორიული რეზერვი უნდა დაკომპლექტდეს შესაბამის ტერიტორიულ მუნიციპალიტეტებში.

სპეციალისტთა რეზერვი იქმნება თავდაცვის ძალების სპეციფიკური მოთხოვნებისა და ამოცანების შესასრულებლად, შესაბამისი სამოქალაქო სპეციალობის მქონე პირთაგან.

სამობილიზაციო რეზევის დანიშნულებაა თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების რეზერვისტებით დაკომპლექტება

(შევსება), მათი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება, სტრუქტურების გაძლიერება, მხარდაჭერა და დანაკარგების შევსება.

სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვა ფორმდება მუნიციპალიტეტებში.

მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვი იქმნება თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების რეზერვისტებით დაკომპლექტების (შევსების), მათი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების, ასევე სტრუქტურის გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით.

ზოგადი სამობილიზაციო რეზერვის მიზანია თავდაცვის ძალების გაძლიერება და დანაკარგების შევსება.

ზოგადი სამობილიზაციო რეზერვის კატეგორიებია:

- მომზადებული სამობილიზაციო რეზერვი:
- მოუმზადებელი სამობილიზაციო რეზერვი.

მომზადებულ სამობილიზაციო რეზერვისტად ითვლება პირი, რომელსაც გავლილი აქვს სამხედრო სამსახური და რამოდენიმეჯერ გავლილი აქვს გადამზადების კურსები.

მოუმზადებელ რეზერვისტად ითვლება პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს მომზადებული რეზერვის მოთხოვნებს და სამსახური გავლილი აქვს სხვა უწყებაში, არ არის ჩარიცხული სხვადასხვა კატეგორიის რეზერვში.

რეზერვის მართვა გულისხმობს:

სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს, რომლებიც გაზრდის ქვედანაყოფების გაძლიერებისა და დანაკარგების უწყვეტად შევსების შესაძლებლობებს.

სამობილიზაციო სისტემის მართვა რთული პროცესია და მას უნდა მართავდეს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო აღრიცხვას აწარმოებდნენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

გამართული რეზერვის სისტემის შექმნა უზრუნველყოფს:

- საჭირო დროს, საჭირო ადგილას რეზერვისტის უმოკლეს ვადებში გამოცხადებას;
- ბიუროკრატიის შემცირებას;
- ომის შტატზე გადაყვანის ვადების შემცირებას;
- მობილიზაციის მართვის გაადვილებას.

რეზერვის (მობილიზაციის) ორგანიზების მიდგომები უნდა იყოს:

- სამობილიზაციო რესურსის მუდმივი შესწავლა და განვითარება;
- მართვის მუდმივი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის შექმნა;
- რესურსის ოპტიმალური გამოყენება;
- ტოტალურ თავდაცვაში მოქალაქეების ფართო ჩართულობა.

ქვეყნის სამობილიზაციო სისტემის შექმნისთვის საჭიროა:

- თავდაცვის ძალებში და მერიებში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მჭიდრო და ეფექტიანი ურთიერთქმედება;
- ქვეყნის ერთიანი სისტემის შექმნა;
- თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების და სარეზერვო ძალების მუდმივი საბრძოლო შერწყმა;
- სარეზერვო ძალების მომზადება მშვიდობიანობის დროს საგანგებო სიტუაციებში მოქმედებებისათვის.

5.2 ტერიტორიული თავდაცვის მიზნები და ამოცანები

ჩვენ განვიხილეთ რეზერვთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. არ შეიძლება ვისაუბროთ რეზერვზე, მობილიზაციაზე და არ შევეხოთ ტერიტორიული თავდაცვის საკითხებს.

ტოტალური თავდაცვის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ტერიტორიული თავდაცვა. სწორედ ტერიტორიული თავდაცვის სისტემური მომზადება და მისი მზადყოფნა ემსახურება სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის ამაღლებას და თავდაცვის ძალების მნიშვნელოვნად გაზრდას, რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება. ტერიტორიული ძალები არ ცვლიან თავდაცვის ძალებს. ისინი გადადიან მის დაქვემდებარებაში და მოქმედებენ თავდაცვის

ძალებთან ურთიერთქმედებაში, ერთი საერთო გეგმის მიხედვით.

ტერიტორიული თავდაცვის ძალები ეხმარებიან (ათავისუფლებენ) თავდაცვის ძალებს ჯარისთვის არადამახასიათებელი ამოცანების შესრულებისაგან. ეს ამოცანები აუცილებლად წამოიჭრება ნებისმიერი სახის საბრძოლო მოქმედებების წარმოების დროს.

ტერიტორიული თავდაცვის ძალების მოქმედების გეგმა ძირითადია იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც ქვეყნის თავდაცვის ძირითად გეგმაში უნდა იყოს ასახული (თუნდაც მოსახლეობის ევაკუაცია საბრძოლო მოქმედებების რაიონებიდან).

ტერიტორიული თავდაცვის მიზნებია:

1. ქვეყნის თავდაცვაში მოსახლეობის ფართო ჩართულობა;
2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება;
3. სახელმწიფოს მართვის ორგანოების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ტერიტორიული თავდაცვის ამოცანებია:

- სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვა;
- თავდაცვის ძალებთან ურთიერთქმედებაში საბრძოლო ამოცანების შესრულება;

- სადესანტო-დივერსიულ ჯგუფებთან ბრძოლა;
- აგრესორის მიერ დროებით დაკავებულ რაიონებში საბრძოლო მოქმედებების წარმოება;
- სახელმწიფოს საზღვრების დაცვის გაძლიერება;
- აგრესორის მიერ გამოყენებული იარაღის შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობის მიღება;
- საომარი მდგომარეობის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა.

ტერიტორიული თავდაცვის ძალებთან ერთად ამ ამოცანების შესრულებაში მონაწილეობას იღებენ შ.ს.ს. ძალები, მოხალისეები.

ტერიტორიული თავდაცვის ძალების ჩამოყალიბება, წვრთნა და თავდაცვის ძალებთან შერწყმა-ურთიერთქმედება უნდა მოხდეს მშვიდობიანობის დროს, განსაკუთრებით ომის საწყის პერიოდში. რეზერვის მომზადება ხდება სამხედრო შეკრებისას, სპეციალური გეგმების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს რეზერვისტის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებას და თავდაცვის ძალებთან თავსებადობას. რეზერვის მომზადებაზე პასუხს აგებს თავდაცვის სამინისტრო.

6. ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის მოთხოვნები და დათქმები-დაშვებები ქართული ტერიტორიული თავდაცვის მოდელის ასაგებად

ჩვენი ვარაუდით, ქართული ტერიტორიული თავდაცვის ერთგვარ ამოსავალ მოდელად გერმანული მიდგომა უნდა ავიღოთ. რატომ ვფიქრობთ ასე და რატომ ვჩერდებით გერმანულ მიდგომაზე?

საქმე იმაშია, რომ მიუხედავად სერიოზული განსხვავებისა ჩვენსა და გერმანიის შეიარაღებული ძალებს შორის, ვითარება, რაშიც ვიმყოფებით, გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს.

ჩვენი შეიარაღებული ძალები, რეგულარული ნაწილები პრაქტიკულად ჩართული არიან საერთაშორისო მისიებში, რომლებიც, ძირითადად, ნატოს ეგიდით მიმდინარეობს.[33]

მეტიც, ჩვენ ნატოს ეგიდით მოქმედი ევროპული სწრაფი რეაგირების შენაერთის ნაწილი გავხდით. ეს ბუნებრივად ზღუდავს ჩვენს შესაძლებლობას აღნიშნული ნაწილების, ასე ვთქვათ, „ჩვენს ნებაზე“ გამოყენებისათვის. აღნიშნული პოლიტიკურადაც წამგებიანია.

ეს ვითარება ხდება საფუძველი თავდაცვის სიტემის იმდაგვარად რეორგანიზაციისა, რომელიც **რეგულარული**, მისი-

33 როდესაც აღნიშნული მასალა მზადდზებოდა, საქართველოს თავდაცვის ძალები წარმოდგენილი იყო ავღანათში და ცენტალურ აფრიკაში.

ებისათვის განკუთვნილი სამხედრო ძალების გარდა, აუცილებელს ხდის თავდაცვის სისტემაში იმ ფუნქციური დატვირთვის მქონე კომპონენტების შემოტანას, რომლებიც მოემსახურებიან როგორც ტერიტორიულ თავდაცვასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრას, ასევე მოქალაქეთა დაცვაზე იქნებიან ორიენტირებული. ვინაიდან ეს ამოცანები სხვადასხვაა, ბუნებრივად იკვეთება **ორი** ასეთი კომპონენტი: **ტერიტორიული თავდაცვის ძალები** და **სამოქალაქო თავდაცვის ძალები**. შევნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელი კომპონენტის გარეშე, ზოგადად, შეუძლებელი ხდება **ტოტალური თავდაცვის დოქტრინის** რეალიზაცია, ვინაიდან ეკონომიკის ქმედითუნარიანობის შენარჩუნება და კრიზისის ან ომის დროს, ხანგრძლივი პერიოდით საზოგადოების ქმედითუნარიანობის (სიცოცხლისუნარიანობის) შენარჩუნება მთლიანად სამოქალაქო თავდაცვის სექტორის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული.

შედეგად, ბუნებრივად მივდივართ იმავე მიდგომამდე, რაც გერმანელებს გააჩნიათ: **თავდაცვის სამკომპონენტიანი სისტემის ფორმირება.**

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ასეთი სისტემის ფორმირების შემდგომაა შესაძლებელი ფიქრი სამობილიზაციო სისტემისა და რეზერვის ეფექტური სისტემის ფორმირებაზე, ვინაიდან **ტოტალური თავდაცვის დოქტრინის რეალიზაცია ეფექტური**

ტერიტორიული თავდაცვის ძალებისა და ეფექტური სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ფორმირებას ეყდნობა. თავის მხრივ, ეფექტურმა რეზერვისა და მობილიზაციის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მათი გამართული მუშაობა.

თუ წინა **ქვეთავებში**[34] ნახსენებ **შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო სექტორის ინტერესთა თანაბრობის** მოთხოვნას, როგორც ქვეყნის თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის ფუძემდებლურ პრინციპს დავუბრუნდებით, აღმოვაჩენთ, რომ მისი სწორად გამოყენების მიზნით (ანუ სტრატეგიის აგების ძირითად დაშვებად მიჩნევისას), გვჭირდება, სულ ცოტა, საკუთარი ქვეყნისა და გარემოს შესახებ შემდეგი პარამეტრების ცოდნა:[35]

- ეკონომიკურ შესაძლებლობათა ზრდის დინამიკა;
- დემოგრაფიული მოცემულობის დინამიკა;
- სახელმწიფო ბიუჯეტების ზრდის დინამიკა;
- წინააღმდეგობისათვის (ან კრიზისებისას) მოსახლეობის ფსიქოლოგიური მზაობა;
- სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების მდგრადობა;
- სამოქალაქო ინტეგრაციის დონე;

---

34 იხ. **ქვეთავი 3**

35 John M. Collins. MILITARY STRATEGY: Principles, Practices, and Historical Perspectives. Washington, C. Potomac Books, Inc. 2002 (2008

- იდეალური ვითარების აღწერა: ***რა გვინდა?***
- იდეალურ და რეალურ ვითარებებს შორის სხვაობის ობიექტური აღწერა: **რა გვაქვს?**
- სხვაობის შემცირებაზე მიმართული პროგრამების შემუშავება და მათი ,,სიმძიმე": ***როგორ?***
- სამობილიზაციო შესაძლებლობათა შედარებითი შეფასება.

ამ ყველაფრის ცოდნა კარგი საფუძველია იმისათვის, რომ შევძლოთ **ადამინური რესურსების მიზანშეწონილი გამოყენების** დაგეგმვა, რაც **მეორე ძირითად პრინციპად** შეგვიძლია მივიჩნიოთ.

7. საინფორმაციო უზრუნველყოფა

7.1. საინფორმაციო უზრუნველყოფის აქტუალობა

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი ზეგავლენა იქონია საომარი მოქმედებების წარმოებაზე. სამხედრო მოქმედებების ჰიბრიდული მეთოდების განვითარების პირობებში, სახელმწიფოს, მისი მართვის ორგანოების, საინფორმაციო სისტემების და თავდაცვის ძალების საინფორმაციო უზრუნველყოფა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს.

დღეს ბევრი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იქმნება საინფორმაციო ოპერაციების ჯარები. შეიძლე-

ბა ითქვას, რომ საინფორმაციო უზრუნველყოფა საბრძოლო მოქმედებების სპეციალური უზრუნველყოფის სახეობად ყალიბდება.

როგორც 90-იანი წლების, ასევე 2008 წლის ომის დროს, საომარი მოქმედებების საინფორმაციო უზრუნველყოფას ყურადღება არ ექცეოდა. ერთის მხრივ, არ ხდებოდა საინფორმაციო სივრცეში არსებული საფრთხეების დროული დაფიქსირება, მეორეს მხრივ, თავად ვქმნიდით ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებინა. არ იყო დარეგულირებული მედიაცენზურა. მაგალითად, საინფორმაციო საშუალებები ფაქტობრივად დროის რეალურ მასშტაბში ავრცელებდნენ რუსეთის ავიაციის მოქმედებების შედეგებს, საკუთარი ჯარების, რეზერვის შეკრების ადგილებს და გადაადგილებას, დაკავებულ პოზიციებს. კრიტიკული ინფორმაციების გავრცელებაში ჩართული იყვნენ უმაღლესი თანამდებობის პირებიც. საქართველოს სამთავრობო საიტებზე რუსეთის მხრიდან განხორციელდა კიბერშეტევები, რისთვისაც ქვეყანა ასევე არ აღმოჩნდა მზად.

ამ პრობლემების მოწესრიგება მშვიდობიან პერიოდშია საჭირო. საინფორმაციო უზრუნველყოფა უნდა ჩამოყალიბდეს როგორც საბრძოლო მოქმედებების სპეციალური უზრუნველყოფის სახეობა. კიბერუსაფრთხოების მხრივ ბევრი რამ

გაკეთდა. თუმცა საინფორმაციო და კიბერღონისძიებები ერთ კომპლექსშია მოსაყვანი.

7.2. საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნები, ამოცანები და მიმართულებები

სამხედრო მოქმედებების საინფორმაციო უსაფრთხოება წარმატების მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. საინ-ფორმაციო უსაფრთხოებაში მოიაზრება საბრძოლო მოქმედე-ბების წარმატებით წარმოებისთვის საჭირო საინფორმაციო გა-რემო.

თანამედროვე ომების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთის მხრივ, ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს გარე თუ შიდა საინფორმაციო საფრთხეების გამოვლენასა და განეიტრა-ლებაზე, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო ინტერესებიდან და სამხედრო მოქმედებების მიზნებიდან გამომდინარე, აქტიური საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებისკენ. მოქმედებები ორივე მიმართულებით უნდა დაიგეგმოს და გან-ხორციელდეს საინფორმაციო უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში.

საინფორმაციო უზრუნველყოფა არის საინფორმაციო რესურსების, ტექნოლოგიების და ღონისძიებათა კომპლექსი, სამხედრო მოქმედებების დროს სახელმწიფოს მართვის ორგა-

ნოების და თავდაცვის ძალების საინფორმაციო და კიბერ უსაფ-რთხოების და საბრძოლო მოქმედებების საინფორმაციო მხარ-დაჭერის უზრუნველსაყოფად.

საინფორმაციო უზრუნველყოფის ამოცანებია:

- საინფორმაციო სივრცეში საფრთხეების გამოვლენა და ანა-ლიზი, მათზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება;
- სახელმწიფო და სამხედრო კომპიუტერული ქსელებისა და მართვის სისტემების დაცვა კიბერშეტევებისგან;
- ცრუ ინფორმაციების გამოვლენა და მათზე რეაგირება;
- მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების, სახელმ-წიფო ინტერესებიდან გამოდინარე, ინფორმირება;
- საინფორმაციო და კიბეროპერაციების განხორციელება;
- სახელმწიფო უწყებებთან კიბერღონისძიებების კოორდინა-ცია.

საინფორმაციო საფრთხეების წყაროები(შიდა და გარე):

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სოციალური ქსე-ლები;
- ფიზიკური პირები, ჯგუფები, ორგანიზაციები;
- ზემოქმედების ტექნიკური საშუალებები.

საინფორმაციო საფრთხეების მიერ გამოწვეული შესაძლო რისკები:

- საინფორმაციო ზემოქმედების მეშვეობით, სოციალური და პოლიტიკური ვითარების დაძაბვა, დესტაბილიზაციის მცდელობა;
- მოსახლეების და თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შერყევის მცდელობა;
- ისტორიული და მიმდინარე მოვლენების, ფაქტების ფალსიფიცირება;
- საინფორმაციო სისტემებზე კიბერშეტევები;
- ცრუ ინფორმაციების გავრცელება და სხვა.

საინფორმაციო უზრუნველყოფის მიმართულებებია:

- საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება, პრაქტიკული ღონისძიებების განსაზღვრა, დაგეგმვა და განხორციელება საინფორმაციო საფრთხეების გამოვლენის და განეიტრალების, საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელების და მართვის სისტემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
- საინფორმაციო ომის წარმოების, სტრატეგიული შენიღბვის, დეზინფორმაციის და შენიღბვის მეთოდების შემუშავება და დანერგვა;
- სამეცნიერო და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება და წარმართვა მართვის ორგანოების სტრუქტურის დახვეწის,

დაცვის სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის და მართვის საშუალებების სრულყოფის მიზნით.

ინტერნეტის, სოციალური ქსელის განვითარებამ გაართულა კრიტიკული ინფორმაციის დაცვა. ამავე დროს, ინტერნეტი იქცა საზიანო ინფორმაციების გავრცელების სივრცედ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ასევე მნიშვნელოვანია და თანამედროვე ომების განუყოფელი ნაწილია.

ძალიან მნიშვნელოვანია სამთავრობო სტრუქტურებს, მედიას, ორგანიზაციებს, მოსახლეობას კარგად ესმოდეს რა ტიპის ინფორმაციების გავრცელება არის აკრძალული და რომელი ინფორმაციების გავრცელება არ დააზიანებს სახელმწიფო ინტერესებს.

თავდაცვის ძალები საომარი მდგომარეობის დროს საინფორმაციო შეტევის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი იქნება. შესაბამისად, მნიშნელოვანია თავდაცვის ძალებისთვის კრიტიკული ინფორმაციის დაცვა.

საომარი მდგომარეობის დროს ასეთ ინფორმაციებს მიეკუთვნება:

- ინფორმაციები სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების თავდაცვის ძალებისადმი, სპეციალური სამსახურებისადმი, ან სახელმწიფოს მართვის ორგანოებისადმი

კუთვნილების, ასევ მათი და მათი ოჯახის წევრების პირადი მდგომარეოების შესახებ;

- ინფორმაციები თავდაცვის ძალების, სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვანი ორგანოებისა და დაწესებულებების დისლოკაციის, მათი გადაადგილების და საქმიანობის შესახებ.

თავდაცვის ზომების ორი ჯგუფი:

- ფსიქიკის დაცვა;
- საინფორმაციო სისტემების დაცვა.

საკუთარი ჯარების, ასევე მოსახლეობის ფსიქიკის დაცვა, მათი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგრადობის შენარჩუნება მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს და ორი მიმართულებით ხორციელდება. ერთის მხრივ, ტარდება წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებები, ხოლო მეორეს მხრივ ხდება მოწინააღმდეგის მიერ ფსიქიკაზე ზემოქმედების ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

საინფორმაციო სისტემების დაცვა ითვალისწინებს შემდეგი ხასიათის ღონისძიებათა კომპლექსს: დისლოკაციის ადგილების დაცვა და თავდაცვა, როგორც შეღწევისგან, ასევე სხვადასხვა სახის იარაღისგან. მართვის სისტემების, კომპიუტერული ქსელების, კავშირგაბმულობის საშუალებების და სხვა საინფორმაციო სისტემების რადიოელექტრონული და კიბერდაცვა, ინფორმაციების გაჟონვის აღკვეთის უზრუნველყო-

ფა, სადეზინფორმაციო ღონისძიებების განხორციელება და სხვა.

მნიშვნელოვანია პრევენციული ზომების გატარება. ასეთ ზომებს მიეკუთვნება როგორც სადეზინფორმაციო ღონისძიებები მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ასევე მოწინააღმდეგეზე, მის საინფორმაციო ჯარებზე და ტექნიკურ სისტემებზე აქტიური ზემოქმედება.

8. ძირითადი რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ **ქვეთავებში1-7** მოტანილი მასალა წინასწარი განხილვის ფორმატშია და შესაძლოა უფრო ფუნდამენტურ განხილვას იმსახურებდეს, ის მაინც იძლევა საფუძველს რომ ვივარაუდოთ:

ა. ტოტალური თავდაცვის ჭრილში, სამხედრო წინააღმდეგობის უზრუნველსაყოფად, ტერიტორიული თავდაცვის ძალებს შეუძლია გადამწყვეტი ფაქტორის როლის შესრულება.

ბ. ტერიტორიული თავდაცვის სწორად ფორმირებისათვის, თავდაპირველად, მართებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

➢ **თეორიული**:

1. ***რეგიონების მიხედვით*** გეოგრაფიული მონაცემების ბაზის შედგენა;

2. მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით თითოეული რეგიონის *სამხედრო შედეგების სტრატეგიული, ტაქტიკური და ლოგისტიკური შესაძლებლობების ანალიზის გაკეთება;*

3. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, თითოეული რეგიონისათვის *შესაძლო სამხედრო მისიების* ჩამონათვალის განსაზღვრა;

4. ძალთა საკმარისობის პრინციპზე დაყრდნობით, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, *მისიების განხორციელებისათვის აუცილებელი მომზადების სტანდარტის განსაზღვრა.*

- **პრაქტიკული:**

5. შედგეს ტერიტორიული თავდაცვის *სპეციფიკური რეგიონალური ფორმირებების ტაბელი;*

6. ეროვნული გვარდიის ბაზაზე დაიწყოს ამ *ფორმირებების სტრუქტურირება* და *ფოკუსირებული წვრთნა.*

გარდა ამისა, ამავე პრაქტიკულ ჭრილში, ანგარიშგასაწევია ბრიგადის გენერალ ამირან სალუქვაძის მოსაზრება (იხ. მე-2 ქვეთავი), რომ აუცილებელია:

- თავდაცვის სისტემის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვა, შეიარაღების და ტექნიკის, საბრძოლო მასალების, მატერიალური და ადამიანური რესურსების დაგროვება, მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო მარაგების შექმნა;

- სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარება, მოსახლეობისთვის სტაციონარული და მობილური თავშესაფარების მომზადება;
- სახელმწიფოს ლოგისტიკური უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროების და მარშრუტების მომზადება.

თავი II. სამოქალაქო თავდაცვა

თენგიზ შუბლაძე

შესავალი

ბოლო პერიოდში მსოფლიომ განიცადა დიდი ცვლილებები. ისინი ატარებენ არაერთგვაროვან ხასიათს თავისი ზემოქმედებით ცალკეული რეგიონების, ქვეყნების და მთელი პლანეტის შემდგომ განვითარებაზე. იმედები, რომლებიც გამოწვეული იყო ორ სოციალურ სისტემას შორის დაპირისპირების, მათ შორის ,,ცივი ომის" დამთავრებით, არ გამართლდა. მსოფლიო არ გახდა უფრო უსაფრთხო. პირიქით, ბოლო წლები ხასიათდება კონფლიქტური პოტენციალის და გაურკვევლობის ფაქტორის ზრდით პლანეტის ზოგიერთ რეგიონში, ეკონომიკური მდგრადობის შესუსტებით და ტერორისტული საფრთხეების განვითარებით. გამძაფრდა კონკურენცია ბუნებრივ რესურსებზე, გაძლიერდა რადიკალური ისლამის იდეების გავრცელების მცდელობა. შენარჩუნდა მასობრივი დაზიანების იარაღის და მისი გავრცელების საფრთხე. საგანგაშოა იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობის დონე, მოსახლეობის არაკონტროლირებადი მიგრაცია. მსოფლიოში გართულდა დემოგრაფიული ვითარება. გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს გარემოს

დაცვითი პრობლემების გადაჭრა, ასევე ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შედეგების ერთობლივი ზარალი უთანაბრდება საომარი მოქმედებებით მიყენებული ზარალის მასშტაბებს. გარდა ამისა, საერთაშორისო ვითარების ბოლო წლების მოვლენების ანალიზი ამტკიცებს, რომ მსოფლიოს რიგი ქვეყნების პოლიტიკაში სამხედრო ძალაზე მოთხოვნილება კვლავ იზრდება. უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ეროვნული შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას, შეიარაღების და ტექნიკის წარმოების სრულყოფას. აქტიურად ინერგება შეიარაღებული ბრძოლის უახლესი საშუალებები. ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების უსაფრთხოებაზე.

სახელმწიფოს სიძლიერე, მდგრადობა და თვითარსებობა განისაზღვრება მისი მიდგომით საკუთარი უსაფრთხოებისადმი. ამ მიდგომას გამოხატავენ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკით სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძლევა მითითებებს ეროვნული უსაფრთხოებისათვის სასურველი საბოლოო შედეგების, მათი მიღწევის გზების და რესურსების შესახებ.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, ამ სტრატეგიის შემქმნელები, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მითითებების შესაბამისად განსაზღვრავენ ამ სტრატეგიის მიზნებს და სასურველ საბოლოო შედეგებს, მათი მიღწევის გზებს და ხელთარსებულ რესურსებს.

ეროვნული უსაფრთხოება კომპლექსური პრობლემაა და შედგება სხვადასხვა სფეროებისაგან, რომელთა ინტეგრაცია იძლევა საბოლოო სასურველ შედეგს. უსაფრთხოების სტრატეგია თითოეულ ამ სფეროში განისაზღვრება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიით და გამომდინარეობს მისგან. დარგობრივი სტრატეგიები სინქრონიზებული უნდა იყვნენ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასთან მიზნების (სასურველი შედეგების), ამ მიზნების მიღწევის გზების და რესურსების თვალსაზრისით. სტრატეგიები ექვემდებარებიან იერარქიას. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისაგან გამომდინარეობენ დარგობრივი სტრატეგიები, მათგან უფრო ვიწრო დარგობრივი სტრატეგიები და მათი განხორციელების კონკრეტული გეგმები.

დარგობრივი სტრატეგიები სინქრონიზირებული უნდა იყოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასა და სტრატეგიასთან ეროვნული ღირებულებების და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისითაც.

ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს სამოქალაქო თავდაცვა. უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამ სფეროში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთლიანად ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობას.

2.1. საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპები

2.1.1. სამოქალაქო თავდაცვა - ქვეყნის ტოტალური თავდაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტი

ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა არის სახელმწიფო სტრუქტურების, თვითმმართველობის ორგანოების და თავდაცვის ძალების, ასევე სულიერი, ფიზიკური, ეკონომიკური და სხვა პოტენციალის მუდმივი მზაობა დაარეგულიროს კრიზისი, თავიდან აიცილოს ან/და მოიგერიოს აგრესია, უზრუნველყოს ერის გადარჩენა. ყოველივე ეს გულისხმობს თავდაცვის უზრუნველყოფას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სრული ეროვნული ძალისხმევით, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო რესურსების გამოყენებით. ტოტალური თავდაცვა შედგება ხუთი ძირითადი კომპონენტისგან: სამხედრო თავდაცვა - თავდაცვის ძალების ამოქმედება, საკმარისი წინააღმდეგობის პრინციპებზე დაყრდნობით, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ჩართვამდე; სამოქალაქო თავდაცვა - არასაბრძო-

ლო თავდაცვითი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო მართვის ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფენ; ეკონომიკური თავდაცვა - ეკონომიკის ქმედითუნარიანობის შენარჩუნება; სამოქალაქო მზაობა - კრიზისის ან ომის დროს ხანგრძლივი პერიოდით საზოგადოების ქმედითუნარიანობის (სიცოცხლისუნარიანობის) შენარჩუნება; ფსიქოლოგიური თავდაცვა - ქვეყნის დაცვისათვის საზოგადოების ფსიქოლოგიური მზაობა.

ნებისმიერი სახის ექსტრემალური სიტუაციების (აგრესია, ბუნებრივი, ტექნოგენური და წინასწარ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციები) შედეგებთან ბრძოლის ძირითადი მიზანია ხალხის რესურსის, ეკონომიკის ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის საიმედო დაცვა.

განვითერებულ ქვეყნებში ეს ამოცანები აკისრია სამოქალაქო თავდაცვის სისტემას. სამოქალაქო თავდაცვა არის ქვეყნის ტოტალური თავდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და ქმნიან ერთ მთლიანს, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ომის იანუსის ორსახიან თავს. ერთი სახე მომართულია გარეთ, მოწინააღმდეგისკენ, ხოლო მეორე იყურება შიგნით - საკუთარი ხალხის სასიცოცხლო ფუნქციებისკენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი იქნება უწყვეტი, მოქმედი ფრონტი გახდება მედეგი და ბრძოლოსუნარიანი.

სამოქალქო თავდაცვა არის არასამხედრო, თავდაცვითი ამოცანების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს: მართვის ფუნქციების შენარჩუნებას სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე; მოსახლეობის და მისი ქონების, ასევე სახელმწიფო ქონების დაცვას; მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებით და ფართო მოხმარების საქონლით მომარაგებას და უზრუნველყოფას; საზოგადოებაში მოწინააღმდეგის შეტევის ზემოქმედების მინიმალიზაციას და თავდასხმის შედეგად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციების დარეგულირებას.

სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოქმნილ საფრთხეებს განეკუთვნებიან საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ხალხის მასობრივი დაღუპვა, ჯანმრთელობის და არსებობის საშუალებების დაკარგვა, ყოფითი გარემოს რღვევა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

თანამედროვე მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეფასებისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მშვიდობის შეუქცევადობის საკმარისი საიმედო გარანტიები ჯერ არ არის შექმნილი. ამის დადასტურებას წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია, 2014 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენები და 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრა. ამ უკანასკნელმა ნათლად დაგვანახა თუ რამდენად

მნიშვნელოვანია ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება და რაც მთავარია მოსახლეობის ყველა კატეგორიის მზაობა ამ პირობებში მოქმედებისთვის.

2.1.2. სამოქალაქო თავდაცის სისტემის ჩამოყალიბება და მისი განვითარების ეტაპები

ოდითგან ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ გარანტირებული უსაფრთხოება მიიღწევა მოსალოდნელი საფრთხეების დროული და ზუსტი შეფასებით, მათ მიმართ ადეკვატური რეაგირების დაგეგმვით და განხორციელებით.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ: მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ადამიანური რესურსის, როგორც სამხედრო მოქმედების წარმატებით განხორციელების და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მდგრადი ფუნქციონირების აუცილებელი პირობების შენარჩუნების, ქვეყნის ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი ფასეულობების გადარჩენის, პირუტყვის სულადობის შენარჩუნების და მოსალოდნელი საფრ-

თხის რაიონებში სანიტარულ–ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების თავიდან აცილების ღონისძიებებს.

საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ ეს არის ისტორია ერისა, რომელმაც თავისი სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა უთანასწორო ბრძოლებში უამრავი მსხვერპლის, სისხლისღვრის, დარბევის გადატანით, მაგრამ ამავე დროს გმირობის, მამაცობის და გაუტეხავი რწმენის ხარჯზე. ამ უთანასწორო ბრძოლებში ქართველ ხალხს ხშირად უხდებოდა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან აყრა და ტყეებში, მთებში, გამოქვაბულებში გახიზვნა. გახიზნულ მოსახლეობას გაჰქონდა სახელმწიფო ხაზინა, საგანძური და გაჰყავდა საქონელი. თავდაცვის მიზნით ჩვენს ქვეყანაში აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს, საფორტიფიკაციო ნაგებობებს, თავშესაფრებს. ქართველის საზრუნავი იყო მტერს მომზადებული დახვედროდა.

ციხე-სიმაგრეს თავდაცვის სფეროში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეკისრებოდა. ციხე-სიმაგრისთვის მნიშვნელოვანი იყო ადგილის შერჩევა. ქვეყნის უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კარგად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს. ყოველივე ამის დასასაბუთებლად, მაგალითისთვის შეიძლება დავახასიათოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი ურბნისი. უნდა აღინიშნოს, რომ ,,მთლიანად ციხე-სიმაგრის ადგი-

ლი სტრატეგიულად მეტად მარჯვედ იქნა შერჩეული. მტკვრის ხეობის ორივე მიმართულებით 10-15კმ. თავისუფლად კონტ-როლირდებოდა”.[36]

ქართული ციხე-სიმაგრეების არქიტექტურა შესისხლხო-რცებული იყო თავდაცვით ფუნქციებთან და ეს არაა მხოლოდ ერთი-ორი ციხე, არამედ საქართველოს მასშტაბით ყველა ციხე-სიმაგრეს ახასიათებდა აღნიშნული გარემოება.

მთას საქართველოს სამეფოს თავდაცვის საქმეში დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. გვარ-თა და თემთა შორის მუდმივი შუღლი, თუ მტერთან ბრძოლე-ბი, მოლაშქრეთა პირად ვაჟკაცობასთან ერთად მოითხოვდა გა-მაგრებულ თავშესაფარს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საგვა-რეულო ქონების, საჭიროების შემთხვევაში კი ეროვნული სა-განძურისა და ოჯახის დაცვა. ამ მიზნით საქართველოს მთიე-ლები თავიანთ სოფლებს აშენებდნენ მაღალი მთის წვერზე, რომელსაც მტერი ძნელად თუ მიუდგებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლები გამაგრებული იყო ციხე-კოშკებით, ოჯა-ხები კი ბინადრობდნენ მაღალსართულიან კოშკოვან სახლებ-ში. ამ ტიპის სოფლები დღემდე არის დაცული მაღალმთიან რა-ჭაში, ხევში, ხევსურეთში, მთიულეთში, თუშეთში და ზემო

36 ლ.ჭილაშვილი ნაქალაქარი ურბნისი, თბ. 1964 გვ. 91 (გვ.4)

სვანეთში, სადაც ზეპირი გადმოცემის თანახმად არსებობდა თავდაცვის ერთგვარი ხერხი. კოშკები ისე იყო განაწილებული, რომ როდესაც მტერი სოფელს მიუახლოვდებოდა, კოშკის მესვეურნი სწრაფად ანთებდნენ ცეცხლს კოშკის თავზე, რაც ერთგვარი ნიშანი იყო მთელი სოფლისათვის, რომ სასწრაფოდ მოემარაგებინათ სურსათ-სანოვაგე და გახიზნულიყვნენ კოშკებში.

მოსახლეობის გადარჩენის საუკეთესო გზა გახიზვნა იყო. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, თუ საითკენ იხიზნებოდა და სად პოულობდა თავშესაფარს ქართველობა, როდესაც მას განსაცდელი და გაბატონებული მტრის მომძლავრება აიძულებდა საკუთარი მიწა-წყალი დაეტოვებინა. ამ დროს ქართველთათვის ჩვეულებრივი თავშესაფარი და კერა დასავლეთ საქართველო იყო.

XI-ე საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ქართველების მიერ თავშესაფრების მშენებლობა მიუვალ ადგილებში. ამ მხრივ საინტერესოა ლეონტი მროველის 1066 წლის სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, რომელშიც ვკითხულობთ: ,,მე, ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუ-

დელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთა შინა ალფ - არსლან სულტანისაგან ოხრობისათა".[37]

ამ წარწერიდან ნათლად ჩანს ქართველი ხალხის საქმიანობა შემოსეული მტრისაგან თავდაცვის ღონისძიებათა გატარებაში. ხალხის საქმიანობას სათავეში უდგას სასულიერო პირი ლეონტი მროველი. ,,კარზედ მომდგარი საშიში მტრისაგან თავდაცვის მიზნით ლეონტი მროველი თრეხვის მიუდგომელ კლდეებში აშენებს ქვაბთა სახიზარს - საცხოვრებელი და სამეურნეო (მარანი, წყალსაცავები და სხვ.) ნაგებობებით". სწორედ ასეთ მიუდგომელ ადგილებში შეეძლო ადგილობრივ მოსახლეობას შეეფარებინა თავი. ამ პერიოდში მთელი ხალხის საქმიანობა და ყურადღება თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობისაკენ იყო მიმართული.

მოსახლეობის გასახიზნად და განძეულის გადასამალავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახიზარ ქვაბებს. სახიზარ ქვაბთაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ხვამლის, ბეთლემისა და თრეხვის ქვაბები.

ხვამლის ქვაბები ნაკვეთია იმერეთ-ლეჩხუმის საზღვარზე აღმართული კირქვის ვეება კლდეში, ბუნებრივ მღვიმესა და

37 გ.გაფრინდაშვილი ლეონტი მროველის 1066წ. საშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, თბ. 1961 გვ. 247 (5)

მის ირგვლივ. იგი მიჩნეულია სახელმწიფო ქონების სამალავად.

კიდევ უფრო მიუწვდომელი იყო მყინვარწვერის სიპ კლდეში ზღვის დონიდან 4199 მეტრ სიმაღლეზე გამოკვეთილი ბეთლემის ქვაბი. ეს ქვაბი ,,სვეტიცხოვლის სამკაულის სახიზარი" ყოფილა დიდი შიშიანობის დროს.[38]

ქარელის რაიონის სოფელ თრეხვში, მტკვრის მარჯვენა შენაკად ხვედულას ნაპირზე, საკმაოდ მაღლა აღმართულ კლდეში არის ქვაბები, რომელსაც მოსახლეობა თავის შესაფერებლად იყენებდა. მშვიდობიანი მოსახლეობა თავს აფარებდა ისეთ ადგილებს, სადაც მტერი ნაკლებად მიწვდებოდა. მაგალითისთვის ასეთია ვარძია, რომელიც თამარ მეფეს აუშენებია მოსახლეობის და სახელმწიფო განძის დასაცავად.[39]

არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მოსახლეობის გახიზნვის, განძეულის და სხვა ფასეულობების გადამალვის წესი საკანონმდებლო დონეზე იქნებოდა შემუშავებული, მაგრამ ყველა მოსახლემ იცოდა, რომ საომარი მოქმედებების დროს ქალები, ბავშვები და მოხუცები მთებში უნდა გახიზნულიყვნენ, მაგრამ თუ ამის საშუალება არ იყო, ახლოს არსებული ქვაბებისა,

---

38 გ.გაფრინდაშვილი ლეონტი მროველის 1066წ. საშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, თბ. 1961 გვ. 247 (5)
39გ. გაფრინდაშვილი, ვარძია, თბ. 1976წ. გვ 112

თუ ძნელად მისადგომი სამალავებისათვის უნდა შეეფარებინათ თავი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ასეთ დროს მთის იმედიც ჰქონდა.

ძალზე მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) მთავრობის მიერ ეროვნული საგანძურის გადარჩენის კუთხით ჩატარებული ღონისძიებები.

ეროვნული განძეულის გადარჩენის კლასიკური ნიმუშია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები. 1921 წლის თებერვალში საფრთხის ქვეშ დადგა საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. წითელმა არმიამ იერიში მიიტანა საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. სისხლისღვრის თავის არიდების მიზნით, რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება, რათა შემდეგ პოლიტიკური გზებით, მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების მხარდაჭერით, დაებრუნებინა საქართველოსთვის დაკარგული დამოუკიდებლობა.

მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ბოლშევიკების დედაქალაქში შემოსვლას მოჰყვებოდა ქვეყნის გაძარცვა და სამუზეუმო განძეულობის განადგურება. აქედან გამომდინარე, გადაწყდა სამუზეუმო და ეკლესია-მონასტრების განძეულობის ქვეყ-

ნიდან გატანა. გამოიცა მთავრობის მეთაურის ბრძანება „ქართველი ხალხის ეროვნული საკუთრების დროებით უცხოეთში გატანის შესახებ“.

ამ ბრძანების შესრულების მიზნით, დაიწყო სამუზეუმო და საეკლესიო განძეულობის სასწრაფოდ ყუთებში ჩალაგება-დალუქვა. აღნიშნული ბრძანების შესრულება დაევალათ: პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს ექვთიმე თაყაიშვილს და ფინანსთა მინისტრის თანაშემწეს იოსებ ელიგულაშვილს.

1921 წლის 20-21 თებერვალს რკინიგზით განძი (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის, საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის, საეკლესიო მუზეუმის, ეროვნული გალერეის, თბილისის და ზუგდიდის სასახლეების, თბილისის ბანკის და ხაზინის ქონება) წამოიღეს ქუთაისის გავლით და იქ ახალი ნაწილების (ქუთაისის ხაზინის, გელათის და მარტვილის მონასტრების) შემომატებით 3 მარტს ბათუმში ჩაიტანეს.[40]

ბათუმში განძი გემზე გადატვირთეს. ორთვიანი მგზავრობის შემდეგ 1921 წლის 10 აპრილს გემი მარსელის სანაპიროს

40 გ. შარაძე, ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა, თბ. 1998 წ. გვ 56

მიადგა. 11 აპრილს გემიდან განძი გადმოალაგეს და საფრანგეთის ბანკის მარსელის ფილიალში მოათავსეს.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა დევნილობაში მყოფ საქართველოს მთავრობას გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში განძის გადასარჩენად.

ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული ფასეულობების უკან, საქართველოში დაბრუნების ისტორია. 1944 წლის 2-10 დეკემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის გენერალ დე გოლის მოსკოვში სტუმრობისას, მასსა და ი. სტალინს შორის შედგა შეთანხმება ეროვნული განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ. მოხდა განძეულის ხელახალი აღწერა და როდესაც დარწმუნდნენ, რომ მას არაფერი აკლდა, დაიწყეს მისი გასაგზავნად მომზადება. განძის თანხლება დროებითი მთავრობის მიერ ისევ ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა. 1945 წლის 11 აპრილს განძი დაბრუნდა საქართველოში. ზემოთმოყვანილი ფაქტები ნათლად მიგვანიშნებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების გატანას, მათი გადარჩენის უზრუნველყოფის მიზნით.

ახლა გვინდა გავაკეთოთ 1941-1945 წლებში ამ კუთხით ჩატარებული ღონისძიებების მოკლე ანალიზი. II მსოფლიო ომი იყო ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფ-

ლიქტი კაცობრიობის ისტორიაში. საინტერესოა ის საევაკუაციო ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდა ამ პერიოდში.

ევაკუაცია არ ნიშნავს მხოლოდ ორგანიზებულ გაყვანას (გატანას). არანაკლებ მნიშვნელოვანია ევაკუირებული მოსახლეობის, საწარმოების, დაწესებულებების და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების ორგანიზებული მიღება და რაციონალური გადანაწილება.

სამეცნიერო ნაშრომებში სწორედ ხაზგასმულია ის წვლილი, რომელიც საქართველომ შეიტანა ევაკუირებული მოსახლეობის და წარმოება-დაწესებულებების მიღება-მოწყობის საქმეში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად პუნქტს, სადაც თავს იყრიდნენ, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისე შუა აზიაში, ვოლგისპირეთში, ურალსა და დასავლეთ ციმბირში გასაგზავნი ევაკუირებული მოსახლეობა და საწარმოები.

II-ე მსოფლიო ომის საწყის პერიოდში (1941-1943 წწ.) საქართველოში ევაკუირებულ იქნა ასი ათასობით ადამიანი; საავიაციო, გემთმშენებელი, საარტილერიო, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, ელექტროტექნიკური, ქიმიური, მეტალურგიული, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები; მრავალი

ტექნიკუმი, სპეციალური სახელოსნო და უმაღლესი სასწავლებელი, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულება.[41]

1941 წლის დეკემბერში საქართველომ მიიღო კრასნოდარის მხარიდან ევაკუირებული საბავშვო სახლები, რომლებიც სპეციალური დადგენილებით კოჯორში გაიგზავნა.

ევაკუირებული საბავშვო დაწესებულებების მეორე ნაკადი (იგი პირველს გაცილებით აღემატებოდა) საქართველომ მიიღო 1942 წლის ზაფხულში (ნოვოროსიისკიდან ბათუმსა და ფოთში ჩამოვიდა კისლოვოდსკის, ელიზავეტინსკის, ევპატორიისა და სლავიანსკის საბავშვო სახლები ათასი ბავშვითა და მომსახურე პერსონალით. სამასი ბავშვი დატოვებულ იქნა ბათუმში, დანარჩენი კი ევაკუირებულ იქნა თბილისში, შემდეგ კი ბაქოში).

1941-1942 წლებში ქართულ სკოლებთან 50 კლასი იქნა გახსნილი ევაკუირებული ბავშვებისათვის.

საქართველოში დიდი რაოდენობით იქნა შემოყვანილი ევაკუირებული პირუტყვი. ისინი შემოიყვანეს ყირიმიდან, უკრაინიდან, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი - ჩრდილოეთ კავკასიიდან. ყველაზე ადრე ევაკუირებული პირუტყვის

41 ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ.2006 წ. გვ 73

შემოყვანა ჩვენს რესპუბლიკაში შავი ზღვის ჩრდილოეთ სანა-პიროზე მდებარე ნავსადგურებიდან განხორციელდა.

ევაკუირებული პირუტყვის მასობრივად შემოყვანა საქართველოში განსაკუთრებით 1942 წლის ზაფხულიდან დაიწყო. ორჯონიკიძესა და კრასნოდარის მხარიდან ევაკუირებულ იქნა დაახლოებით 850 ათასი მსხვილფეხა რქოსანი და 1650 ათასი სული წვრილფეხა პირუტყვი.

1942 წლის 1 სექტემბრისათვის მდინარე თერგის მიდამოებში, ალიგასტანისა და შელკოვსკაიას უღელტეხილებზე გამოვლით 392 ათასი მსხვილფეხა რქოსანი და 1121 ათასი წვრილფეხა პირუტყვი საქართველოს მიდამოებისაკენ დაიძრა.

თუ ყურადღებით გავაანალიზებთ განხილულ მასალას ნათლად დავინახავთ, რომ საქართველოს ისტორია გაჯერებულია სისხლისმღვრელი ომებით, რომელსაც მოჰყვა დიდი რაოდენობით მსხვერპლი და მატერიალური ზარალი. მიუხედავად ამისა, არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონდა მკაფიოდ, გეგმის სახით გაწერილი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის დაცვას და მნიშვნელობანი მატერიალური ფასეულობების გადარჩენას. თუ XX საუკუნემდე წარმოებულ ბრძოლებში ამ ხარვეზებს რაღაც გამართლება მაინც შეიძლება მოვუძებნოთ, თუნდაც ის, რომ ისინი იწყებოდა მოულოდნელად და იმდენად ხშირი იყო, რომ ქვეყანა ვერ ასწრებდა ,,ჭრი-

ლობების მოშუშებას“, დაშვებული შეცდომების ანალიზს და, შესაბამისად, ვერ ახერხებდა მათ გამოსწორებას; ასევე საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებსაც, შეიძლება მოეძებნოს გამართლება, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ იყო შემდგარი, მას არ გააჩნდა რეგულარული არმია, ძირითადი სამხედრო ნაწილები დაკომპლექტებული იყო მოხალისეებით, რომელთაც არ ჰქონდათ საბრძოლო მოქმედებების წარმოების არც თეორიული ცოდნა და არც პრაქტიკული გამოცდილება; ქვეყანაში არ არსებობდა კანონი, რომელიც დაარეგულირებდა ომიანობის პერიოდში ყველა დონის მართვის ორგანოების საქმიანობას მოსახლეობის დაცვის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების გადარჩენის სფეროში. შესაბამისად, ვერ მოხერხდა მოსახლეობის დროული გამოყვანა კონფლიქტის ზონიდან. შედეგად მოსახლეობამ ქაოტურად დაიწყო გამოსვლა, ამას დაემატა რთული კლიმატური პირობები, რამაც გამოიწვია დიდი მსხვერპლი მოსახლეობაში. იმავეს ვერ ვიტყვით 2008 წლის აგვისტოში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებზე. იყო საკმარისი დროც და დაგროვილი დიდი გამოცდილება რისკების ზონებიდან მოსახლეობის გაყვანის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების გატანისა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ღონისძიებები მოსალოდნელ საბრძოლო მოქმედებების

რაიონში არ განხორციელებულა. ამის უმთავრეს მიზეზად მიგვაჩნია მმართველობის ყველა დონის და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების სრული მოუმზადებლობა კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებისათვის. ნათქვამია, ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენო, ჩვენ კი, სამწუხაროდ, ჩვენს შეცდომებზეც ვერ ვისწავლეთ. ამის შედეგია ადამიანთა დიდი მსხვერპლი, ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა და დამატებით ათასობით ლტოლვილი.

სწორედ ეს გარემოებები გახდა იმის იმპულსი, რომ ჩვენ სერიოზულად ჩავღრმავებოდით აღნიშნულ პრობლემას, გაგვეანალიზებინა დაშვებული შეცდომები და დაგვესაბუთებინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წინასწარ, მშვიდობიან პერიოდში აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვას, პასუხისმგებელი ორგანოების ჩამოყალიბებას, მათ მომზადებას კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებისათვის. ასევე ამ ღონისძიებების დროულად და ორგანიზებულად განხორციელების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის შექმნას. შესაბამის საკანონმდებლო აქტებში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ომიანობის პერიოდში მოსახლეობის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების დაცვის ღონისძიებები, მათი ჩატარების თანმიმდევრობა, ვადები, პასუხისმგებელი ორგანოები, მათი მომზადების და მართვის სქემები და ა.შ.

სამოქალაქო თავდაცვა, როგორც მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების კომპლექსი, საქართველოში შეიქმნა სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს. კერძოდ, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 ოქტომბრის ,,სსრ კავშირის ჰაერსაწინაღო თავდაცვის შესახებ" დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა ადგილობრივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, რომელიც ორგანიზებას უკეთებდა და ახორციელებდა სავარაუდო მოწინააღმდეგის ავიაციის მისაწვდომობის ზონაში მოსახლეობის დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსს. II მსოფლიო ომი იყო ადგილობრივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის რეალური გამოცდა. მისი ნაწილების და ქვედანაყოფების მებრძოლები, არაგასამხედროებული ფორმირებების პირადი შემადგენლობა უწევდნენ დახმარებას დაზარალებულ მოსახლეობას, აქრობდნენ ხანძრებს, აღადგენდნენ კომუნიკაციებს, კავშირგაბმულობის ხაზებს, შლიდნენ ხერგებს, ახდენდნენ აუფეთქებელი საბრძოლო მასალების გაუვნებელყოფას, აშენებდნენ თავდაცვით სიმაგრეებს, ბომბებისა და გაზისგან დასაცავ თავშესაფრებს, აეროდრომებს, გზებს და სხვა ობიექტებს. 1956 წელს, როდესაც ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროება გახდა რეალური, მოხდა ადგილობრივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შემადგენლობის და საორგანიზაციო სტუქტურის ცვლილება, დაზუსტდა მისი

ამოცანები. მისი ორგანიზება და განხორციელება დაიწყო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. 1961 წელს ადგილობრივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა გარდაიქმნა სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვად და გახდა საერთო სახელმწიფოებრივი თავდაცვითი ღონისძიებების სისტემის შემადგენელი ნაწილი. მიღებულ იქნა მისი მოწყობის ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპი, შემოღებულ იქნა სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის უფროსის თანამდებობა.

რაში მდგომარეობდა ადგილობრივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემებს შორის განსხვავება:

1. სამოქალაქო თავდაცვის დაცვითი ღონისძიებების სისტემას უნდა უზრუნველყო მოსახლეობის და ტერიტორიის ხარისხობრივად ახალი იარაღის - მასობრივი განადგურების იარაღის დამაზიანებლი ფაქტორებისაგან დაცვა;

2. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამოქალაქო თავდაცვის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების წრე. დაემატა ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებდა ომიანობის პერიოდში საწარმოო ობიექტების მდგრადი მუშაობის პირობების შექმნას და გადარჩენილი მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფას;

3. სრულიად ახლებურად უნდა გადაწყვეტილიყო მოწინააღმდეგის თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები, რო-

მლებიც დაკავშირებული იყო მასობრივ ნგრევებთან. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ერთდროულად ათასობით ადამიანისათვის უნდა გაეწიათ დახმარება;

4. სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებს მიეცა საერთო-სახელმწიფოებრივი და საერთო-სახალხო ხასიათი. მათი დაგეგმვა და რეალიზება ხდებოდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველომ, სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, გაიარა სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების რამდენიმე ეტაპი:

პირველი ეტაპის (1961-72 წწ.) პერიოდში მოწინააღმდეგის შესაძლო მასირებული ბირთვული დარტყმის პირობებში (გათვლები კეთდებოდა ყველა მსხვილ ქალაქზე და მნიშვნელოვან ობიექტებზე რამდენიმე ათას დარტყმაზე) მოსახლეობის დაცვის საფუძვლად მიჩნეული იყო ქალაქებიდან - თავდასხმის სავარაუდო მიზნებიდან, ქალაქგარე ზონებში მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია. იმ ობიექტების პერსონალის დასაცავად, რომლებიც ომიანობის პერიოდში აგრძელებდნენ მუშაობას, ამ ქალაქებში შენდებოდა თავშესაფრები. ამის გარდა მიმდინარეობდა აქტიური მომზადება მრავალრიცხოვან დაზიანების კერებში მსხვილმასშტაბიანი სამაშველო და გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. ამ მიზნით ხდებოდა სამოქალაქო თავდაცვის ნაწილების სრულ-

ყოფა, იქმნებოდა მასობრივი სამაშველო და საავარიო-აღდგენითი არაგასამხედროებული ფორმირებები.

მეორე ეტაპზე (1972-89 წწ.) გაჩნდა სამოქალაქო თავდაცვის ახალი ასპექტები. ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა მასობრივი დაზიანების იარაღისაგან მოსახლეობის დაცვის საშუალებების სწრაფ დაგროვებაზე. ამ პერიოდში სსრ კავშირში აშენდა თავშესაფრები ტევადობით 1 მლნ. ადამიანზე, ხოლო რადიაციის საწინააღმდეგო საფრები - 3-4 მლნ. ადამიანზე. აქტიურად მიმდინარეობდა მეტროპოლიტენების და სხვა მიწისქვეშა ნაგებობების მოსახლეობის დაცვისათვის მომარჯვება. ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის იქმნებოდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მარაგი.[42]

ამ წლებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ომიანობის პერიოდში ეკონომიკის ობიექტების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პრობლემამ. ამ პრობლემის გადაწყვეტა დაევალა სამოქალაქო თავდაცვის სისტემას.

1991 წლის 9 აპრილიდან საქართველოს, როგორც ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი. გამოცხადდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ისტო-

42 ი. ლუკაშუკი , პასუხისმგებლობის საკითხები ხელშეკრულებათა სამართალში, საერთაშორისო, საჯარო და კერძო სამართალი 2007 წ. # 1 გვ. 4

რიაში ამ ახალ ეტაპს მოჰყვა ქვეყნის შიგნით სამხედრო დაპირისპირება, რომელმაც დიდი მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია.

ყოველივე ამან ფაქტობრივად გამოიწვია სამოქალაქო თავდაცვის, როგორც სისტემის ნგრევა. ვერ მოხერხდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება. კერძოდ: გაიძარცვა და განადგურდა დაცვის ინდივიდუალური საშუალებების საწყობები, მოსახლეობამ მიიტაცა საცხოვრებელ კორპუსებში არსებული თავშესაფრების ფართები და გადააკეთა იგი საკუჭნაოებად, ან გახსნა კომერციული ობიექტები; მოუვლელობის გამო მწყობრიდან გამოვიდა მიწისქვეშა მართვის პუნქტები და თავშესაფრები; მოიშალა სამოქალაქო თავდაცვის მართვისა და შეტყობინების ერთიანი სისტემა. ეს პროცესი, ჩვენდა სამწუხაროდ, გაგრძელდა შემდგომ წლებშიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანაში კარდინალურად შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფოს აღარ შეეძლო სამოქალაქო თავდაცვის მოთხოვნების დაფინანსება. ამასთან, მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვალა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, საგრძნობლად შემცირდა ახალი მსოფლიო ომის წარმოქმნის რეალური შესაძლებლობა, რამაც სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების მიმართ ყურადღება მნიშვნელოვნად შეამცირა. ასევე შეიცვალა მოსალოდნელი შეიარაღებული ბრძოლის ხასიათი და საშუალებები. წინა პლანზე წამოიწია

დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების, პირველ რიგში - მაღალი სიზუსტის იარაღის და ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული იარაღის გამოყენებით ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობამ.

XX საუკუნის 80-იან წლებში რამდენადმე შემცირდა საერთაშორისო დაძაბულობა, სამაგიეროდ დაგროვდა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებასა და ლიკვიდაციასთან. ეს განპირობებული იყო ბოლო პერიოდში ამ ტიპის საგანგებო სიტუაციების რაოდენობის და მასშტაბების ზრდით, რომელიც თავისი შედეგებით უთანაბრდებოდა სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგებს. ამ დროს, ხშირ შემთხვევებში, შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო მთელი ქვეყნის ძალისხმევა, ხოლო რიგ შემთხვევებში - მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერა.

შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სტრუქტურამ, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა, შეწყვიტა თავისი ფუნქციონირება და 1993 წელს ჩამოყალიბდა ჯერ თავდაცვის სამინისტროს, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულად, ,,საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის მთავარ სამმართველოდ”.

ზემოთ მოყვანილმა თავისებურებებმა, ასევე ჩერნობილის კატასტროფამ, გახშირებულმა მიწისძვრებმა, ავარიებმა, წყალდიდობებმა, ხანძრებმა და სხვა ტიპის კატაკლიზმებმა გამოიწვიეს ყურადღების გადატანა სამოქალაქო თავდაცვიდან მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციებზე. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ამის მიმანიშნებელია ისიც, რომ დღემდე ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს ერთადერთი კანონი ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ", რომელშიც სამოქალაქო თავდაცვის საკითხები მკაფიოდ არ არის ასახული. ჩვენდა სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიას და მის შედეგებს კარდინალური ცვლილებები სამოქალაქო თავდაცვისადმი მიდგომაში არ შეუტანია. არადა აღნიშნულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ქვეყანა არ აღმოჩნდა მზად საკუთარი მოსახლეობის დასაცავად. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვამახვილებთ ყურადღებას სამხედრო თავდაცვაზე, ჩვენ ხაზი გვინდა გავუსვათ მოსახლეობის, მატერიალური და კულტურული ფასეულობების დაცვის საკითხებს. ზუსტად ეს მოცემულობა გვკარნახობს, რომ საჭიროა სასწრაფოდ შემუშავდეს და მიღებულ იქნას კანონი ,,სამოქალაქო თავდაცვის შესახებ". ამ კანონმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რომ სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება და განხორციელება არის სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, თავდაცვითი მშენებლობის და სა-

ხელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი.

ომიანობის პერიოდში სამოქალაქო თავდაცვას აქვს მთავარი ამოცანა - ქვეყნის ზურგის დაცვა. სამოქალაქო თავდაცვა, ხალხის და მატერიალური დანაკარგების შემცირების მიზნით, იყენებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, უმეტესად პასიურ მეთოდებს და საშუალებებს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო თავდაცვა მოწოდებულია ზურგში განლაგებული თავდაცვის ძალების დაცვაზეც, პირველ რიგში, სამობილიზაციო რესურსის და სამხედრო საწარმოო სიმძლავრეების.

თანამედროვე პირობებში, როცა მსოფლიოში დიდი რაოდენობითაა დაგროვებული მასობრივი დაზიანების და თავდასხმის საშუალებები, ამასთან მოსალოდნელია ჩვენი ქვეყნის ჩაბმა ლოკალურ თუ გლობალურ ომში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განმტკიცებას, მოსახლეობის და ეკონომიკის ობიექტების დაცვის საკითხების დონის ამაღლებას.

2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა ქვეყნის ყველა დონის მართვის ორგანოების მოუმზადებლობა სამოქალაქო თავდაცვის კუთხით, რაც აშკარად გამომჟღავნდა ,,აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი

საპარლამენტო კომისიის'' მიერ ჩატარებული მოსმენების დრ-ოს. საპარლამენტო კომისიამ სხვა საკითხებთან ერთად დეტა-ლურად შეისწავლა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერ-თი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის - სამოქალაქო თავდაცვის მდგომარეობა. კომისიის მუშაობის პერიოდში მოწ-ვეული თანამდებობის პირების მიერ სამოქალაქო თავდაცვის კუთხით დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები მიგვანიშ-ნებს იმაზე, რომ ,,მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მოშლილი იყო სამოქალაქო თავდაცვის სისტემა".[43]

კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: ,,ქვეყანაში არც ერთ დონეზე არ არსებობდა სამოქალაქო თავდაცვის გეგმები. არ შესრულებულა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარ-ტის # 69 დადგენილება, რომელიც თავის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით ავალდებულებდა ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე შეექმნათ საგანგებო სიტუაციების მართვის დროებითი კომისიები."[44]

---

43 პ. მალანჩუკი, აკეჰარასტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2005წ. გვ.76.

44 ლ.მ. ჩურკინა საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპის როლი მათი დაცვის კონტროლის პროცესში, ჟურნ. ,,თანამედროვე სამართალი" – 2010, N7 , გვ.2

არ იყო შესრულებული საქართველოს ეროვნული უსაფ-რთხოების კონცეფციაში სამოქალაქო თავდაცვის კუთხით გან-სახორციელებელი ამოცანები. კერძოდ: აღნიშნული კონცეფცი-ის 6.3.1. პუნქტში მითითებულია, რომ ,,სახელმწიფო თავდაც-ვისუნარიანობის გასაძლიერებლად საქართველო ავითარებს შეიარაღებულ ძალებს, აძლიერებს სამოქალაქო თავდაცვის მე-ქანიზმებს, თანამშრომლობს საერთაშორისო საზოგადოებას-თან მსოფლიოში". კონცეფციის 6.3.5. პუნქტი განმარტავს, რომ ,,სამოქალაქო თავდაცვის განვითარება რეზერვისტების მომზა-დების და სამობილიზაციო სისტემის შექმნის გზით აძლიერე-ბს სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობას".[45]

საომარი მდგომარეობის პირობებში სრულფასოვნად არ შესრულდა საქართველოს კანონის ,,საგანგებო მდგომარეობის შესახებ'' მე-4 მუხლის ბ პუნქტში მითითებული მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს ,,საგანგებო მდგომარეობის დროს, კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, საქართველოს აღმას-რულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად

45 ო. მდივნიშვილი ო. ტაველიშვილი, თ. მელქაძე. საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა. თბილისი. 2001წ. გვ. 5.

საშიში რაიონებიდან; ამასთან აუცილებლად მისცენ სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომები.”

ქვეყანაში არ იყო სათანადო პასუხისმგებლობით გათვალისწინებული გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისის მიერ 2004 წლის ნოემბერში შემუშავებული რეკომენდაციები სახელწოდებით: ,,ჰუმანიტარული სიტუაცია და სტრატეგია-2005, საქართველო”.[46] აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა მითითებული პრიორიტეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება იძლეოდა მართვის ფუნქციური სტრუქტურის ჩამოყალიბების გამართულ მექანიზმებს ყველა დონეზე.

კომისიამ ყოვლად დაუშვებლად მიიჩნია, რომ ,,ქვეყანას არ ქონდა სამოქალაქო თავდაცვის კანონი”. კანონის უქონლობის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამოქალაქო თავდაცვის კუთხით არ ჩატარებულა არავითარი წინასწარ დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებები.

სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების სწორი დაგეგმვის და ოპერატიული განხორციელებისთვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

---

46 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, #828,19/12/2008 წ.

დღეს მოქმედი სამართლებრივი აქტების მოკლე ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ისინი ეხება ძირითადად მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციების პრევენციას და მათზე რეაგირების დაგეგმვას. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ამოცანები, უფლებამოსილება და მათი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები ომიანობის პერიოდში მოსახლეობის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების დაცვის სფეროში.

2.1.3. სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, სამოქალაქო თავდაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებზე, რომელთანაც მიერთებულია ჩვენი სახელმწიფო, საქართველოს კონსტიტუციაზე, ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტზე - „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, საქართველოს კანონებზე „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, ასევე, მოსახლეობაში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, რაც გამოიხატა შემდეგ ღონისძიებებში:

1. მოსახლეობის დაჯგუფება ღირებულებების თვალსაზრისით.
2. ჯგუფების ღირებულებების შესწავლა:
   - საერთო ღირებულებების გამოვლენა;
   - განსხვავებული ღირებულებების გამოვლენა;
   - განსხვავებული ღირებულებებს შორის რაციონალური კომპრომისების მონახვა.
3. ღირებულებების სინქრონიზაცია ეროვნული დონის კონცეპტუალურ, საკანონმდებლო, დირექტიულ და საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებთან-შემუშავებული იქნა ის ღირებულებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფომ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ყველანაირი საქმიანობის დაგეგმვის, აღსრულების და ზედამხედველობის დროს.[47]

ესენია:

1. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

2. მოსახლეობის კეთილდღეობა;

3. ეროვნული თვითმყოფადობა;

4. თანასწორობა;

5. პასუხისმგებლობა.

47სსიპ დ. აღმასენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია სამხედრო შრომები, გორი, 2023წ #2 გვ.52

თითოეულ მათგანი ატარებს შემდეგ შინაარს:

1. **ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა**

ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის უმაღლესი ღირებულება, რომლის დასაცავად სახელმწიფომ, ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირების სახით, ვალდებულია განსაზღვროს მოთხოვნილებები, შექმნას შესაძლებლობები, დაგეგმოს და განახორციელოს სათანადო საქმიანობა, მთელი მის ხელთ არსებული რესურსის გამოყენებით.

2. **მოსახლეობის კეთილდღეობა**

ხალხის კეთილდღეობა განისაზღვრება, ნებისმიერ გარემოში მისთვის სრულფასოვანი მატერიალური და კულტურული საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებასა და შექმნაში. კრიზისული, საგანგებო და ომის პირობებში სახელმწიფო ვალდებულია რაციონალურად გადაანაწილოს თავისი შესაძლებლობები და გამოყოს სათანადო რესურსები ამ ღირებულებების მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მშვიდობიანობის დროს სახელმწიფო, ასევე, ვალდებულია მომზადებული შეხვდეს კრიზისულ, საგანგებო და საომარ ვითარებას, რათა, ამ მხრივ, მინიმალური დანაკარგებით დასძლიოს მათი მიმდინარეობა და შედეგები.

3. **ეროვნული თვითმყოფადობა**

ერის თვითმყოფადობა განისაზღვრება მისი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებითა და განვითარებით. სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალურად შეინარჩუნოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, საგამანათლებო რესურსები, რათა მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს შესაძლებლობა, თავისი წვლილი შეიტანონ მსოფლიო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში.

4. **თანასწორობა**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. სახელმწიფო ვალდებულია ერთნაირად უზრუნველყოს მათი დაცვა ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად მისი ეროვნული, რელიგიური, სექსუალური, იდეოლოგიური, ტერიტორიული, სოციალური და ა.შ. კუთვნილებისა.

5. **პასუხისმგებლობა**

მშვიდობიან პერიოდში, კრიზისული, საგანგებო და საომარი მდგომარეობისათვის მომზადება, ხოლო ამ მდგომარეობის დადგომისას და შემდეგ - მისი შედეგების შერბილებისა და აღმოფხვრისათვის ძალისხმევა წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს, ისე, მის ტერიტორიაზე მყოფი ყოველი მოქალაქის და

მოქალაქეობის არ მქონე პირის პასუხისმგებლობას. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეების, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების და უწყებების, სხვა სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინირება მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად.

ეს ღირებულებები წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფოს სამოქალაქო თავდაცვის ინტერესების, მიზნების და მათი მიღწევის, საფრთხეების და მათი აცილების გზების და მთლიანად სამოქალაქო თავდაცვის სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

სამოქალაქო თავდაცვა საერთო-სახელმწიფოებრივი სოციალურ და თავდაცვით ღონისძიებათა სისტემის შემადგენელი ნაწილია. იგი იგეგმება და ხორციელდება მშვიდობიანობის და ომიანობის დროს მოსახლეობის დასაცავად, ეკონომიკის ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, აგრეთვე სამაშველო-საავარიო და სხვა სახის გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად დაზიანების კერებში.[48]

ძალიან მნიშვნელოვანია სწორად ჩამოვაყალიბოთ ის ამოცანები, რომლებიც დღეს დგას სამოქალაქო თავდაცვის წინაშე. სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების ფორმირებას საფუძვლად დაედო ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციით

48 გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ., 2005წ. გვ. 403-414.

განსაზღვრული სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები, რომლებ-საც განეკუთვნება:

- შეტყობინება;
- ევაკუაცია;
- თავშესაფრით უზრუნველყოფა და მათი მოწყობა;
- შუქშენიღბვის ღონისძიებების განხორციელება;
- სამაშველო სამუშაოების ჩატარება;
- სამედიცინო მომსახურება, პირველადი სამედიცინო დახმა-რება და აგრეთვე სულიერი დახმარების აღმოჩენა;
- ხანძართან ბრძოლა;
- საშიში რაიონების აღმოჩენა და მათი აღნიშვნა;
- გაუსნებოვნება და სხვა ხასიათის დაცვითი ღონისძიებები;
- დროებითი საცხოვრებელი პირობების შექმნა და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა;
- უბედურების რაიონებში წესრიგის აღდგენა და დამყარება;
- საჭირო კომუნალური სამსახურების დროული აღდგენა;
- მიცვალებულთა დაკრძალვა;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შენარჩუნებისათ-ვის დახმარების აღმოჩენა;

- დამატებითი ღონისძიებების განხორციელება ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად, დაგეგმვის და ორგანიზაციის ჩათვლით.[49]

აღნიშნული კონვენციის და დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

I ჯგუფი - ამოცანები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენების შემთხვევაში მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფასთან. კერძოდ:

1. მშვიდობიან პერიოდში თავდაცვითი ნაგებობების ფონდის შექმნა, ხოლო მოწინააღმდეგის თავდასხმის უშუალო საფრთხის შემთხვევაში - მათში მოსახლეობის შეფარება;
2. მშვიდობიან პერიოდში დასახლებული პუნქტებიდან წინასწარ განსაზღვრული მოსახლეობის, მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების და პირუტყვის ევაკუაციის დაგეგმვა, ხოლო მოწინააღმდეგის თავდასხმის უშუალო საფრთხის შემთხვევაში - მისი ჩატარება;
3. მშვიდობიან პერიოდში მოსახლეობის ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენებისაგან დაცვის ხერხების, ასევე თავდასხმის

49 სსიპ დ. აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია სამხედრო შრომები, გორი, 2023წ #2 გვ.53

შედეგების ლიკვიდაციისას განსახორციელებელი ღონისძიებების აუცილებელი სწავლების ორგანიზება და ჩატარება;

4. მოწინააღმდეგის თავდასხმის შესახებ შეტყობინების და ინფორმირების სისტემის შექმნა.

II ჯგუფი - ამოცანები, რომლებიც განეკუთვნება ომიანობის პერიოდში ეკონომიკის ობიექტების მუშაობის მდგრადობის ამაღლებას. ამ ჯგუფის ამოცანები მოიცავს ორგანიზაციულ და საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც ეკონომიკის ობიექტებზე წინასწარ, მშვიდობიანობის პერიოდში ხორციელდება. მათი მიზანია, საგანგებო სიტუაციების პირობებში გამოუშვან პროდუქცია დაგეგმილი მოცულობით და ნომენკლატურით.

III ჯგუფი - ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია მოწინააღმდეგის თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციასთან. კერძოდ:

1. სამოქალაქო თავდაცვის ძალების წინასწარ შექმნა, მომზადება და მუდმივ მზადყოფნაში ყოლა;

2. დაზიანების კერებში სამაშველო-საავარიო სამუშაოების ორგანიზება და ჩატარება;

3. დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა, მათი სასიცოცხლო უზრუნველყოფა;

4. სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოქმნილ ხანძრებთან ბრძოლა;
5. სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარალებულ რაიონებში მართლწესრიგის აღდგენა და შენარჩუნება;
6. სამხედრო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა დაკრძალვა.

ზოგადად რომ ჩამოვაყალიბოთ, სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს წარმოადგენს სამხედრო ზემოქმედების შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მოსახლეობის, მისი საცხოვრებლის და სამუშაო ადგილის, სასიცოცხლო უზრუნველყოფის და სამოქალაქო მართვის მნიშვნელოვანი სტრუქტურების, ობიექტების და ნაგებობების, ასევე კულტურული ფასეულობების არასამხედრო ხერხებით დაცვა.

2.2. სამოქალაქო თავდაცვის სისტემა ევროპის ქვეყნებში

ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში სამოქალაქო თავდაცვა/დაცვა მიღებულია, როგორც ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის მიზანია ომიანობის ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს (სტიქიური უბედურება, ტექნოგენური კატასტროფები, ეპიდემიები და სხვა) სახელმწიფო მართვის ფუნქციების შენარჩუნება, მოსახლეობის და სამოქალაქო ინფრასტრ-

უქტურის დაცვა, სამხედრო მოქმედებების დროს მოწინააღმ-
დეგის შეიარაღებული ზემოქმედების შედეგების ლიკვიდაცია.

,,ცივი ომის“ პერიოდში არსებული სამოქალაქო თავდაც-
ვის სისტემის ამოცანების ძირითადმა ნაწილმა, რომლის შეს-
რულებაც ევალებოდა ევროპის ქვეყნების შეიარაღებულ ძა-
ლებს, შემდგომში განიცადა ორგანიზაციული და ფუნქციური
ცვლილებები, რის შემდეგაც ნაწილობრივ გადავიდა სხვა სამი-
ნისტროების და უწყებების დაქვემდებარებაში.

თანამედროვე პირობებში სამოქალაქო თავდაცვის საქმი-
ანობის აქცენტები გადავიდა ომიანობის პერიოდში მოსახლე-
ობის დაცვის უზრუნველყოფიდან მშვიდობიანი პერიოდის
პრობლემების გადაჭრაზე. ეს გამოიწვია ბუნებრივი და ტექნო-
გენური კატასტროფების რაოდენობის ზრდამ,
განსაკუთრებით იმ ობიექტებზე, რომლებიც ტექნოლოგიურ
ციკლში იყენებენ რადიოაქტიურ და საშიშ ქიმიურ
ნივთიერებებს.

ამავდროულად, ბევრ სახელმწიფოში შემცირდა ომიანო-
ბის პერიოდში გამოსაყენებელი სამოქალქო თავდაცვის ძალე-
ბი და საშუალებები, ასევე პრაქტიკულად შეწყდა დამცავი ნა-
გებობების მშენებლობა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. ამ-
ასთან გაიზარდა ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტების
რაოდენობა მხოფლიოს ყველა რეგიონში, რამაც გამოიწვია ად-

ამიანთა მსხვერპლის ზრდა. ამან აიძულა დასავლეთის სახელ-მწიფოები გაეუმჯობესებინათ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მექანიზმები და მოეძიებინათ დამატებითი შესაძლებ-ლობები უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების და აღ-მოფხვრის მიზნით.

ნატო-ს და ევროკავშირს შორის უფლებამოსილების განა-წილების შესახებ საგანგებო სიტუაციების სფეროში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ევროკავშირმა აიღო ვალდებულება შექმნას ისეთი შესაძლებლობები, რომელიც მოსახლეობას და-იცავს ისეთი ბუნებრივი თუ ტექნოგენური ხასიათის კატას-ტროფებისგან, რომლის აღმოსაფხვრელად არ არის საჭირო მა-ღალტექნოლოგიური საშუალებების ფართომასშტაბიანი გამო-ყენება.

ამავდროულად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შეუნარ-ჩუნდა შემდეგი ფუნქციები: მოსახლეობის და სამოქალაქო ინ-ფრასტრუქტურის სამხედრო ზემოქმედებისგან დაცვის უზ-რუნველყოფა, საძიებო-სამაშველო ოპერაციებში დახმარება, ჰუმანიტარული ოპერაციებისთვის სატრანსპორტო და საინ-ჟინრო საშუალებების გამოყოფა. მათი განხორციელება ევალე-ბა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ეროვნულ სამინისტროებს.

ნატო-ში სამოქალქო თავდაცვის საკითხები წყდება სა-მოქალქო საგანგებო დაგეგმარების ფარგლებში და

წარმოადგენს ალიანსის სამოქალქო რესურსების გამოყენების კოალიციური გეგმების ნაწილს. ამასთან ძირითადი ყურადღება ეთმობა დაზარალებული მოსახლეობის საგანგებო სიტუაციების შედეგებისგან დაცვას.

მონაწილე ქვეყნების სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის სისტემა მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს: სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის კომიტეტს, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება ნატო-ს საბჭოს; ტექნიკური დაგეგმვის რვა საბჭოს და კომიტეტს; სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის შტაბს, რომელიც მხარს უჭერს ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობას; სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო ევროატლანტიკურ სააკორდინაციო ცენტრს.

სამოქალქო საგანგებო დაგეგმვის კომიტეტის მთავარი სამუშაო ორგანოა საგანგებო დაგეგმვისა და სწავლების სექცია, რომელიც ფუნქციონირებს ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილის ხელმძღვანელობით. იგი წყვეტს შემდეგ საკითხებს:

- კორდინაციას უწევს და ხელმძღავნელობს ნატო-ს ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის მშვიდობიანი პერიოდიდან საომარ მდგომარეობაში გადაყვანის საკითხებს;

- ალიანსის თავდაცვისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით განსაზღვრავს სამოქალაქო რესურსების ეფექტური გამოყენების ზომებს;
- სამოქალქო საგანგებო დაგეგმვის კომიტეტს, ასევე ტექნიკური დაგეგმარების საბჭოებს და ქვეკომიტეტებს მხარს უჭერს კრიზისების მართვის დროს გეგმების შემუშავებაში შემდეგ სფეროებში: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სამოქალაქო ტელეკომუნიკაცია, სურსათი, სამედიცინო მომსახურება, სამოქალაქო თავდაცვა;
- შეიმუშავებს სტიქიურ უბედურებებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის სტრატეგიას, რომელიც კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ძალისხმევას დაზარალებული ქვეყნებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის საქმეში.

ევროკავშირის ანტიკრიზისულ სტრუქტურებს წამყვანი როლი უკავით სამოქალქო თავდაცვის პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში სამოქალაქო თავდაცვის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა არ არსებობს. სამოქალქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელება ევალება ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების“ ორგანოებს, რომლებიც იყენებენ სამოქალაქო სტრუქ-

ტურების შესაძლებლობებს, რათა თავიდან აიცილონ და ლიკ-ვიდაცია გაუკეთონ საგანგებო სიტუაციების შედეგებს მშვი-დობიან და ომიანობის პერიოდში. გარდა ამისა, ასეთ ღონისძი-ებებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ეროვნული შეიარაღე-ბული ძალების სპეციალიზებულმა ფორმირებებმა, ხოლო ჰუ-მანიტარული პრობლემების გადაჭრაში შეიძლება ჩაერთონ გა-ერო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი ქვედანაყოფები.

სამოქალაქო თავდაცვის ყველა პრაქტიკული საქმიანობა რეგულირდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დოკუ-მენტების პაკეტით, რომელიც მიღებულია ევროკომისიის და ევროკავშირის საბჭოს მიერ. ამ სამუშაოს ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია კრიზისების მართვის სტრუქტურაში ევრო-კავშირის საბჭოს მიერ დამტკიცებული სამოქალაქო თავდაც-ვის კონცეფცია. ამ დოკუმენტების შესაბამისად, განსაზღვრუ-ლია ევროკავშირის ქვეყნების სამოქალაქო თავდაცვის ძირითა-დი ამოცანები:

- მოსახლეობის სწავლება სამხედრო, ბუნებრივი და ტექნოგე-ნური საფრთხეებისგან დასაცავად;
- მოსახლეობის შეტყობინება შესაძლო საფრთხეების შესახებ და მათი ევაკუაცია უსაფრთხო რაიონებში;

- თავშესაფრებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა;
- ობიექტების შენიღბვის და შუქშენიღბვის ღონისძიებების ჩატარება;
- ხანძართან ბრძოლა;
- საავარიო-სამაშველო ოპერაციების ორგანიზება;
- რადიოაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული ადგილების გამოვლენა და აღნიშვნა;
- მოსახლეობის, ტექნიკის, შენობა-ნაგებობების, ასევე დასნებოვნებული ტერიტორიების ადგილების დეზაქტივაცია და გაუსნებოვნება;
- დაზარალებულ რაიონებში წესრიგის აღდგენა და მისი შენარჩუნება;
- ეკონომიკის, სოციალური სფეროს და სხვა ობიექტების შესანარჩუნებლად ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

სამოქალაქო თავდაცვის კონცეფცია ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა ევროპული სტრუქტურების ძალისხმევის კოორდინაციას და ყველა დაინტერესებული ევროპული სახელმწიფოს შესაძლებლობების გაერთიანებას, რათა დაეხმაროს

მოსახლეობას სამხედრო, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების დროს.

2001 წელს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საგანგებო სიტუაციების პრევენციის და ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების მექანიზმის შექმნის შესახებ. ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მოცემული მექანიზმი მოიცავს:

- სამოქალაქო საგანგებო დაგეგმარების მმართველი ორგანოების სისტემას;
- მშვიდობიან და ომიანობის პერიოდში საგანგებო სიტუაციებზე მორეაგირე ფორმირებების სტრუქტურას;
- სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტის ინტერესებში ძალებისა და საშუალებების კომპლექსური ჩართვის პროცედურებს;
- პერიოდულად ხდება ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმის ფუნქციონირების მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების გადახედვა.

ამჟამად ევროკომისია და ევროსაბჭო ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჩარჩოებში.

ევროკომისიის უფლებამოსილება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისას მოიცავს:

1. საჭიროების შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი ან რამდენიმე მცირე მასშტაბის კატასტროფის შედეგების აღმოსაფხვრელად დამატებითი ნაციონალური საშუალებების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, უპირველეს ყოვლისა ეს ეხება საინჟინრო აღჭურვილობით, ტრანსპორტით, მატერიალურ-ტექნიკური და კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფას.
2. ჰუმანიტარული ოპერაციების ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხების რეგულირებას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებზე პასუხიმგებლობის დაკისრებას. სტიქიის ადგილზე ეროვნული სამოქალაქო ანტიკრიზისული დანაყოფებისა და საჭირო მოწყობილობების ავიაციის დახმარებით მოწოდების ორგანიზებას. ქვეყანაში ასეთი შესაძლებლობების არარსებობის, ან ამგვარი ავიაგადაზიდვების არარენტაბელურობის შემთხვევაში ევროკომისიას აქვს უფლებამოსილება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ამ მიზნებისთვის თვითმფრინავების დაქირავების საკითხი.
3. არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო სისტემებზე დაყრდნობით კატასტროფების ადრეული გაფრთხილების ევროპული სისტემის განვითარებას, ამისთვის გათვალისწინებულია ურთიერთობის დონის უწყვეტი ამაღლება ოპერატიული კონტროლის, სიტუაციის შეფასების, გაფრთხილების,

კრიზისებზე რეაგირების სამსახურებს შორის ერთიანი საინ-ფორმაციო-საკონტროლო ქსელების განვითარების გზით.

სამოქალაქო თავდაცვის მმართველი ორგანოების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროკავშირის ერთიან საგარეო პოლიტიკურ სამსახურს, რომელშიც შედის ევროკავშირის სამოქალაქო ოპერაციების დაგეგმვის და სამოქალაქო ოპერაციების და მისიების წარმართვის ცენტრი, ასევე ევროკავშირის სამხედრო შტაბი.

ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმის მმართველი ორგანოების მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ ევროპული სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სამსახურების თანამშრომლობა მსხვილმასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების დროს, რომლებიც საჭიროებენ სწრაფ რეაგირებას ტრანსსასაზღვრო და საერთაშორისო დონეზე.

სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის ორგანოები ეხმარებიან სხვადასხვა ტიპის კატასტროფებით დაზარალებულ ქვეყნებს, მათგან დახმარების შესახებ ოფიციალური მოთხოვნის მიღების შემდეგ.

ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმის განკარგულებაშია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საჭირო ძალები და საშუალებები, რომლებიც მიზნად ისახავენ მოსახლეობის, გარემოს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების,

საჯარო და კერძო საკუთრების შენარჩუნებასა და მათ გადარჩენას.

სამოქალაქო თავდაცვის ძალების და საშუალებების ეფექტური მომზადებისთვის, მობილიზებისათვის, ასევე საგანგებო სიტუაციებიზე რეაგირებისთვის 2013 წელს შეიქმნა ევროკავშირის სამოქალქო ოპერაციებისა და მისიების დაგეგმვის და წარმართვის ცენტრი. ეს არის სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის სისტემის ოპერატიული მორიგე სამსახური, რომელიც მუშაობს 24 საათის განმავლობაში და არის კოორდინაციის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას ევროკავშირის მთელ სამოქალქო თავდაცვის სისტემაზე.

სამოქალაქო ოპერაციების და მისიების ცენტრი ოპერატიულ კავშირშია ყველა იმ სახელმწიფოსა და საერთაშორისო ასოციაციების საგანგებო სამსახურების შტაბებთან (ოპერატიულ ცენტრებთან), რომლებიც შეუერთდნენ ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმს და წყვეტს შემდეგ ამოცანებს:

- აგროვებს, ამუშავებს და ავრცელებს ოპერატიულ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების შესახებ;
- აგზავნის ევროკავშირის სამუშაო ჯგუფებს კატასტროფის ზონაში, რომლებიც მუშაობენ გაერო-ს ექსპერტებთან და საერთაშორისო საველე კოორდინაციის ცენტრთან ერთად;

- აჯამებს და პარტნიორებს აწვდის ინფორმაციას დაზარალებული სახელმწიფოების საჭიროებებზე და პირველადი ჰუმანიტარული დახმარების ღონისძიებების შესახებ.

ეს სამსახური აქტიურად თანამშრომლობს გაერო-ს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის სამდივნოსთან, ასევე სტიქიურ უბედურებებზე და კატასტროფებზე ნატო-ს ევროატლანტიკური რეაგირების საკოორდინაციო ცენტრთან.

სამოქალაქო ოპერაციების და მისიების ცენტრისთვის დაკისრებული ამოცანების გაფართოებასთან დაკავშირებით გაიზარდა ოპერატიული და მორიგე ცვლების თანამშრომელთა რაოდენობა (2-3 ადამიანი ჩვეულებრივ რეჟიმში და 12 ადამიანამდე საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში), რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა სამი დიდი ეროვნული ტრანსსასაზღვრო ან საერთაშორისო გადაუდებელი შემთხვევის ერთდროულად მხარდაჭერა. ცენტრი აღჭურვილია უახლესი საკომუნიკაციო სისტემებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერუილი ტექნიკით, ინფორმაციის ვიზუალიზაციის და ჩვენების საშუალებებით, ასევე ვიდეო კონფერენციების და სესიების ჩასატარებელი ტერმინალებით.

დღეისათვის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნულ სისტემებში ფუნქციონირებენ მრავალრიცხოვანი სამოქალაქო თავდაცვის სტრუქტურები, რომლებიც მოიცავენ მარ-

თვის ორგანოებს, მოსახლეობის დაცვის ძალებს და საშუალებებს. როგორც წესი, მათ შემადგენლობაში შედიან: მართვის პუნქტები, კავშირგაბმულობის და შეტყობინების სიტემები, რადიაციული დაზვერვისა და დოზიმეტრული კონტროლის საშუალებები, დამცავი ნაგებობების კომპლექსები, სურსათის და ნედლეულის მარაგები, სამოქალაქო თავდაცვის საშტატო და ნებაყოფლობითი ძალები და საშუალებები.

ევროპის უმეტეს ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის საქმიანობის საერთო მართვა ევალებათ შინაგან საქმეთა სამინისტროებს, მათთთან შექმნილი საგანგებო სიტუაციების სამოქალაქო დაგეგმვის (ან სამოქალაქო ოპერაციების) სამმართველოების მეშვეობით.

სამოქალქო თავდაცვის ორგანოები, ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე, წყვეტენ ამოცანებს, რომლებიც უკავშირდება დამუშავების, კოორდინაციის და ორგანიზების შემდეგ ძირითად საკითხებს:

- სამაშველო სამუშაოების ჩატარება, დაჭრილთა ევაკუაცია, გადაუდებელი დახმარების გაწევა;
- საცხოვრებელი ადგილის გარეშე დარჩენილი პირების მიღება და განთავსება;

- რადიაქტიური, ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვის, ასევე წარმოებასა და ტარანსპორტზე ავარიის შედეგად წარმოქმნილი ხანძრების პრევენცია და აღკვეთა;
- ხანძრის ჩაქრობა (ტყის ხანძრების ჩათვლით);
- სტიქიური უბედურებების, უბედური შემთხვევების და კატასტროფების შედეგების აღმოფხვრა (მათ შორის დეგაზაცია და დეზაქტივიზაცია, ნავთობპროდუქტებისა და ქიმიურად საშიში ნივთიერებებისგან წყლის ზედაპირის გაწმენდა);
- სამოქალქო თავდაცვის ფორმირებების მომზადება;
- შეტყობინების, რადიაციული დაზვერვის და დოზიმეტრული კონტროლის სისტემების ექსპლუატაცია და მოდერნიზაცია;
- ხელმძღვანელი პირების და სამოქალაქო თავდაცვის სპეციალისტების მომზადება;
- მოსახლეობის მომზადება სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში;
- სამოქალქო თავდაცვის სამსახურების და ფორმირებების მომარაგება საჭირო ტექნიკური საშუალებებით;
- სამეცნიერო კვლევების ჩატარება სამოქალაქო თავდაცვის პრობლემებზე და სხვა.

ევროპის ქვეყნების ტერიტორიები იყოფა სამოქალქო თავდაცვის ოლქებად, ზონებად, რაიონებად და განყოფილებებად. გერმანიაში არის 15 ოლქი, საფრანგეთში - 6 ზონა, იტალიაში - 12, დიდი ბრიტანეთში - 11 ოლქი და 18 რაიონი, ნორვეგიაში - 4 ოლქი, დანიაში - 7, უნგრეთში - 20, პოლონოთში - 45, ჩეხეთში - 86 რაიონია. ყველა მსხვილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნში ჩამოყალიბებულია საკუთარი სამოქალაქო თავდაცვის შტაბები.

ევროპის ქვეყნებში სამოქალქო თავდაცვის ძალები მოიცავენ ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი სტრუქტურების დაქვემდებარების ფორმირებებს და თვითდაცვის ქვედანაყოფებს.

რიგ სახელმწიფოში ცენტრალური დაქვემდებარების ფორმირებებს განეკუთვნებიან სხვადასხვა შემადგენლობისა და დანიშნულების სამოქალაქო თავდაცვის რაზმები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა შევიდნენ სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიულ ფორმირებებში. ამ რაზმების მთავარი მიზანია კრიზისულ რაიონებში სიტუაციის კონტროლი, დაზვერვა და გაფრთხილება თანამედროვე განადგურების იარაღის გამოყენების საფრთხის შესახებ, საავარიო-სამაშველო ოპერაციების ჩატარება, ასევე ადგილზე ოპერატიული დახმარების გაწევა. ამ ფორმირებების განსაკუთრებულობა არის მათი მრა-

ვალმიზნობრიობა და სხვადასხვა დანიშნულების დანაყოფების არსებობა. ასეთი დანაყოფებია: საავარიო-სამაშველო, აღდგენითი, ხერგილების და ნანგრევების გამწმენდი, პირველადი სამედიცინო დახმარების გამწევი, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა. ისინი აგრეთვე მომზადებულნი და ტექნიკურად აღჭურვილნი არიან იმისათვის, რომ შეასრულონ სალიკვიდაციო სამუშაოები ატომურ ელექტროსადგურებში და სხვა ობიექტებზე, რომლებიც მოიხმარენ ან აწარმოებენ ბირთვულ და ქიმიურ კომპონენტებს.

ყოველდღიურობაში სამოქალქო თავდაცვის რაზმების პერსონალის რაოდენობა შემცირებულია და დაკომპლექტებულია ხელმძღვანელი პირებით და ინსტრუქტორებით. უმეტეს ქვეყანაში მათ აქვთ მუდმივი დისლოკაციის ადგილები, რომლებიც განგაშის დროს ამავდროულად არიან შეკრების ადგილები, აგრეთვე სამოქალქო თავდაცვის ფორმირებების მოსამზადებელი და სასწავლო ცენტრები.

საგანგებო სიტუაციებში ამ რაზმების გამოყენება იგეგმება დიდ ქალაქებსა და ცენტრებში. მათი დაკომპლექტება ხდება ნებაყოფლობით, შესაბამის სპეციალისტებთან ხელშეკრულებების გაფორმებით და ასევე ადგილობრივი მოსახლეობიდან მოხალისეების მოწვევით.

რეგიონულ ფორმირებებს განეკუთვნება საგანგებო და სამოქალაქო თავდაცვის სხვადასხვა სამსახურების რაზმები, რომლებიც იქმნება უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ქალაქებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში. ცენტრალური დაქვემდებარების ფორმირებებისგან განსხვავებით, ისინი შეიძლება ჩართულნი იყვნენ კონკრეტულ ობიექტებზე დისლოკაციის ადგილების მიხედვით.

ადგილობრივი ქვედანაყოფებს აქვთ მრავალფუნქციური დანიშნულება და იქმნებიან ყველა ქალაქსა, თუ დასახლებულ პუნქტში. როგორც წესი, თვითდაცვის დანაყოფები იქმნება სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი ფორმირებების გასაძლიერებლად. სამოქალაქო თავდაცვის ეს ფორმირებები ზოგადად არათანაბარია. მათი სტრუქტურა, რიცხოვნება და დანიშნულება დამოკიდებულია ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებზე და არსებულ სამოქალქო თავდაცვის სისტემაზე. სამოქალაქო თავდაცვის არსებული სისტემები ყველაზე განვითარებულია დიდი ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში. ხოლო უნგრეთს, საბერძნეთს, ესპანეთს და პორტუგალიას ჰყავთ ნაკლებად მნიშვნელოვანი სამოქალაქო თავდაცვის ქვედანაყოფები. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მშვიდობიან პერიოდში, ბუნებრივი კატასტროფების და სამრეწველო საწარმოებში უბედური შემთხვევების აღმოფხვრისას სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ყვე-

ლაზე მომზადებული სტრუქტურა არის ხანძარსაწინააღმდეგო დანაყოფები.

სამოქალაქო თავდაცვის ძალები და საშუალებები შესაბამის მიმართულებებზე გაერთიანებულია ეგრეთ წოდებულ მოდულებად - სამაშველო, სარემონტო-აღდგენითი, სამედიცინო-სანიტარული, საავიაციო და ა.შ.

ერთი ასეთი მოდული შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე საძიებო-სამაშველო ფორმირებას, რომლებიც გაძლიერებულია ერთი ან რამდენიმე ქვეყნიდან გამოყოფილი თვითმფრინავებით.

ნატო-ს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების და მათი პარტნიორების მონაწილეობა ასეთ გაერთიანებაში, ასევე ძალების და საშუალებების გამოყოფა სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის ეროვნული სამსახურებიდან, არის ნებაყოფლობითი.

საბოლოო გადაწყვეტილებას ამ ფორმირებების სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე განლაგების შესახებ ყოველთვის იღებს ეროვნული მთავრობა.

ევროკავშირის უმეტესი ქვეყნების ოპერატიული გეგმები მშვიდობიანი პერიოდიდან ომიანობის პერიოდში გადასვლისას ითვალისწინებს საომარი პერიოდის სამოქალაქო ორგანოების ფორმირებას, რომლებიც კოორდინაციას უწევენ სამოქალა-

ქო სექტორის საქმიანობას ეროვნული შეიარაღებული ძალების ამოცანების გადაწყვეტის ინტერესებში.

ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც აპირებენ ამ ორგანოებში მუშაობას, მშვიდობიან პერიოდში გადიან სპეციალურ მომზადებას და ჩართულნი არიან სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ჩატარებაში.

თანამედროვე და მათ შორის ბირთვული ომის პირობებში მოსახლეობის დაცვა და გადარჩენა რჩება ევროპის ქვეყნების სამოქალაქო თავდაცვის ერთ-ერთ მთვარ დეკლარირებულ ამოცანად. მისი გადაწყვეტა ხდება დამცავი ნაგებობების გამოყენებით, ასევე მოსახლეობის ევაკუაციით.

მოქმედი კანონების შესაბამისად, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის დამცავი ნაგებობების სისტემის განვითარება უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით: ახალი თავშესაფრების და საფრების მშენებლობა; დაკონსერვებული თავშესაფრების რეკონსტრუქცია და დამატებით აღჭურვა; არსებული და მშენებარე შენობების სარდაფებში თავშესაფრების მოწყობა.

ამასთან, ბოლო დროს, ახალი დამცავი ნაგებობების მშენებლობა შეჩერდა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების დაბალი ალბათობის გამო. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი თავშესაფრების რეკონსტრუქციასა და დამატებით აღ-

ჭურვაზე მუშაობა გრძელდება გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში.

დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფო ითვალისწინებს მიწისქვეშა და ნახევრად მიწისქვეშა ორმაგი დანიშნულების ნაგებობების გამოყენებას თავშესაფრებისთვის (ავტოსადგომები, საწყობები, სპორტული დარბაზები, კაფეები და ა.შ.), რომლებიც მშვიდობიანობის დროს გამოიყენება დანიშნულებისამებრ, ხოლო საგანგებო ვითარების დროს შესაძლებელია მათი მოკლე ვადებში გადაკეთება მოსახლეობის თავის შესაფარებლად. ამავდროულად ამის განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფო სუბსიდიებზე და კერძო მესაკუთრეთა დოტაციებზე.

მოსახლეობის ევაკუაციის როლსა და მნიშვნელობას, ასევე ევაკუაციის დაგეგმვის და ორგანიზების ღონისძიებებს ევროპის ქვეყნებში განსაზღვრავენ ტერიტორიების სიდიდით, მოსახლეობის მდებარეობით და მათი სიმჭიდროვით, საგზაო ქსელის და სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობით და სხვა ფაქტორებით.

ცენტრალური ევროპის რიგი ქვეყნების მცირე ფართობი, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე და ბევრი სამრეწველო საწარმოები მნიშვნელოვნად ართულებს ევაკუირებულების განთავსების ადგილების შერჩევას, ასევე მოსახლეობის ევაკუა-

ციის ორგანიზებას და ჩატარებას. მიუხედავად ამისა, ყველა გეგმავს მოსახლეობის ევაკუაციას იმ ტერიტორიებიდან, სადაც მოსალოდნელია საომარი მოქმედებები.

კრიზისულ სიტუაციებში კონტინენტზე შესაძლოა წარმოიშვას დევნილების უკონტროლო ნაკადი, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს ჯარების გადაადგილებას. ამიტომ რიგი სახელმწიფოების მთავრობები გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებიც ამცირებენ და არეგულირებს დევნილების ნაკადს, იღებენ ზომებს მათთვის საჭირო დახმარების გასაწევად. კერძოდ, ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე დევნილების მიღებასა და განთავსებაზე. სამოქალქო თავდაცვის დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეტყობინებასა და კავშირგაბმულობის ორგანიზებას.

ეროვნული შეტყობინების სისტემების ძირითადი ამოცანებია:

- მოსახლეობის გაფრთხილება საჰაერო თავდასხმის საფრთხის შესახებ;
- საჰაერო თავდასხმის შედეგების შესახებ მონაცემების შეგროვება;
- ქვეყნის სამოქალაქო ხელისუფლების, ასევე მეზობელი სახელმწიფოების საჰაერო თავდასხმის შედეგების შესახებ მონაცემებით უზრუნველყოფა.

ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმის ფარგლებში ხორციელდება სატელეფონო (ფიჭური, ფიქსირებული და სატელიტური) კომუნიკაციებით, ელ-ფოსტით, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების საერთო საკოორდინაციო და საინფორმაციო სისტემის მეშვეობით. ის წარმოადგენს უსაფრთხო ვებ-პორტალს (ხელმისაწვდომია მხოლოდ ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურისთვის), რომელიც გამოიყენება შეტყობინებისთვის, მობილიზაციისთვის, დახმარების თხოვნის მისაღებად, განვითარებული სიტუაციის მოხსენებისთვის და ა.შ. ეს ინფორმაცია მიეწოდება რეალურ დროის რეჟიმში. გარდა ამისა, სისტემის პორტალი შეიცავს სამოქალაქო თავდაცვის მოდულების მუდმივ განახლებად მონაცემთა ბაზას, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს საგანგებო სიტუაციებზე საერთაშორისო რეაგირებაში.

სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურები, როგორც წესი, განლაგებულია მიწისქვეშა ნაგებობებში, რომლებიც მდებარეობს დიდი ქალაქების და სხვა შესაძლო ბირთვული დარტყმის ობიექტების გარეთ.

შეტყობინების პუნქტები და პოსტები, როგორც წესი, განლაგებულია 24 საათიანი სამუშაო რეჟიმის მქონე სახელმწიფო დაწესებულებებში (პოლიცია, სახანძრო, ადგილობრივი რადიოსადგურები, კავშირგაბმულობის ცენტრები და ა.შ.).

უმეტეს ქვეყნებში ელექტრონული და პნევმატური მოქმედების ხმოვანი შეტყობინება (სირენა) ძირითადად გამოიყენება როგორც გარე გაფრთხილების ხმოვანი საშუალება. შენობაში მყოფი მოსახლეობის გასაფრთხილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტელევიზია, რადიო, მობილური ტელეფონები და ინტერნეტი. დასავლელი სპეციალისტების შეფასებით ყველაზე ეფექტური გამაფრთხილებელი სისტემა აქვთ დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, დანიაში, ნიდერლანდებსა და ბელგიაში.

მოსახლეობის თანამედროვე განადგურების იარაღისგან დაცვის ღონისძიებების სისტემაში დიდი ყურადრება ექცევა რადიაციული და დოზიმეტრული მონიტორინგის სამსახურის შექმნას და განვითარებას. სამოქალაქო თავდაცვის ფარგლებში ამ სერვისის ორგანიზების აუცილებლობა ნაკარნახევია რადიოაქტიური ნარჩენებით დიდი ტერიტორიების დაბინძურების შესაძლებლობით არა მხოლოდ ბირთვული ომის დროს, არამედ მშვიდობიან პერიოდშიც რადიოაქტიური მასალების მქონე საწარმოებში და ატომურ ელექტროსადგურებზე ავარიების შემთხვევაში.

ბევრ ქვეყანაში რადიაციული დაზვერვა და დოზიმეტრული კონტროლი მოიცავს სახმელეთო ფიქსირებული და მოძრავი პოსტების ქსელებს, აგრეთვე საჰაერო რადიაციული

დაზვერვის საშუალებებს. დიდ ბრიტანეთში არსებობს რკინა-ბეტონის ტიპის მიწისქვეშა სტაციონარული (ფიქსირებული) სადამკვირვებლო პუნქტების ქსელი, რომელიც განლაგებულია მთელ ქვეყანაში ერთმანეთისგან 40 კმ-ის დაშორებით (სულ 870 პოსტი).

ევროპის ქვეყნებში დიდი ყურადრება ეთმობა სამრეწველო საწარმოებში სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზებას.

საყოველთაოდ მიღებულია რეკომენდაციები სპეციალური დამცავი დანაყოფების შექმნის შესახებ ყველა საწარმოში, სადაც დასაქმებულია სულ ცოტა 30 ადამიანი, მაგრამ მათ უმეტესობაში რეკომენდაციები არ სრულდება, ამას ასრულებენ მხოლოდ მსხვილი კერძო კომპანიის მფლობელები.

მშვიდობიან პერიოდში საწრამოებში შექმნილია სამოქალაქო თავდაცვის შემდეგი ფორმირებები: რადიაციული დაზვერვის და დოზიმეტრული კონტროლის, შეტყობინების, ხანძარსაწინაღმდეგო, საავარიო-სამაშველო და პირველადი სამედიცინო დახმარების. ევროკომისიის მოთხოვნით ისეთ საწარმოში, სადაც 500-ზე მეტი ადამიანია, ომიანობის დროს დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 8-10% უნდა იყოს სამოქალაქო თავდაცვის თანამშრომელი, ხოლო მშვიდობიან პერიოდში 2-3%. მსხვილ საწარმოებში და ქარხნებში რეკომენდირებულია

სამოქალაქო თავდაცვის სტრუქტურების ცალკეული ნაწილების და ქვედანაყოფების შექმნა.

მოსახლეობის თანამედროვე განადგურების იარაღისგან დაცვის ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ყურადრება ეთმობა სამედიცინო მომსახურებას, რომელიც მოიცავს:

- სამედიცინო-სანიტარული სამსახურების და ფორმირებების, მედიკამენტების და სამედიცინო აღჭურვილობის მარაგების შექმნას;
- სამედიცინო დახმარების პუნქტების, დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაციის, ასევე საველე ჰოსპიტლების და დამატებითი სამედიცინო დაწესებულებების გაშლას;
- ბირთვული დარტყმის შემდეგ სამაშველო ოპერაციების განხორციელებას, დაზარალებულებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, მათ დახარისხებას და საავადმყოფოებში ევაკუაციას;
- დაზარალებულთა და ავადმყოფთა შემდგომ მკურნალობას, მათ ევაკუაციას ისეთ ადგილებში, რომლებიც თანამედროვე განადგურების იარაღით არ დაზიანებულან;
- ეპიდემიის გავრცელების პრევენციას და მათ ლოკალიზებას.

ევროპის უმეტეს ქვეყნებში საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში სამედიცინო დახმარება ორგანიზებულია ჯანდაც-

ვის ორგანოების მიერ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ამ ღონისძიებებს შეიარაღებული ძალების სამედიცინო და სანიტარული სამსახურები ახორციელებენ. ეს უკანასკნელი იქმნება ჯანდაცვის საჯარო და კერძო დაწესებულებების და ორგანოების ბაზაზე. სამედიცინო-სანიტარული სამსახურები მოიცავენ: მართვის ორგანოებს, სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებს (ჰოსპიტალები და საავადმყოფოები, გადაუდებელი დახმარების პუნქტები) და მოძრავ ფორმირებებს (საგანგებო მდგომარეობის დროს, მასში შედიან სამედიცინო-სანიტარული რაზმები, სანიტარული ტრანსპორტის კოლონები, სამედიცინო დანაყოფები, პირველადი სამედიცინო დახმარების ჯგუფები, დაჭრილების დახარისხების და ევაკუაციის პუნქტები).

ომიანობის პერიოდში ქვეყნების უმრავლესობა ითვალისწინებს და ნაწილობრივ ახორციელებს დამატებით საავადმყოფოების და ჰოსპიტლების გაშლის ღონისძიებებს, ასევე მიმდინარეობს არსებული ჯანდაცვის ობიექტების გაფართოება. გარადა ამისა, იქმნება მედიკამენტების და სამედიცინო აღჭურვილობის მარაგები.

დასავლეთის ქვეყანები სამოქალაქო თავდაცის კადრების მომზადებას ახორციელებენ სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ხელმძღვანელი შემადგენლობის მომზადება მიმდინარეობს: გერმანიაში - სამოქალაქო თავდაცვის აკადემი-

აში, საფრანგეთში, ბელგიაში, დანიაში, ნიდერლანდებში - სამოქალაქო თავდაცვის ეროვნულ და უმაღლეს სკოლებში, დიდ ბრიტანეთში - სამოქალაქო თავდაცვის კოლეჯში. ამ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამზადებენ სხვა კატეგორიის სპეციალისტებსაც. გასამხედროებული ფორმირებების პირადი შემადგენლობის, მობილური კოლონების, ასევე ადგილობრივი სამოქალაქო თავდაცვის ძალების წრთვნა და მომზადება მიმდინარეობს რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის სასწავლო ცენტრებში.

სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული ორგანოების თანამშრომლობა შეიარაღებულ ძალებთან, პირველ რიგში სახმელეთო ძალებთან, არის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. ასეთი თანამშრომლობა, რომელიც ორგანიზებულია ევროკავშირის სამოქალაქო ოპერაციების და მისიების დაგეგმვისა და წარმართვის ცენტრის მეშვეობით, ასევე ეროვნულ დონეზე, გათვალისწინებულია შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.

თანამედროვე პირობებში მოქმედებების კოორდინაციის აუცილებლობა განპირობებულია თანამედროვე განადგურების იარაღის გამოყენების შესაძლებლობების, სტიქიური უბედურებების და ტექნოგენური კატასტროფების მასშტაბის ზრდით, რაც მოითხოვს სამხედრო ნაწილების ჩართვას მათი შე-

დეგების ლიკვიდაციაში. თავის მხრივ, რიგ შემთხვევაში, შეიარაღებულ ძალებს ესაჭიროებათ სამოქალაქო თავდაცვის ორგანოების დახმარება. მათ თანამშრომლობას მშვიდობიან პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი კატასტროფების, დიდ სამრეწველო ობიექტებზე, განსაკუთრებით ენერგეტიკულ ობიექტებზე, ბირთვულ და ქიმიურ მრეწველობაში მომხდარი ავარიების ლიკვიდაციაში. გარდა ამისა, ასეთი თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე რადიაციული დაზვერვის და დოზიმეტრული კონტროლის, ლოგისტიკის ორგანიზებისა და კადრების მომზადებისას.

უახლოეს პერსპექტივაში სამოქალაქო თავდაცვის განვითარება გულისხმობს პირველ რიგში შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, თითოეული ქვეყნის ეროვნული მახასიათებლების და წარმოქმნილი საერთაშორისო სიტუაციების გათვალისწინებით.

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციული სტრუქტურა განვითარდება, თუ სამოქალაქო თავდაცვის ორგანოებს ადგილებზე მიეცემათ მეტი დამოუკიდებლობა, მათ მიერ ავტონომიური კონტროლის განხორციელების მიზნით, განსაკუთრე-

ბით დიდი ბუნებრივი კატასტროფების ან სამრეწველო ავარიების შემთხვევაში.

სამოქალაქო თავდაცვის ძალების და საშუალებების გამოყენების მიმართ წარმოქმნილი ახალი ტენდენციის გათვალისწინებით, რომ ისინი ძირითადად გამოიყენება მშვიდობიან პერიოდში, მათი რიცხოვნობა, რომელიც განკუთვნილია ომიანობის პერიოდში გამოსაყენებლად, იქნება შემცირებული, ამავდროულად გაძლიერდება მათი მატერიალური ბაზა, აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ამ ფორმირებების მომზადებისას დიდი ყურადღება დაეთმობა მათი გამოყენების პროცედურას სტიქიური უბედურებების, სამრეწველო ავარიებისა და კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციის პროცესში, მათ შორის ბირთვული და ქიმიური ნივთიერებების მქონე ობიექტებზე ავარიების ჩათვლით. გაუმჯობესდება სამოქალაქო თავდაცვის მართვის, შეტყობინების და კავშირგაბმულობის, რადიაციული დაზვერვის და დოზიმეტრული კონტროლის სისტემები, ავტომატური დამუშავების და მონაცემთა გადაცემის თანამედროვე საშუალებები. ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში დაინერგება ახალი ტიპის შეტყობინების უფრო ძლიერი, მობილური ელექტრო და პნევმატური სირენები.

შემდგომ განვითარებას მიიღებს სამოქალქო თავდაცვის ორგანოების ურთიერთქმედება შეიარაღებული ძალების ყვე-

ლა კომპონენტთან, პირველ რიგში სახმელეთო ძალებთან, მშვიდობიან და ომიანობის პერიოდის ამოცანების გადასაჭრელად ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერების მიმართულებით, რაც დახმარებას გაუწევს ხელისუფლების ორგანოებს ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების დროს.

2.3. საქართველოში თანამედროვე ეტაპზე სამოქალაქო თავდაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი მიმართულებები

2.3.1. სამოქალაქო თავდაცვის მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა

საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა არის საქართველოს უმაღლესი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სხვა იურიდიული პირებისა და სპეციალური უფლებამოსილი სტრუქტურების სისტემა, მათთან არსებული ძალებითა და საშუალებებით.[50]

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება და წარმართვა არის სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მისი

50 თ. შუბლაძე, საგანგებო სიტუაციების მართვა. თბ. 2009 წ. გვ.15

მნიშვნელოვანი ფუნქცია. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება ხდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპით. სახელწიფოს მომზადება სამოქალაქო თავდაცვის წარმართვისთვის ხდება წინასწარ, მშვიდობიანობის პერიოდ-ში. იგი ხორციელდება შეიარაღებული ბრძოლის საშუალებე-ბის და მოსახლეობის დაცვის საშუალებების სრულყოფის გათ-ვალისწინებით.

სამოქალაქო თავდაცვა საქართველოს მთელ ტერიტორი-აზე ან მის ნაწილზე წარიმართება სამოქალაქო თავდაცვის გეგ-მების შესაბამისად. მისი ამოქმედება იწყება ომის მდგომარეო-ბის გამოცხადების, სამხედრო მოქმედებების ფაქტიური დაწყე-ბის ან პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის შემოღების მომენტიდან, ასევე მსხვილმასშტაბიანი ბუნებრივი და ტექნო-გენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების წარმოქმნისას.

საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელო-ბას უნდა ახორციელებდეს ქვეყნის მინისტრთა კაბინეტი. ქვეყ-ნის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი უნდა იყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო მისი მოადგილე-შინაგან საქმეთა მინისტრი.

ავტონომიურ რესპუბლიკებში სამოქალაქო თავდაცვის უფროსი უნდა იყოს მთავრობის თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტების (რაიონების, ქალაქების) სამოქალაქო თავდაცვის უფროსი უნდა იყოს მერი (გამგებელი).

სამინისტროების, ორგანიზაციების (ობიექტების) სამოქალაქო თავდაცვის უფროსი უნდა იყოს მინისტრი, ორგანიზაციის (ობიექტის) ხელმძღვანელი.

სამოქალაქო თავდაცვის უფროსები სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელობას ახორციელებენ სამოქალაქო თავდაცვის შესაბამისი მართვის ორგანოების მეშვეობით და აქვთ პერსონალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების დაგეგმვასა და შესრულებაზე შესაბამის ტერიტორიაზე, დარგში და ორგანიზაციაში.

ომიანობის პერიოდში სამოქალაქო თავდაცვის მართვის ორგანოებს წარმოადგენen სამოქალაქო თავდაცვის შტაბები, რომლებიც უნდა იქმნებოდეს მშვიდობიანობის პერიოდში არსებული სტრუქტურული ერთეულების ბაზაზე. კერძოდ:

ა) საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის შტაბი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბაზაზე - შტაბის უფროსი იქნება სამსახურის დირექტორი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბი - საგანგებო სიტუაციების მათავარი სამმართველოს ბაზაზე - შტაბის უფროსი იქნება მთავარი სამმართველოს უფროსი;

გ) მუნიციპალიტეტის (რაიონის, ქალაქის) სამოქალაქო თავდაცვის შტაბი - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის განყოფილების ბაზაზე - შტაბის უფროსი იქნება განყოფილების უფროსი;

დ) სამინისტროს სამოქალაქო თავდაცვის შტაბი - საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის ბაზაზე - შტაბის უფროსი იქნება მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე;

ე) ორგანიზაციის (ობიექტის) სამოქალაქო თავდაცვის შტაბი - საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფის ბაზაზე - შტაბის უფროსი იქნება ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოადგილე.

ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საქართველოს უმაღლესი, ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება, იურიდიული პირების და მოსახლეობის უფლებების და მოვალეობების განსაზღვრა და მკაფიოდ გამიჯვნა.

საქრთველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. პრემიერ-მინისტრი, როგორც მთავრობის მეთაური არის ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი.

საქართველოს მთავრობა:

ა) უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში;

ბ) ამტკიცებს და მოქმედებაში შეჰყავს ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის გეგმა;

გ) გამოსცემს ნორმატიულ აქტებს და ორგანიზებას უკეთებს კანონპროექტების შემუშავებას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში;

დ) ახორციელებს სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების და წარმართვის ხელმძღვანელობას;

ე) განსაზღვრავს სამოქალაქო თავდაცვის ქონების ჩამონათვალს, ამ ქონებით სამოქალაქო თავდაცვის მართვის ორგანოების და ძალების აღჭურვის წესს;

ვ) განსაზღვრავს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების წესს, ასევე მოსახლეობის მიერ საომარი მოქმედებებისას წარმოქმნილი საფრთხეებისგან დაცვის ხერხების სწავლების თანმიმდევრობას;

ზ) განსაზღვრავს თავშესაფრების და სამოქალაქო თავდაცვის სხვა ობიექტების მშენებლობის და შენახვის წესს, სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელებისთვის მატერიალური რესურსების მოცულობას, ასევე ქვეყნის მომავალი საბი-

უჯეტო წლის ფორმირებისას ამ ღონისძებების განხორციელებისთვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებათა ოდენობას;

თ) უზრუნველყოფს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების შესრულებისთვის მატერიალური რეზერვების შექმნას და შენახვას;

ი) განსაზღვრავს ტერიტორიების სამოქალაქო თავდაცვის შესაბამის ჯგუფებს, აგრეთვე ობიექტების (ორგანიზაციების) შესაბამისი კატეგორიების მიკუთვნების წესს;

კ) ამტკიცებს სახელმწიფო ორგანოების და სხვა ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა იყვნენ გადაყვანილნი ომიანობის პერიოდში მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე;

ლ) ორგანიზებას უკეთებს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას და მათი შესრულების უზრუნველყოფას;

მ) იღებს გადაწყვეტილებას და განსაზღვრავს მოსახლეობის, მატერიალური და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების უსაფრთხო რაიონებში ევაკუაციის წესს;

ნ) ორგანიზებას უწევს საომარი მოქმედებების დროს ადამიანთა მასობრივი დაღუპვის შემთხვევაში გარდაცვლილთა დაკრძალვას;

ო) ორგანიზებას უწევს დაზიანების თანამედროვე საშუალებების ზემოქმედების და მსხვილმასშტაბიანი საგანგებო სიტუა-

ციების რაიონებში საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას;

პ) ორგანიზებას უწევს საომარი მოქმედებების პერიოდში ეკონომიკის დარგების მდგრადი ფუნქციონირების მიზნით ორგანიზაციული და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დაგეგმვას;

ჟ) ორგანიზებას უწევს სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად ღონისძიებების ერთობლივ შესრულებას;

რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური არის სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სახელმწიფო მართვის რესპუბლიკური ორგანო. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იგი:

ა) რეალიზებას უკეთებს სამოქალქო თავდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას;

ბ) ამუშავებს ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის გეგმის პროექტს;

გ) ახორციელებს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ნორმატიული და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებას, ასევე ამ სფეროში სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებული ანალოგიური აქტების შეთანხმებას;

დ) ახორციელებს სამოქალაქო თავდაცვის შეტყობინების სიგ-ნალების შემუშავებას, მიღებას და დაყვანას მოსახლეობამდე, სახელმწიფო ორგანოებამდე და სხვა ორგანიზაციებამდე;

ე) კოორდინირებას უკეთებს სახელმწიფო მართვის ორგანოე-ბის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ორ-განიზაციების მუშაობას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში, ასე-ვე ამ სფეროში მათი საქმიანობის შემოწმებას;

ვ) კოორდინირებას უწევს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუ-შაოების ჩატარებას, მონაწილეობს მათ ჩატარებაში;

ზ) ახორციელებს სამოქალქო თავდაცვის მართვის ორგანოების ხელმძღვანელი პირების და ძალების მომზადებას და გადამზა-დებას;

თ) ორგანიზებას უწევს საომარი მოქმედებების წარმოების შე-დეგად წარმოქმნილი საფრთხეებისაგან მოსახლეობის დაცვის ხერხების სწავლებას;

ი) ორგანიზებას უკეთებს სამოქალქო თავდაცვის სასწავლო ბა-ზის შექმნას და სრულყოფას;

კ) აწვდის ინფორმაციას საქართველოს მთავრობას ქვეყანაში სა-მოქალაქო თავდაცვის მდგომარეობის შესახებ;

ლ) ხელმძღვანელობს სამოქალქო თავდაცვის ძალების მიერ ღონისძიებების ჩატარებას;

მ) მობილიზებას უკეთებს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ტერიტორიული, ადგილობრივი და საობიექტო რეზერვების გამოყენებას სამოქალაქო თავდაცვის ინტერესების გათვალისწინებით;

ნ) ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა:

ა) იღებს ნორმატიულ აქტებს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში, დაჰყავს მათი მოთხოვნები მის ტერიტორიაზე განლაგებულ სამსახურებამდე და ორგანიზაციებამდე, აკონტროლებს მათ შესრულებას;

ბ) ამუშავებს და რეალიზებას უკეთებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს;

გ) ორგანიზებას უკეთებს სამოქალაქო თვადაცვის ღონისძიებების ჩატარებას, სამოქალაქო თავდაცვის ძალების და საშუალებების შექმნას და მომზადებას;

დ) იღებს შესაბამის ზომებს, რომლებიც მიმართულია იმ ობიექტების შენარჩუნებაზე, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებისთვის და მოსახლეობის გადარჩენისთვის ომიანობის პერიოდში;

ე) ორგანიზებას უკეთებს სამოქალაქო თავდაცვის კუთხით მოსახლეობის მომზადებას და სწავლებას;

ვ) ქმნის და უზრუნველყოფს სამოქალაქო თავდაცვის მართვის ტექნიკური სისტემების, მოსახლეობის შეტყობინების სისტემების, დაცვითი ნაგებობების და სამოქალაქო თავდაცვის სხვა ობიექტების მუდმივ მზადყოფნას ომიანობის პერიოდში;

ზ) გეგმავს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ფასეულობების უსაფრთხო რაიონებში ევაკუაციას, მათ განთავსებას, დაზარალებული მოსახლეობის პირველადი უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სამკურნალო და სხვა დაწესებულებების გაშლას;

თ) ქმნის და ინახავს სამოქალაქო თავდაცვის მიზნებისთვის მატერიალურ-ტექნიკური, სასურსათო, სამედიცინო და სხვა საშუალებების მარაგებს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შესაბამის ტერიტორიაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ადგენენ და რეალიზებას უკეთებენ შესაბამისი დონის სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს;

ბ) უზრუნველყოფენ სამოქალაქო თავდაცვის ძალების შექმნას, მათ აღჭურვას და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ჩატარებისათვის მზადყოფნას;

გ) ორგანიზებას უკეთებენ და უზრუნველყოფენ სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების მშენებლობას, აღრიცხვას, შენახვას და ექსპლუატაციას;

დ) ქმნიან და მზადყოფნაში ინარჩუნებენ სამოქალაქო თავდაცვის შეტყობინების, კავშირგაბმულობის და მართვის ტექნიკურ სისტემებს;

ე) იყენებენ მატერიალური რესურსების ადგილობრივ რეზერვებს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით;

ვ) ორგანიზებას უკეთებენ მოსახლეობის სწავლებას საომარი მოქმედებების წარმოების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეებისგან დაცვის სფეროში;

ზ) ახორციელებენ სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსებას ქვეყნაში არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) უზრუნველყოფენ მოსახლეობის დაცვით ნაგებობებში შეფარების, მოსახლეობის, მატერიალური და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების ევაკუაციის ღონისძიებების ჩატარებას;

ი) ორგანიზებას უკეთებენ და ახორციელებენ საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენით სამუშაოებს;

კ) ახორციელებენ ომის წარმოების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის წყლით, კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას, ასევე უწევენ სამედიცინო დახმარებას და ატარებენ სხვა აუცილებელ ზომებს;

ლ) იღებენ ზომებს საომარი მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი საფრთხის რაიონებში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისთვის;

მ) ორგანიზებას უკეთებენ და უზრუნველყოფენ მის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების, კომუნიკაციების და მოსახლეობის ცხოველქმედების ობიქტების მდგრად ფუნქციონირებას;

ნ) ორგანიზებას უწევენ მუნიციპალიტეტის საზღვრებში სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობას;

ო) ორგანიზებას უწევენ საომარი მოქმედებების დროს ადამიანთა მასობრივი დაღუპვის შემთხვევაში გარდაცვლილთა დაკრძალვას;

პ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

ორგანიზაციები (ობიექტები) სამოქალაქო თავდაცვის სფეროში:

ა) ადგენენ და რეალიზებას უკეთებენ სამოქალაქო თავდაცვის საობიექტო გეგმებს;

ბ) ქმნიან სამოქალაქო თავდაცვის მართვის ორგანოებს და ძალებს, უზრუნველყოფენ მათ მზადყოფნას;

გ) აფინანსებენ სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) ორგანიზებას უწევენ და ახორციელებენ თანამშრომლების სწავლებას საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საფრთხეებიდან დაცვის სფეროში;

ე) ქმნიან და მზადყოფნაში ინარჩუნებენ შეტყობინების ლოკალურ სისტემებს და სამოქალაქო თავდაცვის სხვა ობიექტებს;

ვ) ორგანიზებას უკეთებენ და ახორციელებენ შუქშენიღბვის, თანამშრომლების დაცვით ნაგებობებში შეფარების ღონისძიებებს;

ზ) ორგანიზებას უწევენ და ატარებენ საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენით სამუშაოებს;

თ) იყენებენ მატერიალური რესურსების საობიექტო რეზერვებს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ჩასატარებლად;

ი) ატარებენ ომიანობის პერიოდში ობიექტის ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების ღონისძიებებს;

კ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალის-წინებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს მოქალაქეებს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში აქვთ უფლებები:

ა) საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საფრთხეების-გან სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების დაცვის;

ბ) საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საფრთხეების შესახებ სრული, სანდო და დროული ინფორმაციის მიღების;

გ) სამოქალაქო თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით სა-ხელმწიფო ორგანოებში და სხვა ორგანიზაციებში მიმართვის.

საქართველოს მოქალაქეები სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საქართველოს კა-ნონმდებლობა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაია-რონ მომზადება საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საფრთხეებისგან დაცვის ხერხების შესასწავლად;

გ) გაუწიონ დახმარება ადგილობრივ ხელისუფლებას საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების პროცესში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადაგენილი წესით მიი-ღონ მონაწილეობა სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებში.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ფორმირებაზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 13 ოქტომბერს მიღებული №1931-II ს დადგენილების შესაბამისად, ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის, 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმის I პროტოკოლით გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, მშვიდობიან და ომიანობის პერიოდის საგანგებო სიტუაციების შედეგების შერბილების, თავიდან აცილებისა და ოპერატიული რეაგირებისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას მუდმივმოქმედი საგანგებო შტაბი (შემდგომში - მსშ), რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია სქემა #1-ზე.

მსშ-ის უფროსის მოვალეობის შესრულება უნდა დაევალოთ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომლებიც სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების სრულფასოვნად შესასრულებლად ქმნიან თავიანთ მართვის ორგანოებს. ხოლო მსშ-ის მოადგილის მოვალეობა დაეკისრება მერის პირველ მოადგილეს.

მსშ მშვიდობიან პერიოდში უნდა დაკავდეს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების დაგეგმვით და წინასწარ გასატარე-

ბელი (პრევენციული) ამოცანების შესრულების კონტროლით. მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციების და საომარი მოქმედების დროს, ნაწილობრივ ან სრული მასშტაბით მოჰ-ყავთ მოქმედებაში სამოქალაქო თავდაცვის გეგმები და კოორ-დინაციას უწევენ სამაშველო ოპერაციებში ჩართული ყველა ძალის მართვას, როგორც ამას ითვალისწინებს ჟენევის 2000 წლის 22 მაისის სამოქალაქო თავდაცვის სფეროში დახმარების აღმოჩენის ჩარჩო ხელშეკრულება.



სქემა 3 მუდმივმოქმედი საგანგებო შტაბის სტრუქტურა.

ყოველდღიური საქმიანობიდან საგანგებო ვითარებასა და საომარ პერიოდში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ორგა-ნიზებულად გადასვლის მიზნით, მუნიციპალიტეტის მსშ-ის დაქვემდებარებაში უნდა შეიქმნას სექციები, რომელთა საქმია-ნობის მიმართულებებს განსაზღვრავენ სამოქალაქო თავდაც-ვის ამოცანები. სექციას ხელმძღვანელობს მსშ-ის უფროსის გა-დაწყვეტილებით დანიშნული პირი.

სექციების რაოდენობის, მათი აღჭურვილობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის საკითხი წყდება მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო ვითარებისა და საომარი მოქმედებებისთვის წინასწარ გაწერილ საპროგნოზო მასალებზე დაყრდნობით, რომელთა კორექტირება ხდება უშუალოდ აღსრულების ეტაპზე.

მსშ-ის სექციების ფორმირება უნდა მოხდეს მერიის შესაბამისი სამსახურების (განყოფილებების) ბაზაზე. ყოველ სექციაში ფუნქციით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე პასუხს აგებს მასზე მიმაგრებული შესაბამისი განყოფილების უფროსი. ხოლო, პერსონალის მიწერა მოხდება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით. ძალების მომზადება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება მიმდინარეობს ყოველდღიური საქმიანობის პერიოდში, შესაბამის პროგრამაში გაწერილი თემატიკის მიხედვით. მუნიციპალიტეტში, კრიზისებზე რეაგირებისათვის განისაზღვრება მართვის ვერტიკალი და იქმნება მართვის სისტემა. გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა ხორციელდება წინასწარ დადგენილი მეთოდოლოგიისა და შემუშავებული გეგმების მიხედვით.

შტაბის უფროსისა და მის დაქვემდებარებაში შემავალი სექციების ფუნქციებია:

1. **შტაბის უფროსი:**

- პასუხს აგებს:
  - ✓ დასახული ამოცანის დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
  - ✓ შტაბის მზადყოფნაზე;
  - ✓ მართვის სისტემის გამართულობაზე;
  - ✓ პირადი შემადგენლობის მიერ თავიანთი ფუნქციონალური მოვალეობის ცოდნასა და მის შეფასებაზე;
  - ✓ შტაბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე;
  - ✓ პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე;
  - ✓ საგანგებო შტაბის სამოქმედო გეგმის შედგენაზე და მის რეალიზაციაზე;
- მართავს და ხელმძღვანელობს შტაბის მუშაობას;
- შტაბის მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს;
- იძლევა დავალებებსა და განკარგულებებს;
- აკონტროლებს დაქვემდებარებული პერსონალის:
  - ✓ ამოცანის შესრულებას;
  - ✓ პირადი მონაცემების ბაზის შექმნას და მის განახლებას;

- ✓ გამოძახებისა და შეკრების სქემების შედგენასა და მათ განახლებას;
- ხელმძღვანელობს:
  - ✓ წლის სამუშაო(სამოქმედო) გეგმის შედგენას;
  - ✓ შტაბის სამუშაო და ანგარიშგების ფორმალიზებული დოკუმენტების შექმნას და მათ წარმოებას;
  - ✓ წინასწარ განსაზღვრული თემატიკის მიხედვით პირადი შემადგენლობის მომზადებას;
- ადგენს შტაბის უფროსის მოადგილისა და სექციების ხელმძღვანელების ფუნქციონალურ მოვალეობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო თავდაცვის უფროსს;
- ხელშეკრულებებს აფორმებს შესაბამის ორგანიზაციებთან (კერძო პირებთან);

2. შტაბის უფროსის მოადგილე:

- ხელმძღვანელობს კრიზისებზე მორიაგირე მუნიციპალური ძალების მომზადებას;
- ორგანიზებას უკეთებს სექციებს შორის კოორდინირებულ და სინქრონიზირებულ მუშაობას;
- მოთხოვნისამებრ, განსაზღვრული მიმართულებით მართავს პროცესებს;

- შტაბის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას;

3. **სექციის უფროსი:**

- პასუხს აგებს:
  - ✓ სექციაზე განსაზღვრული ამოცანის დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
  - ✓ სექციის სამუშაო და ანგარიშგების ფორმალიზებული დოკუმენტების შექმნაზე;
  - ✓ განსაზღვრული ფუნქციის შესრულების მზადყოფნაზე;
  - ✓ შტაბის უფროსისთვის ინფორმაციის დროულ მიწოდებაზე;
  - ✓ დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის მიერ ფუნქციონალური მოვალეობის ცოდნაზე და მის შეფასებაზე;
  - ✓ სექციაზე მიწერილი აღჭურვილობის გამართულობაზე;
- **პირადად ადგენს:**
  - ✓ წლის სამუშაო გეგმას;
  - ✓ სექციების პირადი შემადგენლობის ფუნქციონალურ მოვალეობებს და დასამტკიცებლად გადასცემს შტაბის უფროსს;
  - ✓ დაქვემდებარებული შემადგენლობის გამოძახებისა და შეკრების სქემებს და განაახლებს მათ;
- უზრუნველყოფს:

- ✓ ყოველდღიური საქმიანობის ეტაპიდან, საგანგებო ვითარებისა და საომარ პირობებში გადასასვლელად გასატარებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმების შემუშავებას;
- ✓ ფორმალიზებული დოკუმენტების ბაზის შექმნას;
- ✓ მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, შტაბში მის დროულ წარდგენას;

- მონაწილეობს დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის მომზადებაში;
- განაახლებს დაქვემდებარებული პერსონალის პირად მონაცემებს;
- ხელმძღვანელობს ზემდგომ ორგანოებში წარსადგენად საანგარიშო მოხსენებების მომზადებას.

4. **ოპერატიული სექცია** ითვლება მუნიციპალიტეტის მსშ-ის წამყვან რგოლად. ის ყალიბდება მუნიციპალიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ბაზაზე და კომპლექტდება 3 - 5 პერსონალით, რომელიც:

- შეისწავლის და აანალიზებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ საგარაუდო საგანგებო სიტუაციებს და აკეთებს პროგნოზს მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

- აანალიზებს მოსალოდნელ რისკებს, აფასებს მათ და შეიმუშავებს ინდიკატორებს;
- განსაზღვრავს საჭირო ძალებსა და საშუალებებს;
- შეისწავლის მუნიციპალიტეტში არსებულ რესურსს და მათი დეფიციტის შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მოთხოვნას;
- შეიმუშავებს საფრთხის განვითარების ვარიანტების შესაბამისად რეაგირების გეგმებს;
- ვითარების შესაბამისად აზუსტებს სამოქმედო გეგმას და ამზადებს შესაბამის განკარგულებებს;
- გეგმავს და აკონტროლებს სამაშველო საქმიანობაში დახმარების სახით ჩართული სპეცტექნიკისა და პირადი შემადგენლობის განაწილებასა და გამოყენების პროცესს;
- ქმნის მონაცემთა ბაზას ძალებისა და საშუალებების შესახებ;
- უზრუნველყოფს ძალებისა და საშუალებების განაწილებას;
- ახორციელებს კრიზისულ სიტუაციებში ჩართული პირადი შემადგენლობის მართვას და აფასებს მის მოქმედებას;
- ორგანიზებას უკეთებს ქვედანაყოფებს შორის მოქმედებებს;
- კონტროლს უწევს:
  - ✓ მშვიდობიანი პერიოდის პრევენციული ღონისძიებების გატარების მსვლელობას და მიღებული შედეგების ამსახველ მოხსენებას წარუდგენს შტაბის უფროსს;
  - ✓ მიმდინარე ოპერაციებს;

- ამზადებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამაშველო და სხვა სახის სამუშაოებში ჩართული ძალების მიერ ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს;
- ორგანიზებას უკეთებს ეროვნული სისტემის სუბიექტებთან, მხარდამჭერ და მომიჯნავე მუნიციპალიტეტებთან მუდმივ კოორდინაციას;
- შტაბის უფროსს უმზადებს შესაბამის წინადადებებსა და რეკომენდაციებს;
- ვითარების შესახებ აგროვებს ინფორმაციას და საჭიროებისამებრ მართვის ვერტიკალში ავრცელებს მას;
- სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულებისას, როგორც ყოველდღიური საქმიანობის პერიოდში, ასევე განსაკუთრებულ რეჟიმში, მოქმედებს შექმნილი ვითარების შესაბამისად და ასრულებს მსშ-ის უფროსის ცალკულ დავალებებს, რომლებიც არ იზღუდება ზემოთ განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობებით;

5. **კავშირგაბმულობის, შეტყობინების და ინფორმაციის სექცია** ყალიბდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის ბაზაზე. ის კომპლექტდება 2 - 3 პერსონალით, რომელიც:

- კავშირით უზრუნველყოფს მსშ-ის მართვის ორგანოებსა და დაქვემდებარებულ დანაყოფებს;

- მართვის სისტემაში ქმნის ინფორმაციის გაცვლის არხებს და აღსრულების ეტაპზე მონაწილეობს მასში;
- მონაწილეობს:
  - ✓ მართვის პუნქტების ლოკაციების განსაზღვრასა და მათი განლაგების დაგეგმვაში;
  - ✓ შეტყობინების სისტემის ფორმირებაში;
  - ✓ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობისა და შტაბის პირადი შემადგენლობის ინფორმირებაში;
- ხელმძღვანელობს კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დაგეგმვას და კონტროლს უწევს მის განხორციელებას;
- უზრუნველყოფს მასმედიის საშუალებებთან მუდმივ კომუნიკაციას;
- ამოცანის შესაბამისად ამზადებს კავშირგაბმულობის საშუალებებს და ახორციელებს ინფორმაციის დროულ მიღება-გადაცემას;
- შტაბის უფროსს რეკომენდაციებს აძლევს კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენებაზე;
- ამზადებს საანგარიშო მოხსენებებს კავშირგაბმულობის სისტემის მუშაობის შესახებ, სამოქალაქო თავდაცვის სისტემის

მზადყოფნის სხვადასხვა ეტაპზე გადაყვანის გათვალისწინებით;

6. **მოსახლობის დაცვის სექცია** ყალიბდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის, განათლებისა და კულტურის განყოფილებების ბაზაზე. ის კომპლექტდება 3-6 პერსონალით, რომელიც:

   ა) საინჟინრო დაცვის ჯგუფი:

- აღწერს მოსახლეობის მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში (საჰაერო, სარაკეტო, საარტილერიო თავდასხმა და სხვა), თავის შეფარების ობიექტებს (თავშესაფრები, მეტროპოლიტენი, მიწისქვეშა გადასასვლელები, სატრანსპორტო გვირაბები, შენობების ნულოვანი და მინუს სართულები, სარდაფები და სხვა);
- ადგენს ამ ობიექტების (მ.შ. ორმაგი დანიშნულების) მოცულობასა და საინჟინრო-ტექნიკურ მდგომარეობას;
- ანაწილებს მოსახლეობას ობიექტების მიხედვით;
- განსაზღვრავს ობიექტების გამოყენების წესს;
- აკონტროლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საშიში ობიექტების და სახიფათო ზონაში მცხოვრები მოსახლეობის შეტყობინების სისტემის გამართულობას და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მდგომარეობას;

- ორგანიზებას უკეთებს, საგანგებო ვითარების რაიონებში მოსახლეობის ქცევის წესების სამახსოვროების (ბუკლეტ-ების) დამზადებას და მათ გავრცელებას;
- ამზადებს საანგარიშო მოხსენებებს გაწეული სამუშაოს შე-სახებ;

  ბ) მოსახლეობის ევაკუაციის ჯგუფი:
- ევაკუაციის ფორმების (ფეხით, სხვადასხვა ტრანსპორტით) განსაზღვრის მიზნით აღწერს მოსახლეობას კატეგორიების მიხედვით;
- განსაზღვრავს მოსახლეობის თავშეყრის ადგილებს;
- შეარჩევს მოსახლეობის ტრანსპორტით ევაკუაციისათვის შეკრების ადგილებს;
- ადგენს ტრანსპორტის მომწოდებელ ორგანიზაციებს (კერძო პირებს) და შეიმუშავებს მოწოდების გრაფიკს;
- განსაზღვრავს ფეხით და ტრანსპორტით ევაკუაციის მარშ-რუტებს;
- მუდმივად ფლობს ინფორმაციას საევაკუაციო მარშრუტე-ბის მდგომარეობის შესახებ;
- აყალიბებს საევაკუაციო პუნქტების საორგანიზაციო ჯგუ-ფებს;

- ორგანიზებას უკეთებს ევაკუირებული მოსახლეობის უსაფრთხო რაიონებში დაბინავებას და მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას;
- ამზადებს ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს;

  გ) ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების გატანის ჯგუფი:
- განსაზღვრავს:
  - ✓ მუნიციპალიტეტში არსებული ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების შენახვის ადგილებს;
  - ✓ ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების რაოდენობას (მოცულობას), შენახვის ფორმას, შენახვის ადგილს (სართულს) და მდგომარეობას;
  - ✓ მტვირთავთა ბრიგადების გამომგზავნ დაწესებულებებს, რაოდენობას და მათ რიცხოვნობას;
  - ✓ საავტომობილო ტრანსპორტის რაოდენობას და იმ დაწესებებულებებს საიდანაც იგზავნება ეს საშუალებები;
  - ✓ განსაზღვრავს უსაფრთხო ზონას, სადაც გადააქვთ ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობები;
  - ✓ ამზადებს ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს;

  დ) პირუტყვის გადაყვანა/გადარეკვის ჯგუფი:

- განსაზღვრავს:
  - ✓ მუნიციპალიტეტში (მ.შ. კერძო სექტორში) არსებული პირუტყვის სახეობას, ადგილმდებარაობასა და რაოდენობას;
  - ✓ პირუტყვის თავმოყრის ადგილებს;
  - ✓ პირუტყვის გადაყვანის/გადარეკვის მარშრუტებს;
  - ✓ პირუტყვის გადასაყვანად ტრანსპორტის რაოდენობასა და მათი მოწოდების ობიექტებს;
  - ✓ პირუტყვის იძულებითი დაკვლის რაოდენობას;
- შეარჩევს პირუტყვის გადარეკვისთვის პერსონალს;
- ორგანიზებას უკეთებს ევაკუირებული პირუტყვის უსაფრთხო რაიონში გადაყვანას და ყოველმხრივ უზრუნველყოფას;
- აგროვებს ინფორმაციას უსაფრთხო ზონებში გაყვანილი პირუტყვის შესახებ და ამზადებს ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს;

7. სამედიცინო მომსახურების სექცია ყალიბდება მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბაზაზე. ის კომპლექტდება 3 - 4 პერსონალით, რომელიც:

- ახორციელებს:

- ✓ სამედიცინო უზღუნველყოფისა და მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას;
- ✓ ვეტერინალური მომსახურების ღონისძიებების დაგეგ-მვას და ორგანიზებას;
- ✓ სამედიცინო და ვეტერინალური მომსახურების ძალები-სა და საშუალებების მზადყოფნაში მოყვანის ორგანიზე-ბას;

- ორგანიზებას უკეთებს:
  - ✓ ეპიდემიების გაჩენისა და გავრცელების შესახებ შეტყო-ბინებას;
  - ✓ მიმდინარე პროცესების მონიტორინგს;
- გეგმავს სამედიცინო დახმარებისა და ეპიდემიის საწინააღმ-დეგო ღონისძიებებს;
- მოსახლეობას დროულად აწვდის ინფორმაციას ეპიდემიის შესახებ და ავრცელებს ეპიდემიის კერებში ქცევის წესებს;
- განსაზღვრავს:
  - ✓ სასწრაფო დახმარების ბრიგადების რაოდენობასა და მა-თი შევსების გზებს;
  - ✓ სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობებს, სპეცი-ალიზაციისა და მოცულობების (გამტარუნარიანობის) გა-თვალისწინებით;

- ✓ მედიკამენტებით უზრუნველყოფის გზებს;
- ✓ დაღუპული მოსახლეობის (პირუტყვის) დაკრძალვის (დამარხვის) ადგილებს;

- ხელმძღვანელობს მოსახლეობის (პირუტყვის) დაკრძალვის (დამარხვის) პროცესებს;
- მოთხოვნისამებრ შლის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მობილურ პუნქტებს;
- ქმნის მონაცემთა ბაზას მუნიციპალიტეტში სამედიცინო და ვეტერინალური მიმართულებით არსებული რესურსების შესახებ;
- ამზადებს ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს;

8. **კომუნალური მომსახურების სექცია** ყალიბდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ბაზაზე. ის კომპლექტდება 2 - 3 პერსონალით, რომელიც:

- უზრუნველყოფს კომუნალური მომსახურების ძალების მზადყოფნას:
- შეიმუშავებს გაზმომარაგების, ელექტრომომარაგების და წყალ-კანალიზაციის ქსელებზე საავარიო-აღდგენითი სამუშაოების სამოქმედო გეგმებს;

- გაზმომარაგების, ელექტრომომარაგების და წყალ-კანალიზაციის ქსელების სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ორგანიზებას უკეთებს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
- განსაზღვრავს:
  - ✓ კომუნიკაციებიდან გამომდინარე რისკებს;
  - ✓ საჭირო რესურსებს;
- აკონტროლებს გაზმომარაგების, ელექტრომომარაგების და წყალ-კანალიზაციის ქსელებისთვის საჭირო მობილური საშუალებების მომზადებას;
- ორგანიზებას უკეთებს:
  - ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომუნალური ქსელების (გაზის, ელექტრო და წყალმომარაგების) გაყვანილობის სრული სქემების შედგენას;
  - ✓ კომუნალური სამსახურის ძალებისათვის მატერიალური საშუალებების მოზიდვას;
  - ✓ ავტონომიური კვების წყაროს დანადგარების მოზიდვას და მოთხოვნისამებრ მათ განაწილებას;
  - ✓ მიმდინარე პროცესების მონიტორინგს;
- ამზადებს ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს;

9. **მატერიალური უზრუნველყოფის სექცია** ყალიბდება მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილების ბაზაზე. ის კომპლექტდება 3 - 5 პერსონალით, რომელიც:

- უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების შემუშავებას;
- განსაზღვრავს:
  - ✓ საგანგებო სიტუაციების შედეგების პროგნოზის საფუძველზე საავარიო-სამაშველო და შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული ტექნიკის და აგრეგატების საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველსაყოფად საჭირო მოცულობებს;
  - ✓ დაზარალებული მოსახლეობის საკვები პროდუქტებითა და პირველი აუცილებლობის ნივთებით მომარაგების მოცულობებს;
  - ✓ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დროებითი თავშესაფრით (კარვებით) უზრუნველყოფის საკითხებს;
- ორგანიზებას უკეთებს:
  - ✓ კვების პროდუქტებისა და აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგნების მოზიდვასა და შემდგომ დაზარალებულ მოსახლეობაზე მიწოდებას;
  - ✓ მუნიციპალური ძალების მიერ მოთხოვნილი საშუალებების მოზიდვას;

- ✓ მუნიციპალური ძალების კვებას;
- ქმნის მონაცემთა ბაზას მუნიციპალიტეტში მოთხოვნადი მატერიალური საშუალებების არსებული რესურსის შესახებ;
- მონაწილეობას ღებულობს დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გამოგზავნილი დახმარების განაწილებაში;
- ამზადებს ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს;

10. სატრანსპორტო და ტექნიკური უზრუნველყოფის სექცია

ყალიბდება მუნიციპალიტეტში არსებული სატრანსპორტო კომპანიის ბაზაზე. ის კომპლექტდება 2 - 3 პერსონალით, რომელიც:

- შეიმუშავებს საავტომობილო, საინჟინრო ტექნიკითა და აგრეგატებით უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმებს;
- განსაზღვრავს:
  - ✓ საგანგებო სიტუაციების შედეგების პროგნოზირების საფუძველზე საავარიო-სამაშველო და შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საავტომობილო და საინჟინრო ტექნიკის, აგრეგატების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების რაოდენობას;
  - ✓ საშუალებების ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში ალტერნატიულ (ჩანაცვლების) გზებს;

- ორგანიზებას უკეთებს:
  - ✓ სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო საავტომობილო, საინჟინრო ტექნიკითა და აგრეგატებით უზრუნველყოფას;
  - ✓ საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფას;
  - ✓ მწყობრიდან გამოსული ტექნიკისა და აგრეგატების შეკეთებისთვის საჭირო მასალების მოზიდვასა და სარემონტო პროცესებს;
- შეისწავლის აღნიშნული საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობას და ატარებს მონიტორინგს;
- აღნიშნული საშუალებების ნაკლებობის შემთხვევაში, დამატებით რაოდენობას მოითხოვს ზემდგომი ორგანოებიდან;
- ქმნის მონაცემთა ბაზას მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო, საინჟინრო ტექნიკისა და აგრეგატების შესახებ;
- ამზადებს ჩატარებული სამუშაოების საანგარიშო მოხსენებებს. სექციების რაოდენობა, დასახელება და შექმნის ბაზა მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება იყოს სხვადასხვა.

2.3.2. **სამარი მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი საფრთხეების შესახებ მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება** (სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები, I ჯგუფი, მე-4 ამოცანა)

ომიანობის პერიოდში მოსახლეობის დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია მისი ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, პრესით, სპეციალური ლიტერატურით, სარეკლამო პროდუქციით, თემატური გამოფენების, ჩვენებებისა და კონფერენციების მოწყობით და მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმებით, რომლებიც შეზღუდული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

ზოგადად სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი სიტუაციის შესახებ ინფორმირება უნდა მოიცავდეს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ან შესაძლო საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ეკოლოგიური ვითარების, აგრეთვე მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის და მათი უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ მონაცემებს.

ომიანობის პერიოდის საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის დაცვის მიზნით ხორციელდება საგანგებო სიტუ-

აციების შესახებ მოსახლეობის შეტყობინება - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოების მიერ, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობისათვის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის ან /და წარმოქმნის შესახებ შეტყობინების სიგნალების გადაცემა და გადაუდებელი ინფორმაციის მიწოდება.

აქედან გამომდინარე, მართვის ერთიანი სისტემის მოვალეობაა საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისათვის შეტყობინება და მისი ინფორმირება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ქმედებების თაობაზე. ამ მიზნით ქვეყანაში უნდა ფუნქციონირებდეს მოსახლეობის შეტყობინების ანუ ადრეული გაფრთხილების სისტემა - შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა დროული და გასაგები (მნიშვნელოვანი) გამაფრთხილებელი ინფორმაციის ჩამოსაყალიბებლად და გასავრცელებლად, რათა საფრთხის წინაშე მყოფ ცალკეულ პირებს, თემებსა და ორგანიზაციებს საშუალება მიეცეთ ადეკვატურად მოემზადონ და დაუყონებლივ იმოქმედონ პოტენციური ზიანისა და დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.

ადრეული გაფრთხილება არის მართვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ამავე დროს რისკების შემცირების ძირითადი ინსტრუმენტი.

მოსახლეობის დროული შეტყობინება და ინფორმირება იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც წარმოიშვება სამხედრო მოქმედებების წარმოების შედეგად ხორციელდება: სამოქალაქო თავდაცვის ცენტრალიზებული შეტყობინების სისტემის შექმნით, მუდმივი მზადყოფნით, მისი ორგანიზაციულ-ტექნიკური შეწყვილებით შეიარაღებული ძალების შეტყობინების სისტემასთან, ასევე დაკვირვების და ლაბორატორიული კონტროლის ქსელის პუნქტებთან; სხვადასხვა ტიპის (საუწყებო, საობიექტო და სხვა) მუდმივმოქმედი შეტყობინების ლოკალური სისტემების შექმნით; სამოქალაქო თავდაცვის ინტერესებისათვის საერთო-სახელმწიფოებრივი და უწყებრივი კავშირგაბმულობის სისტემების, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) და ინფორმაციის გადაცემის სხვა წყაროების პრიორიტეტული გამოყენების წესის შემოღებით და პრაქტიკული შემუშავებით.

მოსახლეობის შეტყობინებისა და ინფორმირების მიზნით ამოცანების გადასაჭრელად დადგენილი წესით შესაძლებელია ორგანიზაციების კუთვნილი მანათობელი და ხმოვანი

შეტყობინების მოწყობილობებით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

სირენების უწყვეტი ხმა სამი წუთის განმავლობაში შეესაბამება ზეპირ (სიტყვიერ) ინფორმაციას - ,,ყველას საყურადღებოდ!“ ამ სიგნალის შემდეგ, ადგილობრივი ტელე და რადიო მაუწყებლობის საშუალებით, დროის გარკვეული ინტერვალით, მოსახლეობას მიეწოდება ტექსტური ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მოხდა, სად მოხდა და როგორ უნდა იმოქმედონ.

სამოქალაქო თავდაცვის მართვის სისტემის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს მართვის პუნქტები (ძირითადი, სათადარიგო და მოძრავი). ისინი იქმნება სამოქალაქო თავდაცვის ყველა დონეზე და ყველა რგოლში. სამოქალაქო თავდაცვის მართვის პუნქტებს განეკუთვნება სპეციალურად მოწყობილი და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ნაგებობები, შენობები ან მათი კომპლექსები, ან სატრანსპორტო საშუალებები. მათი დანიშნულებაა განსაკუთრებულ პერიოდში მართვის ორგანოების განთავსება და მათი მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2.3.3. მოსახლეობის დაცვა

სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების I ჯგუფის პირველ ამოცანას განეკუთვნება მოსახლეობის საინჟინრო დაცვა, რაც

გულისხმობს მშვიდობიან პერიოდში თავდაცვითი ნაგებობების ფონდის შექმნას, რომლის ძირითად წყაროდ დღეს ჩვენს ქვეყანაში მიგვაჩნია ქალაქების მიწისქვეშა სივრცის კომპლექსური ათვისება, იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში იგი გამოყენებულ იქნება მოსახლეობის დაცვის მიზნით. კერძოდ:

- თავშესაფრები;
- ახლადმშენებარე სახლების და დიდი სავაჭრო ცენტრების ნულოვანი სართულები (აქ ძირითადად ავტოსადგომები და საკუჭნაოები კეთდება);
- არსებული სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების სარდაფები;
- მეტროპოლიტენი;
- გვირაბების, გამოქვაბულების, მიწისქვეშა გადასასვლელების და სხვა მიწისქვეშა სივრცეები.

ჩვენი ხედვით ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს განეკუთვნება:

- საცხოვრებელი სახლების და სხვა შენობა-ნაგებობების ნულოვანი სართულების დაპროექტებისას მათი ხალხის შესაფარებლად გამოყენების კუთხით გათვლა;
- არსებული სარდაფების ინვენტარიზაციის, დიაგნოსტიკის და კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება;

- მოსახლეობის შესაფარებლად მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგურების მზადყოფნის შემოწმება;
- მოსახლეობის დაცვის მიზნით მიწისქვეშა გადასასვლელების და სხვა მიწისქვეშა ნაგებობების გასაძლიერებლად კონსტრუქციების შემუშავება და დამზადება;
- მოსახლეობის შესაფარებლად გამოსადეგი ნაგებობის აღრიცხვა და მათი ტევადობის განსაზღვრა;
- ამ ობიექტებზე მოსახლეობის მიწერა;
- დამცავი ნაგებობების მდგრადობის განსაზღვრა;
- დამცავი ნაგებობების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პარამეტრების (განათება, სათადარიგო გასასვლელი, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა) შეფასება;
- და სხვა.

ჩვენ გვესმის, რომ ამ ღონისძიებების რეალიზებას სჭირდება დამატებითი ხარჯების გაწევა, მაგრამ თუ გვინდა, რომ ჩვენი მოსახლეობა იყოს დაცული, ეს აუცილებელია.

მოსახლეობის საინჟინრო დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს და გამოიცეს მთავრობის დადგენილება ,,ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების მიწისქვეშა სივრცის კომპლექსური გამოყენების შესახებ''.

I ჯგუფის მეორე ამოცანა ანუ მოსალოდნელი საფრთხის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია, გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიზნად ისახავს ამ ზონიდან მოსახლეობის უსაფრთხო ზონაში ორგანიზებულ გაყვანას.

მოსახლეობის გაყვანა შეიძლება განხორციელდეს ფეხით, ტრანსპორტით (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო) ან კომბინირებული წესით, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის დიდი ნაწილის ფეხით გაყვანას, ხოლო დანარჩენის (მათ, ვისაც უჭირს ფეხით გადაადგილება: ფეხმძიმე ქალები, ქალები 10 წლამდე ბავშვებთან ერთად, ავადმყოფები, ღრმად მოხუცები და სხვა) ტრანსპორტით გაყვანას.

მოსახლეობის ევაკუაციის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ყველა რაიონში შეიქმნას საევაკუაციო ორგანოები (საევაკუაციო კომისიები, საევაკუაციო პუნქტები და სხვა), რომელთა ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

- მოსახლეობის აღწერა და ევაკუაციის ხერხების განსაზღვრის მიზნით მათი კატეგორიებად დაყოფა;
- მოსახლეობის გაყვანისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების განსაზღვრა და აღრიცხვა;
- მოსახლეობის თავმოყრის ადგილების და იქ სატრანსპორტო საშუალებების მიწოდების გრაფიკის განსაზღვრა;

- ევაკუირებული მოსახლეობის უსაფრთხო განთავსების რაიონების განსაზღვრა;
- ევაკუაციის (როგორც ფეხით, ისე ტრანსპორტით) მარშრუტების განსაზღვრა;
- ევაკუირებული მოსახლეობის ჩასახლების ადგილებში აღრიცხვა;
- განთავსების რაიონებში ევაკუირებულთათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ევაკუირებული მოსახლეობის განთავსების რაიონების წინასწარ შერჩევაზე და მათთვის საცხოვრებელი პირობების შექმნაზე. ქვეყანაში აუცილებელია არსებობდეს ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მატერიალური რეზერვების (კარვების ქალაქის სრული კომპლექტი: კარვები, საწოლები, ლეიბები, საბნები, თეთრეული, ჰიგიენის კვანძები, კვების ობიექტები და სხვა საჭირო ინვენტარი) შექმნაზე, შენახვასა და გაშლაზე. ამისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გამოიცეს საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით მატერიალური რესურსების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ”.

რაც შეეხება უშუალოდ ევაკუირებული მოსახლეობის უსაფრთხო განთავსებას, ეს საკითხი მოითხოვს ძალიან სერი-

ოზულ მიდგომას, რადგან საქართველოს ტერიტორია პატარაა და საფრთხე შეიძლება შეექმნას მის ყველა რეგიონს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავდაცვის ძალების გენერალურმა შტაბმა მოსალოდნელი საფრთხეების შეფასების დროს მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ის რეგიონები, რომლებიც შედარებით უსაფრთხო იქნება საომარი მოქმედებების ესკალაციის სხვადასხვა ვარიანტის განვითარების შემთხვევაში.

აუცილებლად მიგვაჩნია ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეიქმნას ცენტრალური საევაკუაციო კომისია, რომელსაც უხელმძღვანელებს პირველი ვიცე-პრემიერი. ამ კომისიის ძირითადი ამოცანები იქნება: რაიონებიდან მოსახლეობის შესახებ ყოველწლიური დაზუსტებული ინფორმაციის მიღება და განზოგადება; აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების მოძიება და ამ რაიონზე გადამისამართება; თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბთან კოორდინირება; მატერიალური რეზერვების შენახვაზე კონტროლი; აუცილებლობის შემთხვევაში დახმარების გაწევის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა.

ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს მათ გატანას უსაფრთხო ზონაში, ან ადგილზე მათ უსაფრთხო შენახვას.

ეროვნული მნიშვნელობის მატერიალურ ფასეულობებს, ჩვენი ხედვით, განეკუთვნება:

- დოკუმენტური მასალა (არქივები, ბიბლიოთეკები და სხვა);
- ხელოვნების ნიმუშები და განძეულობა (მუზეუმები, ფონდები, გალერეები და სხვა);
- ფულადი სახსრები და ოქროს მარაგი (ბანკები);
- აუდიო, ვიდეო, კინო, ფოტო, ფონო, კომბინირებული მასალები (ტელევიზია, კინოსტუდია და სხვა).

მოსალოდნელი სამომარი მოქმედების ზონიდან ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია იგეგმება წინასწარ, მშვიდობიანობის პერიოდში.

ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების ევაკუაციის სწორი დაგეგმვისა და ორგანიზებულად წარმართვისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:

- ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობების რაოდენობის (მოცულობის), შენახვის ფორმის, შენახვის ადგილის (სართულის) და მდგომარეობის განსაზღვრა;
- მტვირთავთა ბრიგადების რაოდენობის და მათი რიცხოვნობის განსაზღვრა;
- მტვირთავთა ბრიგადების გამომგზავნი დაწესებულებების განსაზღვრა;
- საავტომობილო ტრანსპორტის რაოდენობის განსაზღვრა;

- იმ დაწესებულებების განსაზღვრა, საიდანაც იგზავნება ტრანსპორტი;
- უსაფრთხო ზონის განსაზღვრა, სადაც გადაგვაქვს ეროვნული მნიშვნელობის მატერიალური ფასეულობები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოსალოდნელი საფრთხის ზონებიდან პირუტყვის გაყვანა (გადარეკვა) არის აუცილებელი ღონისძიება იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ პირუტყვის სულადობა და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხის რაიონებში საბრძოლო მოქმედებების შედეგად პირუტყვის დახოცვით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულება.

პირუტყვის გაყვანის (გადარეკვის) ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება უნდა დაევალოს რაიონის საევაკუაციო კომისიებს შესაბამის სამსახურებთან ერთად. ამ ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით განსაზღვრული უნდა იყოს:

1. პირუტყვის სახეობა და რაოდენობა;
2. მათი თავმოყრის ადგილები;
3. მათი გადაყვანისათვის საჭირო ტრანსპორტის რაოდენობა და საიდან იგზავნება;
4. გადაყვანის (გადარეკვის) მარშრუტები;
5. სად გადაგვყავს.

2.3.4. ეკონომიკის ობიექტების მდგრადი ფუნქციონირების ამაღლების ღონისძიებების გატარება

II ჯგუფის ამოცანები დაკავშირებულია ომიანობის პერიოდში ეკონომიკის ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლებასთან. ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში ეკონომიკის ობიექტებზე ნგრევები, დანაკარგების ხასიათი და მოცულობა დამოკიდებული იქნება არა მარტო დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების ხარისხზე, არამედ ეკონომიკის ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების ღონისძიებების დროულ და სრულმასშტაბიან განხორციელებაზე.

ექსტრემალურ სიტუაციებში ეკონომიკის ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და ჩატარება, როგორც წესი, ხორციელდება წინასწარ, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც უნდა ჩატარდეს ექსტრემალური სიტუაციების რეჟიმში. ისინი იგეგმება ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში, ხოლო განხორციელდება ექსტრემალური სიტუაციების მოლოდინის ან მათი განვითარების პირობებში.

ექსტრემალურ სიტუაციებში ეკონომიკის ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების მიღწევა შესაძლე-

ბელია ორგანიზაციული, საინჟინრო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებების კომპლექსის წინასწარი გატარებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება.

ზემოთხსენებული ღონისძიებების კომპლექსი მოიცავს:

- ობიექტის და მისი შენობა-ნაგებობების რაციონალურ განთავსებას;
- ეკონომიკის ობიექტების მუშა-მომსახურეთა დაცვის უზრუნველყოფას;
- ეკონომიკის ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის საიმედოობის ამაღლებას;
- მეორადი ფაქტორებისგან დაზიანების გამორიცხვას, ან შემცირებას;
- საწარმოს მართვის საიმედოობის და ოპერატიულობის უზრუნველყოფას;
- კომუნალურ-ენერგეტიკულ ქსელებზე საიმედოობის ამაღლებას;
- ობიექტის მომზადებას მუშაობის ავარიულ რეჟიმზე გადასაყვანად;
- დარღვეული წარმოების აღდგენისათვის მომზადებას.

ობიექტის და მისი შენობა-ნეგებობების რაციონალური განთავსება

ობიექტის და მისი ელემენტების განთავსებამ უნდა უზრუნველყოს დაზიანების ხარისხის შემცირება თანამედროვე იარაღის გამოყენების და დაზიანების მეორადი ფაქტორების ზემოქმედების დროს. ექსტრემალური სიტუაციების განვითარებისას უნდა იყოს გათვალისწინებული მტკიცე საწარმოო კავშირების აუცილებლობა, დუბლიორი საწარმოების და ფილიალების შექმნა სხვა რაიონებში. ობიექტისა და მისი ელემენტების განთავსებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული დატბორვის ზონების წარმოქმნა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური რეზერვების სწორ განთავსებას. იგი არ უნდა მოხვდეს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რისკის ზონებში. ამასთან სასურველია, რომ მატერიალურ-ტექნიკური რეზერვი განთავსდეს ობიექტთან ახლოს და განთავსების ადგილის შერჩევა მოხდეს ობიექტზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების, მიწოდების უმოკლესი და უსაფრთხო გზების არსებობის გათვალისწინებით.

ეკონომიკის ობიექტების პერსონალის დაცვის უზრუნველყოფა

საგანგებო სიტუაციებში ეკონომიკის ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს პერსონალის დაცვის ღონისძიებების წი-

ნასწარი განხორციელება. პერსონალის დაცვის გზებსა და ხერ-ხებს განეკუთვნება:

1. თავშესაფრების წინასწარ მშენებლობა ფეთქებად და რადიოაქტიურად საშიშ ობიექტებზე, ასევე იმ ობიექტებზე, რომლებიც წარმოებაში იყენებენ ქიმიურად საშიშ ნივთიერებებს;
2. მოსალოდნელი რისკის ზონებიდან პერსონალის ევაკუაციის დაგეგმვა და ევაკუაციისათვის მომზადება;
3. ადგილმდებარეობის რადიოაქტიური და ქიმიურად საშიში ნივთიერებებით დასნებოვნების დროს პერსონალის დაცვის რეჟიმის განსაზღვრა;
4. ეკონომიკის ობიექტების პერსონალის მომზადება რადიოაქტიური, ქიმიურად საშიში და მომწამლავი ნივთიერებებით დაბინძურებული კერებში სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად;
5. პერსონალისა და ეკონომიკის ობიექტებთან ახლოს მაცხოვრებელი მოსახლეობის რადიაციული და ქიმიური საშიშროების შესახებ შეტყობინების სისტემის მუდმივი მზადყოფნა;
6. ეკონომიკის ობიექტების პერსონალის დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით უზრუნველყოფა და მათი შენახვის წესების დაცვა;

7. ეკონომიკის ობიექტებზე იმ რაოდენობის პერსონალის თავმოყრა, რამდენზეც გათვლილია ობიექტის ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრები;
8. პერსონალისა და მათი ოჯახების წევრების სწავლება რადიოაქტიური დასნებოვნებისაგან (დაბინძურებისაგან), ავარიული, ქიმიური, მომწამლავი ნივთიერებების გამოყოფისგან (დაღვრისგან) დაცვის მეთოდების შესწავლის მიზნით.

ეკონომიკის ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის საიმედობის ამაღლება

ეკონომიკის ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის საიმედოობის ამაღლება გულისხმობს დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან ობიექტების, შენობა-ნაგებობების და კონსტრუქციების დაცვის უნარს. გარდა ამისა, ყველა იმ დანადგარებისა და საშუალებების დაცვას, რომლებიც შეადგენენ წარმოების მატერიალურ საფუძვლებს. შენობა-ნაგებობების, დანადგარებისა და მათი კონსტრუქციების მდგრადობის ამაღლების ღონისძიებებს განეკუთვნება:

1. მონოლითური (ლითონის ან რკინაბეტონის) ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა. ასეთი მასალით ნაშენი ნაგებობები ამცირებენ მიწისძვრების, ქარიშხლების, აფეთქებისა და სხვა კრიზისული სიტუაციების დროს მზიდი კონსტრუქციების ნგრევის ხარისხს;

2. კარკასული შენობების მშენებლობისას კედლების შემავსებლად მსუბუქი კონსტრუქციების (შუშა, პლასტიკატი და სხვა ადვილად მსხვრევადი მასალები) გამოყენება. ასეთი მასალები ამცირებენ ნაგებობებზე დარტყმითი ტალღის ზემოქმედებას, ხოლო ნგრევისას მათი ნამსხვრევები ნაკლებად აზიანებენ დანადგარებს;
3. შენობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს გადახურვის, სართულშუა გადახურვისა და კიბეების მარშების კონსტრუქციებში მსუბუქი და ცეცხლგამძლე მასალების გამოყენება. ასეთი კონსტრუქციების ნგრევა ნაკლებად საზიანოა დანადგარებისათვის;
4. დამატებითი საყრდენების დაყენება კავშირგაბმულობის და ელექტროგადამცემ საჰაერო ხაზებზე, გარე მილგაყვანილობაზე და სხვ.;
5. ნაგებობებში საყრდენ კონსტრუქციებს შორის შუალედის (სიგრძის) შემცირების, მზიდი კონსტრუქციების სიხისტის გაზრდისა და მისი ცალკეული სუსტი ელემენტების გაძლიერების მიზნით, დამატებითი საყრდენი კონსტრუქციების დაყენება;
6. ხანძრის დროს მაღლივი კორპუსებიდან ხალხის სწრაფი ევაკუაციის მიზნით დამატებითი კონსტრუქციების მოწყობა;

7. წყალდიდობისაგან დაცვის მიზნით დამბებისა და მიწაყრილების მოწყობა, ქვიშიანი ტომრების მომარაგება და სხვა;
8. ქიმიური ნივთიერებების შესანახი ავზების გამაგრება და მათზე ავტომატური გამომრთველების მოწყობა.

მეორადი ფაქტორებისაგან დაზიანების გამორიცხვა ან შემცირება

მეორად ფაქტორებს განეკუთვნებიან: ხანძრები, აფეთქებები, შენობების ჩამონგრევა, მსუბუქად აალებადი და მომწამლავი ნივთიერებების გაჟონვა, ჰიდროტექნიკური ნაგებობების რღვევის შედეგად ტერიტორიის დატბორვა და სხვ.

ეკონომიკის ობიექტების მეორადი ფაქტორებისგან დაზიანების გამორიცხვის ან შემცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს განეკუთვნება:

1. საწყობებსა და საცავებში ქიმიურად და ფეთქებადსაშიში, იოლად აალებადი ნივთიერებების მარაგის საჭირო მინიმუმამდე დაყვანა;
2. ქიმიურად საშიში ნივთიერებების საცავების დაცვა აფეთქებითა და სხვა ზემოქმედებით გამოწვეული ნგრევისაგან, მათი დაცულ საცავებში, ჩაღრმავებულ ნაგებობებში განთავსების გზით;

3. ქიმიურად საშიში და აალებადი ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის, აკრძალვის ან ნაკლებად საშიში შემცვლელების გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა;
4. საამქროებში გამანეიტრალებელი ნივთიერებების მარაგის შექმნა;
5. ავარიის, აფეთქების ან გაჟონვის შესახებ პერსონალის შეტყობინების მიზნით საამქროებში ავტომატური სიგნალიზაციის დაყენება;
6. სხვადასხვა საშიში ნივთიერებების საწყობების განთავსება გაბატონებული ქარების მიმართულების გათვალისწინებით;
7. ხანძრის შესაძლო წარმოქმნის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ხანძარსაწინააღმდეგო გამრღვევი ზოლების და წყლის ფარდის მოწყობა;
8. ენერგომომარაგების ხაზების ჩაღრმავება (ჩამარხვა) და მათზე ავტომატური გამომრთველების დაყენება;
9. ფეთქებადსაშიში ნივთიერებების საცავებში აფეთქების დამანგრეველი ეფექტის სალოკალიზაციო მოწყობილობების დაყენება.

საწარმოს მართვის საიმედოობისა და ოპერატიულობის უზრუნველყოფა

კრიზისული სიტუაციების დროს წარმოების მართვის საიმედოობა მიიღწევა შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

1. ურთიერთმონაცვლეობის მიზნით ხელმძღვანელი მუშაკებისა და მთავარი სპეციალისტების წინასწარი მომზადება;
2. პოტენციურად საშიშ ობიექტებზე, ერთ-ერთ თავშესაფარში მართვის პუნქტის მოწყობა და აღჭურვა;
3. როგორც სატელეფონო, ისე რადიოკავშირის საიმედო ქსელის შექმნა, დუბლირების პრინციპის გათვალისწინებით;
4. თანამდებობის პირების, საავარიო სამსახურების, სამაშველო რაზმების და მთელი საწარმო პერსონალის შეტყობინების სისტემის შექმნა (სირენების, რეპროდუქტორების დაყენება);
5. ტექნიკური დოკუმანტაციის შენახვაზე ზრუნვა და მათი დუბლიკატების შექმნა;
6. საიმედო შენობებში სადისპეჩერო სამსახურების და რადიოკვანძების განთავსება;
7. საჰაერო საკაბელო ხაზების მიწაში ჩადება;
8. ყველა ძირითად შენობებში და თავშესაფრებში ტელეფონის აპარატის, რადიომიმღების და შეძლების ფარგლებში რადიოსადგურების დაყენება;
9. შეტყობინებების სიგნალების სისტემის შექმნა და ეკონომიკის ობიექტის მთელ პერსონალამდე მათი დაყვანა.

ენერგომომარაგების სისტემის მდგრადობის ამაღლება

ენერგომომარაგების სისტემის მდგრადობის ამაღლება მიიღწევა შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

1. ელექტროენერგიის მიწოდების დუბლირება რამდენიმე დამოუკიდებელი ელექტროხაზის შემოყვანით;
2. ელექტროკომუნიკაციების მიწისქვეშ, ხოლო ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტების სარდაფებში ან სპეციალურად აშენებულ ნაგებობებში გადატანა;
3. ავტონომიური ელექტროწყაროების (გენერატორები) დამონტაჟება;
4. ელექტროქსელებზე ავტომატური გამომრთველების დაყენება.

წყალმომარაგების სისტემის მდგრადობის ამაღლება

წყალმომარაგების სისტემის მდგრადობის ამაღლების მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების ჩატარებით:

1. წყალმომარაგების უზრუნველყოფა 2-3 ერთმანეთისაგან უსაფრთხო მანძილებით დაშორებული დამოუკიდებელი წყაროებიდან;
2. წყალმომარაგების უზრუნველყოფა მხოლოდ დაცული წყაროებიდან (არტეზიული ჭები);
3. წყალმომარაგების შემოვლითი ხაზების მოწყობა;

4. სახანძრო გიდრანტებისა და გამომრთველი მოწყობილობების განლაგება ობიექტის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც შენობა-ნაგებობების ნგრევის შედეგად არ ჩაიხერგება;
5. ავტომატური და ნახევრადავტომატური გამომრთველების დაყენება;
6. იმ ობიექტებზე, რომელთა წარმოებაში გამოიყენება დიდი რაოდენობით წყალი, წყლის ტექნიკური მიზნით გამოყენებისთვის საცირკულაციო სისტემების მოწყობა;
7. წყლის სათავე ნაგებობებზე სინჟინრო-დაცვითი ღონისძიებების ჩატარება.

გაზმომარაგების სისტემის მდგრადობის ამაღლება

გაზმომარაგების სისტემის მდგრადობის ამაღლება მიიღწევა შემდეგი ღონისძიებების ჩატარებით:

1. გაზის მარეგულირებელი პუნქტებიდან ქსელში გაზის პირდაპირი მიწოდება;
2. გაზმომარაგების წრიული სისტემის შექმნა;
3. გაზმომარაგების კვანძების და ხაზების მიწის ქვეშ გადატანა;
4. გაზმომარაგების ხაზებზე ავტომატური გამომრთველების დაყენება.

კანალიზაციის სისტემის მდგრადობის ამაღლება

კანალიზაციის სისტემის მდგრადობის ამაღლება მიიღწევა შემდეგი ღონისძიებების ჩატარებით:

1. წვიმის, სამრეწველო და ფეკალური წყლების განცალკევებული სადინარების მშენებლობა;
2. ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორებზე არანაკლებ 2 შემაერთებელი ხაზის გაყვანა;
3. ობიექტებთან ახლომდებარე ხევში ან სხვა ბუნებრივ თუ ხელოვნურ ჩაღრმავებულებში ავარიული გადმოღვრისათვის ხაზის გაყვანა;
4. ობიექტის კოლექტორებზე 50-მეტრიანი ინტერვალით ავარიული საკეტებით მოწყობილი ჭების მშენებლობა.

ობიექტის მომზადება მუშაობის ავარიულ რეჟიმზე გადასაყვანად

ობიექტის მუშაობის ავარიულ რეჟიმზე გადაყვანის მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. პერსონალის დაცვის ორგანიზაცია;
2. ავარიის ან სხვა კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში წარმოების უსაფრთხო გაჩერებისათვის მომზადება;
3. ცენტრალიზებული მიწოდების დარღვევისას წარმოების უზრუნველყოფა ელექტროენერგიით, წყლით, გაზით და სხვა;
4. უნიკალური დანადგარებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის დაცვა;

5. მეორადი დამაზიანებელი ფაქტორების გამორიცხვის ან შემ-ცირების მიზნით ღონისძიებების გატარება;
6. ნედლეულის და მზა პროდუქციის დაცვა;
7. ქიმიური დასნებოვნების საშიშროებისას საწარმოო შენობის გერმეტიზაცია და სხვა ღონისძიებების გატარება;
8. საგანგებო სიტუაციების სპეციფიკიდან გამომდინარე საწარ-მოო პერსონალის სამუშაო გრაფიკის შედგენა.

დარღვეული წარმოების აღდგენისათვის მომზადება

საწარმოო ავარიებისა და სტიქიური უბედურების შემთ-ხვევაში უნდა იქნას გათვალისწინებული მდგრადობის ერთ-ერთი აუცილებელი კრიტერიუმი - ობიექტის წარმოების აღდ-გენისათვის მზადყოფნა. კერძოდ, წარმოების აღდგენისათვის ობიექტის პერსონალის მზადყოფნა, აღდგენისათვის საჭირო მასალების, დანადგარების და ტექნიკური პროექტების არსებო-ბა.

წარმოების აღდგენისათვის პირველადი ღონისძიებების გატარების დროის შემცირების მიზნით, ობიექტზე წინასწარ უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსის რღვევის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტებზე გეგმებისა და პროექტების შემუშავე-ბა;
2. სარემონტო-აღდგენითი ბრიგადების შექმნა და მომზადება;

3. აღდგენისათვის საჭირო მასალებისა და კონსტრუქციების მარაგის შექმნა.

წარმოების პირველადი აღდგენა იწყება საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დამთავრებისთანავე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში - ამ სამუშაოების პარალელურად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისული სიტუაციების დროს ეკონომიკის ობიექტის ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების მომზადება და ჩატარება არის ობიექტის, ეკონომიკის დარგობრივი და ადგილობრივი რგოლების, კრიზისული სიტუაციების მართვის ყველა დონის ორგანოების ხელმძღვანელობის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება. ამ ღონისძიების ძირითადი მიზანია კრიზისული სიტუაციებში მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვა და ასევე ეკონომიკის ობიექტის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, კრიზისული სიტუაციების დროს შეასრულოს თავისი ფუნქცია.

2.3.5. სამოქალაქო თავდაცვის ძალები

III ჯგუფის ამოცანები დაკავშირებულია მოწინააღმდეგის თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციასთან. სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით

საჭიროდ მიგვაჩნია შეიქმნას სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური ძალები, რომლებიც პირობითად შეგვიძლია დავყოთ ორ კატეგორიად: მუდმივი მზადყოფნის და სარეზერვო.

მუდმივი მზადყოფნის ძალებს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ფორმირებები, რომლებიც შექმნილია შესაბამის სამსახურებში და დაწესებული აქვთ მორიგეობის 24 საათიანი რეჟიმი. სარეზერვო ძალებს კი-ის ძალები, რომელთა გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც მუდმივი მზადყოფნის ძალები არ არის საკმარისი.

საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოები წარმოადგენს პირველი რიგის სამუშაოებს საგანგებო სიტუაციის ზონაში, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანების გადარჩენას და დახმარების გაწევას, დაზიანების კერების ლიკვიდაციას და ჩახშობას, მეორადი ფაქტორების წარმოქმნის საშიშროების აღმოფხრვას, მატერიალური და კულტურული ფასეულობების დაცვას და გადარჩენას, სასიცოცხლო უზრუნველყოფის მინიმუმის აღდგენას. ეს სამუშაოები განიხილება ცალ-ცალკე: საავარიო-სამაშველო სამუშაოები - მოქმედებები ხალხის, მატერიალური და კულტურული ფასეულობების გადასარჩენად, საგანგებო სიტუაციების ზონაში გარემოს დასაცავად, საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციისათვის და ზემოქმედების დონის მინიმუმამდე დასაყვანად; გადაუდებელი სამუშაოები - საავა-

რიო-სამაშველო სამუშაოების ყოველმხრივი უზრუნველყოფის, დაზარალებული მოსახლეობისათვის სამედიცინო და სხვა სახის დახმარების აღმოჩენის, ხალხის ცხოვრების, ჯანმრთელობის და შრომისუნარიანობის შენარჩუნების ღონისძიებები.

კრიზისული სიტუაციის ზონაში პირველ რიგში შეჰყავთ დაზვერვის ქვედანაყოფები და მუდმივი მზადყოფნის ფორმირებები, მართვის ორგანოების ოპერატიული ჯგუფები. შემდეგ ეტაპზე შეჰყავთ ტერიტორიული და საუწყებო ფორმირებები. ამის შემდეგ აუცილებლობის შემთხვევაში ხდება სამხედრო ნაწილების ჩართვა და რეზერვისტების მობილიზება. საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოები, როგორც წესი, წარმოებს უწყვეტად, დღე და ღამე, ამინდის ნებისმიერ პირობებში.

სამუშაოების ორგანიზება ხდება ორ ან სამ ცვლაში. ფორმირებების ცვლა ხდება უშუალოდ სამუშაო ადგილზე. მძიმე საინჟინრო ტექნიკა, როგორც წესი, არ გამოჰყავთ ზონიდან, მას გადასცემენ შესაცვლელად მოსულ ფორმირებებს. საგანგებო სიტუაცია ითვლება ლიკვიდირებულად, როდესაც აღმოფხვრილია ან მისაღებ დონემდეა დასული ხალხის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უშუალო საშიშროება, ლოკალიზებულია და-

მაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედება, ორგანიზებულია მოსახლეობის პირველი რიგის უზრუნველმყოფი საკითხები.

სამოქალაქო თავდაცვის ძალებს განეკუთვნებიან:

ა) სამოქალაქო თავდაცვის სამსახურები;

ბ) სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ფორმირებები;

გ) სამოქალაქო თავდაცვის დაკვირვების და ლაბორატორიული კონტროლის ქსელი;

დ) სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური სამხედრო ფორმირებები;

ე) სამოქალაქო თავდაცვის სარეზერვო ტერიტორიული ფორმირებები.

ჰიდრომეტეოროლოგიური, საინჟინრო-ტექნიკური, სამედიცინო და სამოქალაქო თავდაცვის სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფისა და შესრულებისთვის იქმნება **სამოქალაქო თავდაცვის სამსახურები.**

სამოქალაქო თავდაცვის სამსახურები იქმნება შესაბამისი დონის აღმასრულებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიერ. ისინი იყოფა რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალურ და ორგანიზაციების სამსახურებად.

სამოქალაქო თავდაცვის სამსახურების უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებენ ამ სამსახურების უფროსები, რომლებსაც ნიშნავს შესაბამისი სამოქალაქო თავდაცვის უფროსი.

სამოქალაქო თავდაცვის სამსახურების ჩამონათვალს განსაზღვრავენ საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები და ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ფორმირებები იქმნება ორგანიზაციებში (ობიექტებზე), რომლებიც მოიხმარენ ან ინახავენ საშიშ ნივთიერებებს, აქვთ მნიშვნელოვანი თავდაცვითი და/ან ეკონომიკური დანიშნულება. ისინი აღიჭურვებიან სამოქალაქო თავდაცვის საშუალებებით და მზადდებიან საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ფორმირებების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ.

სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ფორმირებები არ იქმნება შეიარაღებული ძალების და სხვა ძალოვანი სტრუქტურების ორგანიზაციებში.

რადიოაქტიური, მომწამლავი და ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების ზემოქმედებით დაბინძურებული (დასნე-

ბოვნებული) გარემოს (ღია წყალსაცავები, ჰაერი, ნიადაგი და მცენარეები), კვების პროდუქტების, სასურსათო ნედლეულის, ფურაჟის და წყლის დაკვირვებისა და ლაბორატორიული კონტროლის, ასევე ეპიდემიების, ეპიზოოტიების, ეპიფიტოტიების და სხვა ინფექციური დაავადებების კონტროლის მიზნით იქმნება **სამოქალაქო თავდაცვის დაკვირვების და ლაბორატორიული კონტროლის ქსელი.**

სამოქალაქო თავდაცვის დაკვირვების და ლაბორატორიული კონტროლის ქსელის შემადგენლობაში შედიან ჰიგიენის და ეპიდემიოლოგიური ცენტრები, ვეტერინარული ლაბორატორიები და სადგურები, აგრო-ქიმიური ლაბორატორიები, გარემოს ანალიტიკური კონტროლის ლაბორატორიები, რადიაციული და ქიმიური დაკვირვების პოსტები, ასევე საობიექტო ლაბორატორიები და სხვა ორგანიზაციები.

სამოქალაქო თავდაცვის დაკვირვების და ლაბორატორიული კონტროლის ქსელის შექმნის და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური სამხედრო ფორმირებები იქმნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში. მათი საქმიანობის ძირითადი საფუძვლებია:

ა) სამოქალქო თავდაცვის სპეციალური სამხედო ფორმირებების შეიარაღებაში არის სპეციალური ტექნიკა და მოწყობი-

ლობები, ასევე საბრძოლო ხელის ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი;

ბ) სამოქალაქო თვადაცვის სპეციალური სამხედრო ფორმირებების სამხედრო მოსამსახურეები სამსახურს შეიძლება გადიოდნენ როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო თანამდებობებზე;

გ) სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური სამხედრო ფორმირებების საქმიანობა, მათი დაკომპლექტება სამხედრო და სამოქალაქო პერსონალით, მათი და მათი ოჯახების სოციალური დაცვა, ასევე აღნიშნული ფორმირებების ფინანსირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური სამხედრო ფორმირებების საქმიანობა სამოქალაქო თავდაცვის სფეროში იწყება ომის გამოცხადების, საბრძოლო მოქმედებების ფაქტობრივი დაწყების და საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან, ასევე მშვიდობიან პერიოდში სხვადასხვა სახის მსხვილმასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების საფრთხის პირობებში.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით ქვეყნის ყველა რაიონში (ქალაქი) იქმნება **სამოქალაქო თავდაცვის რეზერვისტთა რაზმები.**

სამოქალაქო თავდაცვის რეზერვისტთა რაზმების დანიშნულებაა აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქმედი სამოქალაქო თავდაცვის სხვა ძალებისა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისათვის დახმარების აღმოჩენა.

სამოქალაქო თავდაცვის რეზერვისტთა რაზმის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახანძრო-სამაშველო, საინჟინრო, სამედიცინო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ლოგისტიკური უზრუნველყოფის და სხვა ფორმირებები. რაზმის შემადგენლობა და რიცხოვნება განისაზღვრება რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სამოქალაქო თავდაცვის რეზერვისტთა რაზმის შექმნის და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო დანაყოფების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებში მონაწილეობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო დანაყოფების სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებში ჩართვა ხდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პრეზიდენტთან შეთანხმებით.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მუნიციპალიტეტში შესაქმნელ სამოქალაქო თავდაცვის ძალებზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური უბედურებისა და საომარი მოქმედების შედეგად გამოწვეული საგანგებო ვითარების მასშტაბების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია შეიქმნას სამოქალაქო თავდაცვის რაზმი (შემდგომში-რაზმი) (იხ. სქემა #2), რომლის ფორმირება ხორციელდება დაქვემდებარებისა და დანიშნულების პრინციპით. რაზმი კომპლექტდება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულში არსებული ადამიანური რესურსით. რაზმი უნდა დაკომპლექტდეს მოსახლეობის იმ ნაწილით, რომელიც ომიანობის პერიოდში არ ექვემდებარება გაწვევას (განსაკუთრებული მნიშვნელობის სპეციალისტებისთვის შეიძლება გაკეთდეს გამონაკლისი). კრიზისებში მის ჩართულობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. რაზმის სოციალური დაცვის საკითხი უნდა განხორციელდეს კუთვნილების პრინციპის გათვალისწინებით.

რაზმის მეთაურად მიზანშეწონილია დაინიშნოს მერის ერთ-ერთი მოადგილე. რაზმი კომპლექტდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი იმ სტრუქტურული ერთეულებისა-

გან, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ 24-საათიანი სამორიგეო რეჟიმი (სასწრაფო დახმარების ბრიგადები, კომუნალურ ქსელებზე საავარიო-სარემონტო ბრიგადები და სხვა) და იმ პირებისაგან, რომლებიც არ ექვემდებარებიან სამხედრო რეზერვში გაწვევას. ვიწრო და მოთხოვნადი სპეციალობის სამობილიზაციო ასაკის პირებს რაზმში ჩარიცხვა უნდა ჩაეთვალოთ სამხედრო ალტერნატიულ სამსახურად და მიეცეთ ჯავშანი. მოთხოვნისამებრ შესაძლებელია ამ ჯგუფების გაძლიერებაც. მუნიციპალიტეტის თავისებურებიდან (მოსახლეობა, გეოგრაფია, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების სპექტრი, სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი და სხვა) გამომდინარე, რაზმი შეიძლება იყოს 200-300 კაცის შემადგენლობით.



სქემა 2. სამოქალაქო თავდაცვის რაზმის სტრუქტურა

1. **რაზმის დანიშნულება; რაზმი** - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული რეაგირების ძალაა, რომელიც კრიზისის დროს ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს სამაშველო შედეგების სალიკვიდაციო უზრუნველყოფისა და დაცვის ღონისძიებებს;

2. **შემადგენლობა:**

- რაზმის მეთაური;
- მოადგილე;
- ჯგუფები:
  - ✓ სამაშველო (სამი სამაშველო რგოლი);
  - ✓ შედეგების სალიკვიდაციო (საავარიო-სარემონტო რგოლი და ტექნიკური უზრუნველყოფის რგოლი);
  - ✓ ობიექტების დაცვის (სამი ობიექტის დაცვის რგოლი);
  - ✓ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის(სამი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რგოლი);
  - ✓ გადაადგილების უსაფრთხოების (სამი გადაადგილების უსაფრთხოების რგოლი)
  - ✓ საზღვრის დაცვის (საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის).
- ცალკეული რგოლები:
  - ✓ კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო;

- ✓ პერსონალის;
- ✓ ლოგისტიკის;
- ✓ სამედიცინო.

3. რაზმის სტრუქტურაში შემავალი ჯგუფებისა და რგოლების ფუნქცია-მოვალეობები

1. რაზმის მეთაური პასუხისმგებელია:

- ➢ რაზმის მზადყოფნაზე;
- ➢ ზემდგომი ორგანოებისაგან ამოცანის მიღებასა და დაზუსტებაზე;
- ➢ დაქვემდებარებული ძალებისათის ამოცანის დასახვასა და მისი შესრულების კონტროლზე;
- ➢ პირადი შემადგენლობის მართვის სქემის შედგენასა და მის მუდმივ განახლებაზე;
- ➢ შეკრების ნორმატივების განსაზღვრაზე (ზამთარი-ზაფხული, დღე-ღამე);
- ➢ ტრენინგების ჩატარების პერიოდულობის, მათი ხანგრძლივობის დადგენასა და ჩატარების კონტროლზე;
- ➢ შერბილებისა და თავიდან აცილების პრევენციული ღონისძიებების პრაქტიკულ ჩატარებაზე;
- ➢ პირადი შემადგენლობის, ტექნიკის, აღჭურვილობის აღრიცხვიანობასა და გამართულობაზე;

- ჯგუფის (ცალკეული რგოლის) უფროსების ფუნქციონალური მოვალეობის შედგენაზე;
- ფორმალიზებული დოკუმენტების შედგენასა და მათი წარმოების კონტროლზე.

2. რაზმის მეთაურის მოადგილე:

- პასუხისმგებელია რაზმის პირადი შემადგენლობის მზადყოფნაში მოყვანაზე;
- ასრულებს რაზმის მეთაურის პირად დავალებებს;
- რაზმის მეთაურის არყოფნის ან მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

3. ჯგუფის (ცალკეული რგოლის) უფროსი პასუხისმგებელია:

- დადგენილ ვადებში ამოცანის შესრულებისათვის ჯგუფის (რგოლის) მზადყოფნაზე;
- მიღებული ამოცანის დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
- დაკისრებული ამოცანის შესრულებისას პირადი შემადგენლობის მართვაზე;
- ჯგუფის (რგოლის) პირადი შემადგენლობის ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებაზე;
- ჯგუფის (რგოლის) პერსონალის მიერ თავიანთი ფუნქციონალური მოვალეობის ცოდნასა და შეფასებაზე;
- ყოველდღიური საქმიანობის პერიოდში პირადი შემადგენლობის მომზადებასა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე;

- ჯგუფის (რგოლის) ფორმალიზებული დოკუმენტების წარმოებაზე;
- დადგენილი წესით ჯგუფის (რგოლის) ფორმის, ტექნიკისა და საშტატო აღჭურვილობის გამართულობასა და აღრიცხვიანობაზე.

- **სამაშველო ჯგუფის** დანიშნულებაა საგანგებო სიტუაციების ზონებში ადამიანის გადარჩენისა და დახმარების გაწევის ღონისძიებების ჩატარება, ხანძრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობა. ასევე, დასახლებულ პუნქტებში შუქშენიღბვის ღონისძიებების გატარების ორგანიზება. ჯგუფი შეიძლება დაკონპლექტდეს 35 - 40 პერსონალისგან;

სამაშველო ჯგუფი:

- პასუხს აგებს:
  - ✓ დასახლებულ პუნქტებში შუქშენიღბვის ღონისძიებების დროულ და ხარისხიან გატარებაზე;
  - ✓ სამაშველო ოპერაციებში დროულ ჩართულობაზე;
- მონაწილეობს შერბილებისა და თავიდან აცილების პრევენციულ ღონისძიებებში;
- მუდმივ კოორდინაციაში იმყოფება კრიზისებში ჩართულ სახელმწიფო სტრუქტურების ძალებთან.

- **შედეგების სალიკვიდაციო ჯგუფის** დანიშნულებაა საგანგებო სიტუაციების ზონებში საავარიო-სარემონტო, ტექნიკური უზრუნველყოფის და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. ის შედგება საავარიო-სარემონტო და ტექნიკური უზრუნველყოფის რგოლებისაგან. თავის მხრივ საავარიო-სარემონტო რგოლი შედგება წყალკანალიზაციის, გაზისა და ელექტროქსელების სარემონტო ბრიგადებისაგან. აღნიშნული ბრიგადები უნდა დაკომპლექტდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შესაბამისი სამსახურების საავარიო-სარემონტო ბრიგადებისაგან (შესაძლებელია მათი გაძლიერებაც). ტექნიკური უზრუნველყოფის რგოლი შედგება საინჟინრო და საავტომობილო ტექნიკის კოლონებისაგან და მექანიზაციის სექციებისგან. აღნიშნულ კოლონებში გაერთიანდებიან მუნიციპალიტეტში პირად საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ტიპის საინჟინრო და საავტომობილო ტექნიკა, რომელთა მეპატრონეებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ჯგუფი შეიძლება დაკომპლექტდეს 35-40 პერსონალისგან; შედეგების სალიკვიდაციო ჯგუფი:

➢ პასუხს აგებს:

  ✓ ღონისძიებების დროულ და ხარისხიან გატარებაზე, რომლებიც მიმართულია ელექტრო, წყალ და გაზმომარაგების სისტემების ფუნქციონირების მდგრადობაზე;

- ✓ სარეზერვო ძალების მობილიზებაზე;
- ✓ ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
- ✓ კერძო სექტორიდან გადმოცემული ტექნიკური საშუალებების გამართულობაზე;
- ✓ სალიკვიდაციო-გაწმენდით სამუშაოებში უსაფრთხოების ზომების გატარებაზე;

➢ მონაწილეობს კომუნიკაციის ქსელში არსებულ მოწყვლად წერტილებზე პრევენციული სამუშაოების ჩატარებაში;

➢ უზრუნველყოფს საწვავ-საპოხი მასალების შევსებისა და სარემონტო სამუშაოების ადგილების მონიშვნას, მოწყობას და ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

➢ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსახლეობის წყლით მომარაგებას;

➢ მუდმივ კოორდინაციაში იმყოფება კრიზისებში ჩართული სხვა სუბიექტების ძალებთან.

- **ობიექტების დაცვის ჯგუფის** დანიშნულებაა მითითებული ობიექტების პერიმეტრის დაცვის ორგანიზება და განხორციელება, ამ ობიექტების ხელმძღვანელობასთან კოორდინაციით. ჯგუფი შეიძლება დაკომპლექტდეს 35 - 40 პერსონალისგან; ობიექტების დაცვის ჯგუფი:

- პასუხს აგებს მათი დაცვის ქვეშ აყვანილი ობიექტების უსაფ-რთხოებაზე;
- აღრიცხავს შეიარაღებასა და საბრძოლო მასალებს;
- არსებული მდგომარეობის შესახებ მსშ-ში პერიოდულად აკეთებს მოხსენებებს;
- მუდმივ კოორდინაციაში იმყოფება იმ სტრუქტურებთან, რომლებიც ჩართული არიან ობიექტების დაცვის უზრუნ-ველყოფაში.

- **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის** დანიშნულე-ბაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანიზება და გან-ხორციელება ამ საკითხზე პასუხისმგებელი სტრუქტურის კონტროლის ქვეშ. ჯგუფი შეიძლება დაკონპლექტდეს 35 - 40 პერსონალისგან;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი:

- პასუხს აგებს:
  - ✓ საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენაზე;
  - ✓ საევაკუაციო და სამოქალაქო თავდაცვის ძალების გადა-ადგილების მარშრუტების უსაფრთხოებაზე;
  - ✓ საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოებ-ის ჩასატარებლად რეაგირების ჯგუფების შეუფერხებელ გადაადგილებაზე;
- აღრიცხავს შეიარაღებასა და საბრძოლო მასალებს;

- პატრულირებს დადგენილ მარშრუტებსა და რაიონებში;
- მუდმივ კოორდინაციაში იმყოფება სახელმწიფო სტრუქტურებთან, რომლებიც ჩართული არიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში.

- **საზღვრის დაცვის ჯგუფი** იქმნება იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც განლაგებულნი არიან ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონებში. მისი დანიშნულებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საზღვრის მონაკვეთის დაცვის გაძლიერება. საზღვრის მონაკვეთის სიგრძისა და სირთულის შესაბამისად ჯგუფი შეიძლება დაკომპლექტდეს 30-50 პერსონალისგან.

საზღვრის დაცვის ჯგუფი:

- პასუხს აგებს მასზე განპირობებული საზღვრის მონაკვეთის დაცვაზე;
- პასუხს აგებს მასზე მიწერილი შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და ტექნიკის აღრიცხვასა და მდგომარეობაზე;
- განსაზღვრავს პირადი შემადგენლობის საზღვარზე გასვლის მარშრუტებს და განლაგების ადგილებს;
- არსებული მდგომარეობის შესახებ მსშ-ში პერიოდულად აკეთებს მოხსენებებს;
- მუდმივ კოორდინაციაში იმყოფება საზღვრის დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებთან.

- **კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის რგოლის** დანიშნულებაა რაზმის მეთაურსა და მის დანაყოფებს შორის კავშირის უზრუნველყოფა, ვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დაინტერესებულ პირებთან გადანაწილების უზრუნველყოფა. რგოლი შეიძლება დაკონპლექტდეს 5 - 10 პერსონალისგან;

კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის რგოლი:

- ➢ პასუხს აგებს:
  - ✓ მოსახლეობის შეტყობინების სისტემის გამართულობაზე და ახალი თაობის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მის განვითარებაზე;
  - ✓ კავშირის სისტემაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების გამართულობაზე;
- ➢ კავშირისა და შეტყობინების სისტემაში ითვალისწინებს ელექტრო კავშირის ქსელისა და მასმედიის საშუალებების აქტიურ გამოყენებას.

- **პერსონალის აღრიცხვის რგოლის** დანიშნულებაა, რაზმში ჩარიცხული პერსონალის საკადრო საკითხების მართვა. რგოლი შეიძლება შედგებოდეს 3 - 5 პერსონალისგან.

პერსონალის აღრიცხვის რგოლი:

- ➢ ხელმძღვანელობს რაზმის პერსონალით დაკომპლექტებას;

- აწარმოებს სააღრიცხვო დოკუმენტაციას;
- ახორციელებს შეტყობინების, გამოძახებისა და შეკრების ორგანიზებას;
- შტაბის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ძალთა მდგომარეობის შესახებ;
- ქმნის რაზმის პირადი შემადგენლობის მონაცემთა ბაზას.

- **ლოჯისტიკის რგოლის დანიშნულებაა** რაზმის პირადი შემადგენლობის საკვებით, წყლით, ტანსაცმლით, საწვავ-საპოხი მასალითა და სხვა მომარაგება. რგოლი შეიძლება დაკომპლექტდეს 15 - 20 პერსონალისგან;

ლოჯისტიკის რგოლი:

- პასუხს აგებს რეაგირების ძალების საკვებითა და მატერიალური საშუალებებით დროულ და ხარისხიან უზრუნველყოფაზე;
- მუდმივ კოორდინაციაში იმყოფება სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოყოფილ ძალებთან.

- **სამედიცინო რგოლის** დანიშნულებაა საგანგებო სიტუაციების ზონებში მოსახლეობისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა და შემდგომ მათი სტაციონარში გადაყვანა. რაზმის პირადი შემადგენლობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა. რგოლში გაერთიანებული იქნებიან მუნიციპალიტეტში არსებული სასწრაფო-სამედიცინო დახმა-

რების ბრიგადები (შესაძლებელია მათი გაძლიერებაც). რგოლი შეიძლება დაკომპლექტდეს 20 - 25 პერსონალისგან;

სამედიცინო რგოლი:

- პასუხს აგებს:
  - ✓ დაზარალებული მოსახლეობისთის პირველადი სამედიცინო დახმარების დროულ და ხარისხიან ჩატარებაზე;
  - ✓ სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაზე;
  - ✓ ეპიდემიების კერებისა და მათი გავრცელების შესახებ დროულ შეტყობინებაზე.
- მოთხოვნისამებრ იყენებს სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში ჩართული სააფთიაქო ობიექტების ქსელში არსებულ სამედიცინო საშუალებებს;
- ადგენს გარემო პირობების დაბინძურების ხარისხს;

1. **შეიარაღება / აღჭურვილობა:**

- **სამაშველო ჯგუფი** აღიჭურვება:
  - ✓ ადამიანის გადარჩენის ტექნიკური საშუალებებით;
  - ✓ სამარჯვი ინსტრუმენტებით;
- **შედეგების სალიკვიდაციო ჯგუფში** უნდა იყოს:
  - ✓ საინჟინრო ტექნიკა (ბულდოზერები, ექსკავატორები, გრეიდერები, ამწეები და სხვა);

- ✓ საავტომობილო ტექნიკა (თვითმცლელები, ბორტიანი მანქანები, ავტობუსები, მიკროავტობუსები და სხვა);
- ✓ საშუალებები (დიზელ-გენერატორები, წყალსაქაჩები, პნევმო-ჩაქუჩები, დომკრატები და სხვა);

- **ობიექტების დაცვის ჯგუფი** აღიჭურვება მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით;
- **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფი** აღიჭურვება მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით;
- **საზღვრის დაცვის ჯგუფი** აღიჭურვება მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით;
- **კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის რგოლი** აღიჭურვება კავშირგაბმულობის შესაბამისი საშუალებებით;
- **ლოგისტიკის რგოლს** უნდა მიეწეროს კერძო სექტორში არსებული ბორტიანი მანქანები, წყალმზიდები, ბენზინმზიდები და სხვა;
- **სამედიცინო რგოლში** გაერთიანდებიან მუნიციპალიტეტში არსებული სასწრაფო დახმარების მანქანები;

2. **ძალების მზადყოფნაში მოყვანის ორგანიზება:**
   - ✓ შეტყობინების სქემა;
   - ✓ შეკრების ადგილები - დროითი ნორმატივები;
   - ✓ და სხვა;

3. **პ/შ მომზადების ორგანიზება;**
4. **ფორმალიზებული დოკუმენტები და ინსტრუქციები თემატური ჯგუფების მიხედვით:**
   - ✓ ობიექტების დაცვისა და თავდაცვის სქემის შედგენა;
   - ✓ კომუნიკაციის სქემებზე სუსტი წერტილებისა და ქსელის ჩამკეტების ადგილების მონიშვნა;
   - ✓ სარემონტო სამუშაოების ჩატარების ადგილები;
   - ✓ პატრულირების რაიონებისა და მარშრუტების სქემები.

2.3.6. მოსახლეობის ყველა ფენის მომზადება (სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები, I ჯგუფი, მე-3 ამოცანა)

ამოცანა გულისხმობს, რომ დაზიანების თანამედროვე საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, მოსახლეობის დაცვის და ეკონომიკის ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მოსახლეობის ყველა ფენის მომზადება.

მოსახლეობა, რომელიც ექვემდებარება სწავლებას, პირობითად შეიძლება დავყოთ ხუთ ჯგუფად:

1. ხელმძღვანელი შემადგენლობა;
2. საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განმახორციელებელი ფორმირებების პირადი შემადგენლობა;

3. საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები;
4. დაუსაქმებელი მოსახლეობა;
5. სტუდენტები და მოსწავლეები.

პირველი სამი ჯგუფი მომზადებას უნდა გადიოდეს სპეციალურ კურსებზე და საკუთარ ობიექტებზე, სადაც უნდა ჩატარდეს ტრენინგები ექსტრემალურ სიტუაციებში პერსონალის მოქმედების წესების შესასწავლად; მეოთხე ჯგუფი უნარჩვევებს უნდა ითვისებდეს სატელევიზიო გადაცემებით, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით უნდა გადიოდეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე. მათი მეშვეობით მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ექსტრემალურ სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ; მეხუთე ჯგუფი მომზადებას უნდა გადიოდეს შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური საგნის სწავლებით.

მოსახლეობის ყველა კატეგორიის მომზადების ძირითადი მიზნებია:

- შეისწავლონ თავისი და ქვეშევრდომების მოქმედების თანმიმდევრობა ექსტრემალური სიტუაციების მოლოდინის, განვითარების დროს და მის შემდეგ;
- იცოდნენ მოქმედების წესები ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში;

- იცოდნენ დაცვით ნაგებობებში შეფარების წესები;
- იცოდნენ ინდივიდუალური საშუალებების გამოყენების წესები;
- შეეძლოთ თვითდახმარების და ურთიერთდახმარების გაწევა;
- იცოდნენ ობიექტების მდგრადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების თანმიმდევრობა;
- იცოდნენ საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების თანამიმდევრობა და შეეძლოთ მათში მონაწილეობის მიღება;
- მზად იყვნენ იმ მორალურ–ფსიქოლოგიური და ფიზიკურ სიძნელეების გადასატანად, რომლებიც წარმოიშვება ექსტრემალური სიტუაციების დროს.

ასევე უნდა განხორციელდეს სახელმწიფო მართვის ვერტიკალის ყველა დონის ხელმძღვანელი პირების მომზადება ექსტრემალურ პირობებში მართვის ფუნქციების განსახორციელებლად. ამ პრობლემის გადასაჭრელად ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შეიქმნას სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, სადაც სწავლებას გაივლიან სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები.

დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავდაცვის როლი ომიანობის პერიოდში ადამიანური რესურსის, ეკონომიკის ობიექტების და ინფრასტრუქტურის დაცვის საქმეში.

ნაშრომში თანმიმდევრულად განხილულია თუ როგორ ყალიბდებოდა საქართველოში მოსახლეობის უსაფრთხოების სისტემა, უძველესი დროიდან დღემდე, რაც ნათლად გვიჩვენებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას.

XX საუკუნის 80-იან წლებში რამდენადმე შემცირდა საერთაშორისო დაძაბულობა, სამაგიეროდ დაგროვდა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებასა და მისი შედეგების ლიკვიდაციასთან. ეს განპირობებული იყო ბოლო პერიოდში ამ ტიპის საგანგებო სიტუაციების რაოდენობის და მასშტაბების ზრდით, რომელიც თავისი შედეგებით უთანაბრდებოდა სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგებს. ამ დროს ხშირ შემთხვევებში შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო მთელი ქვეყნის ძალისხმევა, ხოლო რიგ შემთხვევებში - მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერა.

ზემოთ მოყვანილმა თავისებურებებმა, ასევე ჩერნობილის კატასტროფამ, გახშირებულმა მიწისძვრებმა, ავარიებმა,

წყალდიდობებმა, ხანძრებმა და სხვა ტიპის კატაკლიზმებმა გამოიწვია ყურადღების გადატანა სამოქალაქო თავდაცვიდან მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციებზე. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ჯარების უკრაინაში შეჭრამ დაანგრია მითი მშვიდობის შეუქცევადობის შესახებ და ნათლად დაგვანახა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება და რაც მთავარია მოსახლეობის ყველა კატეგორიის მზაობა ამ პირობებში მოქმედებისთვის, ასევე სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების სწორი დაგეგმვის და ოპერატიული განხორციელებისთვის - შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

დღეს მოქმედი სამართლებრივი აქტების მოკლე ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ისინი ეხება ძირითადად მშვიდობიანი პერიოდის საგანგებო სიტუაციების პრევენციას და მათზე რეაგირების დაგეგმვას. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ამოცანები, უფლებამოსილება და მათი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები ომიანობის პერიოდში მოსახლეობის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების დაცვის სფეროში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით წარმოდგენილია ხედვა ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის მართვის ერთიანი სისტემის შექმნის თაობაზე; ჩამოყალიბებულია და მკაფიოდ გამიჯნულია სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ქვეყნის მართვის ყველა დონის ხელმძღვანელი პირების და მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები.

რაც მთავარია, ნაშრომში შემოთავაზებულია მუნიციპალიტეტის სამოქალაქო თავდაცვის რაზმის სტრუქტურა. აღნიშნული რაზმის დანიშნულება იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშვიდობიან და ომიანობის პერიოდში საგანგებო სიტუაციების პრევენციის და შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების წარმოება.

განსაკუთრებით ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ტოტალური თავდაცვის პირობებზე გადასვლის შემთხვევაში ამ რაზმის შეიარაღებული ნაწილი გადის წინასწარ შერჩეულ რაიონში და მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობით იწყებს პარტიზანულ მოქმედებებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული მოდელი საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად ჩავრთოთ ტოტალური თავდაცვის სისტემაში მუნიციპალიტეტებში არსებული როგორც ადამინური, ისე მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

რეკომენდაციები:

1. მისაღებია საქართველოს კანონი ,,სამოქალაქო თავდაცვის შესახებ“, სადაც გაწერილი იქნება სახელმწიფო მართვის ყველა დონის ორგანოების მოვალეობები და პასუხისმგებლობა საფრთხეების შეფასების, პროგნოზირების, პრევენციის და რეაგირების მიმართულებით;
2. შესაქმნელია სამოქალაქო თავდაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რომელიც ითავალისწინებს სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე სამოქალაქო თავდაცვის მართვის ორგანოების, სამსახურების, რეაგირების ძალების ჩამოყალიბებას;
3. ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში შესაქმნელია სამოქალაქო თავდაცვის რაზმები, რომელთა სტრუქტურა, რიცხოვნობა, შემადგენლობა და საქმიანობა დამოკიდებული იქნება მუნიციპალიტეტის სპეციფიკაზე (მოსახლეობის რაოდენობა, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების სპექტრი, სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი, გასატარებელი ღონისძიებების მოცულობა და სხვა).

თავი III. ფსიქოლოგიური თავდაცვა

თინათინ კროპაძე

შესავალი

ქვეყნის სრულფასოვანი არსებობისა და საერთაშორისო ასპარეზზე თამამი მოქმედებისათვის, სახელმწიფოს წინაშე დგას ტოტალური (ყოვლისმომცველი) ურთიერთობების სტრუქტურის, როგორც „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის შექმნის საჭიროება. „ტოტალური თავდაცვა“ წინააღმდეგობის გაწევის ისეთი სტრატეგიაა, სადაც სამხედრო დაპირისპირების დროს მოსახლეობის ხვედრითი წილი, ჩართულობის თვალსაზრისით, მკვეთრად არის გაზრდილი. ნებისმიერი მოხალისეობრივი გაერთიანება, როგორი უნარ-ჩვევებითაც არ უნდა იყოს ის აღჭურვილი, განწირულია მარცხისთვის. ნებისმიერი მძიმე და სერიოზული სამხედრო მანქანის განეიტრალებისთვის ხშირად მორალისა და ბრძოლის ჟინის გამოცლაც კი საკმარისია და ამ მანქანის უკან, ადამიანი დგას.

მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის მედეგობასა და ფსიქოლოგიურ თავდაცვას. უმეტეს შემთხვევებში, საქმეში თავიდანვე ჩართულია განათლების სისტემა. აკადემიური ლიტერატურაცა და სფეროს პრაქტიკოსებიც სწორედ ამას გვირჩევენ - საკითხზე

ზრუნვა მშვიდობიანობის დროს უნდა დაიწყოს, ხოლო მისი „კვება“ არასდროს უნდა შეწყდეს.

საზოგადოებაში გაბატონებული ნიჰილიზმი, უიმედობა, პრორუსული პროპაგანდა, მედიის მიერ ხშირად მიზანმიმართული პანიკის გამოწვევა მოსახლეობაში, ხელს უშლის საბრძოლო მზადყოფნის(მზაობის) აღმოცენებასა და შემდგომ გაძლიერებას. არადა, სწორედ საზოგადოების ერთიანობა ქმნის იმას, რაც ომის მოგების წარმატებაში ამ საზოგადოების განსაკუთრებულ წვლილად დაფიქსირდება. ეს არის ბრძოლის ჟინი, ერთიანობა, ანუ ე.წ. „მზაობა ბრძოლისათვის“.

წინამდებარე ნაშრომში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ფსიქოლოგიური თავდაცვა და მისთვის მოსახლეობის მზაობის კვლევაა. რატომ არის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური თავდაცვა? ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი პირველი, რაზეც დღეს აქტიური მუშაობა უნდა მიდიოდეს, არის სწორედ ეს - მოსახლეობაში მაღალი საბრძოლო სულისკვეთების უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა: მოსახლეობის თავდაცვის საკითხებში ინფორმირებულობის, მისი აღქმებისა და დამოკიდებულებების, თავდაცვისათვის ფსიქოლოგიური მზაობის, ფსიქოლოგიური მედეგობისა და მოსახლეობის განწყობების შესახებ ცოდნის მიღებით, რაც სახელმწიფოს მხრიდან

განხორციელებულ თითოეულ მოქმედებას უფრო თანმიმდევ-
რულს, მიზანმიმართულს და შედეგიანს გახდის.

ნაშრომში მიმოხილულია ერთ-ერთი აუცილებელი კომ-
პონენტის, ფსიქოლოგიური თავდაცვის საკითხი, სხვადასხვა
მცირერიცხოვანი ქვეყნების ფსიქოლოგიური თავდაცვის მი-
მართულებით დღემდე არსებული გამოცდილების მიხედვით;
მოცემულია ტოტალური თავდაცვა საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს ხედვა (2030-ის) მიხედვით, მისი გაანალიზება
და საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასება; აღწე-
რილია ემპირიული კვლევის შედეგად და გაანალიზებულ მა-
სალაზე დაყრდნობით დაგეგმილი კვლევის დიზაინი და მისი
შედეგები.

ასევე განხილულია ის ფაქტები, რომელთა გათვალისწი-
ნებითაც ქვეყნის თავდაცვაში ჩართულობისთვის მოსახლეო-
ბის გაერთიანება ხდება კრიზისის დაწყებამდე მრავალი წლით
ადრე და აღნიშნული პროცესი ბევრ წვრილ-წვრილ, უმნიშვნე-
ლოვანეს კომპონენტებს მოიცავს. მათ შორის არის ქვეყნის
მოსახლეობის ფსიქოლოგიური თავდაცვისადმი მზაობა. მისი
ეფექტიანი ამოქმედებისთვის კი, საჭიროა, რომ თითოეულმა
მოქალაქემ იცოდეს ზუსტად, თუ რას და რატომ იცავს, რადგან
სხვა შემთხვევაში - მასში შიშის, შფოთვის და სხვა უარყოფითი

ხელშემშლელი მდგომარეობების აღმოცენება, მისი დემორალიზება და პანიკა გარდაუვალია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოტალური თავდაცვა მოიცავს ხუთ კომპონენტს, მათ შორისაა: სამხედრო, სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვა. აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფენ ყოვლისმომცველი და თანამიმდევრული რეაგირების წყობას, რაც გულისხმობს კოლექტიურ გამძლეობას და ინდივიდუალურ ძალებს პოლიტიკური დესტაბილიზაციის დასამარცხებლად. ეს უნდა იყოს ერთიანი ძალისხმევა, რომლის მიზანია ეროვნული საფრთხის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის დაგეგმვა, წარმართვა და საბოლოოდ მისი დამარცხება. „საზოგადოებრივი განზომილება გულისხმობს მედეგობის გაძლიერებაში საზოგადოების ყველა ჯგუფის თანამონაწილეობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მთელი მოსახლეობის ჩართულობა მედეგობის გაძლიერებაში“.[51]

და მაინც რა არის ტოტალური დაცვა? ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ტოტალური თავდაცვა წარმოადგენს თავდაცვის სტრატეგიას ან გეგმას, რომელიც საჭიროა მხო-

51 საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ეროვნული მედეგობის სტრატეგია საქართველოსთვის: ნატო-ს, ევროკავშირის და სხვათა გამოცდილება,პოლიტიკის დოკუმენტი, დეკემბერი, 2022.

ლოდ ომის დროს. რა თქმა უნდა ეს ასე არ არის. **ტოტალური თავდაცვა საჭიროა მშვიდობიანობის დროსაც და ის ბევრად მეტ საკითხებსაც მოიცავს.**

ისტორია, მაღალი საბრძოლო მორალისა და სულისკვეთების წარმატებულ არაერთ შედეგს გვამცნობს და უახლოესი წარსულიდანაც შეგვიძლია შესაბამისი მაგალითები მარტივად გავიხსენოთ. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ საქართველოში რუსეთის მორიგი შემოჭრის შემთხვევაში, მოსახლეობის რა ნაწილია მზად ქვეყანაში დარჩენის და აგრესორის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლისა თუ ქვეყნიდან წასვლისათვის.

ამ საკითხის და სხვა უამრავი ფაქტების, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგების გათვალისწინებით, კვლევის ანალიზის შედეგად შეგვიძლია შევაფასოთ, თუ როგორია თავდაცვის საკითხებში მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, მათი აღქმები და დამოკიდებულებები, კონკრეტულად კი:

- ✓ თავდაცვისათვის ფსიქოლოგიური მზაობა;
- ✓ ფსიქოლოგიური მედეგობა;
- ✓ მოსახლეობის განწყობები;
- ✓ ამ დროისათვის არსებული საჭიროებები.

საქართველოს მოსახლეობის განწყობების, ფსიქოლოგიური მზაობის და მედეგობის განსაზღვრით, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეუძლია ომში იმის „მოგება“, რაც წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, საწყის ეტაპზე, კონკრეტული მხარისთვის სუსტ წერტილად მიიჩნევა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ამ ეტაპისთვის არ არის მზად ფსიქოლოგიური თავდაცვის კუთხით, შევეცდებით გავაანალიზოთ მიღებული შედეგების გამომწვევი მიზეზები და გავწეროთ შესაბამისი რეკომენდაციები.

კლასიკური განმარტების თანახმად, „**ფსიქოლოგიური თავდაცვა** - ეს არის პიროვნების სტაბილიზაციის სპეციალური სისტემა, რომელიც უსიამოვნო, შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების თანმდევი მატრავმირებელი განცდების, შფოთვის მდგომარეობის და დისკომფორტისაგან ცნობიერების დაცვაზეა მიმართული“[52]. ფსიქოლოგიური თავდაცვის გამოყენებით ხდება ემოციური დაძაბულობის მოხსნა, ქცევის დეზორგანიზაციის აღკვეთა, მოკლე დროში ახალ ფსიქო-სოციალურ პირობებთან შეგუება. დაცვის მექანიზმებმა, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა დეზადაპტურ, პერმანენტული კონფლიქტის მდგო-

52В.И. Долгова, О.А. Кондратьева, ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ ЗАЩИТА, Москва 2014, გვ.142.

მარეობამდე მიიყვანოს ადამიანი, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ განვასხვავოთ კონსტრუქციული და დესტრუქციული დაცვები.

გამძლეობის კონცეფცია ფართოდ გამოიყენება აკადემიურ სივრცეში და მოიცავს რამდენიმე კომპონენტს ადამიანურ, სოციალურ, ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და ტრანსნაციონალურ კონტექსტში. მდგრადობის ერთ-ერთი მოქმედი განმარტება არის „სოციალური სისტემის (მაგ., ორგანიზაციის, ქალაქის ან საზოგადოების) შესაძლებლობა, პროაქტიულად მოერგოს და გამოჯანმრთელდეს იმ არეულობებიდან, რომლებიც მიმდინარეობს სისტემაში''[53].

ფსიქოლოგიური თავდაცვა და სოციალური გამძლეობა ტოტალური თავდაცვის ეფექტიანი განხორციელების ხელშემწყობი ფატორებია. ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა გააცნობიეროს და აღიაროს მისი ინდივიდუალური როლი მთელი ეროვნული თავდაცვის სისტემაში. „ფსიქოლოგიური მზადყოფნა საზოგადოების წინააღმდეგობის გაწევის ნების გამოვლინებაა. მზაობის შენარჩუნება და მოქალაქეების მებრძოლი სულისკვეთების გაძლიერება, პანიკის თავიდან აცილება და კოორდინირებული ქმედება

53 სოციალური უსაფრთხოება და საყოველთაო დაცვა - შვედური გზა (https://ndupress.ndu.edu/Media/News/News-Article-View/Article/3323928/societal-security-and-total-defense-the-swedish-way/)

ტოტალური თავდაცვის ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური განზომილების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საკითხმა, საინფორმაციო ეპოქაში და მით უმეტეს, ჰიბრიდული საფრთხეების ზრდის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა".[54]

პიროვნების ფსიქოლოგიური თავდაცვა ხორციელდება დაცვის მექანიზმებისა და დაძლევის სტრატეგიების გამოყენებით. ისინი ერთად წარმოადგენენ შემგუებელი პროცესების და ადამიანის მიერ სტრესულ სიტუაციებზე რეაგირების ურთიერთდაკავშირებულ ფორმებს.

დაძლევის სტრატეგიას წარმოადგენს მოქმედება, რომელიც მიმართულია პიროვნების პრობლემების გადაჭრაზე. ფსიქოლოგიური თავდაცვა კონსტრუქციულია, თუ მას ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: საზოგადოებრივი მოლოდინების და წესების შესაბამისობა; თუ მისი ფუნქციონირების საფუძველს აზროვნება და წარმოსახვა წარმოადგენს; თუ მისი ფუნქციონირება ხორციელდება ცნობიერად, კონტროლირდება რეფლექსებით; კონსტრუქციული ფსიქოლოგიური თავდაცვა გვთავაზობს დაცვის მექანიზმების ზომიერ გამოყენებას; უზრუნველყოფს გარეგან სოციალურ-ფსიქოლოგფიურ ადაპტირებას და ინდივიდის მიერ ცხოვრებისეული ამოცანების

54 G.Shaishmelashvili,TOTAL DEFENSE: THE STRATEGY ON HOW TO DEFEAT STRONG, Tbilisi, 2023, გვ.14.

დამაკმაყოფილებელ გადაჭრას; პიროვნებათშორის ურთიერთობაში კონსტრუქციული ფსიქოლოგიური თავდაცვა განაპირობებს პიროვნების პროგრესულ განვითარებას და სოციალიზაციას.

კონსტრუქციული ფსიქოლოგიური თავდაცვის მოდელირებამ გამოავლინა სამი დონე: **ელემენტარულ დონეზე** შეიმჩნევა ინდივიდის ფსიქოლოგიური თავდაცვის სისტემის სპონტანური ფუნქციონირება. მოდელის სპონტანურიდან ემპირიულ დონეზე გადასვლა ხორციელდება პირობების დანერგვისას: პიროვნული მახასიათებლების (მათ შორის, ფსიქოლოგიური დაცვის) გაცნობიერება.

ემპირიულ დონეზე, არსებობს ინდივიდის რეფლექსური თვითკონტროლი მის ქმედებებზე და საქმეებზე და გამოვლენილი პიროვნული თვისებების გაცნობიერება. მოდელის ემპირიულიდან თეორიულ დონეზე გადასვლა ხდება პირობების დანერგვით: პიროვნული მახასიათებლების გაცნობიერება (მათ შორის ფსიქოლოგიური დაცვა), ცოდნის სისტემის ათვისება ფსიქოლოგიური თავდაცვის ფუნქციონირების შესახებ.

თეორიულ დონეზე ფსიქოლოგიური თავდაცვის სისტემის ფუნქციონირება ხორციელდება პიროვნული მახასიათებლების, აგრეთვე ფსიქოლოგიური თავდაცვისა და მისი შე-

საძლო გამოვლინებების შესახებ ცოდნის სისტემის ცნობიერების გათვალისწინებით.

დაგეგმილი კვლევის დიზაინი

კვლევის მიზანი: ტოტალური თავდაცვის ფარგლებში, ფსიქოლოგიური თავდაცვის მიმართულებით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ მოსაზრებების გააზრება/გაანალიზება (როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებთან), არსებული საჭიროებების განსაზღვრა და დაინტერესებული მხარეებისათვის რეკომენდაციების შეთავაზება.

კვლევის მიზნის შესაბამისად, საკვლევ **ამოცანებს** წარმოადგენს:

1. სამაგიდე კვლევის ჩატარება - ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა ტოტალური თავდაცვის ფსიქოლოგიური კომპონენტის მიმართულებით;
2. სხვადასხვა შემადგენლობის (სამოქალაქო და სამხედრო) ფოკუს-ჯგუფებთან და ინდივიდებთან შეხვედრების (ინტერვიუს) გამართვა ფსიქოლოგიური თავდაცვის საკითხებზე;
3. საზოგადოების წევრთა მოსაზრებების განსაზღვრა;
4. თვისებრივი კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო ჩარჩოს შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება თავდაცვის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

თემის ირგვლივ, მიმოვიხილეთ რამოდენიმე სახელმძღვანელო დოკუმენტი;

1. **ტოტალური თავდაცვა - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა (2030)** - დოკუმენტის მიხედვით, გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, ტოტალური თავდაცვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებით ძალისხმევის გაწევით: ერთიანი სამთავრობო ძალისხმევა, სამხედრო ძალისხმევა, სამოქალაქო ძალისხმევა და საერთაშორისო ძალისხმევა. მათ შორის, ჩვენ მიერ განხილული მიმართულებით, ხაზგასასმელია სამოქალაქო დაცულობის უზრუნველყოფა და ძირითადი სერვისებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უწყვეტი ფუნქციონირება; მოსახლეობის მორალური და ფსიქოლოგიური მდგრადობა და კიბერთავდაცვა ომისა და მშვიდობიანობის დროს[55]. მდგრადობა გულისხმობს ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებას, მიუხედავად წარსულში მომხარი უარყოფითი მოვლენებისა თუ გარემოებების, შეფერხების ან მოთხოვნის ცვლილების კონტექსტსში. მდგრადობა გულისხმობს მთლიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას და

55 ტოტალური თავდაცვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა(2030), გვ.8;

განმარტებულია როგორც ,,კრიზისიგან თავის დაღწევის უ-ნარი.“

2. **RUSSIAN WAR AGAINST UKRAINE LESSONS LEARNED CURRICULUM GUIDE, Issued at NATO Headquarters Brussels, December 2023**, https://www.nato.int/nato_static_fl2014/ assets/ pdf/2023/12/pdf/231208-RusWar-Ukraine-Lessons-Curriculum.pdf

- ნაშრომში ტოტალური თავდაცვის განსაზღვრა და პრაქტი-კული რეალიზება განხილულია რუსეთ-უკრაინის ომის შუქზე; მოცემულია ომის „ცვალებადი ხასიათიდან“, არსე-ბული გამოცდილებიდან და სიტუაციის შესწავლიდან ნას-წავლი გაკვეთილები[56]; თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროგრამებით ხელმძღვანელობა უკრაინული პერსპექტივე-ბის გათვალისწინებით; რა პერსპექტივები არსებობს რუსე-თისა და უკრაინისათვის სტრატეგიულ და ოპერაციულ დო-ნეზე; რუსეთ-უკრაინის ომი და სტრატეგიული კომუნიკა-ცია; რუსული ინფორმაციული ოპერაციები; ეროვნული მდ-

56 Robert M. Antis, Tony R. Mullis, RUSSIAN WARAGAINST UKRAINE LESSONS LEARNED CURRICULUM GUIDE, Issued at NATO Headquarters Brussels December 2023, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2023/12/pdf/231208-RusWar-Ukraine-Lessons-Curriculum.pdf, გვ.12

გრადობა, მობილიზება და ტერიტორიული თავდაცვა და ა.შ.

დოკუმენტში საუბარია **ეროვნულ მდგრადობაზე,** რომელიც განმარტებულია როგორც „სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან, ეფექტური წინააღმდეგობის გაწევის უნარი ნებისმიერი წარმოშობის და ხასიათის საფრთხეებზე; რათა მოერგოს უსაფრთხოების ცვლილებებს, გარემოს, სტაბილური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, რათა სწრაფად აღდგეს სასურველი ბალანსი კრიზისული სიტუაციის შემდეგ“(უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება N°.479/2021 მდგრადობის განვითარების ეროვნული სისტემის შემოღების შესახებ)[57].

1. კ. კაკაჩია, ბ. ლებანიძე, ს. კანდელაკი, „ეროვნული მედეგობის სტრატეგია საქართველოსთვის: ნატო-ს, ევროკავშირის და სხვათა გამოცდილება,” პოლიტიკის დოკუმენტი, No.33, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2022.

- ნაშრომში მოცემულია საქართველოს ეროვნული მედეგობის სტრატეგიის განსაზღვრების მცდელობა; შეხედულებები, რომლებიც ეყრდნობა სამაგიდო კვლევასა და უსაფრთხოების საკითხებზე ქართველ ექსპერტებთან და ფოკუს-ჯგუფებთან მიღებული კვლევის შედეგებს. „აშკარაა, რომ

57 იქვე, გვ.49.

საქართველოს ესაჭიროება სექტორთაშორისი მედეგობის ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც საზოგადოების ერთიან მიდგომას დაემყარება. ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებსა და ქართველი ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეიძლება გამოიყოს მედეგობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ოთხი განზომილება: ინსტიტუციური/საკანონმდებლო, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და საჯარო-კერძო. **მედეგობის** გაძლიერების ინსტიტუციური/საკანონმდებლო განზომილება გულისხმობს სტრატეგიული დოკუმენტების და კანონმდებლობის ჰარმონიზებას, ასევე საჯარო მმართველობის და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესებას."[58]

3.1 მცირერიცხოვანი ქვეყნების გამოცდილების ანალიზი

1. სინგაპური - იყენებს 1984 წელს შემოღებულ ტოტალური თავდაცვის კონცეფციას, რომელიც ადაპტირებულია და შემუშავებულია შვეიცარიისა და შვედეთის გამოცდილებების საფუძველზე. აღნიშნულ არჩევანს აქვს ორი კონკრეტული მიზეზი: პირველია ის, რომ სინგაპურის მოსახლეობა **რაოდე-**

58 კ. კაკაჩია, ბ. ლებანიძე, ს. კანდელაკი, "ეროვნული მედეგობის სტრატეგია საქართველოსთვის: ნატო-ს, ევროკავშირის და სხვათა გამოცდილება," პოლიტიკის დოკუმენტი, No. 33, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2022., გვ.5.

ნობრივად ძალიან მცირეა. შესაბამისად, მცირეა ახალგაზრდა მოსახლეობის რაოდენობაც. აღნიშნული მიზეზის გამო, სინგაპურს არ აქვს საშუალება შეინარჩუნოს რეგულარული შეიარაღებული ძალები. ამრიგად, საჭიროება გამოიკვეთა, რომ სინგაპურელი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაერთოს მათ რიგებში, ასაკის გათვალისწინების გარეშე.

მეორე მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რადიკალურად შეიცვალა **თანამედროვე ომის ბუნება.** ომების მიმდინარეობა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ,,ბრძოლის ველზე ბრძოლის წარმართვით". აღნიშნულის ნაცვლად, პოტენციურ აგრესორებს შეუძლიათ განახორციელონ თავდასხმა ნაკლებად აშკარა, არასამხედრო გზების გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმატებით გამოიყენება ტოტალური თავდაცვის ხუთივე ელემენტის ერთობლივი მუშაობა, რაც რეალურად წარმოადგენს ეგრეთწოდებული ყოვლისმომცველი თავდაცვის სტრატეგიას.

პოლიტიკურ არასტაბილურობას გააჩნია უნარი სერიოზული დარტყმა მიაყენოს როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე საზოგადოებას, რაც გამოიწვევს არა მხოლოდ მატერიალურ და ადამიანური რესურსების დაზიანებას, არამედ მას გააჩნია მაღალი პოტენციალი, და შესაბამისად, შესაძლოა სახეზე იყოს სერიოზული ფსიქოლოგიური ზიანი. პოლიტიკურ არასტაბი-

ლურობას ასევე გააჩნია პოტენციალი, დაუპირისპიროს ერთმანეთს სხვადასხვა თემები, რაც რეალურად ასუსტებს სინგაპურის მრავალ რასობრივ, მრავალრელიგიურ ხასიათს, რაც თავის მხრივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სინგაპურის მთავრობამ შეიმუშავა და გაასაჯაროვა გადაუდებელი შემთხვევების დროს სინგაპურელი მოქალაქეების მოქმედების ზოგადი გეგმა და განსახორციელებელი ქმედებები. კერძოდ, საგანგებო სიტუაციის დროს: სინგაპურის მოქალაქეები მზად უნდა იყვნენ სათანადო რეაგირებისთვის; მათ უნდა შეძლონ **საკუთარი თავის და ოჯახების დაცვის გარდა, აიღონ უფრო ფართო პასუხისმგებლობა და მოახერხონ სხვა ადამიანების დახმარებაც.**

2. დანია - ქვეყნის მთავრობის ხედვით, ტოტალური დაცვა არის „ყველა რესურსის გამოყენება ორგანიზებული და ფუნქციონალური საზოგადოების შესანარჩუნებლად და საზოგადოების ღირებულებების დასაცავად“.[59] ეს მიიღწევა სამხედრო, შიდა დაცვის, დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და პოლიციის ელემენტების გაერთიანებით.[60] ტოტალუ-

59 Chief of the Army (1972). Grundbog for hærens meninge (in Danish). Copenhagen: S. L. Møllers Bogtrykkeri. p. 19. Retrieved 1 October 2018.
60 Friis, Niels (1 March 2007). "Forsvarsforligets betydning for totalforsvaret" [The Defence Agreement's Effect on the Total Defence]. krigsvidenskab.dk (in Danish). Retrieved 19 June 2018.

რი თავდაცვის კონცეფცია შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემ-დეგ, სადაც ცხადი იყო, რომ ქვეყნის თავდაცვა არ შეიძლებოდა დაყრდნობოდა მხოლოდ სამხედროებს, არამედ უნდა არსებობდეს სხვა ზომები საზოგადოების მიერ ბრძოლის გაგრძელების უზრუნველსაყოფად. როგორც ტოტალური თავდაცვის ნაწილი, ყველა ყოფილი წვევამდელი შეიძლება გაიწვიონ სამსახურში, რათა იმსახურონ საგანგებო შემთხვევებში.[61]

3. შვედეთი - ქვეყნის მთავრობის ხედვით, ძლიერი ტოტალური თავდაცვა იწყება მოსახლეობის მზადყოფნით, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის დაცვაში. კრიზისისა და ომისთვის მზადყოფნა აუცილებელია, რათა გაუძლო თავდაპირველ შოკს და დარტყმას. მოსახლეობამ და ლიდერებმა უნდა გაიგონ, რა შეიძლება მოითხოვონ მათგან ომის დროს. უფრო მეტიც, ღია საზოგადოების, კანონის უზენაესობისა და სუვერენიტეტის დაცვა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მთავრობა უკვე გამოეხმაურა კომისიის ერთ-ერთ წინადადებას ახალი ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელსაც დაეკისრება ქვეყნის სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვის განვითარებისა და კოორდინაციის საერთო პასუხისმგებლობა. ეს მოიცავს დეზინფორმაციასთან ბრძოლას და ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმი-

61 Jydske Dragonregiment. "Hærens Basis Uddnnelse". forsvaret.dk (in Danish). Retrieved 1 October 2018.

საწვდომობის უზრუნველყოფას. იმ მძიმე განსაცდელის შესამსუბუქებლად, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობა განიცდის შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, აუცილებელია გეგმების მომზადება და სამოქალაქო თავდაცვის მიზნებისთვის რესურსების გამოყოფა მშვიდობიან პერიოდში. სამოქალაქო თავდაცვის სტრუქტურაში შედის: რეგიონული რეზერვების პერსონალი-სამაშველო სამსახურების გაძლიერებისა და მუნიციპალიტეტებში ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებისთვის; აგრეთვე, თავშესაფრები და ევაკუაციის გეგმები სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

4. ესტონეთი - ესტონელების მიერ შექმნილი ტოტალური თავდაცვის კონცეფცია ითვალისწინებს სახელმწიფო სტრუქტურების, თავდაცვითი ძალების, თვითმმართველობის ორგანოების, მოსახლეობის სულიერი, ფიზიკური, ეკონომიკური და სხვა პოტენციალის სრულ მზადყოფნას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და ნაციის გადასარჩენად. ესტონელები განიხილავენ ტოტალური თავდაცვის ხუთ კომპონენტს: ფსიქოლოგიურს, სამოქალაქოს, ეკონომიკურს, სამხედროსა და სამოქალაქო მზადყოფნას.[62]

---

62 ტოტალური თავდაცვა - რას ნიშნავს ის საქართველოს უსაფრთხოებისთვის - https://kvirispalitra.ge/article/37944-totaluri-thavdacva-ras-nishnavs-is-saqarthvelos-usafrthkhoebisthvis/
გადამოწმ. 22.12.2022.

✓ **ფსიქოლოგიური თავდაცვა** - ეს არის მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადება სამშობლოს დასაცავად, მიუხედავად იმისა, რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს სავარაუდო მოწინააღმდეგე. ამ მიმართულებით მოქალაქეების მენტალიტეტის ჩამოყალიბება სკოლის მერხიდან უნდა დაიწყოს, რათა ისინი დემოკრატიულ ქვეყანაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სულით გაიზარდონ.

5. **ფინეთი -** სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, ფინეთის მთავარი პრობლემა მისი მწირი მოსახლეობაა. ფინეთს დაახლოებით იგივე ტერიტორია უკავია, რაც გერმანიას. მაგრამ გერმანიის მოსახლეობა 83 მილიონია, ხოლო ფინეთის - 5,5 მილიონი. ამავდროულად, ფინეთს აქვს 1340 კმ სახმელეთო საზღვარი რუსეთთან. ამ პრობლემის გადასაჭრელად ფინეთმა შეიმუშავა და იყენებს „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციას.

ფინეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, თავდაცვის უზრუნველსაყოფად, არმია, მექანიზმებს საზოგადოების ყველა რესურსის მაქსიმალური მობილიზაციისთვის, მუდმივად ამუშავებს.

3.2 ტოტალური თავდაცვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა-2030-ის მიხედვით

არასიმეტრიული კონვენციური და არარეგულარული დაპირისპირების დროს, ერის მედეგობის შენარჩუნება დამოკიდებული იქნება ყველა ხელმისაწვდომი აქტივის ეფექტიან ორგანიზებასა და მართვაზე. ეროვნული წინააღმდეგობის გაწევა კრიზისის ან ომის დროს გულისხმობს სამხედრო და არასამხედრო რესურსების გამოყენებას.

ტოტალური თავდაცვის გამოყენების მიზანშეწონილობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ერთიანი სამთავრობო ძალისხმევა. სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოების კოორდინირებული ჩართულობით, სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზება უფრო ეფექტურად წარიმართება. ტოტალური თავდაცვის ოთხი ძალისხმევის ხაზია: ერთიანი სამთავრობო ძალისხმევა, სამხედრო ძალისხმევა, სამოქალაქო ძალისხმევა და საერთაშორისო ძალისხმევა. სამოქალაქო ძალისხმევა გულისხმობს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს სამოქალაქო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს თავდაცვის ძალების მხარდაჭერას და ამავე დროს, ემსახურება ხელისუფლების ფუნქციონირების უწყვეტობას. სამოქალაქო თავდაცვა ასევე გულისხმობს: სამოქალაქო დაცულობის უზ-

რუნველყოფას და ძირითადი სერვისებისა და კრიტიკული ინ-ფრასტრუქტურის უწყვეტ ფუნქციონირებას; მოსახლეობის მო-რალურ და ფსიქოლოგიურ მდგრადობასა და კიბერთავდაცვას ომისა და მშვიდობიანობის დროს.

საქართველოს კანონის ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შე-სახებ“ (თავი V) ზოგად დებულებაში ვკითხულობთ: „ტოტა-ლური თავდაცვის კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელების-თვის მნიშვნელოვანია ერთიანი სამთავრობო მიდგომისა და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება, რეგულარული უწ-ყებათშორისი სწავლებების ჩატარება, ასევე საზოგადოების სა-ინფორმაციო და ფსიქოლოგიური მდგრადობა“[63].

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლე-ბამოსილებას, საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში „საგანგებო სიტუაციების მარ-თვის ერთიანი სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვ-რული უფლებამოსილების ფარგლებში, განეკუთვნება: „მშვი-დობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობი-ნება და მისი ინფორმირება უსაფრთხოების უზრუნველსაყო-

63საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2363013?publication=10,

ფად აუცილებელი ქმედებების შესახებ; მოსახლეობის ევაკუაცია და თავშესაფრებში მოთავსება ან/და მისთვის თავშესაფრების მოწყობა; ეროვნული გეგმის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და **ფსიქოლოგიური დაცვის** ღონისძიებების ორგანიზება“[64] და ა.შ.;

თვისებრივი კვლევა

კვლევითი პროექტის ფარგლებში, მკვლევარებმა ჩაატარეს თვისებრივი ხასიათის კვლევა. შედგა ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები, პირველ ეტაპზე სამხედრო მოსამსახურეებთან(იუნკერებთან, მსმენელებთან და ოფიცრებთან), ხოლო შემდეგ - უკრაინელ სტუდენტებთან. სფეროს ექსპერტებმა მოგვცეს რეკომენდაციები მოსახლეობის სასურველი დამოკიდებულებების და განწყობის შექმნის საკითხებთან დაკავშირებით. ძირითადად, ჩაძიება მოხდა ისეთ დეტალებზე, როგორიცაა: შფოთვის, შიშის, ხელშემშლელ მდგომარეობებსა და ემოციებზე ინფორმაციის მიღება.

ფოკუს ჯგუფები - ექსპერტებთან და სამხედრო პირებთან (მათ შორის ვეტერან, ნაომარ, დაჭრილ-დაშავებულებთან, თანამდებობის პირებთან) როგორც ინდივიდუალური, ასევე

64 საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2363013?publication=10

ჯგუფური შეხვედრების დროს საუბარი იყო ისეთ თემებზე, როგორებიცაა:

- ✓ „როგორ ხდება სასურველი დამოკიდებულების და განწყობის შექმნა, რათა პიროვნებამ იომოს და ფსიქოლოგიურად მზად იყოს ამავე დროს თავდაცვისათვის (როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვებზე ზრუნვა)“;
- ✓ „როგორ ხდება იდეოლოგიის დონეზე, იმ დამოკიდებულების და განწყობის შექმნა, რათა პიროვნებამ დაძლიოს შიში და არ ჩავარდეს პანიკაში?“

- რა უნდა ვუთხრათ?
- როგორ უნდა ვუთხრათ?(როგორ მივაწოდოთ ინფორმაცია?)

კვლევის მეთოდოლოგია:

თვისებრივი კომპონენტი - ჩატარდა რამდენიმე ფოკუს ჯგუფი და ჩაღრმავებული (სტრუქტურირებული ან ნახევრად სტრუქტურირებული) ინტერვიუ, სადაც გამოიკითხნენ 18-დან 55 წლამდე ადამიანები(სამხედრო და სამოქალაქო სექტორიდან), საქართველოში სხვადასხვა ლოკაციაზე მცხოვრები ახალგაზრდები. რესპოდენტებმა 10 კითხვას უპასუხეს.

კვლევის სამიზნე ჯგუფი:

- 18-დან 55 წლამდე ადამიანები(სამხედრო და სამოქალაქო სექტორიდან);

- ინტერვიუ ქართველ და უკრაინელ მოქალაქეებთან.

კვლევის შეზღუდვები:

- რესპოდენტთა სიმცირე

1. **კვლევის შედეგები/ მიგნებები**

1.1. თვისებრივი კომპონენტი(ტრანსკრიპტები).

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები

- თავდაცვისათვის ფსიქოლოგიური მზაობა;
- ფსიქოლოგიური მედეგობა;
- მოსახლეობის განწყობები.

2. დასკვნები (თვისებრივი კომპონენტების შეჯამება)

3.3 თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები (შედეგების ჩამოთვლა)

წარმოდგენილ მონაცემთა ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს: რესპოდენტებთან საუბრისას, კითხვაზე:

1. თქვენი აზრით, რა არის ფსიქოლოგიური თავდაცვის არსი?...და თუ გქონიათ ფსიქოლოგიური თავდაცვის გამოცდილება? მათი აზრი ასეთია: ფსიქოლოგიური თავდაცვა არის როგორც ქვეყნის, ასევე მისი მოსახლეობის <u>ფსიქოლოგიური და მორალური მზაობა, მდგრადობის და მედეგობის შენარჩუნება</u> ნებისმიერი აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად; ეს არის <u>სა-</u>

კუთარი თავის დაცვა, დახმარება. გზა, რითაც ვუმკლავდებით სტრესს, ტრავმას ან საფრთხეებს, რომლებსაც ცხოვრებაში ვაწყდებით, გაცნობიერებული უარის თქმა ისეთი აზრების მიღებაზე, რომელიც მიმდინარე მოვლენებთან არის დაკავშირებული, ზიანის, აგრესიის აცილება და მობილიზების მცდელობა, სტაბილურობის შენარჩუნება;

- ✓ თავდაცვის მექანიზმი გამღიზიანებლის წინააღმდეგ; ტაქტიკა, რომლის შეგნებით შიშის შემცირება გამოიწვევს სტრესის შემცირებასაც, *„დამშინებელმა ეს უნდა დაინახოს და იგრძნოს, რომ მისი არ გვეშინია“ (ვ. ტ., 21 წლის – უკრაინის ომის თვითმხილველი, სტუდენტი);* უნარი - სტრესულ სიტუაციაში ერი დარჩეს ბრძოლისუნარიანი ნებისმიერ ვითარებაში, ეს იქნება ეკონომიკური მიმართულება, სამხედრო თუ სამოქალაქო. *„მე მაქვს ფსიქოლოგიური თავდაცვის გამოცდილება, რადგან მომიწია გამკლავება უკრაინის ომთან და ახალ ქვეყანაში გადასვლის გამოწვევებთან”(მ. კ. 20 წლის - უკრაინელი სტუდენტი ლიეტუვაში).*
- ✓ *,,მე არ მაქვს გავლილი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი. ფსიქოლოგიური ოპერაციების ჩატარების კუთხით საქართველოში საერთოდ არ არის გამოცდილება, ასეთ ოპერაციებს ვერ ვატარებთ, ჯერ არ არსებობს ჩვენს სივრცეში.”*

- ✓ *,,ფსიქოლოგიური პრობლემები სომარი კამპანიის წარმოების დროს საწყის ეტაპზე იყო, ჰქონდა ბევრს და მათ შორის მეც და რაში გამოიხატებოდა - დაბნულობაში, შიშში, რომელიც ნელ-ნელა გაქრა და ზოგადად ქრება ალბათ ყველა პიროვნებაში არა, მაგრამ უმრავლესობაში. ფსიქოლოგიური მომზადებისთვის ჩატარებული ტრენინგები რომ გაგველო, შესაძლოა ეს უფრო ნაკლებ ადამიანს დამართნოდა" (ოფიცერი, 38წლის).*
- ✓ *„მე ვარ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღდგენისათვის მებრძოლი, ომის ვეტერანი და მაქვს გამოცდილება მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის საკითხებში" (თადარიგის პოლკოვნიკი, 55წლის).*

2. რესპოდენტებმა, კითხვაზე, **როგორია თქვენი დამოკიდებულება არსებული თავდაცვის/ჯარის მიმართ?** განსხვავებული პასუხები გაგვცეს. ჯარის მიმართ სხვადასხვა პოზიცია იკვეთება ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურეებთან. მათი აზრით, სამხედრო სამსახური საამაყოა და ყოველთვის დადებითი ემოცია მოდის მათ მიმართ. *„კვლევა ჩაატარეს ამაზე, საზოგადოება ეკლესიას უფრო უჭერდა მხარს თუ ჯარს. ჯარმა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობით უპირატესობა მოიპოვა ამ თვალსაზრისით "(სამხედრო გოგონა).*

- ✓ *,,განწყობა ჯარის მიმართ დადებითია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ხალხი სავალდებულო ჯარს ხედავს და მასთან უწევს ურთიერთობა, და უფრო კარგად იცნობს, ვიდრე პროფესიონალურ ჯარს, შედარებით ჩაკეტილი სისტემაა და ხალხს აქვს ისეთი საუბრები, რომ ჩვენ რას გავხდებით ჩვენს მტერთან, რომ თითქოს იმდენად დიდი ძალა არ გვაქვს, რომ ჩვენ მტერთან რას გავხდებით და ასე ხდება ჩვენი დაკნინება, რადგან ასე ვრცელდება ცუდი და ყალბი ხმები."*
- ✓ *,,გავრცელებულია ინფორმაცია, რომ ჯარი არავის არ უნდა და ძალით მიყავთ, ისიც არის, რომ ჯარი იცლება, ხალხის ნაკლებობა არის და მსგავსი რაღაცები ასეა გავრცელებული..."*
- ✓ *,,არის ერთი ის, რომ სავალდებულოზე მიყავთ და პროფესიონალურზეც ბევრი ადამიანი თავს იკავებს, რომ ამაში ეკონომიკურ საკმარის სარგებელს ვერ ნახულობენ, ვიდრე კერძო სექტორშია ან ნებისმიერ სხვა სფეროში"(იუნკერი)...*

თუმცა, ამავდროულად განიცდიან, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ აქვს საკმარისი და შესაბამისი ინფორმაცია ზოგადად ჯარზე და სამხედრო მოსამსახურეზე, ჰგონიათ რომ ეროვნულები ვერ ჩააბარე, ჩაიჭერი, სავალდებულოზე ხარ, ვერ შეძელი კერძო სექტორში და მაგიტომ ხარ ჯარში და ა.შ. ასევე, ჯარს თავის მხრივ არ აქვს ცალსახად დასახული და

დანახული კონკრეტული მიზანი, რადგან ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის მთლიანობის აღდგენის მიუხედავად, არ არის განსაზღვრული კონკრეტული მტერი...

სამოქალაქო სტუდენტებსაც ჯარის მიმართ არა აქვთ ცალსახა დამოკიდებულება. „*მთავარ ფუნქციას არ ასრულებენ. ვერ ახერხებენ ქვეყნის დაცვას, ამის მაგალითია მცოცავი საზღვარი, ან თუ კონფლიქტი ხდება -არაფერს აკეთებენ, ან უძლურები არიან მათ მიმართ. კიდევ მგონია, რომ რადიკალური ცვლილებები უნდა მოხდეს. სავალდებულო ჯარი ახსენეთ და მგონია, რომ როგორც კაცისთვის ისე ქალისთვის უნდა იყოს სავალდებულო - როგორც ისრაელში*“ (სამოქალაქო სტუდენტი).

ამასთან, სავალდებულო ჯარის მიმართ ნეგატიური და სკეპტიკური კომენტარებია: „*ზოგადად ჯარისკაცების მიმართ ვფიქრობ რომ ღირსეულ საქმეს ემსახურებიან, ვფიქრობ რომ საქართველოში თუ გავაძლიერებთ ამ მხარეს და შევძლებთ სიძლიერეების წარმოჩენას ძალიან კარგი იქნება“(სამოქალაქო სტუდენტი).*

„ჯარი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ ახალი მიდგომა უნდა დაინერგოს, მოქალაქე ვალდებულებით მივა ჯარში, თუ არავალდებულებით საინტერესო საქმე უნდა აკეთოს“(სამოქალაქო სტუდენტი).

„ეს თავგანწირვა არის დასაფასებელი, არ არის დასავიწყებელი და ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ. ამ მხრივ ჩემი მიდგომა დადებითია, თუმცა ზოგადად იარაღთან დამოკიდებულებით მაქვს ცუდი და უარყოფითი მიდგომა, ამიტომ ჯარსაც ვერ აღვიქვამ დადებითად ამ ჭრილში (სამოქალაქო სტუდენტი).

✓ *,,დღეს უკვე გაცილებით მაღალ დონეზე ავიდა ჯარში განათლების სისტემა, ჩვენი ორგანიზაციაც უკვე მეტ პატივისცემას იმსახურებს საზოგადოებაში, ჩემი აზრით, უკვე თავდაცვის ძალებში მომსახურე სამხედრო პირს აღარ აქვს გაუნათლებლის სტატუსი. განათლებაში იგულისხმება, როგორც ზოგადი, ისე ჩვენი საქმის ცოდნა, რასაც საზოგადოება უფრო მეტად ხედავს" (ოფიცერი, 38 წლის).*

უკრაინელ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა მათი **დადებითი** დამოკიდებულება დღევანდელი უკრაინის თავდაცვის/ჯარის მიმართ.

3. რესპოდენტებმა კითვაზე: **როგორ შეაფასებდით ჯარის მორალურ მდგომარეობას (პატრიოტული სულისკვეთება და მებრძოლი სული) და რას ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ის თავდაცვისთვის?**

ახალგაზრდა სამხედროების თვალსაზრისით, ჯარის მორალური მდგომარეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ ცოტა დაბალია, საშუალოდ დამაკმაყოფი-

ლებელია, თუმცა შესაძლოა მის ამაღლებაზე მუშაობა. მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ქვეყნის გეო-პოლიტიკური მდებარეობა (უფრო დიდი დოზით) და შესაძლოა სახელმწიფო პოლიტიკა(შედარებით მცირედით წარმოდგენილი). საზოგადოების აზრი და დამოკიდებულება ჯარის მორალურ მდგომარეობას (მათ მოტივირებას) მნიშვნელოვანად განაპირობებს, თუმცა, ამ ეტაპზე, ახალგაზრდების ინფორმირება არასაკმარისია, ან *„საზოგადოება ზედმეტად ინფორმირებულიც არის სხვადასხვა ფსიქოლოგიური ზეწოლების გამო. რთულია ისეთი ჯგუფების შექმნა, სადაც უმრავლესობა ერთიდაიგივე აზრის გამზიარებელი იქნებოდა, ხშირად სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებები იჩენს თავს“(იუნკერი გოგონა).*

„ჯარში მოტივაცია არ არის, იმ ადამიანს სულ რომ უმაღლესი დონის იარაღი უნდა მისცე, არ აიღებს ხელში და არ ისვრის. მერე კიდევ, მოტივაციაზე, რაც ჩვენ ვიცით მოტივაცია 2008 წლის შემდეგ მაღალი იყო, ერთი 4-5 წელი, მერე რაც ეს მშვიდობიანობის პერიოდი დაიწყო, არც განვითარება არ გვაქვს დიდად, ასე თვალსაჩინო რომ რამე ჩატარებულიყო, თან მშვიდობიანობის პერიოდს ყოველთვის მოყვება მოგონება და საზოგადოება და ჩვენი ჯარი ისე მოდუნდა, რომ ომი არ არი, არაფერი არ არი, სამშვიდობოდანაც გამოვიდნენ და იქაც არაღარ მიდიან, ეს იწვევს დემოტივაციას“ (იუნკერი).

„როგორი კარგი ჯარიკაციც არ უნდა იყო, თუ უშუალო ოპერაციაში არ მიიღე მონაწილეობა, სტრესის დროს არ იგრძენი და ნახე როგორი ხარ და რა შეცდომებს უშვებ, შანსი არ არის გახდე ნამდვილი ოფიცერი“ (იუნკერი).

ომის ვეტერანების აზრით, ჯარის მორალური მდგომარეობა დღეს შესაძლოა შეფასდეს არასაკმარისად, რადგან ჯარიდან გადინება მომატებულია... *,,არ არის ეს ნიშნული სასურველ დონეზე. განათლებაც უნდა იყოს ორიენტირებული ამაზე და არა მხოლოდ ის ასწავლოს, რაც ზოგადი ცოდნისთვის არის საჭირო, არამედ ისე მიიღოს განათლება და ისე ისწავლოს, რომ მისი ცოდნა თანხვედრაში იყოს სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან - ეს არ არის პრობლემა და ეს არ უშლის ხელს თავისუფლებას, იდეოლოგია აუცილებელია კრეატიულ აზროვნებასთან ერთად” (ოფიცერი, 38წლის).*

რაც შეეხება უკრაინელი სტუდენტების აზრს, ისინი თვლიან, რომ მათი ჯარის მორალური მდგომარეობა (პატრიოტული სულისკვეთება და მებრძოლი სული) უკრაინაში კარგია, მაგრამ მისი გაუმჯობესება შესაძლებელია. ამასთან, ის მეტად დამოკიდებულია კონტექსტზე და სიტუაციაზე. *„მე ვფიქრობ, რომ ეს მნიშვნელოვანია თავდაცვისთვის, რადგან ის ხალხს უბიძგებს დაიცვან საკუთარი ქვეყანა და ღირებულებები. ეს ასევე ხელს უწყობს მოქალაქეებს შორის ერთიანობისა და*

სოლიდარობის განცდის ჩამოყალიბებას“ (მ. კ., 20 წლის - უკრაინელი, სტუდენტი).

სამოქალაქო სტუდენტების აზრი ამ კითხვასთან დაკავშირებით არის ის, რომ პატრიოტიზმი და ბრძოლის ჟინი აუცილებელი და მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, თუმცა, მათი გადმოსახედიდან, ის დაბალი ხარისხით ან საერთოდ არ გვაქვს*:*

„ხალხი რაღაცნაირად მოშვებულია, იმისთვის არსებობენ რომ თავი გადაირჩინონ, დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობენ და არა იმისთვის, რომ რაღაც გააკეთონ, დრო არ რჩებათ ამ საკითხებისთვის ასე მგონია“.

„ვფიქრობ, რომ სიტყვა პატრიოტიზმმა აზრი დაკარგა, ყველა ისე იყენებს როგორც უნდათ და როგორც აწყობთ და ქვეყნისთვის ჩვენი ქვეყნისთვის კი არ ფიქრობენ, როგორ წავიდნენ და თვითგადარჩენაზე არიან ორიტენტირებულები - კი პატრიოტი ვარ, წავალ სხვა ქვეყანაში და ამით ჩემ ქვეყანას დავეხმარები, ასე ფიქრობენ“ (სამოქალაქო სტუდენტები).

4. კითხვაზე, თუ **რამდენად კავშირშია ფსიქოლოგიური თავდაცვა და მენტალური ჯანმრთელობა/სტაბილურობა?** რესპოდენტებმა უპასუხეს, რომ სტრესის დროს განსაკუთრებით მჭიდროა მათი კავშირი. დეზინფორმაციის პირობებში, <u>კრიტიკული აზროვნების და თვითრეფლექსიის უნარები</u> აუცილებელია სიმშვიდის შესანარჩუნებლად და პოსტტრავმული სტრესული

აშლილობის (PTSD) განვითარების თავიდან ასაცილებლად. *„როგორც ვიცი ჯარში არის ძალიან ბევრი სტრესი და ჯარისკაცებს სჭირდებათ სწორი* ***თავდაცვის მექანიზმები*** *რომ ჰქონდეთ, იმისათვის რომ თავი აირიდონ ამ გართულებებისგან“ (სამოქალაქო სტუდენტი).*

ამასთან, როდესაც ადამიანი ფსიქოლოგიურად ჯანმრთელია და ყველანაირად აკონტროლებს სიტუაციებს, აქვს საკუთარი შემუშავებული გეგმა გარკვეულ სიტუაციებში როგორ გადაირჩინოს საკუთარი თავი, ფსიქოლოგიურად უფრო ჯანსაღად ფიქრობს, უფრო მარტივად შეხედავს ცხოვრების სხვადასხვა პრობლემას და სხვადასხვა ეტაპზე უფრო სხვანაირად გაძლიერდება.

უკრაინელი ახალგაზრდების აზრით, ფსიქოლოგიურმა დაცვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დადებითად ან უარყოფითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვიყენებთ მას. ,,*თუ მას ჯანსაღად და ადაპტირებულად გამოვიყენებთ, ის დაგვეხმარება გამკლავებაში და გამოჯანმრთელებაში. თუ ჩვენ ვიყენებთ მას არაჯანსაღი და არაადაპტაციური გზით, ამან შეიძლება გამოიწვიოს რეალობის უარყოფა ან დამახინჯება და ზიანი მიაყენოს საკუთარ თავს ან სხვებს“* (მ. კ., 20 წლის - უკრაინელი, სტუდენტი).

„თუ ადამიანმა იპოვა მეთოდი, როგორ ამოიცნოს სტრესის გამომწვევი ფაქტორები და უფრო მეტიც, იპოვა მისი სათავისოდ გამოყენების ან თავიდან აცილების გზა - ეს მეტყველებს მაღალ ფსიქიკურ სტაბილურობაზე, რაც, რა თქმა უნდა, ერთ დღეში არ კეთდება" (ვ. ტ., 21 წლის – უკრაინელი, სტუდენტი).

,,ვფიქრობ, ფსიქოლოგიურად, თუ ჩვენ ადამიანებს სათანადოდ თუ არ მოვამზადებთ, მათი ეს მდგომარეობა იქნება არაპროგნოზირებადი, გამომდინარე მათი უმწეობიდან, იმიტომ, რომ ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი ადამიანი, ჩემთვის ყველაზე უმწეო ადამიანია, იმიტომ, რომ მას უჭირს იქ რაც არ ჩანს, მაგრამ ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ქმედებაზე" (ოფიცერი, 38 წლის).

5. რესპოდენტების პასუხები შემდეგ კითხვაზე „**რას იტყოდით პროპაგანდის ზემოქმედებასა და ზოგადად ზეგავლენის მოხდენაზე?**" ცალსახაა. მათი აზრით, კარგი, ზომიერი, დოზირებული და სწორი პროპაგანდა(განსაკუთრებით, საინფორმაციო კამპანია), რა თქმა უნდა კარგია. პროპაგანდა არის ძლიერი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ძლიერი ცვლილებების შეტანა სიტუაციაში. ჰიბრიდულ ომში ძალიან დიდი გავლენა აქვს... ყოველდღიურად ვხედავთ მის გავლენას. ასეთ გავლენაზე ჩვეულებრივი მოსახლეობა, ვინც არ არის ჩახედული საკითხში, არასწორად რეაგირებს ხშირად პანიკის და დაბნეულობის სა-

ხით...„ ეს მზაობა გიქმნის შეგრძნებას, რომ დაცული ხარ, მოქ-მედებისკენ გიბიძგებს, სურვილიც, მოტივაციაც და ფსიქოლო-გიური მდგომარეობაც მწიფეა იმისთვის, რომ აიღოთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე“(ოფიცერი, 38წ.). სწორედ პროპაგანდა უწყობს ხელს მითის ჩამოყალიბებას ჯა-რის სიძლიერის და უძლეველობის შესახებ.

ძირითადად პროპაგანდის წყაროს, მათი აზრით, მედია წარმოადგენს. *„უპირველესია მნიშვნელობის თვალსაზრისით, იმიტომ რომ, როდესაც მშვიდობიანობის პერიოდში ჩვენ რუ-სეთთან ვართ ჰიბრიდულ ომში და მიდის საინფორმაციო-ფსი-ქოლოგიური, ინფორმაციის ქაოსური მიმოცვლა, რასაც ყველა ფეხს ვერ უწყობს და ხშირად არასწორი წარმოდგენების მსხ-ვერპლი ვხდებით. ამ დროს აუცილებელია რომ შენც სწორი პროპაგანდა აწარმოო შენ საზოგადოებაში, რადგან შენივე მო-სახლეობა არ გახდეს ის იარაღი, რომლითაც შენი მტერი შენვე დაგამხობს, იმიტომ, რომ პანიკაში ჩავარდნილმა მოსახლეობამ შეძლება მთლიანად ჩამოშალოს მთელი სისტემა. ამიტომ მნიშ-ვნელოვანია, რომ მოსახლეობას მიაწოდო ის ინფორმაცია, რაც საჭიროა რომ მას ჰქონდეს“(იუნკერი).*

„უკრაინის მაგალითზე რომ ავიღოთ, ომის დაწყების შემდეგ მოხდა ის, რომ მედიასაშუალებები, რომლებიც შემჩნე-ული იყვნენ არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში, ომის დაწ-

ყების შემდეგ უბრალოდ დახურეს. ეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ არ მომხდარიყო ისეთი ინფორმაციის გავრცელება, და ისედაც უკვე შოკში ჩავარდნილი ხალხისთვის რაც პირველი დარტყმის შემდეგ კიდევ უფრო არ გაემძაფრებინა ეს სიტუაცია".

„2008წელსაც ხომ იყო, საქართველოში გაავრცელეს ინფორმაცია, ჯარში გავრცელდა ძირითადად დეზინფორმაცია, თითქოსდა, დეზერტირები(დესანტები-სხვამ ჩაუსწორა) გადმოსხეს საქართველოში და რამდენიმე ბატალიონის შესახებ..." (იუნკერები).

რესპოდენტები შეეხნენ უცხოური ქვეყნების ჯანსაღ პროპაგანდას. *„სად არის საქართველოში სახლებზე ქართული დროშა, როდესაც ამერიკაში უკან ეზოზე გავივლიდი ყველას ჰქონდათ საკუთარი ქვეყნის დროშა, ან სახლის თავზე, სკოლაში მაგალითად, ვდგებოდით და ვმღეროდით ამერიკულ ჰიმნს და ასევე ფიცს, საქართველოში არა, შევდიოდით სკოლაში და იწყებოდა გაკვეთილი. ამერიკაში უფრო დიდი იყო პატრიოტიზმი კიდევ იმიტომ, რომ 4 ივლისი არის დამოუკიდებლობის დღე, ისე გრანდიოზულად აღნიშნავენ ხოლმე ამ დღეს ყველა დღესასწაულზე უფრო მნიშვნელოვანი ეს არის" (იუნკერი).*

უკრაინელი სტუდენტების აზრით, პროპაგანდა და გავლენა ძალიან ძლიერი და საშიში იარაღია მტრების ხელში. ყველა ქვეყანა, მიუხედავად მათი პოლიტიკური სისტემისა - იყენებს პროპაგანდას სხვადასხვა სტრუქტურულ დონეზე. ერთადერთი საკითხია, ეს პროპაგანდა აადვილებს თუ ართულებს სიტუაციას. *„მე ვფიქრობ, რომ პროპაგანდა მართლაც ძლიერი იარაღია მტრების ხელში. დღესდღეობით, მიმდინარეობს უკრაინელთა ტვინის გამორეცხვა, არ დაბრუნდნენ უკრაინაში, რაც სიტუაციას ნამდვილად ართულებს, რადგან არავინ იცის ამ ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების საშუალება არსებობს თუ არა, ხოლო ხალხს საბრძოლველად არ სურს დაბრუნება“ (ლ.ტ., 21 წლის - უკრაინელი, სტუდენტი).*

„მათ შეუძლიათ ადამიანების ემოციებით, მოსაზრებებითა და ქმედებებით მანიპულირება. მათ ასევე შეუძლიათ დეზინფორმაციის გავრცელება და კონფლიქტების შექმნა. ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვიყოთ კრიტიკულები და ვიცოდეთ იმ ინფორმაციის წყაროებისა და მოტივების შესახებ, რომლებსაც ვიღებთ“ (მ. კ., 20 წლის - უკრაინელი, სტუდენტი).

6. შეკითხვაზე, თუ **რას ნიშნავს თქვენთვის ფსიქოლოგიური მედეგობა (მდგრადობა) და მისი განმტკიცება?** რესპოდენტებმა უპასუხეს, რომ ფსიქოლოგიური მედეგობა (მდგრადობა) არის კრიტიკულ მომენტში საღი აზრის და სწორად განჭვრეტის შე-

ნარჩუნების გამომუშავებადი უნარი; „მყარი ნერვების“ ქონა ნებისმიერ სიტუაციაში, ცხოვრებისეული სირთულეებისა და გამოწვევების დაძლევის უნარი; ეს ნიშნავს, რომ შეგეძლოს უბედურებისგან თავის დაღწევა და მისგან განვითარება. ეს ნიშნავს პოზიტიურ დამოკიდებულებას, საკუთარი თავის ძლიერ გრძნობას და მხარდაჭერით სავსე გარემოს; ეს არის პიროვნების მზაობა ნებისმიერი დეზინფორმაციული მოვლენისადმი, რათა მის ბრძოლისუნარიანობაზე არ მოხდეს ზეგავლენა, მაგ. 2008წელს, როდესაც ხმა გავრცელდა, რომ თბილისი იბომბებოდა, მებრძოლებმა რამდენიმე ქვედანაყოფიდან დაყარეს იარაღი და ოჯახის მისახედად გაეშურნენ და მათი შეჩერება გართულდა და ა.შ. *„გონების მდგომარეობა, როდესაც გარემომცველი მოვლენები თითქმის ვერ ახდენს გავლენას მიმდინარე ცხოვრებასა თუ ადამიანის ფსიქოლოგიაზე.“ (ლ. ტ., 21 წლის - უკრაინელი, სტუდენტი*). ის სახეზეა, როდესაც ადამიანის ფსიქიკა უმკლავდება ყველანაირ პრობლემას, რომელიც წინ აღუდგება, როდესაც ყველანაირი სტრესის გარეშე ჩაივლის სტრესთან გამკლავების პროცესი. რაც შეეხება მის განვითარებას, მთავარია, რომ შეგვეძლოს <u>საკუთარ თავზე მუშაობა.</u> არსებობს ძალიან ბევრი <u>თერაპია,</u> რომელიც უფრო მეტად აძლიერებს/-აჯანსაღებს ფსიქიკას. <u>განათლება,</u> არის განმტკიცების ერთ-ერთი მექანიზმი. <u>ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო, სამსახური,</u>

ჩვენი დამოკიდებულებები-ფსიქოლოგიური მდგრადობის საძირკველია. *„სწორი დამოკიდებულებები რას ნიშნავს, ეს ინდივიდუალურია, ჩემი აზრით, მაგრამ უნდა იყოს ორიენტირებული თავისუფლებაზეც, ღირსებაზეც, პრინციპულობაზეც, პატრიოტიზმზეც და ბევრ რამეზეც, მაგრამ ეს არ ვიცი ზუსტად, კონკრეტულად რომ გითხრათ ამ მომენტში პასუხს ვერ მოგცემთ" (ოფიცერი, 38 წლის).* სამოქალაქო პირს, ვინც უშუალოდ არის ჩართული საომარ ქმედებებში, აუცილებლად სჭირდება ფსიქოლოგიური მდგრადობა და თუ ამის უნარს ვერ განვავითარებთ, მაგალითად, თუ არ ვასწავლით სკოლაში, რა არის კრიტიკული აზროვნება და არ მივცემთ ისეთი დავალებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ფსიქოლოგიურ მდგრადობას, პიროვნება ვერ იქნება ფსიქოლოგიურად მედეგი. იუნკერები ფიქრობენ, რომ სწორედ ეს არის დღეს ჩვენი განათლების პრობლემაც, რომ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება არ ხდება ახალგაზრდებში და იზეპირებენ, აბარებენ... და ა.შ.

7. რესპოდენტების პასუხი კითხვაზე: **რა გსმენიათ ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმების შესახებ და რას ფიქრობთ მათზე?** ასეთია: მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს თავისთავად შემდგომ მოსახლეობის ისეთ ქმედებებზე, როგორიცაა: *,,იმპულსურობა, დაბნეუ-*

ლობა, შოკური მდგომარეობა, აგრესია, თავის არიდება, უმოქ-მედობა/იგნორირება, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდე-ბულება/ყურადღების გადატანა" (იუნკერები).

ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმები (მინიმუმ 10 თვითდაცვის მექანიზმი მაინც) არსებობს და ყველა იყენებს ამ მექანიზმებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყველაფერს არ აკვირ-დებიან, მაგრამ თვითგადარჩენის დროს და ნეგატიური დამო-კიდებულებებისადმი იშველიებენ და სწორედ ამაში ეხმარება ეს ყოველივე. მათი აზრით, ეს არის: სუბლიმაცია, პროექცია და ა.შ. ეს რა თქმა უნდა ჩვენშია და მუდამ იქნება.

ერთ-ერთი ოფიცრის აზრით: *„უკრაინას თუ შევხედავთ, მოსახლეობის გაჭირვების მიუხედავად, ფსიქოლოგიურად ეს ადამიანები, განწყობლნი არიან იმისთვის რაც ხდება. და ეს მათი სახელმწიფოსთვის ხდება და ისინი ფსიქოლოგიურად არ გატყდნენ. ისინი არ ქმნიან პრობლემებს, იმ სამხედრო ძალის მიმართ, იმ მმართველობის მიმართ რაშიც ისინი ცხოვრობენ. პრობლემებს არ უქმნიან თავისი ქაოსით".*

უკრაინელი სტუდენტების აზრით, ფსიქოლოგიური და-ცვის მექანიზმები მნიშვნელოვანი, სასარგებლო და ბუნებრი-ვია. ეს არის **სტრატეგიები, საფეხურები,** რომელიც ყველა უკ-რაინელმა გაიარა, თუმცა უმეტესობა მაინც ვერ გამოჯანმრთე-ლდა, რადგან მექანიზმების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდუ-

ლია, მაგრამ გზების რაოდენობა, თუ როგორ/სად უნდა განხორციელდეს, უსასრულობასთან ახლოს არის, რომლებსაც ვიყენებთ უსიამოვნო ან საშიშ სიტუაციებთან გამკლავებისთვის. *„ზოგიერთი მაგალითია რეპრესია, რაციონალიზაცია, პროექცია, სუბლიმაცია და ა.შ. თუმცა, მე ასევე ვფიქრობ, რომ ისინი შეიძლება საზიანო იყოს, თუ მათ ზედმეტად ან ბოროტად გამოვიყენებთ“.*

8. შეკითხვაზე თუ, **როგორია თქვენი როლი კრიზისული ან საომარი მდგომარეობის დროს? როგორ ხედავთ თქვენს თავს ტოტალური თავდაცვასთან მიმართებაში (მე, როგორც პიროვნება)** სამხედრო ვეტერანების პოზიცია არის რეზერვის ფუნქციის შესრულება. იუნკერებმა უპასუხეს, რომ რთულია ერთი ადამიანის ძალაზე საუბარი. კრიზისულ სიტუაციებთან დაკავშირებით დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანია. *„როგორც სამხედროს, ჩვენ იუნკრები ვართ და როცა ლეიტენანტები გავხდებით, ჩვენ ვიქნებით ის პირველი ადამიანები, ვიზეც იერიში მოვა და ჩვენ უნდა შევაჩეროთ იქამდე, სანამ შემდეგი დამხმარე ძალა მოვა“.* კარგ შემთხვევაში ეს არის დახმარების გაწევა. მათი აზრით, სამოქალაქო პოზიციის ადამიანს, შეუძლია **ელემენტარული პირველადი დახმარების გაწევა** სხვა ადამიანებისათვის. **„***ძირითადი შემთხვევა არის ის, რომ ადამიანმა, როგორც მე და როგორც სხვამ, საკუთარი თავი უნდა აღი-*

ქვას რაღაც ერთიანი ოჯახის წევრად და რაღაც ერთ მიზანზე უნდა იყოს ორიენტირებული“(იუნკერი).

ისინი თავს აღიქვამენ როგორც პასუხისმგებლიანი და აქ-ტიური მოქალაქეები, ვინც ცდილობს მიჰყვეს ხელისუფლების რჩევებსა და მითითებებს. ასევე ცდილობს **დაეხმარო სხვებს, არ პანიკობს და არ ავრცელებს დაუზუსტებელ ინფორმაციას;** ცდილობს დაიცვას საკუთარი თავი და საყვარელი ადამიანები. საკუთარ თავს ტოტალურ თავდაცვასთან(მე, როგორც პიროვ-ნება) მიმართებით უფრო დიდი მთლიანობის ნაწილად აღიქ-ვამენ; ფიქრობენ, რომ ტოტალური თავდაცვა არ არის მხოლოდ სამხედრო თავდაცვა, არამედ საზოგადოების, ეკონომიკის, გა-რემოსა და კულტურის დაცვაა; ყველას საკუთარი როლი და წვ-ლილი აქვს ტოტალურ თავდაცვაში.

თუმცა, უარყოფითი კუთხით, ერთ ადამიანს ცუდი გავ-ლენის მოხდენაც შეუძლია. რაღაც ეგონოს, პანიკაში ჩავარდეს, თითქოს უნდოდეს რომ თავისი თავი აკონტროლოს, მაგრამ ისიც უნდოდეს, რომ ხალხშიც იგივე პანიკა გამოიწვიოს. მით უმეტეს, თუ მოსახლეობა არ არის სახელმწიფოს მხრიდან სა-თანადოდ ინფორმირებული და მომზადებული. *„უკრაინაში მაგალითად, მაპებზე აღინიშნა ისეთი ტერიტორიები, სადაც ადამიანებს შეძლოთ თავშესაფრის მონახვა. ასეთი ადგილები იქამდე უნდა ვიცოდეთ. ძველი ბუნკერები, მაგალითად, უბრა-*

ლო რემონტის შემდეგ რომ გამოდგეს. თავშესაფარი როცა იცის ადამიანმა რომ იქ არის, უკვე დიდი სტრესი აღარ აქვს“. ამ საშუალებებად განიხილება ტელევიზიის მიერ რეკლამის ან სარეკლამო რგოლის საშუალებით **ინფორმაცია მიტანა** ადრესატამდე, ამასთან, რეკლამა არ უნდა იყოს ერთჯერადი, გარკვეული საათების განმავლობაში სულ პროპაგანდაზე დაიხარჯოს დღის ეთერიდან, *„მინიმუმ თუ ეს ადამიანებს არ აინტერესებთ, გადართავენ, ამას მაინც არ უყურებენ. პრობლემა არის ზუსტად ქვედა დონეზე, ხალხის დონეზე, იქ უნდა გაიზარდოს მოთხოვნა, მხარდაჭერა და ცნობადობა ამ სახელმწიფო დაცვის და თავდაცვის ძალების მიმართ. მე პირადად, ეს მედიის ბრალად არ მიმაჩნია. ისინი იმას აწვდიან, რასაც ხალხი ითხოვს“.*

შემდეგი საკითხი, რომელიც იუნკერებმა გამოყვეს არის **კულტურასთან და იარაღთან** სიახლოვე, რაც ჩვენ ძალიან დიდი ხანი გვქონდა და მოგვდევდა. მთელი ჩვენი ერის არსებობის მანძილზე, იარაღის როლი დიდია. ამიტომ კარგია, თუ იქნება სასროლეთი, სადაც ადამიანს შეუძლია თავისი იარაღით მივიდეს და გაივარჯიშოს. კანონები გამკაცრებულია იარაღის გამოყენებაზე(განსაკუთრებით 90-იანების მერე). დღევანდელი ვითარება სხვანაირია, შესაძლოა კანონები მოდუნდეს და ადამიანს შეეძლოს იარაღთან შეხება ჰქონდეს. *„ადრე თუ ბავშვები იზრდებოდნენ იმ იარაღთან ერთად და როცა*

საჭირო იყო, ხელში იღებდნენ და ეგ თავიდანვე ქონდათ ეგ იდეა, რომ რაღაც იდეის გამო შეიძლება მოუწიოთ ბრძოლა, აი ეხლა, შეიძლება მაგის გამო რომ ბავშვები თავიდანვე დაცილებული არიან და აღზრდა მოაკლდათ, რასაც თავის დროზე ქალები აკეთებდნენ, კაცებიც შეიძლება იმ თავშესაფარს მიადგნენ, ან პირდაპირ სახელმწიფოდან მიწოდებულმა იარაღმა, შეიძლება სტრესში ჩააგდოს".

- ✓ ამ საკითხებზე ნაკლები ყურადღების გამახვილება, სწავლება რომ არ არის, ამის მიზეზს იმაში ხედავენ, რომ ომის საჭიროება აღარ ჩანს არსად. ამ დროს ხალხი დუნდება. *„ჩვენ თანატოლებთანაც აკადემიის გარეთ რომ ვაკვირდებით, მსგავსი მოტივაცია მათში ძალიან დაბალია. იმიტომ რომ არა მარტო ტელევიზია, არამედ ყველაფერი თუნდაც ნებისმიერ სივრცეში, ისინი ნაკლებად არიან ხოლმე ორიენტირებული განვითარებაზე, რომ პრობლემას შეეჭიდონ. ისინი უფრო ორიენტირებული არიან ამ პრობლემებს როგორღაც გაექცნენ, გასართობი იპოვონ და ამიტომაც არის, რომ მათშ ეს მოტივაცია არის დაცემული"(იუნკერი).*

უკრაინელი სტუდენტების აზრით, ფსიქოლოგიური თავდაცვისთვის მზადყოფნა შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესაბამისად, **ფსიქოლოგიური თავდაცვისა და მედეგობის შესახებ განათლებისა და ტრენინგების**

მიწოდებით. ფიქრობენ, რომ ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ რისკები და საფრთხეები, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ, და დასახონ გეგმა როგორ გაუმკლავდნენ და უპასუხონ მათ. ასევე ადამიანები თავად უნდა გახდნენ გამოსადეგარი ადამინური რესურსები, რომლებიც თავიანთ განათლებასა და უნარებს გამოიყენებენ საჭიროების შესაბამისად და მხარს დაუჭერენ ქვეყანას ამით. *„ამ დროს მნიშვნელოვანია კრიტიკულად ვიფიქროთ და ყოველთვის ვეცადოთ ვიპოვოთ თუნდაც ძალიან მცირე, მაგრამ პოზიტიური რამ. მაშინაც კი, თუ ისე ჩანს, რომ ყველაფერი დაკარგულია, ადამიანებმა უნდა მოძებნონ სხვა ალტერნატიული გზები სიტუაციის დასაძლევად. ვფიქრობ, უკრაინული საზოგადოების უმრავლესობას აქვს ერთი რადიკალური მოსაზრება ომთან დაკავშირებით, თუმცა, მიმაჩნია, რომ სჯობს კომპრომისის მოძებნა სხვა მხარეებთანაც და საკუთარ თავთანაც. კომპრომისი შეიძლება მართლაც არასასიამოვნო იყოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზა არ არსებობს“(მ.კ. სტუდენტი, 20წ.).*

მათი აზრით, ამ დროისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული თანხების შეწირვა უკრაინის ჯარისათვის და უკრაინული საზოგადოების საზღვარგარეთ გამხნევება, რომ იმედი არ დაკარგონ. *„ხალხი მზად უნდა იყოს გრძელვადიანი ომისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინი შეიძლება იყოს მაღალი“*

(ლ.ტ.სტუდენტი, 21წ.). უფრო მეტიც, ცდილობენ, **უცხოელებს შორის დეზინფორმაციასთან დაპირისპირებას და სიმართლის გავრცელებას**, არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო სტუდენტებთან სიტუაცია კიდევ უფრო განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ უფრო **ნეგატიური ფონია.** განწყობა შედარებით სტრესულია. ადამიანი ხდება აგრესიული, იზრდება დეპრესიული ფონი. ზოგჯერ რთულდება საკუთარი თავის კონტროლი. ომის პერიოდში საკუთარ თავის წარმოდგენა ზოგს უჭირს. იმიტომ რომ, შეიძლება ისეთი რაღაც გააკეთოს, რაც საკუთარ თავს და არა მარტო საკუთარ თავს, ირგვლივ მყოფებს ზიანი მოუტანოს. ამიტომ ადამიანს თვითკონტროლის უნარი ეკარგება კრიზისის მომენტში. უკეთეს შემთხვევაში, ადგილი აქვს საკუთარი ემოციების მოთოკვას და თავდაცვის მდგომარეობაში გადასვლას; იმ სტრატეგიების დასახვას, რაც გადაალახინებს მოცემულ მომენტს.

- ✓ *„კრიზისთან მიმართებაში ყველა ადამიანი განსხვავებულად რეაგირებს, განსხვავებული რეაქცია აქვს, შესაბამისად ამ შემთხვევაში კრიზისულ სიტუაციაში ყველას სტრესი გვაქვს და პირველი რაც მეხმარება ხოლმე, გააჩნია როგორი ტიპის სტრესი მაქვს. მეხმარება ის, რომ სხვაზე ვიზრუნო, როცა* ***სხვაზე ზრუნავ*** *შემდეგ უფრო ეფექტურია ამ დროს სტრესის მართვაც და რეაგირებაც. სიმართლე გითხრათ*

ომის შემთხვევაში რამდენად ვიქნები რეაგირებული სხვაზე მიხმარების ან საკუთარი თავის დახმარების მიმართ ამას ვერ გეტყვით.“

- ✓ *,,კრიზისულ სიტუაციებში ძალიან ბევრჯერ მქონია მომენტი, რომ საკუთარი თავი არ მომწონებია და ყოველდღიურად ვცდილობ ეს ყველაფერი ჩემს თავზე ვიმუშავო. როდესაც სიტუაციაში აღმოვჩნდები ისეთში, რომ შეიძლება აგრესია გამოიწვიოს ყოველთვის ვახსენებ საკუთარ თავს, რომ ის წინა შედეგები, რომლებიც მოჰყვა შემდეგ არასასურველი და არამოსაწონი იყო. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ გამოვასწორო. ომში ჩემი თავი მგონია რომ რაღაც დავყრი ყველაფერს და წამოვალ, მაგრამ გადარჩენისთვის ყველაფერს გავაკეთებ, მობილიზებული ვიქნები და ძალებს მოვიკრებ, ყველაფერს გავაკეთებ რომ გადავრჩე.“*
- ✓ *,,ჩემს შემთხვევაში კრიტიკულ სიტუაციაში, გააჩნია კრიტიკულ სიტუაციას, სხვადასხვა რეაქციები მაქვს ხოლმე, ყოფილა შემთხვევა გავშეშებულვარ და ვერაფერი ვერ მიქნია, ყოფილა შემთხვევა, როდესაც გამოსავალი მომიძებნია იქვე წამიერად. აქედან გამომდინარე, ძალიან <u>არასტაბილურია ჩემი სტრესთან გამკლავების უნარი.</u> აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მე ვერ შევძლებდი ვერც ომში და ვერც კრიტიკულ სიტუაციაში ჯანსაღად რეაგირებას. შეშინებულიც*

ვარ მსგავს სიტუაციებში, არ ვარ დიდად ძლიერი ამგვარ სიტუაციებში.“

- ✓ *,,მეც თითქმის იგივეს ვიტყვი, ყოფილა სიტუაციები სადაც გავშეშებულვარ, ყოფილა როდესაც გავქცეულვარ ან ბრძოლა დამიწყია და ვფიქრობ რომ ყველა ადამიანი საკუთარი წარსული გამოცდილებებისამებრ იქცევა კრიტიკულ სიტუაციებთან მიმართებაში. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას აქ ძალიან მოიკოჭლებს ეს, მაგალითად მიწისძვრა რომ იყოს რა უნდა გავაკეთოთ? ეგეც ბევრმა არ იცის, ომი რომ დაიწყოს ეგეც ბევრმა არ იცის ზუსტად რა უნდა გააკეთოს. ესეთი რაღაცები ხალხმა უნდა იცოდეს.“*
- ✓ *,,ჩემი სტრესთან გამკლავების მომენტი არის ის, რომ თავიდან მართალია არ ვიცი სტრესს როგორ ვებრძოლო, მაგრამ შემდეგ **თვითგადარჩენის ინსტინქტი** მეხმარება. თავდაპირველად არ ვიყავი ამ ყველაფერს მიჩვეული, მაგრამ დროთა განმავლობაში მივეჩვიე. მერე მივხვდი როგორ უნდა ვმართო ჩემი სტრესი. ვფიქრობ, რომ ომშიც რომ წავიდე ჩემთვის საინტერესო იქნება. იმიტომ რომ საკუთარ თავს გამოვცდი და მივხვდები რა იქნება ჩემთვის მნიშვნელოვანი. დაბნევები არ მჩვევია, ვყოფილვარ ცუდ სიტუაციებშიც და გამიწევია პირველადი დახმარება. ერთი მხრივ შევებრძოლებოდი ასეთ მოვლენას.“*

9. კითხვა: **როგორ ფიქრობთ, როგორ შეიძლება საომარი მდგომარეობისადმი ფსიქოლოგიური თავდაცვის მიმართულებით გავზარდოთ ჩვენი მზაობა, ამ შემთხვევაში როგორი არის საზოგადოებაში არსებული საჭიროებები?**

- ✓ *,,პირველ რიგში ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ, **მეტი სწავლება, საჭირო ინფორმაცია,** როდესაც მოსახლეობა იქნება მზად რომ დიდი საშიშროების წინაშეა. წინასწარ ვიცით რომ რაღაც ხდება, ან ისეთ რაღაცებს ვეტყვით რაც ომის პერიოდში არის აუცილებელი, თუნდაც მოქცევის წესი, ან რაც საჭიროა მოსახლეობაც უფრო მომზადებული იქნება და ფსიქოლოგიურადაც უფრო მზად იქნება იმისთვის, რომ საშიშროებას გაუმკლავდეს.“*
- ✓ *,,ვფიქრობ აუცილებელიც კი არის, რომ ადამიანები ზოგადად მოამზადო ასეთი კრიტიკული სიტუაციებისთვის როგორიც არის თუნდაც ომი. ამ მიმართულებით მე მახსენდება **ბანაკი** აისი, რომელიც ძალიან აქტიურად ახალგაზრდებს ამზადებს სხვადასხვა ფიზიკური დატვირთვით, იარაღის სროლა და ძალიან კარგი აქტივობები, რაც ძალიან კარგია სამომავლოდ. აქედან გამომდინარე საინტერესოა მსგავსი **აქტივობები რომ მასშტაბური** იყოს და არა მხოლოდ პატარა კატეგორიებზე გათვლილი. ამის შედეგად უფრო მომზადე-*

ბულები ვიქნებით სახელმწიფოთაშორის დაპირისპირების დროს და ასევე ყოველდღიური სიტუაციებისთვის.“

- ✓ *,,დავეთანხმები წინა რესპოდენტს და დავამატებ იმას, რომ* ***ბავშვებს უნდა ვასწავლოთ*** *სკოლის ასაკშივე, როგორ უნდა მოიქცნენ კრიტიკულ სიტუაციებში, როდესაც პატარაობიდან ასწავლი შემდეგ უფრო კარგად უმკლავდება კრიტიკულ სიტუაციებს.“*
- ✓ *,,ადრე ხომ ასწავლიდნენ სკოლაში როგორ გამოიყენონ იარაღი, სად იყო თავშესაფრები, დღეს საერთოდ არ ვიცით თუ არსებობს ასეთი ადგილები. ბავშვებს ვერ დავავალებთ ამის ცოდნას მაგრამ კარგი იქნება თუ მე-11, მე-12 კლასელებს ეცოდინებათ, ასევე სტუდენტებს სად არის თავდასაცავი ადგილები, სად შეიძლება უსაფრთხო ადგილი იპოვონ, ან* ***როგორ შეიძლება პირველადი დახმარების გაწევა.*** *კარგი იქნება თუ ამ მხრივ იქნება მზაობა, რომ მთლად უცოდინრად და მოუმზადებლები არ შეხვდნენ ამ სიტუაციას“(სამოქალაქო სტუდენტები).*
- ✓ *,,მე როგორც სამხედრო ძაან მარტივია პასუხი, რადგან ჩემი როლი განსაზღვრულია სამხედრო კომპონენტში ისედაც. მაგრამ რომ ავიღო და ზოგადი მიდგომით რომ გავაკეთო, როგორც საქართველოს მოქალაქე, ალბათ ასე ჯობია. როგორც მოქალაქე, ეს არის ისეთი კონცეფცია, რომელიც მთლიან*

პიროვნულ პოტენციალს გარდაქმნის ერთ ძლიერ მებრძოლ ძალად. მგონია, ყველა ტიპის კომპონენტში, ტოტალურ თავდაცვაში, შეუძლია მოქალაქეს მონაწილეობა მიიღოს, თავისი უნარების, ცოდნის და შესაძლებლობების მიხედვით"(ოფიცერი, 37 წ.).

- ✓ *,,ჩვენ გვაქვს ფსიქოლოგიური მზაობა, ჩვენ შეჩვეულები ვართ, რადგან ეს ის არის, რაც ჩვენ ავირჩიეთ. ვიცი რომ ეს უნდა გავაკეთო და როცა იქ ვიყავით ავტომატურად აკეთებ, მაგრამ ეს ფიქრი გაწუხებს , რას შვება შენი ოჯახი ამ დროს, ახლობელი, ვინ გყავს, ვისზეც წუხარ, იქ რა ხდება" (ნ.ხ. ,ოფიცერი, 38წლის).*

10. თქვენი აზრით, როგორ არის შესაძლებელი ფსიქოლოგიური თავდაცვის გაძლიერება? (რჩევები) კრიზისებისადმი მედეგობა ქართულ მოსახლეობას გარკვეულწილად გამომუშავებული აქვს. თუმცა, საჭიროა მისი განმტკიცება, რათა სახელმწიფომ, რასაც გაუძლო რუსეთის მხრიდან, მეტად მოახერხოს გაძლიერება. ამისათვის კი საჭიროა უკვე არსებული პრაქტიკის და გამოცდილების მოძიება და გაანალიზება და ჩვენს რეალობაში თანხვედრის დადგენა, დანერგვა.

გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით, **პრობლემა არის კომპლექსური, ამიტომ გადაწყვეტაც უნდა იყოს კომპლექსური.** პირველ რიგში უნდა დავიწყოთ საფუძვლებიდან - მომავალი

თაობიდან და სკოლაში **განათლების სისტემა მოწყობილი უნ-და იყოს ისე, რომ პირველ რიგში მათ უნდა განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება, სტრესისადმი მედეგობა და შემდეგ, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ის რასაც ისინი იცავენ, მათთვის უნდა იყოს ღირებული.** ადამიანი იცავს იმას და იბრძვის იმის-თვის, რაც უყვარს და რაც იცის. შემდეგ დონეებზეც აუცილებე-ლია ის რადიკალური, ძირეული ცვლილებები, რაც გააძლი-ერებს სკოლაში შექმნილ ეფექტს.

- ✓ *,,ჩემი აზრით, ეს როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების მხრიდან უნდა იქნას გადადგმული ნაბიჯი. მოსახლეობაში რაიმე სურვილი უნდა იყოს, რომ ინფორმაცია მიიღონ და სახელმწიფოს მხრიდან მიწოდებულ იქნას* ***სწავლებები, ტრენინგები, საგანი სკოლაში სამხედრო და საგანგებო ვი-თარებების შესახებ.*** *უფრო მეტი ყურადღება სამხედროზე უნდა გამახვილდეს, რადგან რეალური სიტუაციიდან გა-მომდინარე, კონფლიქტურ სიტუაციაში ვიმყოფებით. თუმ-ცა, ამის მიუხედავად, ჩემი გამოკითხვების მიხედვით, ხალ-ხი უფრო მნიშვნელოვნად და* ***ძლიერ საფრთხედ აღიქვამს ბუნებრივ და ტექნოგენურ საფრთხეებს, ვიდრე სამხედროს.*** *ჩანს, რომ* ***მოსახლეობა ვერ აღიქვამს იმ საფრთხეს, რომ ჩვენ შეიძლება საომარ კონფლიქტში ჩავერთოთ.*** *ამიტომ ტრენი-ნგები საჭიროა როგორც სკოლებში, ასევე მაგ. 30 ან 40 წელს*

გადაცილებული, ***სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლისათვის,*** *ვინც შეიძლება ქართული ენა სათანადოდ არ იცის."*

- ✓ *,,კონსტიტუციის მნიშვნელობა უნდა გაიზარდოს ქვეყანაში მაღალ დონეზე აყვანილი. სკოლებში უნდა მოხდეს სამხედრო საგნების შეტანა."*
- ✓ *,,უნდა მოხდეს სამოქალაქო და სამხედრო პირების ინტეგრირება" (იუნკერები).*

რესპოდენტებს ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ **ფსიქოლოგიური თავდაცვის გაძლიერება შესაძლებელია თვითგანვითარებისა და კრიზისთან გამკლავების უნარების პრაქტიკით. მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ ჩვენს ფიზიკურ, გონებრივ და ემოციურ ჯანმრთელობაზე.** ასევე მნიშვნელოვანია გამკლავების უნარების განვითარება და ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა რელაქსაცია, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და ა.შ. აქვე მოვიყვანთ უკრაინელი ფსიქოლოგი მეცნიერების რჩევებს:

1. *,,თუ ადამიანი ნამდვილად მგრძნობიარეა, შეეცადეთ შეზღუდოთ სიახლეები სენსიტიური შინაარსის შესახებ, რადგან ბევრი სტრესი არავითარ შემთხვევაში არ გიშველის, პირიქით პანიკის საფუძველი გახდება .*

2. *ამოიღეთ გონებიდან აზრები ომის ცუდი შედეგებით დასრულების შესახებ და შეინარჩუნეთ უკრაინული კულტურის ხელშემწყობი სულისკვეთება.*
3. *იცხოვრე დღეს და არა ხვალ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლაც რთულია.*
4. *იფიქრეთ კრიტიკულად, ყველაზე უარესი სცენარის შემთხვევაშიც კი ყოველთვის არის გამოსავალი (უკრაინამ ისტორიაში რამდენჯერმე აღადგინა ეთნიკური კუთვნილება, ასე რომ, უარეს შემთხვევაში ჩვენ არასოდეს დავნებდებით და ისევ ვიბრძოლებთ).*
5. *წვლილი შევიტანოთ უკრაინის საზოგადოებასა და არმიაში, რომ იყოს მომგებიანი ჩვენი ქვეყნისთვის და კრიზისების დროს გავაკეთოთ ის, რაშიც საუკეთესო ვართ.*

✓ *მე მჯერა, რომ ყველა ამ ნაბიჯის შემდეგ ადამიანი იგრძნობს თავს სარგებლიანად, სრულყოფილად და არა უკიდურესად დაძაბულად და მომავალში უკრაინის კეთილდღეობის იმედის გარეშე. მართალია, ყველაფერი თითქოს უშედეგოა და პატარა მცდელობებს აზრი არ აქვს, მაგრამ ხალხი უნდა გაერთიანდეს, რათა ჩვენს მტერს არ მივცეთ საშუალება, გაიმარჯვოს რაც მთავარია ფსიქოლოგიურ დონეზე“ (უკრაინელი 2).*

- ✓ უკრაინელი რესპოდენტები ფიქრობენ, რომ მოსახლეობის გაძლიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე დროის ფაქტორიცაა. შეიძლება კარგი მაგალითი არ იყოს, მაგრამ ყოველდღე ნგრევისა და სიკვდილის დანახვა, 2 წლის ომის შემდეგ, ადამიანს ამ ყველაფრის მიმართ ნაცნობის და გულგრილის განცდა უჩნდება. უკრაინელები აღარ მიდიან თავშესაფრებში, რაკეტის შეტევის დროსაც კი, თუ რაკეტა მათ მახლობლად მდებარე სახლს მოხვდება. ,,*რატომ? ეცადე ასე იცხოვრო ორი წელი და ეს ფსიქოლოგიური თავდაცვის სისტემა ავტომატურად გაჩნდება შენში. რა პარადოქსულადაც შეიძლება ჟღერდეს, - დაიღალა ხალხი შიშით" (უკრაინელი 3).*

სამოქალაქო სტუდენტებმა თავისი შეხედულების გამოხატვისას აღნიშნეს, რომ სავალდებულო ჯარის საკითხზე ქვეყანაში დამატებით არის სამუშაო, რადგან ყველას აქვს მწირი ინფორმაცია, განსაკუთრებით ბიჭებს. სავალდებულო ჯარში წასვლის დროს პირველ რიგში ისტრესებიან, რადგან არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, ამიტომ თვითგადარჩენა და თვითდაცვა მნიშვნელოვანია ყველა მათგანისთვის. ამასთან, მხედველობაში მისაღებია ქვეყნის მრავალეთნიკური შემადგენლობა. ოფიცრების აზრით, საკმაოდ დიდ პრობლემას უქმნით სხვა ეთნოსის ადამიანების სასურველ რელსებზე

გადაყვანა, იმიტომ რომ ის იზრდება როგორც სომეხი, აზერბაიჯანელი, როგორც რუსი, ისე იზრდება და ვერ ხვდება რომ ის იმ სახელმწიფოს ნაწილია, რომელშიც დაიბადა და ეროვნებას არ აქვს მნიშვნელობა.

- ✓ *,,მგონია რომ მოსახლეობამ უნდა გაიაზროს, რომ* ***სამშობ-ლოს დაცვა არ არის მხოლოდ ჯარის მოვალეობა.*** *მოსახლე-ობას უნდა შეეძლოს თუ საჭირო გახდება გვერდში რომ და-უდგეს ჯარს და რაც საჭირო არის ყველაფერი გააკეთოს, რომ სამშობლო გადაარჩინოს. ანუ მარტო ჯარის მოვალეობა არ არის რომ სამშობლო დაიცვას.“*
- ✓ *,,ჩემი აზრით,* ***ადამიანებმა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყონ სახელმწიფოებრივად აზროვნება.*** *დაიწყონ, როგორც ერთი საზოგადოების ნაწილად აზროვნება. თუ ეს ყველაფერი იქ-ნება, პატრიოტიზმიც გაჩნდება და იდეოლოგიაც თავისთა-ვად წარმოიშვება. მე მახსოვს, რომ იყვენენ აზერბაიჯანელე-ბი, სომხები მოდიოდნენ სავალდებულო სამსახურში, ჩვენ-თან საბრძოლო ბრიგადებში. ენის სწავლა დაიწყეს, ასწავ-ლიდნენ ჩვენთან სერჟანტები, ისე მოსწონდათ ჩვენი ისტო-რია, რომ დაგვყავდა ექსკურსიებზე. არ იცოდნენ არაფერი და ვერ ხედავდნენ. რამდენიმე მოინათლა კიდეც. იმის თქმა მინდა, რომ ისინი ფსიქოლოგიურად განწყობილები იყვნენ სხვანაირად, რომ ისინი უცხო ხალხი არიან. ეგეთი რაღაც*

გვჭირდება, ინტეგრაცია მოდის ენის ბარიერიდან და დაახლოებიდან და შემდეგ ხალხს ეცვლება აზროვნება თავისთავად და ფსიქოლოგიურად უფრო მოწყვლადი ხდება ჩვენთვის, როგორც სახელმწიფოებისთვის საჭირო პირი, საზოგადოების ნაწილი" (ოფიცერი, 38წ.).

დასკვნა

ტოტალური თავდაცვის კონცეფცია გათვლილია პატარა და მოქნილ სახელმწიფოებზე. ქვეყანა, მისი დახმარებით, დროის მცირე მონაკვეთში, ეროვნული რესურსების მობილიზებას ახდენს და სახელმწიფოს წინაშე მდგარ საფრთხეებს ადეკვატურად პასუხობს. ტოტალური თავდაცვის კონცეფციის შემუშავებით და მისი საქართველოში დანერგვით, ქვეყანა შეძლებს საჭიროებისამებრ, მოახდინოს სახელმწიფო უწყებების კოორდინაცია, სახელმწიფო რესურსების სწორი და დროული მობილიზება და მათი სწორი მიმართულებით მიმართვა. ეს ყოველივე, ქვეყანაში შექმნილი საფრთხის ან/და კრიზისის სწრაფ და ეფექტურ დარეგულირებას თავისთავად შეუწყობს ხელს.

კვლევის დიზაინის, დასმული საკითხის აქტუალურობის ჩვენებით, არსებული საკვლევი ჰიპოთეზის გათვალისწინებით, მოსალოდნელი და მიღებული შედეგების გათვალისწი-

ნებით, შევეცადეთ საკითხი უფრო გააზრებულად წარმოგვეჩინა.

სამაგიდო კვლევასა და უსაფრთხოების საკითხების ქართველ სამხედრო და სამოქალაქო პირებთან, დარგის ექსპერტებთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ როგორც რესპოდენტებმა განმარტეს **ფსიქოლოგიური თავდაცვა** არის როგორც ქვეყნის, ასევე მისი მოსახლეობის ფსიქოლოგიური და მორალური მზაობა, მდგრადობის და მედეგობის შენარჩუნება ნებისმიერი აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად; უნარი, საკუთარი თავის დაცვა, დახმარება; გზა, რითაც ვუმკლავდებით სტრესს, ტრავმას ან საფრთხეებს, რომლებსაც ცხოვრებაში ვაწყდებით; გაცნობიერებული უარის თქმა ისეთი აზრების მიღებაზე, რომლებიც მიმდინარე მოვლენებთან არის დაკავშირებული, ზიანის, აგრესიის აცილება და მობილიზების მცდელობა, სტაბილურობის შენარჩუნება; თავდაცვის მექანიზმი გამღიზიანებლის წინააღმდეგ; ტაქტიკა, რომლის შეგნებით შიშის შემცირება გამოიწვევს სტრესის შემცირებასაც და ა.შ.

კვლევის შედეგებით, **დამოკიდებულება არსებული თავდაცვის/ჯარის მიმართ,** არაერთგვაროვანია როგორც სამხედრო და სამოქალაქო პირებთან, ასევე ქართველ და უკრაინელ სტუდენტებთან. სტუდენტები სამოქალაქო და სამხედრო სექტო-

რიდან სავალდებულო ჯარისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე საუბრობენ, მაშინ, როდესაც უკრაინელი სტუდენტები ცალსახად დადებით კომენტარებს აკეთებენ საკუთარი ჯარის მიმართ.

რესპოდენტების აზრით, **ჯარის მორალური მდგომარეობა (პატრიოტული სულისკვეთება და მებრძოლი სული)** კრიტიკულად მნიშვნელოვანია. თუმცა, დღევანდელი შეფასებით, არცთუ სახარბიელოა, არასაკმარისია, რაც გარკვეულწილად, ჯარიდან მოსამსახურეთა გადინების ზრდით, ან სავალდებულო სამსახურის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებით აიხსნება. უკრაინელი სტუდენტები ფიქრობენ, რომ მათი ჯარის მდგომარეობა კარგია, მაგრამ მისი გაუმჯობესება შესაძლებელია.

რაც შეეხება **ფსიქოლოგიურ თავდაცვასა და მენტალურ ჯანმრთელობა/სტაბილურობას შორის კავშირს,** რესპოდენტებმა უპასუხეს, რომ სტრესის დროს განსაკუთრებით მჭიდროა მათი კავშირი. დეზინფორმაციის პირობებში, კრიტიკული აზროვნების და თვითრეფლექსიის უნარები აუცილებელია სიმშვიდის შესანარჩუნებლად და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) განვითარების თავიდან ასაცილებლად. უკრაინელი სტუდენტები ფიქრობენ, რომ მათ შორის კავშირი შესაძლოა იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი.

პროპაგანდის ზემოქმედება და ზეგავლენის მოხდენა ცალსახაა. რესპოდენტთა აზრით, კარგი, ზომიერი, დოზირებული და სწორი პროპაგანდა(განსაკუთრებით, საინფორმაციო კამპანია), რა თქმა უნდა კარგია. პროპაგანდა არის ძლიერი და ამავდროულად, საშიში ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ძლიერი ცვლილებების შეტანა სიტუაციაში. ყოველდღიურად ვხედავთ მის გავლენას. ასეთ გავლენაზე ჩვეულებრივი მოსახლეობა, ვინც არ არის ჩახედული საკითხში, არასწორად რეაგირებს ხშირად პანიკის და დაბნეულობის სახით.

ფსიქოლოგიური მედეგობა(მდგრადობა), რესპოდენტთა აზრით, არის კრიტიკულ მომენტში, საღი აზრის და სწორად განჭვრეტის შენარჩუნების გამომუშავებადი უნარი; „მყარი ნერვების“ ქონა ნებისმიერ სიტუაციაში, ცხოვრებისეული სირთულეებისა და გამოწვევების დაძლევის უნარი; უბედურებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა და მისგან განვითარება. ეს ნიშნავს პოზიტიურ დამოკიდებულებას, საკუთარი თავის ძლიერ გრძნობას და მხარდაჭერით სავსე გარემოს; ეს არის პიროვნების მზაობა ნებისმიერი დეზინფორმაციული მოვლენისადმი, რათა მის ბრძოლისუნარიანობაზე არ მოხდეს ზეგავლენა.

მისი **განმტკიცება** შესაძლებელია კრიტიკული აზროვნების განვითარებით, საკუთარ თავზე მუშაობით; თერაპიის დახმარებით, რაც უფრო მეტად აძლიერებს/აჯანსაღებს ფსიქი-

კას; განათლებით, რაც მისი განმტკიცების ერთ-ერთი მექანიზმია. ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო, სამსახური, ჩვენი დამოკიდებულებები, ფსიქოლოგიური მდგრადობის საძირკველია.

ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმების შესახებ რესპოდენტები აღნიშნავენ შემდეგ მექანიზმებს: *იმპულსურობა, დაბნეულობა, შოკური მდგომარეობა, აგრესია, თავის არიდება, უმოქმედობა/იგნორირება, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებულება/ყურადღების გადატანა.* ისინი აღნიშნავენ ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმებს (მინიმუმ 10 თვითდაცვის მექანიზმი მაინც), რომელთაც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ. მათი აზრით, ეს არის: *სუბლიმაცია, პროექცია* და ა.შ.

უკრაინელი სტუდენტების აზრით, ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმები მნიშვნელოვანი, სასარგებლო და ბუნებრივია. ეს არის სტრატეგიები, საფეხურები, რომელიც ყველა უკრაინელმა გაიარა, თუმცა უმეტესობა „მაინც ვერ გამოჯანმრთელდა“.

რესპოდენტების მიერ **საკუთარი როლის შეფასება კრიზისული ან საომარი მდგომარეობის დროს**, ტოტალური თავდაცვასთან მიმართებაში (მე, როგორც პიროვნება) განსხვავებულია საკუთარი სტატუსისა და დღეს დაკავებული პოზიციის

გათვალისწინებით. ადამიანებს შეუძლიათ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენის მოხდენა, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვა ადამიანებისთვის ელემენტარული პირველადი დახმარების გაწევით; როგორც სიმშვიდის შენარჩუნებით, ასევე სხვებში პანიკის გავრცელებით და დეზინფორმაციის გავრცელებით.

საომარი მდგომარეობისადმი ფსიქოლოგიური თავდაცვის მიმართულებით მზაობის გაზრდა და საზოგადოებაში არსებული საჭიროებები რესპოდენტებმა შემდეგნაირად განმარტეს და შეაფასეს: ეს არის მეტი სწავლება, საჭირო ინფორმაცია, როგორც ზრდასრული და მოზარდი ადამიანებისთვის, ასევე ბავშვებისთვის, რათა უფრო მეტად უნდა იყვნენ ინფორმირებულები კრიტიკული სიტუაციაში მოქცევის შესახებ.

ჩვენი რესპოდენტების აზრით, **ფსიქოლოგიური თავდაცვის გაძლიერება** კრიზისების და დიდი შეიარაღებული თავდასხმის დროს, შესაძლებელია საზოგადოების სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებით. მედეგობის ყოვლისმომცველი ხასიათი ნიშნავს, რომ საზოგადოების ყველა წევრი ჩართული უნდა იყოს მედეგობის გაძლიერებასა და კრიზისის პრევენციაში; კრიზისის შემთხვევაში, ყველას უნდა ჰქონდეს მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები მოქმედებისთვის; სახელმწიფო დაწესებულებებმა და კერძო სექტორმა, მოქალაქეებმა უნდა

იცოდნენ, თუ როგორ იმოქმედონ, რა გააკეთონ კრიზისის დროს. წინასწარ მიღებული ინფორმაცია მათ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პანიკის და შფოთვის პრევენციაში და ფსიქიკური მდგრადობის შენარჩუნებაში.

რეკომენდაციები:

რესპოდენტთა აზრით, ქვეყნისათვის ტოტალური თავდაცვა და მათ შორის, ფსიქოლოგიური თავდაცვა და მათგან გამომდინარე <u>პრობლემა არის კომპლექსური, ამიტომ გადაწყვეტაც უნდა იყოს კომპლექსური.</u>

1. **პირველ რიგში უნდა დავიწყოთ საფუძვლებიდან** - მომავალი თაობიდან. სკოლაში განათლების სისტემა მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ პირველ რიგში მათ უნდა განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება, სტრესისადმი მედეგობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ის, რასაც ისინი იცავენ, მათთვის უნდა იყოს ღირებული. ადამიანი იცავს იმას და იბრძვის იმისთვის, რაც უყვარს და რაც იცის. პატივისცემას განუვითარებს ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს, ეცოდინებათ რას ემსახურება თვითონ ქვეყნის ჯარი, რა არის პატრიოტიზმი;

2. შემდეგ დონეებზეც აუცილებელია ის რადიკალური, ძირეული ცვლილებები, რაც გააძლიერებს სკოლაში შექმნილ ეფექტს. ადრეული ეტაპიდან უნდა მიეჩვიოს მოქალაქე **სახელმწიფოებრივად აზროვნებას**. სკოლებში უნდა მოხდეს სამხედ-

რო საგნების შეტანა; უნდა მოხდეს სამოქალაქო და სამხედრო პირების ინტეგრირება; მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით. ეს შეიძლება იყოს როგორც შედარებით მცირე ასაკიდან, ასევე შემდეგაც, განსაკუთრებით მე-12 კლასიდან.

3. **სავალდებულო ჯარისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბება** - ადრეულ ასაკში იმის გააზრება, რომ სამშობლოს დაცვა არ არის მხოლოდ ჯარის მოვალეობა. მოსახლეობას უნდა შეეძლოს, თუ საჭირო გახდება, გვერდში დაუდგეს ჯარს და რაც საჭიროა, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ სამშობლო გადაარჩინოს. ჯარზე არსებული მწირი ინფორმაცია განაპირობებს სავალდებულო ჯარში წასვლის დროს პირველ რიგში სტრესის მიღებას, რაც განპირობებულია არასაკმარისი ინფორმაციით. ამიტომ, თვითგადარჩენის და თვითდაცვის ცოდნა მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისათვის;

4. **ქმედითი ნაბიჯების გადადგმა როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების მხრიდან.** მოსახლეობაში სურვილი უნდა იყოს, რომ ინფორმაცია მიიღონ და სახელმწიფოს მხრიდან კი, მიწოდებულ იქნას <u>სწავლებები, ტრენინგები, საგანი სკოლაში სამხედრო და საგანგებო ვითარებების შესახებ.</u> უფრო მეტი ყურადღება სამხედროზე უნდა გამახვილდეს, რადგან რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, კონფლიქტურ სიტუაციაში ვიმ-

ყოფებით. სასურველია ცოდნის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, იმისათვის რომ ემოციებს არ აყვნენ, არ ჩავარდნენ პანიკაში, ერთმანეთი არ დატოვონ და გაწირონ და ა.შ. უკეთესი იქნება თუ ამ ინფორმაციას მივაწოდებთ არა ისე რომ დავსტრესოთ, არამედ მივახვედროთ რომ ყველაფერი წესრიგშია, თუმცა მზად უნდა იყვნენ.

ჩანს, რომ მოსახლეობა ვერ აღიქვამს იმ საფრთხეს, რომ ჩვენ შეიძლება საომარ კონფლიქტში ჩავერთოთ. ამიტომ ტრენინგები საჭიროა როგორც სკოლებში, ასევე ზრდასრულ ადამიანებთან, როგორც ქართულ, ასევე არაქართულ მოსახლეობაში; სწავლების შედეგების გასაზომად, მონიტორინგი, ანალიზი და უკუკავშირი მნიშვნელოვანი ფაქტორია;

5. **თვითგანვითარებისა და კრიზისთან გამკლავების უნარების პრაქტიკის განვითარება** - მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეზე მუდმივი ზრუნვა და ხელშეწყობა მათი ფიზიკური, გონებრივი და ემოციური ჯანმრთელობის საკითხებზე. ასევე, მნიშვნელოვანია სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უნარების განვითარება და ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა რელაქსაცია, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და ა.შ.

თავი IV. ტოტალური თავდაცვის ეკონომიკური კომპონენტი

ივანე ოქრომჭედლიშვილი

შესავალი

ეკონომიკური თავდაცვა წარმოადგენს ტოტალური თავდაცვის კომპონენტს, რომელიც გულისხმობს მთავრობის, ბიზნესისა და მრეწველობის ორგანიზებას ეკონომიკის მხარდასაჭერად ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით ომის ან ომის საფრთხის შემთხვევაში. ეკონომიკური თავდაცვის ძირითადი მიზნებია ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და მიმზიდველობის გაძლიერება ისე, რომ ქვეყანა განსაკუთრებული და აქტუალური იყოს მსოფლიოსთვის; ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის შენარჩუნება, რაც საშუალებას მისცემს მას გააგრძელოს ფუნქციონირება და სწრაფად "გამოჯანმრთელდეს", თუკი ქვეყანა მომავალში გამოწვევის (კრიზისის ან კონფლიქტის) წინაშე აღმოჩნდება. ეკონომიკური თავდაცვის სათანადო ორგანიზება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობასა და მდგრადობას (გამძლეობას) კრიზისის ან კონფლიქტის შემთხვევაში. მოცემულ კვლევაში განხილულია ეკონომიკური თავ-

დაცვის მნიშვნელობა, რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა უკრაინის ეკონომიკაზე და მიმდინარე ომის პირობებში უკრაინის გამოცდილება ეკონომიკური თავდაცვის ორგანიზების და მართვის საკითხებში, რისი გათვალისწინებაც უთუოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ასევე, შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოს მსგავს ქვეყანაში ტოტალური თავდაცვის ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით.

ტოტალური თავდაცვის კონცეფცია მიჩნეულია საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის ქვაკუთხედად[65]. ტოტალური თავდაცვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტია ეკონომიკური თავდაცვა, რომელიც გულისხმობს ყოვლისმომცველ მიდგომას მთავრობის, ბიზნესისა და მრეწველობის ორგანიზებაში ეკონომიკის მხარდასაჭერად ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით ომის ან ომის საფრთხის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ტოტალური თავდაცვა მოიცავს მრავალ სფეროს, მათ შორის სამხედრო, სამოქალაქო, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ეკონომიკური თავდაცვა კონკრეტულად ფოკუსირებულია ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. ეკონომიკური თავდაცვის ძირითადი მიზნებია ეკონომიკის კონკურენტუნა-

65 Ministry of Defense of Georgia. (2021). Strategic Defence Review 2021-2025 https://tinyurl.com/3r7n8nws

რიანობისა და მიმზიდველობის გაძლიერება ისე, რომ ქვეყანა განსაკუთრებული და აქტუალური იყოს მსოფლიოსთვის; ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის შენარჩუნება, რაც საშუალებას მისცემს მას გააგრძელოს ფუნქციონირება და სწრაფად "გამოჯანმრთელდეს", თუკი ქვეყანა მომავალში გამოწვევის (კრიზისის ან კონფლიქტის) წინაშე აღმოჩნდება[66].

ეკონომიკური ზრდის ტემპის გაუმჯობესება პრიორიტეტულია საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის. ეკონომიკური ზრდის შეფერხება, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება, უმუშევრობის დონის მკვეთრი ზრდა შესაძლოა გახდეს ქვეყანაში სოციალური მღელვარების მიზეზი და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის განვითარებას, სტაბილურობას და ეროვნულ უსაფრთხოებას. ქვეყნის ეკონომიკისა და თითოეული მოქალაქის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და შემდგომი ზრდა პრიორიტეტულია საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადობისათვის.[67]

საქართველოს მოსახლეობა დაინტერესებულია საკუთარი ფინანსური და სოციალური კეთილდღეობით, სოციალური

---

66 MINDEF Singapore, Factsheet - About Total Defence, https://tinyurl.com/4thf4mhy

67 საქართველოს პარლამენტი. *საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.* თბილისი, 2011 წლის 23 დეკემბერი https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

დაცვით და სამომავლო შესაძლებლობებით. გარე თუ შიდა მიზეზებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკებმა შესაძლოა გააჩინოს ეჭვები სახელმწიფოს შესაძლებლობებზე უზრუნველყოს მოსახლეობის უსაფრთხოება.

ეკონომიკური თავდაცვის სათანადო ორგანიზება მშვიდობიანობის დროს, დიდწილად განსაზღვრავს და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობას და მის უნარს გადარჩეს კრიზისის ან კონფლიქტის შემთხვევაში.

მოცემულ კვლევაში მიმოხილულია ეკონომიკური თავდაცვის მნიშვნელობა; განხილულია რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა უკრაინის ეკონომიკაზე და მიმდინარე ომის პირობებში უკრაინის გამოცდილება ეკონომიკური თავდაცვის ორგანიზებასა და მართვაში. კვლევის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს მსგავს ქვეყანაში ტოტალური თავდაცვის ეკონომიკური კომპონენტის გასაძლიერებლად.

4.1. ეკონომიკური თავდაცვის ძირითადი ელემენტები

როგორც აღინიშნა ზემოთ, ტოტალური თავდაცვის მოდელის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტია ეკონომიკური თავდაცვა, რომელიც ხაზს უსვამს ეკონომიკური სიძლიერისა და ეროვნული უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებუ-

ლებას. ამ შემთხვევაში, ქვეყანა აღიარებს ძლიერი ეკონომიკის მნიშვნელობას არა მხოლოდ კეთილდღეობისთვის, არამედ თავდაცვის შესაძლებლობების შესანარჩუნებლად.

საქართველო, ისევე როგორც სხვა მცირე ზომისა და თვითკმარობის ნაკლებობის მქონე ქვეყნები, ღრმად არის ინტეგრირებული გლობალურ ეკონომიკაში, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას გადამწყვეტს ხდის.

ეკონომიკური თავდაცვის კომპონენტი განიხილავს სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის აუცილებელი მარაგების არსებობის საჭიროებას, როგორიცაა საკვები, მედიკამენტები და დამცავი აღჭურვილობა საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის დაუცველობის პირობებში თავის გადასარჩენად.

ეკონომიკური სიძლიერე პირდაპირ უჭერს მხარს სამხედრო შესაძლებლობებს, შეესაბამება რა რწმენას, რომ ძლიერი ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხედრო სიძლიერესთან და პირიქით.

ეკონომიკური თავდაცვა ეხება ქვეყნის ეკონომიკის მზადყოფნას და შესაძლებლობებს, ეფექტიანად უპასუხოს და გაუძლოს სხვადასხვა გამოწვევებს, კრიზისებსა და საფრთხეებს. ეს მოიცავს პოლიტიკის, სტრატეგიებისა და გასატარებელი ზომების ერთობლიობას, რომლებიც შემუშავებულია ეკონომიკური სისტემის მდგრადობის, ადაპტირებადობისა და სტაბი-

ლურობის გასაუმჯობესებლად და რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიან ფუნქციონირებას შეფერხებების ან ნეგატიური მოვლენების დროსაც კი.

ეკონომიკური თავდაცვის კონცეფცია აღიარებს, რომ ეკონომიკა მგრძნობიარეა რისკების ფართო სპექტრის მიმართ, მათ შორის ფინანსური კრიზისების, ბუნებრივი კატასტროფების, პანდემიების, გლობალური ეკონომიკური ვარდნის, კიბერშეტევების, სავაჭრო კონფლიქტების, გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და ომების მიმართ. ამგვარი გამოწვევების გავლენის შესამცირებლად და საკუთარი მოქალაქეების ეროვნული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დასაცავად, ქვეყანამ პრაქტიკულად უნდა მოამზადოს თავისი ეკონომიკა, რათა შეეძლოს ზემოაღნიშნულ ნეგატიურ სიტუაციებთან გამკლავება და რაც შეიძლება სწრაფად გამოჯანმრთელება კრიზისის შემთხვევაში.

მთავრობა უნდა იყენებდეს ინტერვენციულ მიდგომას ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნოლოგიური განვითარების მიმართ, აქტიურად მოიძიებდეს პერსპექტიულ შესაძლებლობებს.[68]

---

68 Ron Matthews & Fitriani Bintang Timur (2023) Singapore's 'Total Defence' Strategy, Defence and Peace Economics, DOI: 10.1080/10242694.2023.2187924 https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10242694.2023.2187924

ეკონომიკური თავდაცვის ძირითადი ელემენტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

რისკის შეფასება: პოტენციური საფრთხეებისა და მოწყვლადობების იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეკონომიკაზე და მათი პოტენციური გავლენის ანალიზი.

საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა: სხვადასხვა ეკონომიკური კრიზისისა და საგანგებო სიტუაციების ეფექტიანად მოგვარების ყოვლისმომცველი გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავება.

ფინანსური სტაბილურობა: ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების სტაბილურობის უზრუნველყოფა სისტემური რისკების თავიდან ასაცილებლად და ეკონომიკისადმი ნდობის ხელშესაწყობად.

მიწოდების ჯაჭვის მდგრადობა: მიწოდების ჯაჭვების გაძლიერება აუცილებელი საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის შესანარჩუნებლად არასასურველ გარემოებებშიც კი.

დივერსიფიკაცია: ეკონომიკური სტაბილურობის გასაძლიერებლად ინდუსტრიების, სავაჭრო პარტნიორების ან შემოსავლების წყაროების ვიწრო სპექტრზე დამოკიდებულების შემცირება.

ინფრასტრუქტურის დაცვა: კრიტიკული ინფრასტრუქ-ტურისა და მომსახურების დაცვა შეფერხებების დროს მათი უწყვეტი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიული რეზერვები: ძირითადი საქონლისა და რესურსების შენარჩუნება საგანგებო სიტუაციების დროს დე-ფიციტის აღმოსაფხვრელად.

ადამიანური კაპიტალის განვითარება: ინვესტიცია განა-თლებაში, ტრენინგსა და სამუშაო ძალის განვითარებაში კვა-ლიფიციური და ადაპტირებადი სამუშაო ძალის შესაქმნელად.

საჯარო-კერძო თანამშრომლობა: კერძო სექტორთან თა-ნამშრომლობა ეკონომიკური თავდაცვის ძალისხმევის კოორ-დინაციისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

ინოვაცია და ტექნოლოგია: კვლევის, განვითარებისა და ტექნოლოგიური მიღწევების წახალისება ეკონომიკური ზრ-დისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

4.2.უკრაინის ეკონომიკური თავდაცვა მიმდინარე ომის პირობებში

4.2.1. უკრაინის ეკონომიკა ომამდე პერიოდში

უკრაინა, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპაში, სიდიდით მეორე ევროპული ტერიტორიაა რუსეთის ფედერა-ციის შემდეგ და უდიდესი ევროპაში. 603,628 კმ² ფართობის ტე-

რიტორიით, ქვეყანა მსოფლიოში 43-ე ადგილზეა. სამხრეთით იგი გარემოცულია შავი და აზოვის ზღვებით, აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება რუსეთს, ჩრდილოეთით ბელორუსიას, დასავლეთით პოლონეთს, სლოვაკეთს და უნგრეთს, სამხრეთ-დასავლეთით რუმინეთსა და მოლდოვას.[69]

ბუნებრივი რესურსები

უკრაინა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, როგორიცაა: ქვანახშირი, რკინის მადანი, მანგანუმი, ნიკელი და ურანი და მრავალი სხვა ბუნებრივი რესურსი. გოგირდის მარაგი ყველაზე დიდია მსოფლიოში და ვერცხლისწყლის საბადოების მარაგებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ხოლო მსოფლიო რკინის მადნის მარაგების 5%-ზე მეტი კონცენტრირებულია უკრაინაში. მუშავდება ნავთობისა და გაზის მცირე მარაგები. ქვეყანა ასევე მდიდარია სამშენებლო ინდუსტრიაში გამოყენებული მინერალებით (გრანიტი, მარმარილო, ლაბრადორიტი, ცარცი, მერგელი, ქვიშა-ქვა).[70]

ეკონომიკა

უკრაინა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ყველაზე განვითარებული მრეწველობაა მეტალურგია, ენერგეტიკა (არსებობს ატომური ელექტროსადგურები და მდინარე დნეპრზე

69 https://continent-online.com/Document/?doc_id=30610148#pos=17;-184
70 Ibid

ჰიდროელექტროსადგურების მთელი კასკადი), აგრეთვე ქიმიური და სამთო მრეწველობა (ქვანახშირისა და მადნის მოპოვება).

ომამდე, ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული რეგიონებად ითვლებოდნენ დონბასი (დონეცკის ოლქი და ლუგანსკის ოლქი), დნეპრის რეგიონი (დნეპროპეტროვსკის ოლქი და ზაპოროჟიეს ოლქი), ასევე ქალაქები კიევი, ხარკოვი, ოდესა და ლვოვი.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელი უკრაინის ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სსრკ-ს სხვადასხვა რესპუბლიკის საწარმოებს შორის თანამშრომლობის განადგურების შედეგად. შედეგი იყო დეინდუსტრიალიზაცია, რომელიც, დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, არ იყო პოსტინდუსტრიული ხასიათის.[71]

უკრაინა არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 2008 წლის მაისის თვიდან. უკრაინის ფულადი ერთეულია გრივნა.

დასავლეთ უკრაინა ტრადიციულად უფრო აგრარული და ტურისტული რეგიონია. სოფლის მეურნეობა მნიშვნელობით მეორე ადგილზე იყო ქვეყნის ეკონომიკის ინდუსტრიული

71 Ibid

სექტორის შემდეგ. გაშენების ძირითადი დარგებია მარცვლეუ-ლი კულტურები (ხორბალი), ზეთოვანი კულტურები (ძირი-თადად მზესუმზირა), მებაღეობა, მებოსტნეობა, შაქრის ჭარხა-ლი, ეთერზეთოვანი კულტურები (ლავანდა, ვარდი, სალბი) და სხვ. მეცხოველეობა წარმოდგენილია ხორცისა და რძის პრო-დუქტების წარმოების კომპლექსით.[72]

ომის დაწყებამდე, უკრაინის ბიზნეს საზოგადოება მოი-ცავდა დაახლოებით 500 მსხვილ საწარმოს, რომელთა ბრუნვა აღემატებოდა 100 მილიონ აშშ დოლარს, ასევე დაახლოებით 400,000 მცირე და საშუალო საწარმოს (SME) და თითქმის 1,6 მილიონ ინდივიდუალურ მეწარმეს. მსხვილი საწარმოების ტრადიციული გამოწვევები იყო ახალ ბაზრებზე და უცხოურ კაპიტალზე წვდომა. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ტრა-დიციული გამოწვევები იყო კორუმპირებული სამთავრობო ინ-სტიტუტები და საგადასახადო ტვირთი, განსაკუთრებით ად-მინისტრაციული საგადასახადო ტვირთი. ტრადიციული გა-მოწვევები როგორც მსხვილი კომპანიებისთვის, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის იყო სასამართლო სისტემა და სა-

72 https://continent-online.com/Document/?doc_id=30610148#pos=17;-184

კუთრების უფლებების ცუდი დაცვა, ასევე კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ნაკლებობა.[73]

4.3.2. ომის გავლენა უკრაინის ეკონომიკაზე

მსოფლიო ბანკის შეფასებით, რუსეთის შეჭრამ გაანადგურა უკრაინის ეკონომიკა, რომელიც, 2022 წლის მონაცემებით, 29,2%-ით შემცირდა.[74]

ომის დაწყებამდე, უკრაინა ისედაც ძალიან ღარიბი ქვეყანა იყო, სულ რაღაც 160 მილიარდ დოლარიანი რეალური მშპ-ით. ეს იყო ქვეყანა დაბერებული მოსახლეობით და მკვეთრად შემცირებული შობადობით. ომმა გააღრმავა ეს პრობლემები, მილიონობით ქალი და ბავშვი გაიქცა უფრო მაღალ შემოსავლიან ქვეყნებში, სადაც უკრაინელებს მიეცათ ადგილობრივი სამუშაო ნებართვის მიღების უფლება. რადგან ომი გრძელდება, ამ ლტოლვილთაგან ბევრი იპოვის სამუშაოს და გადაწყვეტს საზღვარგარეთ დასახლებას.

რუსული შემოჭრის გავლენა უკრაინის ეკონომიკაზე დამანგრეველი იყო. საწარმოთა მესამედმა მაშინვე შეწყვიტა ფუნ-

---

73 https://cepr.org/publications/books-and-reports/rebuilding-ukraine-principles-and-policies

74 https://www.worldbank.org/en/news/press-release/2023/04/06/russian-invasion-of-ukraine-and-cost-of-living-crisis-dim-growth-prospects-in-emerging-europe-and-central-asia

ქციონირება, რაც გამოწვეული იყო საწარმოო ობიექტების და ინფრასტრუქტურის განადგურებით, მიწოდების ჯაჭვების შეფერხებით და წარმოების ხარჯების მკვეთრი ზრდით. ბრძოლების გამო, მილიონობით ადამიანი იქცა დევნილად, შეწყდა წვდომა ქვეყნის პორტებზე, შეფერხდა სოფლის მეურნეობა და გაიზარდა თავდაცვის ხარჯები.

2022 წლის მდგომარეობით, ფიზიკური ზარალის შეფასებები შეადგენდა დაახლოებით 130 მილიარდ აშშ დოლარს ან ომამდელ მშპ-ს 70%-ს. მსოფლიო ბანკის შეფასებით, უკრაინის წარმოებული capital stock per capita 2014 წელს დაახლოებით $25,000 იყო, რაც მთლიანობაში შეადგენს დაახლოებით $1,1 ტრილიონს. მთავრობის ოფიციალური პირებისა და ბიზნესის ლიდერების წინასწარი ინფორმაციით, ამ კაპიტალის 30-50% განადგურდა ან სერიოზულად დაზიანდა. 40%-იანი განადგურების დაშვებით, ეს ღირებულება 440 მილიარდ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ერთ ლტოლვილზე 10,000 ევროს ღირებულების დაშვებით (წელიწადში), 5 მილიონი ლტოლვილის დაფინანსების ღირებულება ერთი წლის განმავლობაში არის 50 მილიარდი ევრო, ანუ ევროკავშირის მშპ-ს 0,35%.[75]

---

75 Russia-Ukraine: one year of war – the economics. 26 February, 2003, by Michael Roberts https://www.cadtm.org/Russia-Ukraine-one-year-of-war-the-economics

2022 წლის ოქტომბრიდან რუსეთმა დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ გაძლიერებული ენერგეტიკული ტერორის განხორციელება. სარაკეტო შეტევების არაერთმა ტალღამ გაანადგურა ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურა - ძირითადი ობიექტები, რომლებიც გამოიმუშავებენ და ავრცელებენ ელექტროენერგიას, გათბობას და წყალს. ეს იყო შეგნებული ენერგეტიკული ტერორი: უკრაინელების ტანჯვა სიცივესა და სიბნელეში.

აგრობიზნესი

ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს აგრობიზნესი, კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს უკრაინის მარცვლეულის ექსპორტი. მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართულია ექსპორტის მასშტაბების ზრდისათვის ალტერნატიული ინფრასტრუქტურული ხაზების შექმნაზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მხარდაჭერით (მაგ., რუმინეთი, მოლდოვა, პოლონეთი).

ომამდე, უკრაინის მარცვლეულის ექსპორტის 89% შავი ზღვის პორტების საშუალებით გადიოდა. ოდესის, ჩერნომორსკის, პივდენნისა და მიკოლაივის პორტები 2021 წელს თვეში 6 მილიონ ტონამდე მარცვლეულს ამუშავებდნენ და 2022 წელს ახალი რეკორდების დასამყარებლად ემზადებოდნენ, პორტის გაფართოებული ინფრასტრუქტურის და უხვმოსავლიანობის

წყალობით. ომის დროს მარცვლეულის ექსპორტი დაინგრა. 2022 წლის აგვისტოში უკრაინის საზღვაო ნავსადგურების ნაწილობრივმა გახსნამ, რუსეთთან შუამავლების საშუალებით დადებული შეთანხმების შემდეგ, მარცვლეულის ყოველთვიურ ექსპორტს 4 მილიონ ტონაზე მეტი მაჩვენებლის მიღწევის საშუალება მისცა. თუმცა, რუსეთის მიერ გემების ხშირი ბლოკირება, დაზღვევისა და ტვირთის გაზრდილი ფასები და მარცვლეულის დერეფნის მთლიანად შეჩერების მუქარა, ნიშნავს იმას, რომ მარცვლეულის ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ კვლავ დაეცემა წინა პერიოდთან შედარებით.[76]

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და საბანკო სისტემა

ვაჭრობის კრახი ნიშნავს დოლარის მსგავსი მყარი ვალუტის მწვავე დეფიციტს. უკრაინის მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი ძალისხმევა კაპიტალის გადინების შესაჩერებლად, შემოიღო ფიქსირებული გაცვლითი კურსი და გაატარა კიდევ რამდენიმე აუცილებელი ანტიკრიზისული ღონისძიება. თუმცაღა, უკრაინის ცენტრალური ბანკის (NBU) ზემოაღნიშნული მცდელობა, დააფიქსიროს გრივნა-დოლარის კურსი, ვერ

76 Russia-Ukraine: one year of war – the economics. 26 February, 2003, by Michael Roberts
https://www.cadtm.org/Russia-Ukraine-one-year-of-war-the-economics

გაგრძელდა. ასე რომ, 2022 წლის ზაფხულს ვალუტა მკვეთრად გაუფასურდა. კურსის დაფიქსირების ახალი მცდელობა არ იყო მდგრადი და უფსკრული ოფიციალურ და ჩრდილოვან კურსებს შორის აგრძელებდა გაფართოებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ინფლაცია კვლავაც გაგრძელდება.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკის რეზერვების წმინდა მარაგი თითქმის 40%-ით შემცირდა. ბევრი წარმატებული უკრაინელი გაიქცა ქვეყნიდან და თან წაიღო ნაღდი ფული. ბანკებიდან ამოღებული ნაღდი ფული თითქმის 9 მილიარდი დოლარით გაიზარდა 2022 წლის იანვარ-სექტემბერში. მიუხედავად იმისა, რომ ეს დანაკლისი ნაწილობრივ დაფარული იყო ლტოლვილების ფულადი გზავნილებით და დასავლეთის სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარებით, უკრაინამ მთლიანობაში დაკარგა დაახლოებით 6 მილიარდი დოლარი საერთაშორისო რეზერვებში.

უცხოური ფულადი მხარდაჭერის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი რესურსები ომის ძალისხმევის დასაფინანსებლად და გარკვეული სახის საჯარო სერვისების შესანარჩუნებლად. ამრიგად, მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც 2021 წელს მშპ-ს 3,6%-დან 2022 წელს 42%-მდე გაიზარდა, სულ უფრო და უფრო ფინანსდება ფულის "ბეჭდვით". დეფიციტის დასაფინანსებლად მთავრობამ გამოუშვა ობლიგაციები

და მოუწოდა ეროვნულ ბანკს მათი შეძენისაკენ. ეროვნული ბანკი არის უკრაინის სახელმწიფო ობლიგაციების ყველაზე დიდი მფლობელი. წარმოების შემცირება და ფულის მიწოდების მატება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინფლაციის შემდგომ აჩქარებას.[77]

საბანკო სისტემა ძლიერი აღმოჩნდა და ფუნქციონალური შეზღუდვების გარეშე მუშაობს მთელი ომის განმავლობაში, მიუხედავად ფართომასშტაბიანი სახმელეთო და საჰაერო ოპერაციებისა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ბანკი - არა მხოლოდ სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები - განაგრძობს ოპერაციებს. ეს წარმოადგენს დიდ უპირატესობას უკრაინისთვის, ვინაიდან, ამის წყალობით შესაძლებელი გახდა ეკონომიკის დაფინანსება და გადახდების მხარდაჭერა, რამაც უზრუნველყო ეკონომიკის ფუნქციონირება ომის პირობებში. უკრაინელებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ შემოსავლების შემოდინება გადასახადებიდან, გადაეხადათ სოციალური დაზღვევის გადასახადები, მიეღოთ საერთაშორისო დახმარება და შეეგროვე-

77 Russia-Ukraine: one year of war – the economics. 26 February, 2003, by Michael Roberts
https://www.cadtm.org/Russia-Ukraine-one-year-of-war-the-economics

ბინათ მილიარდობით გრივნა შეიარაღებული ძალების მხარ-დასაჭერად.[78]

4.3.3. საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა

უკრაინის საჭიროება ყოველთვიურ ფინანსურ მხარდა-ჭერაში განისაზღვა დაახლოებით 3-3,5 მილიარდი აშშ დოლა-რის ოდენობით, რომლის გარეშეც ქვეყნის ეკონომიკა დაინგრე-ვა. აღნიშნული დახმარება ესაჭიროება ყველა დონის ბიუჯეტს, ინფრასტრუქტურას, რეალურ ეკონომიკას, რათა ქვეყანამ შეძ-ლოს არსებობა ომის პირობებში. [79]

მნიშვნელოვან როლს უკრაინის ეკონომიკის მხარდაჭე-რაში თამაშობენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) შემთხვევაში, მთავარი აქცენტი კეთდება უკრაინის ეკონომიკის რეალური სექტორის ძირითადი ინფრასტრუქტუ-რის მხარდაჭერაზე, როგორიცაა რკინიგზა, ელექტროენერგია და ენერგომომარაგება. გარკვეული დაფინანსება გამოეყო ნაფ-ტოგაზს (უკრაინის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია), რა-

78 How Ukraine is Managing a War Economy, December 22, 2022 https://www.imf.org/en/News/Articles/2022/12/20/cf-how-ukraine-is-managing-a-war-economy

79 The Battle to Save Ukraine's Economy From the War, October 5, 2022, by Amy Mackinnon and Robbie Gramer, https://foreignpolicy.com/2022/10/05/russia-ukraine-war-reconstruction-european-bank-odile-renaud-basso/

თა უზრუნველყოფილიყო შესყიდვები, მაგრამ, ასევე მხარდაუჭერილ იქნა კომერციული სექტორიც, კერძოდ, აგრობიზნესი. დაწყებულია მუნიციპალიტეტებთან მუშაობა, რათა უკრაინის ქალაქებს გაეწიოთ დახმარება ინფრასტრუქტურისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების დაფინანსების საკითხებში. რაც უფრო მდგრადი და აქტიური იქნება უკრაინის ეკონომიკა, მით მეტი იქნება საგადასახადო შემოსავალი, რომელიც ხელს შეუწყობს მთავრობის მდგრადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ *საგარეო დახმარების გარეშე, როგორც სამხედრო, ასევე ფინანსური, უკრაინა ვერ გააგრძელებდა სამხედრო ოპერაციებს, ვერ დაუჭერდა მხარს ძირითად სამსახურებს და ვერ შეასრულებდა თავის საგარეო ვალდებულებებს.*

უკრაინის ფინანსთა სამინისტრომ მიიღო 31 მილიარდი ევრო 2022 წლის დეკემბრისთვის დასავლეთის ქვეყნების მიერ დაპირებული 64 მილიარდი ევროდან მას შემდეგ, რაც რუსეთმა სრულმასშტაბიანი შეტევა დაიწყო გასული წლის თებერვალში, ნათქვამია კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის კვლევაში. ეს შეადგენს საერთაშორისო რეზერვების ომამდელი მარაგის დაახლოებით 75%-ს.

აშშ და ევროკავშირი ერთობლივად შეთანხმდნენ უკრაინის მხარდაჭერაზე თვეში 3 მილიარდი დოლარით 2023 წლის

განმავლობაში, ანუ, ჯამში კიდევ 36 მილიარდი დოლარით 2023 წელს.

გარდა ამისა, უკრაინა ცდილობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დაფინანსების მოძიებას. მას სურს სრული სამწლიანი პროგრამა 15-20 მილიარდი დოლარის ოდენობით, რომელსაც, სავარაუდოდ, მიიღებს. მაგრამ ეს სესხი დამოკიდებულია მთელ რიგ პირობებზე, მათ შორის G7-ის ქვეყნებისა და უკრაინის სხვა დონორებისა და კრედიტორების მხარდაჭერაზე, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ვალის მდგრადობას. გეგმა ასევე მოითხოვდა უპრეცედენტო ცვლილებებს სავალუტო ფონდის დაკრედიტების წესებში, რათა ფონდმა შეძლოს სესხის გაცემა ომით განადგურებულ ქვეყანაზე - ამგვარად, უკრაინა მიიღებს სპეციალურ მხარდაჭერას, რომელიც მიუწვდომელია სხვა ღარიბი ქვეყნებისთვის.

მაგრამ, უკრაინას მაინც მოუწევს დათანხმდეს „სტრუქტურულ რეფორმებზე“ და ეს ჩვეულებრივ გულისხმობს ფისკალურ სიმკაცრეს, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას (ანუ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს), პრივატიზაციას და ეკონომიკის დერეგულაციას, მათ შორის „მცურავ“ ვალუტას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის სსფ-ის კლასიკური ნეოლიბერალური პროგრამა, რომელიც დაწესებულია მოვალე ქვეყნისათვის -

თუმცა ამ შემთხვევაში უკრაინის მთავრობის ნებაყოფლობითი მხარდაჭერით.

2023 წელს, უკრაინას ესაჭიროებოდა დაახლოებით 45 მილიარდი დოლარი თავისი ეკონომიკის შესანარჩუნებლად. ეჭვგარეშეა, რომ ეს დიდი თანხაა, მაგრამ ეს არის უკრაინის მოკავშირეების მშპ-ს მხოლოდ 0,1%, ნატოს წლიური ბიუჯეტის 4%. მაგრამ, ეს არ ფარავს ომის შემდგომ რეკონსტრუქციის ხარჯებს.

უკრაინული წყაროები აფასებენ ინფრასტრუქტურის აღდგენის ხარჯებს: ომის დაფინანსება (ტყვია-წამალი, იარაღი და ა.შ.); საბინაო ფონდის, კომერციული უძრავი ქონების ზარალი; დაღუპულთა და დაშავებულთა კომპენსაცია; განსახლების ხარჯები; შემოსავლის მხარდაჭერა და ა.შ. და დაკარგული მიმდინარე და მომავალი შემოსავალი მიაღწევს $1 ტრილიონს, ანუ უკრაინის წლიური მშპ-ს წინა ექვს წელს. ეს არის ევროკავშირის მშპ-ის დაახლოებით 2,0% წელიწადში ან G7 მშპ-ის 1,5% ექვსი წლის განმავლობაში.

ისმის კითხვა: ვინ დაფარავს ზემოაღნიშნულ ხარჯებს? ომის შემდგომი სწრაფი აღდგენა ნაკლებად მოსალოდნელია, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს მარშალის გეგმით. ამ ათწლეულის ბოლოს, თუნდაც რეკონსტრუქცია კარგად წარიმართოს და ვივარაუდოთ, რომ ომამდელი უკ-

რაინის ყველა რესურსი აღდგება (აღმოსავლეთ უკრაინის მრეწველობა და მინერალები რუსეთის ხელშია), მაშინ ეკონომიკის მოცულობა მაინც იქნება 15%-ით ნაკლები ომამდელ დონეზე. თუ არა, აღდგენის პროცესი კიდევ უფრო ხანგრძლივი იქნება.[80]

პერსპექტივები

2023 წელს მსოფლიო ბანკი პროგნოზირებდა უკრაინის ეკონომიკის ზრდას 0,5%-ით, გასული (ქვეყანაში რუსეთის შემოჭრის) 2022 წლის 29,2%-იანი შემცირების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ აგრესიის შედეგად უკრაინისთვის მიყენებული ეკონომიკური ზიანი უზარმაზარია, უკრაინის შავი ზღვის პორტების ხელახალ გახსნას და მარცვლეულით ვაჭრობის განახლებას, ისევე როგორც დონორთა მნიშვნელოვან მხარდაჭერას, ხელი უნდა შეეწყო ეკონომიკური აქტივობების განვითარებისთვის.

ომის დაწყების შემდეგ მუდმივად შემცირების მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს უკრაინის ეკონომიკა მოსალოდნელზე შედარებით ნაკლებად შემცირდა. მაგალითად, იანვარ-მარტის პერიოდში მოსალოდნელი 13.7%-იანი კლების ნაცვლად, უკრაინის ეკონომიკა მხოლოდ 10.5%-ით შემცირდა.

---

80 Russia-Ukraine: one year of war – the economics. 26 February, 2003, by Michael Roberts https://www.cadtm.org/Russia-Ukraine-one-year-of-war-the-economics

უკრაინის ენერგეტიკული ქსელისა და სამრეწველო სექტორის დაუნდობელი სარაკეტო დაბომბვების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკაში აპრილისა და მაისის თვეებიდან ბიზნეს აქტივობის ზრდა შეიმჩნევოდა.[81]

მსოფლიო ბანკის 2023 წლის შეფასებით, უკრაინის რეკონსტრუქციისა და აღდგენის ღირებულება გაიზარდა 411 მილიარდ დოლარამდე, რაც ორჯერ აღემატება უკრაინის ომამდელ ეკონომიკას 2021 წლის მდგომარეობით.[82]

2023 წლის 31 მარტს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა ფინანსური შეთანხმება უკრაინისთვის 15,6 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ, ოთხი წლის განმავლობაში 2027 წლამდე. გაფართოებული ფონდის (Extended Fund Facility - EFF) ფარგლებში, აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს 115 მილიარდიანი საერთაშორისო ფინანსური პაკეტის ნაწილს, იგივე ოთხწლიანი პერიოდისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლების პოლიტიკის მხარდაჭერას ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის, რადგან ომი გრძელდება და საჭიროა უფრო ვრცელი რეფორმების

81 https://businessformula.ge/News/14275

82 https://www.worldbank.org/en/news/press-release/2023/04/06/russian-invasion-of-ukraine-and-cost-of-living-crisis-dim-growth-prospects-in-emerging-europe-and-central-asia

გატარება, რათა დააჩქარდეს ქვეყნის აღდგენა ომის დასრულების შემდეგ.

2023 წელს დამტკიცებული EFF არის სტრატეგიის მესამე და ბოლო ეტაპი, რომელიც შემუშავებულია ხელისუფლებასთან ერთად უკრაინის მხარდასაჭერად. პირველი ეტაპი იყო გადაუდებელი დაფინანსება 2,7 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით სწრაფი დაფინანსების ინსტრუმენტის მეშვეობით 2022 წელს. მეორე ეტაპი იყო ოთხთვიანი პროგრამის მონიტორინგი საბჭოს ჩართულობით (Program Monitoring with Board Involvement - PMB), რომელიც დამტკიცდა 2022 წლის დეკემბერში. ხელისუფლების ეფექტიანმა მოქმედებამ PMB-ის ფარგლებში გზა გაუხსნა სავალუტო ფონდის სრულფასოვან პროგრამას.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ეკონომიკური პერსპექტივა უკიდურესად ბუნდოვანია და ქვეყანა კვალიფიცირდება ფონდის მიერ, როგორც განსაკუთრებით მაღალი გაურკვევლობის პირობებში მყოფი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტული პროგრამისგან განსხვავებით, რომელიც ცენტრალურ სცენარს ეყრდნობა, უკრაინის შემთხვევაში რამდენიმე შედეგია ნავარაუდევი, ძირითადად, ომის დასრულდების ვადებთან დაკავშირებით არსებული გაურკვევლობის გამო.

2023 წელს შემუშავებული საბაზისო სცენარი ვარაუდობდა ომის დასრულებას 2024 წლის პირველ ნახევარში, რასაც მოყვებოდა გეგმაზომიერი ინვესტიციების და რეკონსტრუქციის პერიოდი. პესიმისტური სცენარი ვარაუდობს, რომ ომი გაძლიერდება და უფრო დიდხანს გაგრძელდება. ეს გავლენას მოახდენს ეკონომიკურ აქტივობაზე იმაზე მეტად, ვიდრე ვარაუდობენ საბაზისო გეგმით, ხელს შეუშლის დაბრუნებაში ქვეყნიდან წასულ ადამიანებს და მიაყენებს ქვეყანას მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ზიანს.[83]

4.3.4. უკრაინის ეკონომიკური პოლიტიკა ომის პირობებში

სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების ახალი პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა, გარე დაფინანსების კატალიზება და სტრუქტურული პოლიტიკის ჩარჩოს შექმნა, რომელიც საფუძველს უყრის ომის შემდგომ აღდგენას, რეკონსტრუქციას და საბოლოო გაწევრიანებას ევროკავშირში. კერძოდ:

ფისკალური პოლიტიკა. უახლოეს პერსპექტივაში, ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკა ფოკუსირებული იქნება პრი-

83 https://www.imf.org/en/News/Articles/2023/04/05/cf-amid-war-ukraine-is-maintaining-macroeconomic-stability-and-embarking-on-reforms

ორიტეტული ხარჯებისთვის ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფაზე, ძლიერი საგადასახადო შემოსავლების ბაზის შენარჩუნებაზე და ფისკალური და ვალის მდგრადობის შენარჩუნებაზე. ადრეული რეკონსტრუქციისა და სოციალური ხარჯების მხარდასაჭერად, აქცენტი საშუალოვადიან პერსპექტივაში გადაინაცვლებს ეროვნული შემოსავლების სტრატეგიის შემუშავებაზე, საშუალოვადიანი ბიუჯეტის ჩარჩოს თანდათანობით აღდგენასა და სახელმწიფო ინვესტიციების მართვის გაძლიერებაზე.

მონეტარული და სავალუტო პოლიტიკა. მთავარი პრიორიტეტია მუდმივი დეზინფლაციისა და გაცვლითი კურსის სტაბილურობის მხარდაჭერა,[84] მათ შორის სავალუტო რეზერვების ადეკვატური დონის შენარჩუნებით, ომის დროს ჭარბი ლიკვიდობის გონივრულად მართვის შედეგად.

საფინანსო სექტორი. პოლიტიკამ უნდა შეინარჩუნოს ფინანსური სტაბილურობა და მოემზადოს ომისშემდგომი აღდგენისთვის, მათ შორის საგანგებო დაგეგმვისთვის, საბანკო დიაგნოსტიკისათვის, ასევე პრობლემური ბანკებისა და არაფუნქციური აქტივების პრობლემების დაძლევისთვის.

---

84 დეზინფლაცია – ეს არის პროცესი, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელი კლებულობს დროის გარკვეულ მონაკვეთში ანუ პროდუქციებზე ფასების ზრდის პროცესი შენელებულია. https://www.doctrina.ge/biznesleqsikoni-dziritha/

მმართველობა და ზრდა. დამოუკიდებელი და ეფექტიანი ანტიკორუფციული ინსტიტუტების ჩამოყალიბება კიდევ უფრო გააუმჯობესებს მმართველობას და ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობასა და დონორთა ნდობას მომავალ რეკონსტრუქციაში. ევროკავშირის ერთიან ბაზართან ინტეგრაციის გაღრმავება და ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნების დანერგვა გადამწყვეტი იქნება დიდი ხნის ნანატრი ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების განსახორციელებლად.

დაფინანსების სტრატეგია და ვალის მდგრადობა. ხელისუფლების პროგრამა ხელს შეუწყობს ვალის მდგრადობის აღდგენას, როგორც ოფიციალური, ისე საგარეო კომერციული ვალების დამუშავების გზით, რაც დაეხმარება ხელისუფლებას დააკმაყოფილოს დაფინანსების საჭიროებები პროგრამის პერიოდში.[85]

პრივატიზაცია. ომის მიუხედავად, უკრაინაში გრძელდება პრივატიზაციის პროცესი. სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ ის შეჩერდა, 2022 წლის სექტემბერში კი მცირემასშტაბიანი პრივატიზაცია განახლდა. 2022 წელს, პრივატიზაციამ მთლიანობაში სახელმწიფო ბიუჯეტში 1,7 მილიარდი გრივნა შემოიტანა, დაგეგმილი 8 მილიარდი გრივნის ნაცვლად. ამჟამად,

85 https://www.imf.org/en/News/Articles/2023/04/05/cf-amid-war-ukraine-is-maintaining-macroeconomic-stability-and-embarking-on-reforms

სახელმწიფო ქონების ფონდი (SPF) ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის გაგრძელების პირობებს ელოდება. თუმცა, ომის დროს, სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვის შანსი უკიდურესად დაბალია.[86]

კორუფციასთან ბრძოლა. მიმდინარე კონფლიქტის ფონზე, კორუფცია და სახელმწიფო სახსრებზე სუსტი კონტროლი კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. როგორც მოქალაქეები, ასევე ბიზნესი, გამოხატავენ შეშფოთებას საინვესტიციო ფონდების პოტენციური მითვისებისა და აღდგენის პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო. საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევა ცხადყოფს, რომ კორუფცია ქვეყნის აღმშენებლობის მცდელობებთან დაკავშირებით მოქალაქეებისა და ბიზნესების მფლობელების უპირველესი შიშია, საომარი მოქმედებების განახლების შიშსაც კი აჭარბებს. არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მთავრობამ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები და აჩვენა გარკვეული პროგრესი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიმდინარე რეფორმები სამართალდამცავ სისტემაში და თანამდებობის პირების დანიშვნა მთავარ ანტიკორუფციულ ინსტიტუტებში მიუთი-

86 Grigorenko, Yuriy. Large-scale privatization continues in Ukraine during the war: first results. 18 April 2023 https://gmk.center/en/posts/large-scale-privatization-continues-in-ukraine-during-the-war-first-results/

თებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებისადმი ერთგულებაზე.[87] თუმცაღა, ერთ-ერთი ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, კიევის რეგიონში რუსების მიერ განადგურებული სახლებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენისათვის გამოყოფილი ასობით მილიონი გრივნა გადანაწილდა სისხლის სამართლის პროცესების ფიგურანტ პირებზე და, ასევე, სტრუქტურებზე, რომელთა მფლობელები ან/და დირექტორები კიევის რეგიონალური სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასა და პრეზიდენტის ოფისთან არიან დაკავშირებულნი.[88]

4.3.5. შეჯამება

რუსული აგრესიის გავლენა უკრაინის ეკონომიკაზე დამანგრეველი იყო, რამაც 2022 წელს მისი 29,2%-იანი შემცირება გამოიწვია. საწარმოთა მესამედმა საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე შეწყვიტა ფუნქციონირება, რაც გამოწვეული იყო საწარმოო ობიექტების და ინფრასტრუქტურის განადგურებით, მიწოდების ჯაჭვების შეფერხებით და წარმოების ხარჯე-

87 Ukrainians concerned about corruption as donors pledge billions to rebuild the country https://www.euronews.com/2023/06/29/ukrainians-worried-about-corruption-as-donors-pledge-billions-to-rebuild-the-country

88 Відбудова Київщини: сотні мільйонів гривень віддали компаніям з криміналом і купленим на OLX https://bihus.info/vidbudova-kyyivshhyny-sotni-miljoniv-gryven-viddaly-kompaniyam-z-kryminalom-i-kuplenym-na-olx/

ბის მკვეთრი ზრდით. ბრძოლების გამო, მილიონობით ადამიანი იქცა დევნილად, შეწყდა წვდომა ქვეყნის პორტებზე, შეფერხდა სოფლის მეურნეობა და გაიზარდა თავდაცვის ხარჯები.

ძალიან მძიმე პერიოდის მიუხედავად, უკრაინელმა ხალხმა და ბიზნესმა მალევე დაიწყეს გამოჯანმრთელება სრულმასშტაბიანი ომის პირველი შოკის შემდეგ. მათ გამოავლინეს უბადლო უნარი, გაუძლონ მტერს და, ამასთანავე, მოერგონ ახალ გარემოს. აგრესიის შედეგად უკრაინისთვის მიყენებული უზარმაზარი ეკონომიკური ზიანის მიუხედავად, დონორთა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ხელს უწყობს მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური აქტივობების განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო დახმარების გარეშე, როგორც სამხედრო, ასევე ფინანსური, უკრაინა ვერ გააგრძელებდა სამხედრო ოპერაციებს, ვერ დაუჭერდა მხარს ძირითად სამსახურებს და ვერ შეასრულებდა თავის საგარეო ვალდებულებებს. მნიშვნელოვან როლს უკრაინის ეკონომიკის მხარდაჭერაში თამაშობენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

რაც შეეხება უკრაინის ეკონომიკურ პერსპექტივას, ის უკიდურესად ბუნდოვანია და ქვეყანა კვალიფიცირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, როგორც განსაკუთრებით მაღალი გაურკვევლობის პირობებში მყოფი. მნიშვნელოვან გა-

მოწვევად კვლავ რჩება კორუფცია და სახელმწიფო სახსრებზე სუსტი კონტროლი.

ომის დასრულების შემდგომ პერიოდში, უკრაინას დასჭირდება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნება მდგრადი პერიოდის განმავლობაში, რათა აღადგინოს თავისი პროდუქტიული შესაძლებლობები და მოსახლეობის ცხოვრების დონე რაც შეიძლება სწრაფად. ამას დასჭირდება უპრეცედენტო ინვესტიციები და ადამიანური კაპიტალის აღდგენა. მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება საჯარო სექტორს და მმართველობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რამაც ხელი უნდა შეუწყობს დონორთა მხრიდან დაფინანსების მიღებას. კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების თუ პარტნიორი ქვეყნების პროგრამები, რომლებიც მხარს დაუჭერს ხელისუფლებას საკვანძო რეფორმების გატარებაში და ქვეყნის რეკონსტრუქციაში, ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეკონომიკური თავდაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ტოტალური თავდაცვის სხვა კომპონენტებთან, როგორიცაა სამხედრო, სამოქალაქო, სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვა. ეკონომიკური სიძლიერე და სტაბილურობა ფუნდამენ-

ტურია ქვეყნის შესაძლებლობისთვის ეფექტიანად უპასუხოს უსაფრთხოების გამოწვევებს. ძლიერი და სტაბილური ეკონომიკა არა მხოლოდ მხარს უჭერს თავდაცვის საერთო ძალისხმევას, არამედ ხელს უწყობს მოქალაქეების კეთილდღეობასა და განვითარებას.

მთავრობებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა განიხილონ ეკონომიკური თავდაცვა, როგორც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რათა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი დაცვა სხვადასხვა საფრთხეებისა და გამოწვევებისგან. ეროვნული უსაფრთხოებისადმი პასუხისმგებლიანი მიდგომა მოითხოვს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფას, რათა უზრუნველყოს სახელმწიფო სერვისების და კომერციული სექტორის სიცოცხლისუნარიანობა კატასტროფის ან ომის შემთხვევაში.

ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობისა და სტაბილურობის შენარჩუნება კრიზისულ სიტუაციაში დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკური თავდაცვის, როგორც ტოტალური თავდაცვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტის, მშვიდობიანობის დროს სათანადო ორგანიზებაზე და მის ეფექტიან მართვაზე კრიზისის, სტიქიური უბედურების ან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში.

ეკონომიკური თავდაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. მან უნდა უზრუნველყოს, როგორც საკუთარი შიდა რესურსებით, ასევე მოკავშირეებთან თანამშრომლობით, ეკონომიკური თავდაცვის სფეროში პოტენციური შესაძლებლობების განვითარება ისე, რომ ქვეყანას გააჩნდეს საკმარისი პოტენციალი და შეძლოს ეკონომიკის ეფექტიანობისა და სტაბილურობის (მდგრადობის) შენარჩუნება კრიზისის ან კონფლიქტის შემთხვევაში.

მოცემულ კვლევაში მიმოხილულ იქნა ეკონომიკური თავდაცვის მნიშნელობა; განხილულ იქნა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა უკრაინის ეკონომიკაზე და მიმდინარე ომის პირობებში უკრაინის გამოცდილება ეკონომიკური თავდაცვის ორგანიზების და მართვის საკითხებში, რისი გათვალისწინებაც უთუოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

და ბოლოს, საქართველოს მსგავს ქვეყანაში ტოტალური თავდაცვის ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით, შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. **მრეწველობის დივერსიფიკაცია:**

მრეწველობის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, რათა შემცირდეს დამოკიდებულება მწარმოებელთა ვიწრო სპექტრზე. ამან შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური სტაბილურობა რის-

კების გადანაწილებით და უზრუნველყოს, რომ ეკონომიკა არ იყოს ზედმეტად დამოკიდებული კონკრეტულ მწარმოებლებზე, რომლებიც შეიძლება დაუცველები იყვნენ გარე შოკების მიმართ.

2. საერთაშორისო თანამშრომლობა:

საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ეკონომიკურად სტაბილურ მოკავშირეებთან. ეს შეიძლება მოიცავდეს სავაჭრო შეთანხმებებს, ეკონომიკურ პარტნიორობას და ერთობლივ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთეკონომიკურ სარგებელს და უზრუნველყოფენ მხარდაჭერას კრიზისის დროს.

3. ინვესტიციები განათლებასა და ინოვაციებში:

რესურსების გამოყოფა განათლების, კვლევისა და ინოვაციისთვის კვალიფიციური და ადაპტირებადი სამუშაო ძალის შესაქმნელად. ტექნოლოგიასა და ინოვაციებზე ფოკუსირებას შეუძლია გააძლიეროს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოს საფუძველი მომავალი ეკონომიკური ზრდისთვის.

4. ინფრასტრუქტურის მდგრადობა:

კრიტიკული ინფრასტრუქტურის გაძლიერება, რათა გაუძლოს პოტენციურ რღვევებს. ეს მოიცავს არა მხოლოდ ფიზი-

კურ ინფრასტრუქტურას, არამედ ციფრულ ინფრასტრუქტურის დაცვას კიბერ საფრთხეებისგან. მდგრადი ინფრასტრუქტურა უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ოპერაციების შენარჩუნებისთვის კრიზისების დროს.

5. სტრატეგიული რესურსების მართვა:

სტრატეგიული რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის აუცილებელი საქონლისა და რესურსების რეზერვების შენარჩუნება. ეს უზრუნველყოფს, რომ ქვეყანა უკეთესად არის მომზადებული საგანგებო სიტუაციების დროს დეფიციტის აღმოსაფხვრელად, რაც ამცირებს მიწოდების ჯაჭვის მოწყვლადობას შეფერხებების მიმართ.

6. საჯარო-კერძო პარტნიორობა:

საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. ამგვარ პარტნიორობას შეუძლია გააძლიეროს ეკონომიკური თავდაცვა რესურსების ეფექტიანი გამოყენებით, გამოცდილების გაზიარებით და ეკონომიკური გამოწვევების კოლექტიური მოგვარებით.

7. რისკის შეფასება და გაუთვალისწინებელი დაგეგმვა:

რეგულარული რისკების შეფასების ჩატარება ეკონომიკისთვის პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით. შემუშავდეს ყოვლისმომცველი საგანგებო გეგმები, რომლებიც ასახავს სტრატეგიებს სხვადასხვა ეკონომიკურ კრიზი-

სებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური თავდაცვის პროაქტიულ მიდგომას.

8. ფინანსური სექტორის სტაბილურობა:

ფინანსური სექტორის სტაბილურობის გაძლიერება სისტემური რისკების თავიდან ასაცილებლად. შემუშავდეს რეგულაციები და ზედამხედველობის ზომები ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც ეკონომიკური სტაბილურობის განუყოფელი ნაწილია.

9. ადამიანური კაპიტალის განვითარება:

ინვესტირება პროგრამებში, რომლებიც ფოკუსირებულია განათლებაზე, ტრენინგზე და სამუშაო ძალის განვითარებაზე. კვალიფიციური და ადაპტირებადი სამუშაო ძალა ეკონომიკური მზადყოფნის კრიტიკული კომპონენტია, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს ეფექტიანად უპასუხოს ცვალებად ეკონომიკურ მოთხოვნებს.

10. ადაპტირებადი ეკონომიკური პოლიტიკა:

განხორციელდეს ადაპტირებადი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შეიძლება მორგებული იყოს ცვალებად გარემოებებზე საპასუხოდ. ეკონომიკური პოლიტიკის მოქნილობა იძლევა უფრო დინამიური რეაგირების საშუალებას კრიზისებსა და გამოწვევებზე.

11.რეგულარული შეფასება და კორექტირება:

ეკონომიკური თავდაცვის სტრატეგიებისა და მათი ეფექტიანობის რეგულარული შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება. შეცვალეთ პოლიტიკა და სტრატეგიები მიღებული გაკვეთილებისა და გეოპოლიტიკური ან ეკონომიკური პირობების შეცვლის საფუძველზე.

12. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა:

მდგრადი განვითარების პრაქტიკის ხაზგასმა ეკონომიკური საქმიანობის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. მდგრადი განვითარების პრაქტიკა ხელს უწყობს მდგრადობას გარემოსდაცვითი და ეკონომიკური სისუსტეების მინიმუმამდე დაყვანის გზით.

13.კომუნიკაცია და გამჭვირვალობა:

ეკონომიკურ საკითხებში ღია კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის შენარჩუნება. მკაფიო კომუნიკაცია ხელს უწყობს საზოგადოების ნდობას, ხოლო გამჭვირვალობა ხელს შეუწყობს ეკონომიკური გამოწვევების ადრეულ გამოვლენას.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია გააძლიეროს ეკონომიკური თავდაცვისუნარიანობა, უზრუნველყოს უფრო სტაბილური და ადაპტირებადი ეკონომიკა სხვადასხვა გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე.

თავი V. სოციალური თავდაცვა/სამოქალაქო მზაობა

ქეთვან კვესელავა,
ნიკოლოზ ესიტაშვილი

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში, ისევე როგორც ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსთვის, საქართველოსთვისაც უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. მით უფრო ჩვენს რეგიონში, სადაც არსებული ეთნიკური, კულტურული, რელიგიური მრავალფეროვნება, პოლიტიკურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული ინტერესები არსებულ უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას ახდენს და მას მეტად კომპლექსურს და დინამიკურს ხდის.

სამხედრო საფრხე ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის დამოუკიდებლობა ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, თავისუფლება, უსაფრთხოება, მშვიდობა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. მოცემული ღირებულებების დასაცავად სახელმწიფოში იქმნება ინსტიტუტები, რომელთა მთავარ ამოცანას საფრთხეების პროგნოზირება, გამოვლენა, შეფასება და მათზე რეაგირება წარმო-

ადგენს. არსებული საფრთხეებთან გამკლავება, რომელიც მეზობელი თუ სხვა მტრულად განწყობილი სახელმწიფოებიდან მომდინარეობს, თავდაცვის სისტემის პასუხისმგებლობაა. აღსაღნიშნავია, რომ „ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე კონსტისტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანების და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს თავდაცვის ძალები.“[89]

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის ძირითად მატარებელ ფუნქციას წარმოადგენს თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო თავდაცვა სცილდება ერთი უწყების ფარგლებს და მთელი სახელმწიფო აპარატის საზრუნავია. სახელმწიფო თავდაცვა განეკუთვნება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროს და იგი მოიცავს უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს: სამხედრო ძალის განვითარება, მომზადება და საბრძოლო მზადყოფნა; მოსახლეობის საომარი მდგომარეობისათვის მომზადება და სამობილიზაციო ღონისძიებების განხორციელება; სამხედრო განათლების სისტემის, მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარება; შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყ-

89 საქართველოს კონსტიტუცია (ახალი რედაქცია), https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

ნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სამ-ხედრო ძალებით უზრუნველყოფა; უსაფრთხოებისა და სამ-ხედრო-ტექნიკურ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლო-ბის განვითარება; სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვა და სხვა.

თავის მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა ხორციელდება ეროვნული და უწყებრივი დონეების კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვე-ობით,[90] როგორებიცაა, მაგალითად, ეროვნული დონის კონცეპ-ტუალური დოკუმენტები: „ეროვნული უსაფრთხოების კონ-ცეფცია“[91] და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020.“[92] ეფექტიანი თავდაცვის დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპებსა და მიდგომებს, რომ-ლებიც გულისხმობს ეროვნული რესურსების მთელი პოტენ-ციალის მზადყოფნასა და მობილიზების უნარს ქვეყნის მთელ

90 ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, საქართველოს კანონი, 2015წ. 4 მარტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=13

91 „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ 2011 წლის 23 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილება, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0

92 „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017 – 2020 წწ.-ის დამტკიცების შესახებ“, 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს დადგენილება №202, https://mod.gov.ge/uploads/public/strtegiebi_kocefciebi/SDR_17-20.pdf.

ტერიტორიაზე თავადცვის უზრუნველსაყოფად. ამის მიღწევა შესაძლებელია სრული ეროვნული ძალისხმევითა დ საზოგადოების ფართო ჩართულობით.

ჩვენი ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე ტოტალური თავდაცვის პრინციპი მოიცავს ხუთ უმნიშველოვანეს კომპონენტს. მათ შორისაა: სამხედრო, სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვა. აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფენ ყოვლისმომცველი და თანამიმდევრული რეაგირების მიდგომას. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ ჩვენი კოლექტიური გამძლეობა და ინდივიდუალური ძალები პოლიტიკური დესტაბილიზაციის დასამარცხებლად. ეს უნდა იყოს ერთიანი ძალისხმევა, რომლის მიზანია ეროვნული საფრთხის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის დაგეგმვა, წარმართვა და საბოლოოდ მისი აღმოფხვრა.

და მაინც რა არის ტოტალური დაცვა? ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია რომ ტოტალური თავდაცვა წარმოადგენს თავდაცვის სტრატეგიას ან გეგმას, რომელიც საჭიროა მხოლოდ ომის დროს. ტოტალური თავდაცვა საჭიროა მშვიდობიანობის დროსაც და ის მრავალ საკითხს მოიცავს.

ჩვენ ვმონაწილეობთ სამოქალაქო საგანგებო წვრთნებში, ვსწავლობთ და ვაუმჯობესებთ საკუთარ უნარებს, რაც საბოლოოდ ანვითარებს და ზეგავლენას ახდენს ჩვენს პიროვნულ

თვისებებზე, რომელიც გვიზრდის ჩვენს მოქალაქეობრივ პასუ-ხისმგებლობას. ჩვენ ვამყარებთ ღრმა კავშირებს სხვადასხვა რა-სებსა და რელიგიებთან, რაც რეალურად იწვევს ჩვენი, როგორც მოქალაქეების სიამაყის განცდის გაზრდას, რომ ჩვენ შეგვიძ-ლია ჩვენი წვლილი შევიტანთ ტოტალური თავდაცვის განვი-თარებაში.

და მაინც რატომ უნდა ავირჩიოთ ტოტალური თავდაცვა? აღნიშნულ არჩევანს აქვს ორი კონკრეტული მიზეზი: პირვე-ლია ის, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა რაოდენობრივად ძა-ლიან მცირეა. შესაბამისად, მცირეა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობის რაოდენობაც. აღნიშნული მიზეზის გამო, ჩვენ არ გვყავს რიცხობრივად დიდი რეგულარული შეიარაღებული ძალები. ამრიგად, ჩვენ უნდა ჩავრთოთ მოსახლეობის დიდი ნაწილი. ეს არის ერთადერთი გზა, რაც რეალურად მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ ჩვენი თავდაცვის შესაძლებლობები. მეორე მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რადიკალურად შე-იცვალა თანამედროვე ომის ბუნება. ომების მიმდინარეობა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ბრძოლის ველზე ბრძოლის წა-რმართვით. აღნიშნულის ნაცვლად, პოტენციურ აგრესორებს შეუძლიათ განახორციელონ თავდასხმა ნაკლებად აშკარა, არა-სამხედრო გზების გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირე-ბით, წარმატებით გამოიყენება ტოტალური თავდაცვის ხუთი-

ვე ელემენტის ერთობლივი მუშაობა, რაც რეალურად წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ ყოვლისმომცველ თავდაცვის სტრატეგიას.

პოლიტიკურ არასტაბილურობას გააჩნია უნარი სერიოზული დარტყმა მიაყენოს როგორც ქვეყნის ეკონომიკას ისე საზოგადოებას, რაც გამოიწვევს არა მხოლოდ მატერიალურ და ადამიანური რესურსების დაზიანებას, არამედ ასევე მიაყენებს მოსახლეობას სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზიანს. პოლიტიკურ არასტაბილურობას ასევე გააჩნია პოტენციალი, დაუპირისპიროს ერთმანეთს სხვადასხვა თემები, რაც რეალურად ასუსტებს სახელმწიფოს მრავალეროვან, მრავალრელიგიურ ხასიათს, რაც თავის მხრივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის წარმატებისთვის.

ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს სოციალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვას და ტოტალური თავდაცვის დოკუმენტის შემუშავებას. დოკუმენტის ამ ნაწილში განხილული და გაანალიზებული იქნება საერთაშორისო გამოცდილება, რადგანაც ტოტალური თავდაცვის საკითხი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებაში, რომელთაც შეზღუდული რესურსები აქვთ. მსოფლიო მასშტაბით საყურადღებოა სინგაპურის და

სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილება. აღნიშნული კვლევა მოიცავს საკითხებს, რომლებიც დაეხმარება ქვეყნის მთავრობას/მოსახლეობას ქვეყნის წინაშე მდგარი რეალური პრობლემებისა და არსებული საფრთხეების გააზრებაში. გეგმა დაეხმარება მოსახლეობას ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული აქტივობების გაცნობიერებაში, რომელიც მიზნად ისახავს არსებული გამოწვევების დაძლევას. აღნიშნული გეგმა შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც ცნობარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

სინგაპურის მოდელი

სინგაპურში დაარსდა და წარმატებით მუშაობს „გადაუდებელი საჯარო ინფორმაციის ცენტრი“, შემოკლებით ეგრეთ წოდებული ,,EPIC“, რომელიც არის ინფორმაციის გავრცელების მთავარი სისტემა. აღნიშნულ ცენტრთან დაკავშირება შეიძლება ინტერნეტ რესურსის გამოყენებითაც. EPIC-ის საქმიანობის მთავარი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მოსახლეობისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ, მისი მიზანია დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება ოფიციალური ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციებთან, მათ შორის შენობის ნგრევა, დიდი სამრეწველო ხანძარი და ასე შემდეგ. აღნიშნული ცენტრის საშუალებით, მოსახლეო-

ბას შეუძლია მიიღოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მაგალითად, თუნდაც რა უნდა გააკეთონ მოულოდნელად ბომბის ამოქმედების შემთხვევაშიც კი. ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელი ხდება საინფორმაციო გამოშვებებისა და განცხადებების კოორდინაციისა და ინტეგრაციის გზით.

ეს არის იმ ფუნქციების მცირე ჩამონათვალი, რომელსაც სთავაზობს სინგაპურელებს EPIC -ის ვებსაიტი, რომელიც მოიცავს სასარგებლო რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოემზადონ და რა უნდა გააკეთონ სინგაპურელებმა სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ან გადაუდებელი სიტუაციებში. აღნიშნულთან დაკავშირებით საჯაროა ცხელი ხაზის ნომრები. თუმცა სინგაპურში ასევე არსებობენ მასშტაბური გადაუდებელი შემთხვევებისა და საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების უზრუნველმყოფი საჯარო სერვისებიც, რომელთა საკონტაქტო ნომრებიც ასევე საჯარო და ხელმისაწვდომია სინგაპურის მოქალაქეებისათვის.
აქვე მნიშვნელოვანია ვახსენოთ EPIC-ის ვებსაიტის ფუნქციები. მათ შორის მნიშვნელოვანია: სასარგებლო რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ სხვადასხვა გაუთვალისწინებელი/გადაუდებელი სიტუაციებისთვის; როგორ მოვძებნოთ ოჯახის წევრები ან საყვარელი ადამიანები ან როგორ მო-

ვიპოვოთ ინფორმაცია მათი ადგილმდებარეობის შესახებ სინგაპურში გაუთვალისწინებელი ან საგანგებო შემთხვევის დროს; როგორ მივიღოთ ინფორმაცია ან გაფრთხილება საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ელფოსტით; როგორ მოვიპოვოთ ან მოვძებნოთ ცხელი ხაზის მნიშვნელოვანი ნომრები გადაუდებელი და სხვა საფრთხის შემცველი სიტუაციების შემთხვევაში; როგორ მოვიპოვოთ საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული საჯარო სერვისების საკონტაქტო ნომრები.

პოლიტიკური სტაბილურიბის უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობა ცდილობს გაზარდოს მოსახლეობაში აღნიშნული სტაბილურობის სათანადოდ გააზრების დონე, რაც ასევე ითვალისწინებს საზოგადოების მაღალი ხარისხის ჩართულობას მთავრობის მიერ პოლიტიკური დესტაბილიზაციის პრევენციის მიზნით გატარებულ აქტივობებში.

აღნიშნული პრევენციის მიღწევის მიზნით, სინგაპურის მთავრობის გადაწყვეტილებით შემუშავდა და მოსახლეობაში ფართოდ გავრცელდა კონკრეტული მოქმედების გეგმა, სადაც ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომლის შესრულებაც თითოეულ სინგაპურელს შეუძლია ქვეყნის უსაფრთხოებაში, რომელიც მოიცავს ოჯახს, საზოგადოებასა და მთლიანად ერს. ამ მხრივ სინგაპურის მთავრობამ შეიმუშავა და გაასაჯაროა

გადაუდებელი შემთხვევების დროს სინგაპურელი მოქალაქეების მოქმედების ზოგადი გეგმა და განსახორციელებელი ქმედებები. კერძოდ, საგანგებო სიტუაციის დროს: სინგაპურის მოქალაქეები მზად უნდა იყვნენ სათანადო რეაგირებისთვის; ისინი უნდა იყვნენ სათანადოდ მომზადებულები და ასევე კარგად ორგანიზებულები. მათ უნდა შეძლონ საკუთარი თავის და ოჯახების დაცვის გარდა, აიღონ უფრო ფართო პასუხისმგებლობა და მოახერხონ სხვა ადამიანების დახმარებაც.

ეროვნული ღირებულებების დაცვის მიზნით თითოეული სინგაპურელი უნდა იყოს ფხიზლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის ან მატარებლების სადგურებსა და აეროპორტში. რამე საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით, ისინი უნდა დაუკავშირდნენ სათანადო ორგანოებს. არაერთხელ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც მოქალაქეების აქტიურობის შედეგად, შესაძლებელი გამხდარა კატასტროფისა და უბედური შემთხვევის პრევენცია. თუმცა, რა თქმა უნდა, მარტო მოქალაქეების ჩართულობა არ არის გარანტია, რომ თავიდან იქნება აცილებული საგანგებო სიტუაციები. სინგაპურის მთავრობა, საზოგადოების მაღალი ხარისხის ჩართულობით, სოციალური თავდაცვის გაძლიერების მიზნით, უნდა იყოს ახალი გზების მუდმივი ძიების პროცესში.

მდგრადობა: შვედეთის "ტოტალური თავდაცვის" დაგეგმვა

შვედეთის გამოცდილება შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს საქართველოს შემთხვევაში. შვედეთის გეგმის მიხედვით მთელი საზოგადოების მობილიზებას უსაფრთხოების სერიოზული კრიზისის შემთხვევაში, შესაძლოა, შედარებით დიდი დრო დასჭირდეს, სანამ საერთაშორისო საზოგადოება შეძლებს შვედეთის მხარდაჭერას. ამასობაში შვედეთს უნდა შეეძლოს თავის დაცვა და სირთულეებთან გამკლავება გარე დახმარების გარეშე.

აქედან გამომდინარე, შვედეთის ტოტალური თავდაცვის კონცეფციის მიხედვით, ქვეყანას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა გაუძლოს საზოგადოების ფუნქციონირების სერიოზულ დარღვევას სამი თვის განმავლობაში. როდესაც ასეთი სიტუაცია წარმოიქმნება, საჭირო იქნება საზოგადოების სწრაფად გარდაქმნა და სამხედრო და სამოქალაქო რესურსების მობილიზება თავდაცვის გასაძლიერებლად. ამას შეიძლება ერთი კვირა დასჭირდეს. ომის ყველაზე უარეს სცენარში, სავარაუდოდ, მოხდება ელექტროენერგიის გათიშვა, რაც სწრაფად აისახება საზოგადოების დიდ ნაწილზე. შვედეთის კრიტიკულ სერვისებზე პასუხისმგებელ ხელისუფლებას მოუწევს გადაუდებელი გადაწყვეტილებების მიღება ელექტროენერგიაზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

გარდა იმისა, რომ საზოგადოება კრიზისსა და ომს მომზადებული შეხვდება, ასევე აუცილებელია მოქალაქეებმა აიღონ პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ ყველა საჭირო ნივთის შეძენა, რათა ერთი კვირა მაინც გაძლონ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. საჯარო დაწესებულებებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მათზე, ვინც ვერ ზრუნავს საკუთარ თავზე და ამავდროულად მოახდინონ საზოგადოების მობილიზება ომისთვის.

ძლიერი ტოტალური თავდაცვა იწყება მოსახლეობის მზადყოფნით, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის დაცვაში. კრიზისისა და ომისთვის მზადყოფნა აუცილებელია, რათა გაუძლო თავდაპირველ შოკს და გაუძლო დარტყმას. მოსახლეობამ და ლიდერებმა უნდა გაიგონ, რა შეიძლება მოითხოვონ მათგან ომის დროს. უფრო მეტიც, ღია საზოგადოების, კანონის უზენაესობისა და ჩვენი სუვერენიტეტის დაცვა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. შეიძლება იყოს მიზანშეწონილი შეიქმნას ახალი ორგანიზაცია, რომელსაც დაეკისრება ქვეყნის სოციალური და ფსიქოლოგიური თავდაცვის განვითარებისა და კოორდინაციის საერთო პასუხისმგებლობა. ეს მოიცავს, inter alia, დეზინფორმაციასთან ბრძოლას და ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

იმ მძიმე განსაცდელის შესამსუბუქებლად, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობა განიცდის შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, აუცილებელია გეგმების მომზადება და სამოქალაქო თავდაცვის მიზნებისთვის რესურსების გამოყოფა მშვიდობიან პერიოდში. სამოქალაქო თავდაცვის სტრუქტურაში შედის: რეგიონული რეზერვების პერსონალი სამაშველო სამსახურების გაძლიერება და მუნიციპალიტეტებში ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება, აგრეთვე თავშესაფრები და ევაკუაციის გეგმები სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

როგორც კერძო სექტორის მუშაკები, ასევე საჯარო მოხელეები ხელს უნდა უწყობდნენ თავდაცვას. მაგალითად, ცენტრალურ სამთავრობო უწყებებში, მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და კონკრეტულ კერძო საწარმოებში მიზანშეწონილია თანამშრომლებს დაეკისროთ გარკვეული ფუნქციები ტოტალური თავდაცვის დაგეგმვისას. სამოქალაქო თავდაცვის დაკომპლექტება დიდწილად დაფუძნებული იქნება ამ მუშაკების მიერ მათი ნორმალური ფუნქციების შესრულებაზე. მოხალისეთა თავდაცვის სტრუქტურები ასევე მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზებაში.

უფრო მეტიც, უსაფრთხოების სერიოზული კრიზისის ან ომის შემთხვევაში, აუცილებელია საკვების, სასმელი წყლის,

ენერგიისა და მედიკამენტების საჭირო და გონივრული ხელმისაწვდომობის შენარჩუნება. აუცილებელია გარკვეული სტრატეგიული საკვები პროდუქტების მარაგების ორგანიზება. უმეტეს კრიტიკულ სექტორებში საჭიროა პრიორიტეტიზაციის მეთოდოლოგიის შემუშავება, რაც ასევე მნიშვნელოვანია რაციონალური კანონების გამოყენებისთვის. აუცილებელია სამხედრო პირობებში მასობრივი დანაკარგების შემთხვევაში ზომების მიღება.

ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია მძლავრი კიბერნეტიკური პოტენციალის უზრუნველყოფა. თუმცა, შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, ელექტროენერგიის მიწოდება სავარაუდოდ სერიოზულად შეიზღუდება. კრიტიკულ სერვისებზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა იპოვონ დამოუკიდებელი გადაუდებელი გადაწყვეტილებები ელექტროენერგიაზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ტოტალური თავდაცვის დაგეგმვისა და მომზადებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ საკმაოდ სავარაუდოა ელექტროენერგიის და ელექტრონული კომუნიკაციების შეფერხება.

ბევრი სექტორი და ოპერაციები დამოკიდებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე. მთლიანი თავდაცვის გეგმები უნდა მოიცავდეს საწვავის შენახვას სექტორში მდგრადობის გაზრდის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია საერ-

თაშორისო მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობა, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო.

უაღრესად სპეციალიზებული ჯანდაცვის სისტემა ორგანიზებულია იმისთვის, რომ იმუშაოს მშვიდობიან დროს. აუცილებელია მომზადდეს და პრაქტიკაში შეიმუშავდეს მოქმედებები ნორმალური ოპერაციიდან მსხვერპლთა მასობრივ ნაკადზე გადასვლისთვის. ომის დროს დაჭრილთა რაოდენობამ შეიძლება ათეულ ათასს მიაღწიოს. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ ჯანდაცვის სისტემას მოუწევს მძიმე პირობებში მუშაობა. დაგეგმვა უნდა დაიწყოს კრიზისისა და ომის დროს ჯანდაცვის პრინციპების განსაზღვრით, ფოკუსირებული იყოს საკმარისი მოვლის უზრუნველყოფაზე გადარჩენის მაჩვენებლების მაქსიმალური გაზრდის მიზნით.

კერძო საწარმოებს მზარდი მნიშვნელობა ენიჭებათ მთლიანი თავდაცვის ძალისხმევისთვის. კომერციული სტრუქტურები უნდა ჩაერთონ თავდაცვის ტოტალური დაგეგმვის პროცესში. რეკომენდირებულია კომპანიების იდენტიფიცირება და დასახელება. კერძო საწარმოებთან მჭიდრო დიალოგის დროს, სამთავრობო უწყებებმა უნდა შეაფასონ განლაგებისა და რაციონაციისთვის აუცილებელი მზადება, ასევე მზადყოფნის სხვა ზომები.

კრიზისის ან ომის დროს მოსახლეობას უნდა შეეძლოს ძირითადი ეკონომიკური ოპერაციების განხორციელება. ამრიგად, აუცილებელია გქონდეთ წვდომა ნაღდ ფულზე, ბიზნესის წარმოების ალტერნატიულ გზებზე ან რაიმე სახის კრედიტზე, რათა შენარჩუნდეს ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ გააგრძელოს ყურადღების გამახვილება თავდაცვაზე. ამიტომ, მთავრობას უნდა შეეძლოს უზრუნველყოს ნაღდი ფულის ხელმისაწვდომობა, თუნდაც გადახდის სისტემის ფუნქციონირების სერიოზული შეფერხებების ფონზე.

დანიის მაგალითი

გასული საუკუნის განმავლობაში დანიის უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ასპექტი იყო მის გარშემო არსებული დაპირისპირება. დანიის უსაფრთხოებას, ისევე როგორც მცირე სახელმწიფოების უმეტესობას, ყველაზე ხშირად საფრთხე ემუქრება გარე გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორების გამო, რომლებიც სცილდება დანიის პოლიტიკის ფარგლებს.

გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც განსხვავება საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის ძალზე ვიწრო გახდა, ისეთი ცნებები, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება, თავდაცვა და სოციალური პოლიტიკა, ბუნდოვანია. სკანდინავიის სახელმწიფო-

ებმა ბოლო 75 წლის განმავლობაში გაითავისეს, რომ უსაფრთ-ხოებას აქვს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო განზომილება. სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა დინამიური კონსენსუსი: კარგი სოციალური პოლიტიკა, რომელიც აერთიანებს ყველა კლასს და სოციალურ ჯგუფს საზოგადოებაში, არის ეროვნული უსაფრთხოების ცენტრალური ელემენტი. ცნებები, როგორიცაა „სოციალური თავდაცვა“ ან შვედური ტერმინი „ტოტალური თავდაცვა“ აერთიანებს სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტი-კას სამხედრო მზადყოფნის, დიპლომატიური ჩართულობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ტრადიციულ ასპექტებ-თან.[93]

ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობა სკანდინავიუ-რი ქვეყნებისთვის მკვეთრად გაუმჯობესდა 1990 წელს ცივი ომის დამთავრების და საბჭოთა ბლოკის და, თავად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1920-იანი წლებიდან არ ყოფილა რეგიონის გეოპოლიტიკური პოზიცია ასეთი ხელსაყრელი. ბე-დის ირონიით, უსაფრთხოების, თანამშრომლობისა და ინტეგ-რაციის ამ ახალ ეპოქას საფრთხე ემუქრებოდა ორი შიდა პრო-ცესის განვითარების გამო, რომლებიც გამოწვევას უქმნიდნენ

93 ბენგტ სუნდელიუსი (2001) მოკლედ განიხილავს მსგავსებებსა და განსხვავებებს „ტოტალურ დაცვასა“ და „სოციალურ დაცვას“ შორის.

სკანდინავიურ სახელმწიფოებს და მათ ცნობილ სოციალური პოლიტიკის „მოდელს“. პირველ რიგში, ყველა მათგანს შეექმნა ეკონომიკური რეცესია, რომელიც განსაკუთრებით მძიმე იყო ფინეთსა და შვედეთში (სტატისტიკურად უარესი, ვიდრე 1930-იანი წლებში). მეორე, არათანმიმდევრული, მაგრამ ზოგადად ლიბერალური იმიგრაციისა და ლტოლვილების პოლიტიკის შედეგებმა გადააქცია ოდესღაც ეთნიკურად ჰომოგენური საზოგადოებები პლურალისტურ და მრავალეთნიკურ საზოგადოებებად. ორივე მოვლენა საფრთხეს უქმნიდა ამ ქვეყნების პოლიტიკური ეკონომიკის სტაბილურობისა და მდგრადობას, ართულებდა რა ეკონომიკის წარმატებული გლობალიზაციისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელის შერწყმას.

გარდა ამისა, „ევროპული პროექტი“, რომელიც დაიწყო 1950 წელს სკანდინავიის მინიმალური მონაწილეობით, სანამ დანია შეუერთდა ევროპის ეკონომიკურ საზოგადოებას 1973 წელს, შედიოდა ახალი ინიციატივების ფაზაში. ეროვნული უსაფრთხოების ტრადიციული სამხედრო სტრატეგიული პერსპექტივა აღარ იყო ადეკვატური სკანდინავიის (და სხვა) სოციალურ დემოკრატიული კეთილდღეობის სახელმწიფოების წინ მდგარი გამოწვევების წინაშე. განსხვავება საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებისა და სოციალურ პოლიტიკას შორის ბუნდოვანი გახდა.

კიდევ ერთი ელემენტი, რომელმაც დაარღვია საზღვარი საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის, იყო გლობალური ინ-ტეგრაცია (გლობალიზაცია) ზოგადად და ევროინტეგრაცია კონკრეტულად. სულ მცირე სამი პერსპექტივა გაჩნდა 1960 წლისთვის. თავდაპირველად საერთო ყველა ამ მძიმე საკითხში იყო ეკონომიკური, სოციალური და უსაფრთხოების საკითხე-ბის მკაფიო დაყოფა. ასე ვერ გაგრძელდა დიდხანს. სოციალუ-რი უზრუნველყოფა, რომელიც აგებული იყო შიდა კეთილ-დღეობაზე, სულ უფრო მეტად იყო დამოკიდებული ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდაზე. ეროვნული რესურსები დარჩა უმ-თავრესი, მაგრამ გლობალური ვაჭრობის ზრდამ გამოიწვია გლობალური ინვესტიციების აღორძინება. ეს ნაწილი განიხი-ლავს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სა-კითხების ცვლილების გავლენას ამბიციური კეთილდღეობის სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და განვითარებაზე. აქცენტი უმთავრესად დანიაზეა, მაგრამ საკითხების უმეტესობა ვრ-ცელდება სხვა ქვეყნებზეც, რომლებსაც აქვთ მოწინავე კეთილ-დღეობის სისტემები, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ ევ-როპაში.

მოწინავე თეორიული და ემპირიული კვლევები ფოკუსი-რებულია ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების განვ-ითარებად კომპონენტებზე, სოციალური (ან ადამიანური)

უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ტრადიციულ სამხედრო თავდაცვის ასპექტებს შორის ურთიერთკავშირზე. განსაკუთრებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) 1994 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის შემდეგ, ყურადღება გამახვილდა ადამიანის უსაფრთხოების უფრო ფართო განმარტებაზე. გაეროს განვითარების პროგრამის ყოველწლიური ადამიანური განვითარების ინდექსი მოიცავს 200-მდე ქვეყანას. როგორც ნებისმიერი „რეიტინგის“ შემთხვევაში, შესაძლებელია მცირე განსხვავებები ქვეყნებს შორის, მაგრამ ინდექსის კომპონენტები აღნიშნავენ მშპ/ერთ სულ მოსახლეზე. უფრო მეტიც, გაეროს განვითარების პროგრამა ხშირად აღნიშნავს 1945 წლის განცხადებას აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის, ედუარდ სტეტინიუსის მიერ სან-ფრანცისკოში გაერო-ს დაარსებისას, რომ მშვიდობა მოითხოვს როგორც „შიშისგან თავისუფლებას“ (სამხედრო უსაფრთხოება), ასევე „თავისუფლებას გაჭირვებისგან“ (ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება).[94] UNDP-მა გამოავლინა „ადამიანის უსაფრთხოების“ შვიდი ძირითადი განზომილება: ეკონომიკური უსაფრთხოება, სურსათის უსაფრთხოება, ჯანმრთელობის უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, პირადი უსაფრთხოება, საზოგადოების

94 ციტირებულია, inter alia, UNDP-ში, 1994: 24.

უსაფრთხოება და პოლიტიკური უსაფრთხოება.[95] საინტერესოა, რომ თითოეულ ამ საკითხს აქვს შიდა და ტრანსნაციონალური ელემენტები, რაც მათ განსაკუთრებით შესაფერისს ხდის გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის ეპოქისთვის.

პიტერ მუნკი, საგარეო საქმეთა მინისტრი 1929-1940 წლებში, საუბრობდა „სოციალურ თავდაცვაზე“, რომელშიც ის გულისხმობდა ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური ერთიანობის და სოლიდარობის მნიშვნელობას შიდა და გარე ანტიდემოკრატიულ ძალებთან ბრძოლაში. დანიის კონსენსუსის (და კეთილდღეობის) სიმბოლო იყო ფართო "კრიზისული შეთანხმება", რომელიც დაიდო პრემიერ-მინისტრ სტაუნინგის ბინაში კანსლერსგედზე მმართველ სოციალ-დემოკრატიულ, სოციალურ-ლიბერალურ კოალიციასა და უმსხვილეს ოპოზიციურ პარტიას-აგრარული ლიბერალებს (ვენსტრე) შორის. ბედის ირონიით, ეს გადამწყვეტი შეთანხმება მოხდა 1933 წლის 30 იანვარს, სწორედ იმ დღეს, როდესაც გერმანიის პრეზიდენტმა, ჰინდენბურგმა დანიშნა ადოლფ ჰიტლერი კანცლერად.

ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო და საშინაო უსაფრთხოება სულ უფრო მეტად განიხილებოდა, როგორც

95 იქვე: 24-5.

კომპლიმენტური და არა კონკურენტული პოლიტიკის მიზნები. ევროპული სახელმწიფოების უმეტესობის მსგავსად, დანია მიჰყვა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კურსს, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც „იარაღი და კარაქი“. მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა უმრავლესობამ მიიღო „კოლექტიური თავდაცვა“ ნატოში მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გაეროს უსაფრთხოების სისტემა შემოიფარგლება ცივი ომის პოლიტიკით და რომ სკანდინავიური თანამშრომლობა (ნორვეგიასთან და შვედეთთან) შეუძლებელი იყო.

უსაფრთხოების ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია თავდაცვის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით ომთაშორის პერიოდთან შედარებით. დანიის თავდაცვის წლიური ხარჯები გაიზარდა 360 მილიონი კრონიდან 1949 წელს 1.598 მილიარდ კრონამდე 1962 წელს (მიმდინარე ფასებში), ზრდა 450%-ით, ზრდის ტემპით, რომელმაც გადააჭარბა შეერთებულ შტატებსაც კი. ეს მაჩვენებელი ვერ შენარჩუნდა არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად და დანიის სამხედრო ხარჯების ზრდა მნიშვნელოვნად შენელდა 1960 წლის შემდეგ. მნიშვნელოვანი გადახედვა განხორციელდა დანიის (და ნატოს სხვა წევრების) თავდაცვის ძალისხმევისა 1960 წლის შემდეგ, რადგან ამერიკელმა პოლიტიკოსებმა დაიწყეს უფრო დიდი „ძალისხმევის გაზიარების“ მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, თავ-

დაცვის ძალისხმევა და უსაფრთხოების პოლიტიკა უფრო მეტია, ვიდრე თავდაცვის ბიუჯეტის ზომა, და დახვეწილი კვლევები დანიის თავდაცვის ძალებს ნატოს რეიტინგში დაახლოებით საშუალო ადგილს უჩენს.[96]

შედარებითი თვალსაზრისით, იმავე პერიოდში გაიზარდა დანიის სოციალური ხარჯებიც. თანმიმდევრული სტატისტიკით ძნელია დროთა განმავლობაში შედარება, მაგრამ სოციალური ტრანსფერების გადახდები 1960-იან წლებში მშპ-ს დაახლოებით 10 პროცენტიდან 1990-იან წლებში დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. 1990-იანი წლების ბოლოს, დანიის მთლიანი სოციალური დანახარჯები შეადგენდა მშპ-ს დაახლოებით 36%-ს, მაგრამ გადასახადების და სხვა ფაქტორების გამოკლებით, წმინდა სოციალური დანახარჯების დონე მშპ-ს დაახლოებით 27%-ს შეადგენდა.[97] ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ოდნავ განსხვავდება სხვა სკანდინავიური ქვეყნების ან დასავლეთ ევროპის ძირითადი კეთილდღეობის სისტემებისგან. მოკლედ, დანიამ მოახერხა თანმიმდევრული თავდაცვითი ძალისხმევის შენარჩუნება (უფრო ნაკლები, ვიდრე ზოგი მოისურვებდა, მაგრამ მეტი, ვიდრე ნატოს წინა ათწლეულებში), მაგრამ მაინც

96 იხილეთ ამარა, 2005: 17-18.
97 იხ. Einhorn and Logue, 2003: 198-211; ადემა, 2001: 27-8.

შეძლო მიეღო კეთილშობილური და სიცოცხლისუნარიანი კეთილდღეობის სახელმწიფო. შეიძლება თუ არა ამის შენარჩუნება გლობალიზაციის ეპოქაში?

სოციალური პოლიტიკა, როგორც უსაფრთხოების პოლიტიკა: დანია და გაეროს განვითარების პროგრამის კრიტერიუმები

ცხადია, რომ „ადამიანის უსაფრთხოების“ პერსპექტივიდან გამომდინარე, სკანდინავიურმა კეთილდღეობის სახელმწიფომ ბევრი ხელსაყრელი შედეგი გამოიღო, რაც აისახება დანიისა და მისი სკანდინავიელი მეზობლების ერთგვაროვან მაღალ პოზიციაზე რაოდენობრივ ინდექსებში, როგორიცაა UNDP-ის ადამიანური განვითარების ინდექსი. უფრო მეტიც, ადამიანური უსაფრთხოების ძირითადი ელემენტების მოკლე გამოკვლევა, როგორც ზემოთ განსაზღვრულია გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, ნათლად ასახავს მის თავსებადობას თითქმის საუკუნოვან სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

ეკონომიკური უსაფრთხოება თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოს ცენტრშია. ამ ელემენტს ორი განზომილება აქვს. პირველ რიგში, ყველას, ვის ეკონომიკურ სტატუსსაც ემუქრება შემოსავლის მნიშვნელოვანი დანაკარგი, იქნება ეს უმუშევრობის, ასაკის, ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ან მსგავსი მოვლენების გამო, შეიძლება მოელოდეს მნიშვნელოვ-

ან „ბალიშს“. მოქალაქეებმა იციან, რომ მათ გვერდით დგას მთავრობა მნიშვნელოვანი დახმარებით, თუ გახდებიან უმუშევრები, ინვალიდები ან დაავადდებიან.

სასურსათო უსაფრთხოება იშვიათად წარმოადგენდა სერიოზულ პრობლემას აგრარულ დანიაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მის ყველა მაცხოვრებელს აქვს გარანტირებული რესურსები ადეკვატური კვების მისაღებად. მსოფლიო ომების დროს დანიის სოფლის მეურნეობა იყო არა მხოლოდ ღირებული აქტივი (განსაკუთრებით გერმანიისთვის), არამედ დანიის მოსახლეობის უსაფრთხოების წყაროც. თანამედროვე დანიის სოფლის მეურნეობა აყვავებული იყო მისი ეფექტურობითა და უცხოურ ბაზრებზე წვდომით. მდიდარი ქვეყნებისთვის სასურსათო უსაფრთხოება, პირველ რიგში, ხარისხობრივი გახდა, რადგან ის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სურსათის უვნებლობა, საკვების ხარისხი და სათანადო კვება. სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით კვების მრეწველობა გლობალიზებულია, თუმცა ნაკლებად ეფექტური ვიდრე ინდუსტრიული სექტორი. სურსათის უვნებლობის საერთო სტანდარტები ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძველი მიწოდებისა და ფასების საკითხები

ჯანმრთელობის უსაფრთხოებას აქვს ორი ასპექტი. დანიის საყოველთაო ჯანდაცვის სისტემამ, რომელიც ძირითადად

უზრუნველყოფილია საჯაროდ დაფინანსებული პრაქტიკოსებითა და საავადმყოფოებით, შესანიშნავი შედეგი გამოიღო. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო მომსახურება შედარებითი თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს, დროული და მოსახერხებელი წვდომის უზრუნველყოფამ არსებითი ყურადღება მიიპყრო ბოლო წლებში. შედეგად გაიზარდა რესურსები ჯანდაცვის სისტემაში, იმ დილემის აღიარებასთან ერთად, რომ ჯანდაცვა რესურსების თითქმის დაუოკებელი მომხმარებელია. ტრანსნაციონალური ჯანმრთელობის უსაფრთხოება მოიცავს საკვებს და გარემოს, ასევე გადამდებ დაავადებებს. კვლევები აჩვენებს, რომ ჯანმრთელობის ძირითადი გამოწვევები, როგორიცაა აივ/შიდსით გამოწვეული, პირდაპირ გავლენას ახდენს მთავრობების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.[98]

დანიაში ეკოლოგიურ უსაფრთხოებას უფრო დიდი პრიორიტეტი ენიჭება, ვიდრე ბევრ სხვა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოში. ეს განსაკუთრებით აშკარაა ენერგეტიკულ სფეროში, სადაც დანიის ტრანსფორმაცია და ინოვაცია დრამატუ-

98 იხილეთ Price-Smith, 2001. მიუხედავად იმისა, რომ Price-Smith ყურადღებას ამახვილებს განვითარებად ქვეყნებზე, ჯანმრთელობის პრობლემები შეიძლება სწრაფად გავრცელდეს განვითარებულ ქვეყნებზე ვაჭრობის, მოგზაურობისა და მიგრაციის გზით.

ლი იყო. 1945-1973 წლებში დანია თითქმის მთლიანად იყო დამოკიდებული უცხოურ ენერგომომარაგებაზე. როდესაც ასეთი მარაგი შეზღუდული და საფრთხის ქვეშ იყო, როგორც ომის შემდგომ პერიოდში და ისევ 1973-4 წლების პირველი „ნავთობის კრიზისის“ დროს, დანიამ განიცადა მნიშვნელოვანი ეკონომიკური დისლოკაციები. თუმცა, ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება მთლიანად შეიცვალა. ოფშორული გაზისა და ნავთობის რესურსების აღმოჩენამ და განვითარებამ დანია აქცია ენერგიის წმინდა ექსპორტიორად, რეალური ეკონომიკური და უსაფრთხოების სარგებელით. დანია ასევე გახდა ლიდერი ენერგიის დაზოგვაში, წახალისებული საინჟინრო ტექნოლოგიებით და ე.წ. „მწვანე გადასახადებით“ ენერგიის მოხმარებაზე და აქცენტით ალტერნატიული ენერგიის წარმოებაზე. დანიის ელექტროენერგიის თხუთმეტ პროცენტზე მეტი მოდის ქარის ტურბინებზე, რომლებიც ასევე იქცა მთავარ ახალ საექსპორტო ინდუსტრიად. სხვა გარემოსდაცვით სფეროებში, დანია აქტიური იყო ევროპული და გლობალური სტანდარტებისა და პროგრესის მიზნების ამაღლებაში. შეუძლია თუ არა პატარა ქვეყანას „განსხვავება“ მოახდინოს ატმოსფერული სათბურის გაზების შემცირებასა და მსგავსი ძირითადი ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევაში, პასუხგაუცემელია.

პირადი უსაფრთხოება არის ტრადიციული საშინაო პოლიტიკის საზრუნავი, რომელიც მოიცავს როგორც ტრადიციულ კრიმინალურ საფრთხეებს, ასევე არაპირდაპირ სოციალურ საფრთხეებს (სადაც არის ნაწილობრივი თანხვედრა გარემოსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან). მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი დანაშაულის მაჩვენებლები გაიზარდა დანიაში, ისევე როგორც ევროპის უმეტეს ქვეყნებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში, არსებობს სამი ახალი საკითხი და დამატებითი შეშფოთება პირადი უსაფრთხოების შესახებ, რომლებიც ეხება უსაფრთხოების პოლიტიკას გასული ორმოცი წლის განმავლობაში დანიის დრამატული ტრანსფორმაციის გამო მაღალი ეთნიკურად ჰომოგენურიდან უფრო მრავალეთნიკურ საზოგადოებაში. პირველი, მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტები და მათი უშუალო შთამომავლები ზოგადად პატიოსნები და კანონმორჩილები არიან, ისინი მაინც არიან პასუხისმგებელი კრიმინალური ქცევის არაპროპორციულად შედარებით მაღალ წილზე და ამით ხელს უწყობენ უფრო დიდ პიროვნულ დაუცველობას. მეორე, ემიგრანტების მომრავლება იწვევს მოსახლეობაში გადაჭარბებულ შიშებს, აფერხებს ზოგიერთი ემიგრანტის ინტეგრაციას და იშვიათ შემთხვევებში იწვევს ძალადობას ეთნიკურ უმცირესობებზე. უნდობლობისა და შიშის „სპირალი“ პოტენციურად აუარესებს პრობლემას. სხვადასხვა კვლე-

ვებმა აჩვენა, რომ ადამიანებს, როგორც წესი, აქვთ ძალადობრივი დანაშაულის გადაჭარბებული შიში საფრთხის სხვა პოტენციურ წყაროებთან შედარებით (მაგ. საგზაო მოძრაობა). უფრო მეტიც, კრიმინალის ზრდა დანიაში დაიწყო მანამ, სანამ ქვეყანაში მნიშვნელოვანი იმიგრანტი საზოგადოება იყო. მესამე, ტრანსნაციონალური დანაშაული იქცა მთავარ გლობალურ პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ქვეყანაზე. ზოგიერთი შეფასებით, კრიმინალური ქცევის ეკონომიკური ღირებულება 1-დან 1,5 ტრილიონ აშშ დოლარამდეა. აშკარაა, რომ გლობალური დანაშაული პროპორციულ გავლენას ახდენს ისეთ მდიდარ და სავაჭრო საზოგადოებაზე, როგორიც დანიაა.

თემის უსაფრთხოება არის ფართო კონცეფცია, რომელიც მოიცავს საზოგადოების სოციალური ღირებულებების შეცვლას, ისევე როგორც საზოგადოებაში თვითიდენტიფიცირებული ჯგუფების, როგორც წესი რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უსაფრთხოებას. აქ რთული სოციალური ფაქტორები მოქმედებს. დანიაში ტრადიციული უმცირესობები - მაგალითად, სამხრეთ იუტლანდიის გერმანულენოვანი მაცხოვრებლები, ან გრენლანდიელები ან ფარერელები - ნაკლები პრობლემების წინაშე დგანან: დანიის მოსახლეობის თითქმის ექვსი პროცენტი პირველი ან მეორე თაობის ემიგრანტებია, რომლებიც ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს. „ეროვნების“ საკითხი

დანიისა და გერმანიის საზღვარზე უკიდურესად მგრძნობიარე იყო მეორე მსოფლიო ომამდე. ომისშემდგომი გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური რეკონსტრუქციის კონტექსტში დანიისა და გერმანიის ურთიერთობების ნორმალიზებასთან ერთად, ისტორიული წყენა გაქრა.[99] არაევროპული იმიგრაციის ზრდამ, რომელიც ნელა დაიწყო 1960-იანი წლების ბოლოს, მაგრამ სწრაფად დაჩქარდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში, გამოიწვია ყველაზე დიდი ეთნიკური ცვლილება დანიაში (და დანარჩენ დასავლეთ ევროპაში) საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. 2004 წელს ემიგრანტები და მათი შთამომავლები ითვლიდა 442,036-ს (მთლიანი მოსახლეობის 8.2%). დაახლოებით 40%-ს აქვს დანიის მოქალაქეობა, მაგრამ 71% ჯერ კიდევ ინარჩუნებს ფესვებს არადასავლეთის ქვეყნებში.[100] ადრე განსაკუთრებულად ჰომოგენური მოსახლეობის მულტიეთნიკურად ტრანსფორმაციის სოციალური და პოლიტიკური უსაფრ-

---

99 გაითვალისწინეთ, რომ მას შემდეგ, რაც ვერსალის ხელშეკრულებამ სამხრეთ იუტლანდია დანიის მმართველობას დაუბრუნა (1920 წლის რეფერენდუმის შემდეგ), ბევრი დანი თვლიდა, რომ ამ ტერიტორიებზე გერმანულად მოლაპარაკეები კვლავ გერმანიის და არა დანიისადმი ერთგულები იყვნენ. 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს საკითხი კიდევ უფრო მგრძნობიარე გახდა, რადგან ბევრმა გერმანულენოვანმა ნაციზმი დაინახა გერმანიის მმართველობაში დაბრუნების გზად. იხილეთ Lidegaard, 2005: 36-40.

100 დანიის ლტოლვილთა, იმიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხთა სამინისტრო, 2004 წ. 2.

თხოების ზომები დამოკიდებული იქნება ინტეგრაციისა და კულტურული განსახლების საკითხებზე. როგორც დანიის მთავრობამ, ასევე საერთაშორისო კვლევებმა (მაგ. OECD) ხაზი გაუსვეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო ინიციატივების მნიშვნელობას ამ „ახალი დანიელების“ კულტურულ მეინსტ-რიმში მთლიანი ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად. „გააქტიუ-რების“ ბევრი წინადადება ეფუძნება 1990-იან წლებში გატარე-ბულ რეფორმებს, რათა შემცირდეს გრძელვადიანი და ახალ-გაზრდების უმუშევრობა. იქნებიან თუ არა ისინი ისეთივე წარ-მატებულები ემიგრანტებთან მიმართებაში, რჩება მნიშვნელო-ვანი კითხვა.

პოლიტიკური უსაფრთხოება ფოკუსირებულია ტრადი-ციულ სამოქალაქო უფლებებზე, რომლებიც გარანტირებულია დანიის 1953 წლის კონსტიტუციით. ისევე როგორც ევროპის კონსტიტუციების უმეტესობა, რომლებიც დაიწერა ან გადაიხე-და გასული საუკუნის განმავლობაში, ეს გარანტიები მოიცავს სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. დანიას აქვს ადამიანის უფლებების საერთაშორისო აქტივიზმის დიდი ისტორია და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამოქალაქო უფლებების სა-კითხს რამდენიმე გაჭიანურებული დაპირისპირება მოჰყვა. თუმცა, შიდა უსაფრთხოების, საერთაშორისო ტერორიზმისა და იმიგრაციის შესახებ თანამედროვე შეშფოთებამ ასეთი სა-

კითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში მოიყვანა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია დანიის კანონები, რომლებიც კრძალავს რასისტულ და სიძულვილის ენას და სხვა ქმედებებს, რომლებიც განზრახ აშინებს ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ყურადღება ძირითადად მიმართულია რადიკალურ ჯგუფებზე, რომლებსაც კავშირები აქვთ კონკრეტულ ეთნიკურ უმცირესობებთან, სხვა, "ნატივისტური" რადიკალური ჯგუფები - ნეონაცისტები, "სკინჰედები", თეთრი სუპრემასისტები და ა.შ. - აქტიურობენ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში.

მოკლედ, UNDP-ის „ადამიანური უსაფრთხოების“ კრიტერიუმები შესაბამისია უფრო ფართო „უსაფრთხოების“ საკითხების გასაგებად თანამედროვე ქვეყანაში, როგორიცაა დანია. ზემოთ განსაზღვრული სხვადასხვა განზომილების ანალიზი ცხადყოფს, რომ დანია იზიარებს ბევრ გამოწვევას და გარკვეულ პასუხს ევროპის სხვა ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ ფართო კეთილდღეობის სახელმწიფო. უფრო ფართო გაგებით, სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა ფართო გაგებით (ანუ ჯანდაცვისა და განათლების ჩათვლით, ისევე როგორც ტრადიციული სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა) არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი თანამედროვე საზოგადოებების დასაცავად გლობალიზებული ეკონომიკური და პოლიტიკური

აქტივობების ეპოქაში. ცხადია, უსაფრთხოების საფრთხეები კვლავ მოითხოვს სამხედრო და პოლიციის ჩვეულ ინსტრუმენ-ტებს. ვერც ერთი საპენსიო სისტემა ვერ შეაკავებს აგრესიულ ერს ან ფანატიკურ ტერორისტულ ორგანიზაციას. ეს გვაგონებს გაკვეთილს, რომელიც დანიასა და სხვა ევროპულ დემოკრატი-ებს უნდა ესწავლათ 1930-იან და 1940-იან წლებში: ეროვნული უსაფრთხოება მოითხოვს როგორც „იარაღს, ასევე კარაქს“.

დასკვნა

რთულია გლობალურ საზოგადოებაში ძირითადი სოცი-ალური პროგრამების გრძელვადიანი მდგრადობის შენარჩუნე-ბა. ორიგინალური სოციალ-დემოკრატიული კეთილდღეობის სახელმწიფო მოდელი, ისევე როგორც მრავალი ინდუსტრიუ-ლი და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს მას, შედარებით ადვილია ვაჭრობისა და ეროვნული ფისკალური პოლიტიკის ეპოქაში. წარმატებული საშინაო და უსაფრთხოე-ბის პოლიტიკისთვის არსებითია, რომ მთავრობებმა ათწლეუ-ლების განმავლობაში მოახერხონ ბალანსის დამყარება რეფორ-მას, რესტრუქტურიზაციასა და განახლებას შორის. ტოტალუ-რი თავდაცვის სოციალური თავდაცვის ნაწილში ჩვენ ვუჩვე-ნეთ რამოდენიმე წარმატებული სახელმწიფოს მაგალითი, რო-გორიცაა სინგაპიური, შვედეთი და დანია. ამ სამ პატარა სახელ-მწიფოსგან ჩვენ ვეცადეთ ამოგვეღო სოციალური თავდაცვის

ღირებული ელემენტები რაც საქართველოს გამოადგება თავის ტოტალურ თავდაცვაში.

საქართველოში სოციალური თავდაცვის წარმატებული განვითარებისთვის ჩვენი მეგობრებისგან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ და აქედან ძალიან ბევრი ცვლადი უკვე წარმოვადგინეთ. მოკლედ შევაჯამებთ. ორი ელემენტი უზრუნველყოფს საქართველოს „ადამიანის უსაფრთხოების“ კომპონენტების წარმატებული ბალანსის გასაღებს, როგორც 21-ე საუკუნეში სოციალური და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველს. პირველ რიგში, საჯარო და ობიექტური დებატები ქვეყნის უსაფრთხოების საფრთხეების შესახებ ახალ გლობალიზებულ გარემოში. ეს არ იძლევა კონსენსუსის გარანტიას, მაგრამ კონსენსუსის მიღწევის შანს იძლევა და სტაბილურს ხდის მიღწევის შემდეგ. მეორე, ქართველებმა პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით და ეკონომიკის ძირითად ელემენტებში უნდა აღიარონ, რომ პატარა სახელმწიფოები უნდა მოერგონ რეალობას და გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები. მცირე ქვეყნებს განსაკუთრებული საშუალებები არ გააჩნიათ, მაგრამ ზოგიერთმა ქვეყანამ, როგორც საქართველომ, ხშირად მწარე ისტორიული გამოცდილებით, გაიგო რომ დიდებულებისა და პოლიტიკური სიმკაცრის ილუზიები არის ნაკლოვანებები ნამდვილი ეროვნული უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

ცხადია, რომ მულტიეთნიკურ და გლობალიზებულ საზოგადოებასთან ადაპტაციის პრობლემები მომავალი ათწლეულის უსაფრთხოების საკითხი იქნება. ქართული გამოცდილებიდან ირკვევა, რომ სოციალური პოლიტიკა ფართო გაგებით კვლავაც უზარმაზარ გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. გლობალიზაცია, რომელიც აისახება კომუნიკაციის, მიგრაციის, სოციალურ მოძრაობებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებში, გარანტიას იძლევა, რომ ყველა ქვეყანა - არა მხოლოდ ტრადიციული "პატარა სახელმწიფოები" - აღმოაჩენს, რომ სოციალური უსაფრთხოება და ინტეგრაცია მათი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრალური ასპექტებია. ქართული გამოცდილება გვთავაზობს იმ გამოწვევების მაგალითებს გლობალიზებულ გარემოში, რომელიც მოითხოვს პასუხისმგებლობის აღებას და ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას.

თავი VI. ტოტალური თავდაცვის ფარგლებში სამხედრო მოქმედებათა სპეციფიკა

ირაკლი ბათიაშვილი

6.1 ეროვნული წინააღმდეგობის კონცეფციის საფუძვლები

ჩვენი ამოცანაა, რომ ჩამოვაყალიბოთ ეროვნული ტოტალური წინააღმდეგობის (National total resistance) კონცეფციის ზოგადი და არსებითი მონახაზი. რა თქმა უნდა, ჩვენი მსჯელობები უნდა ატარებდეს უაღრესად კვალიფიციურ ხასიათს და ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, დავეყრდნობით ტოტალური წინააღმდეგობის ერთ-ერთ უახლესს და აღიარებულ თეორიას: მხედველობაში მაქვს შვედეთის თავდაცვის უნივერსიტეტის ნაშრომი - ,,წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის კონცეფცია", რომლის მთელ რიგ ფრაგმენტებს წარმოვადგენთ მნიშვნელოვნად გადამუშავებული სახით. ასევე გამოვიყენებთ უაღრესად საყურადღებო ნაშრომს - ,,პარტიზანული ომის საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა"; ხოლო რაც შეეხება არაძალადობრივი წინააღმდეგობის ფენომენს, დავეყრდნობით თავად ნაშრომის ავტორის მდიდარ გამოცდილებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ამგვარად, აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით ჯერ განვიხილავთ საკვლევი საგნის რამდენიმე უმნიშვნე-

ლოვანეს ასპექტს და საკვანძო მომენტს, რითაც ცხადვყოფთ წინააღმდეგობის მოძრაობის ზოგადი კონცეპტის შინაარსს: კერძოდ, ამ მოვლენის ადგილს და ფუნქციას გარკვეული სისტემის შიგნით, მის სტრუქტურას, შემადგენელ ელემენტებს და მნიშვნელოვან ასპექტებს. ხოლო ამ ზოგადი კონცეპტის ექსპლიკაციის საფუძველზე ჩვენი შემდგომი ანალიზი განსაზღვრავს საკუთარი ეროვნული წინააღმდეგობის არსებით მახასიათებლებს, სწორედ, რომ საკვანძო მნიშვნელობის ფაქტორების გათვალისწინებით: სახელდობრ, ჩვენი ეროვნული ინტერესების, სპეციფიკური გეოპოლიტიკური ვითარების, ჩვენს წინაშე არსებული საფრთხეების და ქვეყნის კულტურული, ფსიქოლოგიური, გეოგრაფიული, ურბანული თავისებურებების გათვალისწინებით.

შვედეთის თავდაცვის უნივერსიტეტის ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის წინასიტყვაობაში აშშ-ს გენერალ-მაიორი კირკ სმიტი (აშშ-ს საჰაერო ძალების სარდალი, ევროპაში სპეციალური ოპერაციების სარდლობა) აღნიშნავს: ცივი ომის დასრულებიდან ოცდაათი წლის შემდგომ ევროპული ერების მიმართ კვლავ მომდინარეობს მუქარა ექსპანსიური განზრახვის მქონე მეზობლისგან, ე.ი. რუსეთისგან (ამ სიტყვების შემდგომ საკმაოდ მალე ეს მუქარა გადაიზარდა რეალურ აგრესიაში უკრაინის მიმართ). მართალია, ბევრი ევროპული ქვეყანა, რომე-

ლიც ამ საფრთხის წინაშე დგას, ეკუთვნის სამხედრო ალიანსს (ე.ი. ნატოს), მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მათ უთუოდ ძალუძთ აღკვეთონ აგრესორის შემოჭრის შესაძლებლობა, და ამიტომაც ისინი შეიძლება იქცნენ აგრესიის იოლ სამიზნეებად. ამ წიგნის მიზანია სწორედ, რომ ამგვარი საფრთხის პრევენცია. იგი ფოკუსირებულია არაკონვენციური ომის ერთ ასპექტზე - **წინააღმდეგობაზე**. როდესაც ეროვნული წინააღმდეგობის დაგეგმვა გულისხმობს ინტეგრაციას მოკავშირეებთან და პარტნიორებთან, რომლებიც ასევე ერთგულნი არიან ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და თვითმყოფადობის იდეალებისა, მაშინ ეს შეიძლება გახდეს მძლავრი გზავნილი პოტენციური მოწინააღმდეგის მისამართით. ამ წიგნის გზავნილი სწორედ ესაა.

„We shall fight on the beaches, we shall fight on the landing ground, we shall fight in the fields and in the streets, we shall fight in the hills, we shall never surrender." (Winston Churchill, 4 June 1940). („ჩვენ ვიბრძოლებთ სანაპიროებზე, ჩვენ ვიბრძოლებთ ხმელეთზე, ჩვენ ვიბრძოლებთ ველებზე და ქუჩებში, ჩვენ ვიბრძოლებთ მთებში, ჩვენ არასოდეს დავნებდებით." უინსტონ ჩერჩილი, 4 ივნისი 1940; თარგმ.-ი.ბ.).

წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის კონცეფცია ჯერ-ერთი, ხელს უწყობს მთავრობას, რომ განავითაროს წინა-

რე-კრიზისული **მოქნილობა-მდგრადობა (Resilience)** ტოტა-ლური თავდაცვის ჭრილში. იგი აფუძნებს თავად **წინააღმდე-გობის დაგეგმვის საერთო გაგებას** ქვეყნის პოლიტიკური ხელ-მძღვანელობისა და მოკავშირეებისათვის და უზრუნველყოფს ამ გეგმის პოტენციურ რეალიზაციას ტოტალური თავდაცვის დროს. მეორეც, ეს კონცეფცია განსაზღვრავს **წინააღმდეგობის პრინციპებს, მოთხოვნებს და პოტენციურ გამოწვევებს; წინააღ-მდეგობის ორგანიზებას, მართვას და კონტროლს, მის სტრუქ-ტურას, შესაძლებლობებს და აქტივობის ფორმებს**. იგი ასევე განსაზღვრავს შესაძლებლობებს იმ მხარდაჭერისათვის, რასაც საჭიროებს ტოტალური წინააღმდეგობის მოძრაობა როგორც შიდა-სამთავრობო, ასევე ინტერ-სამთავრობო (ე.ი. მოკავშირე-ებთან ურთიერთქმედების) დონეზე. როგორც ცნობილია, ტრა-დიციული კონვენციური თავდაცვითი ომის ვითარებაში ქვეყ-ნის მთავრობა და სამხედრო ძალები მოქმედებენ მტრის წინა-აღმდეგ მოსახლეობის თანადგომასთან ერთად. მაგარამ ტოტა-ლური თავდაცვის დროს, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენ-ტს შეადგენს წინააღმდეგობის მოძრაობა, მოსახლეობა უკვე გვევლინება არა დამატებით, არამედ მთავარ აქტორად და ასევე დიდ როლს თამაშობენ მოკავშირეები და პარტნიორები წინა-აღმდეგობის ძალისხმევის მხარდაჭერის საქმეში. ამიტომაც, განსხვავებით ტრადიციული თავდაცვისაგან, ტოტალური თა-

ვდაცვის საკვანძო რგოლია ის მოსამზადებელი სამუშაო, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მზადყოფნა თავისი მთავარი როლის შესასრულებლად საომარი კონფლიქტის პირობებში. ეს მოსამზადებელი სამუშაო განეკუთვნება ე.წ. მოქნილობა-მდგრადობის კონცეფციას, რაც წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის ერთიანი კონცეფციის შემადგენელი ნაწილია. იგი გულისხმობს თანამშრომლობის გაძლიერებას სახელისუფლებო უწყებებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებას შორის და ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას, ვინაიდან ეს ხელს უწყობს უფრო მდგრადი, მოქნილი სოციუმის ჩამოყალიბებას და წინააღმდეგობის ქსელის ფორმირება-განმტკიცებას საჭიროების შემთხვევაში. ამგვარად, წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის კონცეფცია ფოკუსირებულია, ერთი მხრივ, ორგანიზებული წინააღმდეგობის უნარის შემუშავება-განვითარებაზე აგრესორის შემოჭრამდე და ქვეყნის სრულ ან ნაწილობრივ ოკუპაციამდე და თანაც ამ წინააღმდეგობის უნარს უფლებამოსილება ენიჭება ნაციონალურ დონეზე; მეორე მხრივ კი, იგი ხელს უწყობს თავად წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება-გაშლას და მართვას ქვეყნის ნაწილობრივი თუ სრული ოკუპაციის პირობებში.[101]

101 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აღნიშნულ დოკუმენტში უფრო მეტად დაკონკრეტებულია ტოტალური თავდაცვის მიმართება როგორც მოქნილობა-მდგრადობასთან, ასევე წინააღმდეგობასთან. სახელდობრ, პირველთან დაკავშირებით ხაზგასმულია შემდეგი: ტოტალური თავდაცვის კონცეფციის წარმატება მოითხოვს სპეციფიკურ მზაობას მოსახლეობაში, რათა მოქალაქეებმა შეასრულონ თავიანთი ინდივიდუალური თუ ჯგუფური თავდაცვითი როლები მშვიდობიანობის ჟამს და რათა დაიცვან თავიანთი ქვეყანა კონფლიქტის დროს. წვრთნა და სათანადო აღზრდა-განათლება ამზადებენ ინდივიდებს და ფართო ჯგუფებს წინააღმდეგობის აქტივობებისათვის და აძლიერებენ მოსახლეობის ნებას, რომ წინ აღუდგეს აგრესორს. ეს მომზადება გულისხმობს სოციალური შეკავშირებულობის განმტკიცებას კულტურული ერთობისა და ეროვნული ტრადიციების მხარდაჭერის გზით. იგი ასევე გულისხმობს მოსახლეობის ფსიქოლოგიურ დამუშავებას მასში სათანადო ნების და მზაობის ფორმირების მიზნით: კერძოდ, ესაა ხალხის ნება და მზაობა, რომ იგი აუცილებლად დაძლევს ეროვნულ კრიზისს და აუცილებლად დაიცავს თავის სამშობლოს. ეროვნული მოქნილობა-მდრადობის ჩამოყალიბებას ასევე ხელს უწყობს სპეციფიკური მატერიალური ხასიათის მქონე სამზადისები და მოქმედებათა დაგეგმარებები: მაგალითად, სურსათის,

საწვავის მარაგების შექმნა და ა.შ. და ბოლოს, საჭიროა ეროვნული მოქნილობა-მდგრადობის ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკის ჭრილშიც - საკვანძო მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურების საიმედო დაცვა კიბერ და ფიზიკური შემოტევებისგან.

რაც შეეხება მიმართებას წინააღმდეგობასთან, აქ ხაზგასმულია შემდეგი: ტოტალური თავდაცვის პირობებში სახელისუფლებო უწყებანი ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან იმ აუცილებელი უნარების, წინაპირობების, ფაქტორების მხარდაჭერა-შემუშავებაზე, რაც განაპირობებს შეარაღებულ და სამოქალაქო წინააღმდეგობის აქტივობათა განხორციელებას ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს კი მოიცავს აქტივობათა მთელ სპექტრს - ფარული სამხედრო ძალების, მთავრობის მიერ აღიარებული და დაფინანსებული მოხალისეობრივი დანაყოფების და არამალადობრივი წინააღმდეგობის ორგანიზაციების აქტივობებს. ამ მრავალფეროვანი წინააღმდეგობის ფორმების განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს ქვეყნის სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოებში. მათი შემსრულებელი სუბიექტები კი პასუხისმგებელნი არიან ლეგიტიმური მთავრობის წინაშე, რო-

მელიც შეიძლება გადაადგილებული იყოს ქვეყნის შიგნით ან კიდევ ემიგრირებული.[102]

მოქნილობა-მდგრადობა, როგორც წინააღმდეგობის საფუძველი. სადღეისოდ სახეზეა უაღრესად რთული და დინამიური სამოქმედო გარემო მთავრობათა წინაშე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოქნილობა-მდგრადობის ჩამოყალიბებაზე. სამოქმედო გარემოს სტრუქტურული ელემენტებია:

ა) ნაციონალური რესურსები - დიპლომატია, ინფორმაცია, სამხედრო ძალები, ეკონომიკა, ფინანსები, დაზვერვა და სამართალდამცავი ორგანოები - როგორც ეროვნული ძალისადმი განკუთვნილი ელემენტები;

ბ) ქვეყნის და სახელმწიფო სისტემები: პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური, საინფორმაციო, ინფრასტრუქტურული, ფიზიკური და დროითი;

გ) სამოქალაქო ფაქტორები: სამოქალაქო აქტივობის არეალი, შესაძლებლობები, ორგანიზაციები, ხალხი (თავისი ტრადიციებით, კულტურული და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით), მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე მოვლენები ქვეყნის ცხოვრებაში;

102 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

დ) სხვა საკვანძო სოციალური მამოძრავებლები: ინდუსტრია, დიასპორა, ლიდერები (პოლიტიკის, კულტურის, რელიგიის სფეროებში); ისტორიული მემკვიდრეობა, დემოგრაფია, კლიმატი, ტექნოლოგიები, რეგიონალური ფაქტორები და ა.შ. ეს სტრუქტურული ელემენტები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მოქნილობა-მდგრადობის ჩამოყალიბების პროცესში.

მოქნილობის მძლავრი დამკვიდრება აუცილებელია, რათა ერი შეუდგეს წარმატებული წინააღმდეგობის პროცესს აგრესორისადმი. მაღალ დონეზე მოქნილი, მდგრადი მოსახლეობის ფორმირება შეიძლება ძლიერი ნაციონალური იდენტობის განვითარებით, რასაც თან ახლავს კრიზისის დაძლევის სამზადისი. მთავრობა ასევე შეიძლება მონაწილეობდეს პრაქტიკული ფსიქოლოგიური ზომების გატარებაში, რათა გაძლიერდეს ეროვნული იდენტიფიკაცია ხალხში, და ეს ზომები გულისხმობენ აქცენტირებას უფრო მეტად სამშობლოზე, ვიდრე ხელისუფლებაზე. მთავრობამ უნდა მკაფიოდ განსაზღვროს და შეაფასოს თავისი სოციუმის მოწყვლადობები და შეიმუშაოს ყოვლისმომცველი მიდგომა მათი შემცირებისათვის. იგი ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს ქვეყნის საგარეო საფრთხეები და უზრუნველყოს სამხედრო და სამოქალაქო მზადყოფნა ამ საფრთხეთა მიმართ. მან ასევე უნდა გააძლიეროს ურთიერთო-

ბები მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებთან და გაზარდოს მათთან ინტეროპერებილურობა (ურთიერთქმედების უნარი). საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნული და ადგილობრივი დონის გეგმები ასევე შეადგენენ ეროვნული მოქნილობის ნაწილს. და ბოლოს, მთავრობამ უნდა ამცნოს თავის ხალხს ამ პოტენციური საფრთხეების არსებობა და შესაბამისად, მათ მიმართ წინააღმდეგობის გეგმების არსებობაც მის განკარგულებაშია.[103]

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მოქნილობა-მდგრადობის იმ კომპონენტზე, რასაც ეწოდება **დაგეგმარება წინააღმდეგობისათვის (Planning for resistance)**, რომელიც თავის თავში მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმარებას, დაგეგმარებას ემიგრირებული ან გადაადგილებული მთავრობისათვის და წინააღმდეგობის კომპონენტის წინარე-კრიზისულ ორგანიზებას. **სტრატეგიულ დაგეგმარებაში** მთავრობა უნდა ამოვიდეს იმ კონტროლის განხორციელების მექანიზმის ნათელი გაგებიდან, რომლის დამყარებასაც ცდილობს მოწინააღმდეგე მის მიერ ოკუპირებულ გარკვეულ ტერიტორიაზე და აქედან გამომდინარე მან უნდა განსაზღვროს ის გზები და მეთოდები, რაც ძირს გამოუთხრის ოკუპანტის მცდელობებს ამ კონტროლის გან-

103 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

ხორციელების მიმართულებით. სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი ეხება იატაკქვეშა, პარტიზანული და დამხმარე ქსელების შექმნა-განვითარებას. იგი ასევე აზუსტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი აქტივიზაცია. მან უნდა განსაზღვროს როლები და პასუხისმგებლობები ამ ქსელის ფუნქციონირებაში, აგრეთვე მოთხოვნები საგარეო დახმარების უზრუნველყოფისათვის და ის, თუ როგორ ხასიათს უნდა ატარებდეს მუშაობა საგარეო დახმარებასთან მიმართებაში. ამ გეგმამ საჭიროა დაადგინოს კონტროლის სათანადო ბალანსი ეროვნულ და ლოკალურ დონეებს შორის, რათა ამით უზრუნველყოს წინააღმდეგობის მრავალგვაროვანი, პლურალიზებული ქსელის საერთო მიზანი და მისი მუშაობის ეფექტურობა. სტრატეგიული დაგეგმარება ზოგადად მოიცავს წინააღმდეგობის ქსელის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა კომუნიკაციები, ორგანიზაციული სტრუქტურა, უსაფრთხოება და ზედამხედველობა ქსელის მუშაობაზე. მან ასევე უნდა მკაფიოდ გამოკვეთოს წინააღმდეგობის ქსელის ფუნქციონირების პოლიტიკური, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დონეები, რათა შემდგომ სათანადო წვრთნების და ტესტირების მეშვეობით შემოწმდეს მზადყოფნა ყველა დონეზე. სტრატეგიული დაგეგმარება უნდა იყოს ყოვლისმომცველი, ქმედითი და უნდა მოიცავდეს თავის თავში იმ ყველა პოტენციურ სუბიექტს, რომელიც დაინტერე-

სებულია წინააღმდეგობის ქსელის მოქმედებაში. არსებითია ამ დაგეგმარების პროცესის უწყვეტობა და თანმიმდევრულობა.

რაც შეეხება **დაგეგმარებას ემიგრირებული ან გადაადგილებული მთავრობისათვის**: მთავრობამ უნდა შეიმუშაოს გეგმა თავისი ემიგრირების ან შიდა გადაადგილებისათვის და ესაა მისი უწყვეტობის შემადგენელი ნაწილი, როდესაც მას აქვს გამოკვეთილი მიზანი - აღადგინოს ნაციონალური სუვერენიტეტი თავისი ქვეყნის ნებისმიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მთავრობის ემიგრირების ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების ეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა საჭიროა მოექცეს ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში და გახდეს საჯაროდ ცნობილი თავის ზოგად მონახაზში, რაც განაპირობებს მართლაცდა ემიგრირებული თუ გადაადგილებული მთავრობის არსებობის უტყუარობას და ლეგიტიმურობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა გადაადგილების კონცეფციის შემუშავება, ვინაიდან მტერი, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ცდილობდეს მთავრობის განდევნას დედაქალაქიდან, რათა მისთვის მკვეთრად გართულდეს ქვეყნის მართვა, რაც, თავის მხრივ, შეასუსტებს ხალხის რწმენას საკუთარი ხელისუფლების ქმედუნარიანობის მიმართ.[104]

---

104 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

რაც შეეხება **წინააღმდეგობის კომპონენტის წინარე-კრიზისულ ორგანიზებას**: შიდა გადაადგილების ან ემიგრირების აუცილებელი პერსპექტივისას მთავრობა გეგმავს იმ ფარული ლიდერშიპის (ხელმძღვანელობის) სტრუქტურასაც, რომელიც ოკუპაციის პირობებში იმოქმედებს ხალხში ჩრდილოვანი მართვის და წინააღმდეგობის აქტივობათა ხელშეწყობის მიზნით. ამ ჩრდილოვანმა მთავრობამ უნდა გაუწიოს კოორდინაცია მთელ იატაკქვეშა და პარტიზანულ ქსელს. ამიტომაც ამ უკანასკნელთა კომპონენტებიც ნაწილობრივ უნდა ჩამოყალიბდნენ წინარე-კრიზისულ პერიოდში. არაა აუცილებელი, რომ ყოველი მათგანი სრულად იქნას დაკომპლექტებული იდენტიფიცირებული წევრებით, არამედ საჭიროა ზუსტად განისაზღვროს ხელმძღვანელი კადრები და გაწვრთნილი სპეციალისტები სხვადასხვა პროფილით - ისინი მზად უნდა იყვნენ კრიზისის მოახლოებისას. ამიტომაც მშვიდობიანობის პერიოდში მათ უნდა გაიარონ სათანადო წვრთნები და მომზადება. როგორც წესი იატაკქვეშა და პარტიზანული ქსელის ხელმძღვანელი კადრები არ უნდა ფიგურირებდნენ სამთავრობო და შეიარაღებული ძალების დოკუმენტაციებში, რათა ოკუპანტმა შემდგომ არ დაიწყოს მათი ძებნა ამ დოკუმენტაციების მიხედვით (ვთქვათ, თავდაცვის სამინისტროს ამა თუ იმ დანაყოფის ყოფილ ან მოქმედ თანამშრომელთა შორის). ამ ხელმძღვანელმა

კადრებმა ასევე უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი პოტენციური დამატებითი წევრების მოძიებაში, რომლებიც წინარე-კრიზისულ პერიოდში შემოწმდებიან სამთავრობო უწყებების მიერ. ამ კომპონენტს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს კომუნიკაციები, როგორ უნდა გადაადგილდებოდეს პერსონალი, როგორ უნდა მოხდეს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება და მატერიალური მომარაგება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ხელმძღვანელი კადრების მომზადებაში ასევე შედის კონტაქტების აწყობა მოსახლეობასთან და კონტრსადაზვერვო მექანიზმების შემუშავება, რათა სწორად იქნას შეფასებული თითოეული წევრის ან დამხმარე პირის სანდოობა. უსაფრთხოების მიზნით ამ ხელმძღვანელმა კადრებმა საჭიროა შეიმუშაონ სათანადო მეთოდები იმ შიდა კომუნიკაციებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ წინააღმდეგობის სხვადასხვა ელემენტებს შორის და ასევე შეინარჩუნონ უსაფრთხოება დაყოფა-დანაწევრების მეშვეობით *(იხ. დანართი 1).*

ახლა გადავალთ იმ მთავარი ნაწილის განხილვაზე, რასაც ეწოდება „**წინააღმდეგობა**“ **(Resistance)** და რასაც დავიწყებთ კარლ ფონ კლაუზევიცის შემდეგი გენიალური ფრაზით: „*გენერალური ამბოხება, როგორც ჩვენ იგი გვესახება, უნდა იყოს ბინდით მოცული და მოუხელთებელი; არასდროს უნდა მოხ-*

დეს ამ წინააღმდეგობის მატერიალიზაცია რაღაც კონკრეტულ სხეულში; სხვაგვარად მტერი შეძლებს მიმართოს საკმარისი ძალა მისი ბირთვისკენ, გასრისოს იგი და მრავალიც დააპატიმროს. როდესაც ასეთი რამ ხდება, ხალხი კარგავს მხნეობას და ყრის იარაღს, ვინაიდან სჯერა, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია და შემდგომი ძალისხმევა უნაყოფოა. მეორე მხრივ, აუცილებელია კონცენტრაცია გარკვეულ წერტილში. ნისლი უნდა გასქელდეს, შექმნას სიბნელე და მუქარისშემცველი ღრუბელი, საიდანაც ელვამ შეიძლება დაარტყას ნებისმიერ დროს."

ოკუპანტის მიმართ ეროვნული წინააღმდეგობა იწყება მაშინ, როდესაც გარეშე ძალა იკავებს ქვეყნის ტერიტორიას პირდაპირ ან სხვა ძალაზე სათანადო უფლებამოსილების მინიჭებით. მაგრამ აქვე აღსანიშნია, რომ წინააღმდეგობის აქტივობათა სპექტრი შეიძლება იყოს მრავალგვაროვანი. ამასთან ერთად, შეიძლება ბუნდოვანი აღმოჩნდეს ის საზღვრები, რითაც ერთმანეთისაგან გამიჯნულია წინარე-კრიზისული მოქნილობის ფორმირება და წინააღმდეგობის ქმედებები კრიზისის დროს. სახელდობრ, ეს განსხვავება ბუნდოვანია, როდესაც მოწინააღმდეგე დაკავებულია ქვეყნის მიმართ ასიმეტრიული ომის მეთოდებით. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში მოქმედებები, რომელთაც სახელმწიფო ახორციელებს, ერთი მხრივ, მოქნი-

ლობის ფორმირების პერიოდში და მეორე მხრივ, წინააღმდეგობის დროს, შეიძლება გადაიკვეთონ.

არსებობს სამი ვარიანტი იმ ვითარებისა, რომელიც შეიძლება დადგეს ქვეყანაში მოწინააღმდეგის აგრესიული ქმედებების შედეგად:

ა) სუვერენიტეტის ნაწილობრივი დაკარგვა;

ბ) სუვერენიტეტის სრული დაკარგვა და

გ) სუვერენიტეტის ხელყოფა.

თითოეული მათგანი ქმნის ახალ ოპერაციულ გარემოს და თითოეულის დადგომა დამოკიდებულია ქვეყნის შეკავების უნარსა და მოქნილობა-მდგრადობის სხვადასხვა ასპექტებზე[105] *(იხ. დანართი 2).*

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, წინარე-კრიზისულ პერიოდში ერი იწყებს მოქნილობა-მდგრადობის ფორმირებას და წინააღმდეგობის დაგეგმვას, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებისათვის ცნობილი ხდება ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიის განხორციელების შესაძლებლობა. აქვე მივუთითებთ, რომ მოწინააღმდეგემ შეიძლება დაიწყოს აგრესიის უფრო დაბალი ფორმებით, რაც შემდგომ შეიძლება გადაიზარდოს ჰიბრიდული ომის ფორმაში, სადაც ასიმეტრიული ქმედებები

105 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

კომბინირებენ კონვენციური ძალების შეჭრასთან; თუმცა მან შეიძლება თავიდანვე დაიწყოს საკუთარი შეიარაღებული ძალების პირდაპირი შეჭრით ქვეყნის ტერიტორიაზე. *როდესაც უკვე ნათელი ხდება მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი აგრესიის განხორციელების თაობაზე (და არა უბრალოდ ამის შესაძლებლობა) სახელმწიფო იწყებს წინააღმდეგობის ორგანიზაციის აქტივიზაციას ისეთივე დონეზე, როგორც მიმდინარეობს ჯარის მობილიზაცია. ხოლო როგორც კი აგრესორი თვალნათლივ ხელყოფს ეროვნულ სუვერენიტეტს და აწარმოებს მისი ტერიტორიის ოკუპაციას, მალევე იწყება ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის ამოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიაზე.* აი, ამ პროცესში სავარაუდოდ ადგილი აქვს ხოლმე მოქცევებს და მიქცევებს წინააღმდეგობათა აქტივობებში: სახელდობრ, წინააღმდეგობის ქმედებათა წარმატებით განვითარების შემთხვევაში დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ ოკუპანტი მიმართავს რეპრესიულ ზომებს მოსახლეობის მიმართ, რაც დროებით შეასუსტებს წინააღმდეგობის აქტივობას. თუმცა სიტუაციის შედარებითი სტაბილიზაციის შემდეგ ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა კვლავ შეეცდება გააქტიურებას. *საბოლოო ჯამში, წინააღმდეგობის მოძრაობის განვითარებამ ან სათანადო პირობები უნდა შექმნას მოკავშირე სახელმწიფოების კონვენციური ძალების ქვეყანაში შემოსასვლელად ან კიდევ*

ხელი შეუწყოს კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების სათანადო პირობების უზრუნველყოფას; კერძოდ, ლაპარაკია პოლიტიკურ დარეგულირებაზე, რომლის მეშვეობითაც აღდგება ეროვნული სუვერენიტეტი ქვეყნის მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე; ხოლო როდესაც ოკუპირებულია ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, წინააღმდეგობის მოძრაობამ შეიძლება შექმნას სათანადო პირობები მისი დეოკუპაციისა თავად ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ.[106]

მტრის მოქმედებათა დაწყების წინ სახელმწიფო ეყრდნობა თავის ეროვნულ შესაძლებლობებს, როგორიცაა დაზვერვა, სამართალდამცავი უწყებები, კონვენციური სამხედრო ძალები, სპეციალურ ოპერაციათა ძალები და თუ საჭიროა, ორგანიზებული ეროვნული წინააღმდეგობა. სახელდობრ, სახელმწიფოს სრულად მობილიზებული ჰყავს ეს შესაძლებლობები სხვადასხვა დონის საფრთხეების მიმართ. *პირველი დონე: აქ მთავარი როლი ენიჭებათ სადაზვერვო სამსახურებს*; კერძოდ, ისინი მართებულია იყვნენ ის უპირველესი ელემენტები, რომელთაც უნდა სრულფასოვნად გააცნობიერონ აგრესორის მოსალოდნელი აქტივობები და მიაწოდონ ეს ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. *მეორე დონე: ვინაიდან მოწინააღმ-*

106 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

დეგეს შეუძლია განავითაროს სამიზნე ქვეყანაში ასიმეტრიული ქმედებები შეჭრის დაწყებამდე, ამდენად ამ ვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს დაზვერვასთან ერთად: ასეთ ქმედებებზე რეაგირება, უპირველეს ყოვლისა, მათი დანიშნულებაა. *მესამე დონე: როდესაც მოწინააღმდეგე ახორციელებს შეჭრას ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიაზე, მაშინ უკვე გადამწყვეტი როლი ენიჭებათ კონვენციურ სამხედრო ძალებს და სპეციალურ ოპერაციათა ძალებს. მეოთხე დონე: ხოლო მარცხის შემთხვევაში კი მთავარი როლი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ენიჭებათ ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობას და ე.წ. ფარულ ძალებს. სახელდობრ, ეს უკანასკნელი ყალიბდება სპეციალურ ოპერაციათა დანაყოფებისაგან და შეიარაღებული ძალების გარკვეული წინასწარ-განსაზღვრული კონტიგენტისგან.* თუმცა შეიარაღებული ძალების გარკვეული წინასწარ-განსაზღვრული კონტიგენტი შეიძლება წინასწარ-დაგეგმილად შეუერთდეს ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობასაც. ამგვარად, ოკუპაციის პირობებში ფარული ძალები მოსახლეობას უნდა შეერიონ და განახორციელონ აქტივობები, რომლებიც მოწინააღმდეგისათვის ძნელად გასარჩევია ეროვნული წინააღმდეგობის აქტივობებისაგან. რაც შეეხებათ ეროვნულ სადაზვერვო სამსახურებს ან

მათ დანაყოფებს, ისინი ოკუპაციის პირობებში ფუნქციონირებენ იატაკქვეშეთში.[107]

ხაზგასასმელია ის არსებითი მომენტები, რომლებიც დამახასიათებელია მოწინააღმდეგის მიერ განსახორციელებელი აგრესიისთვის და რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის ხელისუფლებამ წინააღმდეგობის სათანადო მომზადებისა და ამოქმედებისათვის. ეს მომენტებია: ა) *მოწინააღმდეგე ახდენს სამიზნე ქვეყნის შეფასებას გარკვეული კრიტერიუმების და ხერხების მეშვეობით; თანაც ამ შეფასებას აკეთებს თავისი მიზნების, მათი მიღწევის გზების და რისკების ანალიზის გათვალისწინებით.* აი, სწორედ ამ შეფასებაზე დაყრდნობით მან შეიძლება ქვეყანას თავს მოახვიოს სამი კონდიციიდან ერთ-ერთი მათგანი (რაზეც უკვე ზემოთ მივუთითეთ):

1) ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილობრივი დაკარგვა - ესაა ქვეყნის ტერიტორიის ნაწილობრივი ოკუპაცია და იქ საკუთარი ან მარიონეტული მმართველობის დამყარება;

2) ეროვნული სუვერენიტეტის სრული დაკარგვა - ესაა ქვეყნის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და იქ საკუთარი ან მარიონეტული მმართველობის დამყარება;

107 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

3) სუვერენიტეტის ხელყოფა - ესაა ქვეყნის ეროვნული ძალისადმი მოწინააღმდეგის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელსაც იგი ახორციელებს ირეგულარული ომის მეთოდების გზით.

ეს მეთოდები ურტყამენ ეროვნული ძალის მოწყვლად ასპექტებს, რასაც მოაქვს სუვერენული მთავრობის ეფექტურობის მკვეთრი დაცემა და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ტერიტორიაზე კონტროლის დე-ფაქტო დაკარგვა ან კიდევ სუვერენული ქმედუნარიანობის დაკარგვა. ბ) *მოწინააღმდეგე იყენებს გარკვეულ ტექნოლოგიებს აღნიშნული კონდიციების რეალიზაციისათვის*; ისინი თავის თავში შეიცავენ შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებს:

1) კიბერ-ომის მეთოდები; დივერსია; საბოტაჟი;

2) მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების გამოყენება (ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური და ა.შ.);

3) შეტევები საკვანძო მნიშვნელობის სამრეწველო და ფინანსურ ობიექტებზე, რათა მოიშალოს ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური სექტორები;

4) ჰიბრიდული ომის მეთოდები და ასიმეტრიული ტაქტიკური მეთოდები;

5) კონვენციური ანუ ტრადიციული სამხედრო თავდასხმები;

6) ყოველივე ზემოთ აღნიშნულის კომბინაცია.

ამჟამად ვიწყებთ თავად წინააღმდეგობის მოძრაობის ანალიზს, და სახელდობრ, ჯერ ვეხებით **წინააღმდეგობის ფუნდამენტური დაგეგმვის საკითხს**: ეს ნიშნავს წინააღმდეგობის რამდენიმე ფუნდამენტური მომენტის განხილვას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ნებისმიერი დაგეგმარების დროს - დაწყებული სტრატეგიულიდან დამთავრებული ტაქტიკურით. უპირველეს ყოვლისა, **ოპტიმალურია, როდესაც კრიზისის წინ მთავრობა ქმნის მაორგანიზებელ სუბიექტს, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს, განავითაროს და უხელმძღვანელოს წინააღმდეგობის მოძრაობას**. ეს სუბიექტი მართებულია განთავსდეს თავდაცვის სამინისტროში ან შინაგან საქმეთა სამინისტროში და პასუხისმგებელია წინააღმდეგობის კამპანიის წინასწარ დაგეგმვასა და ორგანიზებაზე. მისი საქმიანობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ეროვნული სადაზვერვო სამსახურების თანადგომა, კერძოდ, წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზებისა და მისი წევრების რეკრუტირების საქმეში. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, შესაძლებელია ძალოვანი სტრუქტურების გადამდგარი პერსონალის გამოყენება; თუმცა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერშიპის და სხვა საკვანძო მნიშვნელობის პერსონალი სამთავრობო უწყებების დოკუმენტაციებში არ ფიგურირებდნენ, როგორც გადამდგარი თუ მოქმედი კადრები.

ამ მაორგანიზებელმა სუბიექტმა საჭიროა მოიზიდოს ეფექტური ლიდერშიპი წინააღმდეგობის მოძრაობის ყოველი კომპონენტისათვის, რამაც უნდა შეადგინოს მისი საკადრო ბირთვი. ეს მაორგანიზებელი სუბიექტი ავითარებს და ტესტირებას უკეთებს წინააღმდეგობის გეგმას. ეს სუბიექტი შეიძლება იყოს მთავრობის იმ წარმომადგენელთა განსაზღვრული კორპუსი, რომლებსაც ძალუძთ გადაწყვეტილების მიღება; ცხადია, გასაიდუმლოებული უნდა იყოს ამ კორპუსის არსებობა და შესაბამისად, მისი წევრების ვინაობაც. სწორედ აღნიშნულმა მაორგანიზებელმა სუბიექტმა უნდა მისცეს რეკომენდაციები აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს (პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს), რომელსაც შეუძლია მიიღოს ეს რეკომენდაციები მთლიანად ან ნაწილობრივ ან კიდევ საერთოდ უკან გაუგზავნოს ისინი კორპუსის წევრებს შემდგომი განხილვისა და დამუშავებისათვის.

რაც შეეხება ე.წ. სპეციფიკურ დაგეგმარებას - როგორიცაა ვთქვათ, ქსელის დეტალები, სპეციფიკური ნუსხა იმ დახმარებათა, რაც სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების საგანს შეადგენს, ქსელის პერსონალი (არახელმძღვანელი) და ა.შ. - ყოველივე ეს მართებულია გაკეთდეს სეგმენტირებული ანუ უჯრედოვანი ტიპის სტრუქტურაში. ამგვარი მიდგომა შემოსაზღვრავს დაგეგმვის ასპექტებს განსაზღვრული დანაწევრებული

დამგეგმავებით ანუ უჯრედებით ისე, რომ არცერთი უჯრედი არ მონაწილეობს მთლიან დაგეგმვაში. ეს თავის მხრივ ამცირებს რისკს იმისა, რომ მოხდეს ინფორმაციის გაჟონვა.

წინააღმდეგობის ფუნდამენტური დაგეგმვის განხილვების შემდგომი მნიშვნელოვანი საკითხია **გზამკვლევი ნარატივი: სახელდობრ, წინააღმდეგობის კარგად მოფიქრებული ნარატივი გააერთიანებს სამთავრობო და საზოგადოებრივ ფუნქციებს, რათა მაქსიმალური ინტეგრირება მოახდინოს საჯარო და კერძო სექტორების ძალისხმევათა**. ეს წარმმართველი ნარატივი საგულდაგულოდ უნდა შემუშავდეს; იგი უნდა რეზონირებდეს მოსახლეობის ძირეულ განწყობილებებთან და მაშასადამე, უნდა ჰქონდეს გამოძახილი მოსახლეობაში. მან უნდა უზრუნველყოს სათანადო ბაზისი იმ კომუნიკაციისათვის, რაც აუცილებელია წინააღმდეგობის მოძრაობის გაშლა-განვითარებისათვის.[108]

შემდგომი მნიშვნელოვანი საკითხია **წინააღმდეგობის გამაერთიანებელი მიზანი და განზრახვა (Unifying purpose and intent). ეროვნული წინააღმდეგობის წარმატება დამოკიდებულია ხალხის მხარდაჭერაზე, ჩართულობაზე, ხელშეწყობაზე და აუცილებელ რესურსებზე - ეს კი მოითხოვს, რომ მოსახლეობას**

108 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

მაქსიმალურად გაცნობიერებული ჰქონდეს წინააღმდეგობის საერთო მიზანი და მისი მნიშვნელობა. *სოციუმში ყოველ ინდივიდს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს წინააღმდეგობის კამპანიაში სხვადასხვა ხარისხით და სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად და ამ შესაძლებლობის რეალიზაციის წინაპირობაა გამაერთიანებლი მიზნის არსებობა და მისი გაცნობიერება ხალხის მიერ. ეროვნული წინააღმდეგობის კამპანიის ეფექტურობა საჭიროებს, რომ მან მიიღოს მაქსიმალურად საერთო-სახალხო ხასიათი და შესაბამისად, საჭიროებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიის ყველა ოლქში სახეზე იყოს წინააღმდეგობის ორგანიზაციის ელემენტები.* მართალია, როგორც წესი, ისტორიული ნორმაა ის ვითარება, რომ ოკუპაციის პირობებში მოსახლეობის დიდი ნაწილი რჩება პასიური ან ნეიტრალური, მაგრამ მიუხედავად ამისა, უმნიშვნელოვანესია მისი მაქსიმალური გაერთიანება და მობილიზება საერთო მიზნით და ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინააღმდეგობის კამპანიის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ ასევე ხალხს უნდა ნათლად განუმარტოს წინააღმდეგობის გაწევის ის მრავალფეროვანი ხერხები და გზები, რომელთა განხორციელებითაც მათ და მათ ოჯახებს ზიანი არ მიადგებათ. ამგვარად, ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია საერთო

მიზნის არსებობა და მთავრობის უნარი მოსახლეობის მოტივირებისა, რათა ყველამ თავისი წვლილი შეიტანოს წინააღმდეგობის მოძრაობაში.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია **კანონის უზენაესობა და პოლიტიკური ლეგიტიმურობის მხარდაჭერა**. ლეგიტიმურობის კონცეპტს შინაგანად განეკუთვნება კანონის უზენაესობის ერთგულება. წინააღმდეგობის აქტივობები მუდამ უნდა ეყრდნობოდნენ კანონის უზენაესობას. **წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ კანონის უზენაესობის მხარდაჭერის დემონსტრირებისათვის და შესაბამისად, თავისი ლეგიტიმურობის პოზიციების განმტკიცებისათვის აუცილებელია, რომ მისი ნებისმიერი ძალადობრივი თუ არა-ძალადობრივი ზომა მოქცეული იყოს ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში**.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია **წინააღმდეგობის აქტივობების კონტროლი და ზედამხედველობა**. სამთავრობო სამინისტროებს, უწყებათაშორის ორგანიზაციებს, სამხედრო უწყებასა და საზოგადოებრივ ელემენტებს შორის ურთიერთქმედების ეფექტური დაგეგმარება ხელს უწყობს იმ სტრუქტურის, პროცესების და მოლოდინების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს წინააღმდეგობის ქცევის კონტროლსა და ფორმირებას. **წინააღმდეგობის ლიდერშიპი უნდა მყარად ინა-**

რჩუნებდეს წინააღმდეგობის აქტივობათა მართვას და კონტროლს, რათა უზრუნველყოს ამ აქტივობათა თანხმობა კანონიერ სტანდარტებთან და ეთიკურ ნორმებთან, რასაც გულისხმობს წინააღმდეგობის ნარატივი თავის თავში. ის ელემენტები, რომელთა აქტივობებიც გადიან მართვის და კონტროლის ფარგლებს გარეთ, დისკრედიტაციის რისკის წინაშე აყენებენ მთელ მოძრაობას და კერძოდ, კანონის უზენაესობაზე მისი პრეტენზიის დისკრედიტაციის რისკის წინაშე. თუმცა, ძალზედ იშვიათია წინააღმდეგობის ყოველი აქტივობის კონტროლი, ვინაიდან კონტროლის ასეთი მაღალი დონე მოითხოვს კომუნიკაციის საშუალებების ძალზედ ხშირ გამოყენებას, რაც თავის მხრივ, მეტად საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს მთელი მოძრაობის უსაფრთხოებისათვის.

როგორც ვიცით, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ წინააღმდეგობის ლიდერშიპმა გაშიფროს მტერი, როდესაც იგი იმალება კარგად შეფუთული კამპანიებისა და აქტიური ღონისძიებების უკან და რომელთა მიზანსაც შეადგენს მოსახლეობის მტრულად განწყობა წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ: მტერი, როგორც წესი, ავრცელებს ხოლმე მიზანმიმართულ დეზინფორმაციებს წინააღმდეგობის მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით. ხოლო ნებისმიერმა ნიშანმა თუ სიმპტომმა, რომელიც მიანიშნებს დაქსაქსულობასა და სათანადო კონტროლის არ-

არსებობაზე მოძრაობის შიგნით, შეიძლება შესძინოს დამაჯერებლობა ამგვარ დეზინფორმაციულ კამპანიას - აი, ამ თვალსაზრისითაც ძალზედ აქტუალურია წინააღმდეგობის კონტროლის და ზედამხედველობის საკითხი. ამასთან ერთად, მყარი კონტროლი საშუალებას აძლევს ლიდერშიპს, რომ მან უზრუნველყოს ეთიკური ნორმების დაცვა წინააღმდეგობის ოპერაციებში და ეს კი მას ეხმარება ლეგიტიმურობის შენარჩუნებაში.[109]

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია **მთელი მთავრობის და მთელი საზოგადოების კოლაბორაცია (Whole-of-government and whole-of-society collaboration). საკუთარი ხალხის წინააღმდეგობისათვის მომზადების მიზნით მთავრობამ უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა სახელისუფლებო უწყებებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებას შორის და მოახდინოს ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია**.

და ბოლოს, წინააღმდეგობის ფუნდამენტური დაგეგმარების განხილვების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია **მოქნილობა და ადაპტირების უნარი. არსებითია, რომ წინააღმდეგობის მოძრაობამ შეძლოს სწრაფი ადაპტირება შეცვლილ ვითარებასთან და ე.ი. ადექვატური გადაწყობა**. შესაბამისად,

109 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

მხარდამჭერმა აქტორებმაც უნდა შესძლონ მხარდაჭერის ხარისხის, ტიპის, და გრაფიკის ადექვატური გადაწყობა.

ამჟამად კი გადავალთ ჩვენი განხილვის უმნიშვნელოვანეს ნაწილზე, რომელსაც ეწოდება „**წინააღმდეგობის ორგანიზაციის კომპონენტები“. წინააღმდეგობის მოძრაობის ოთხ პრიმარულ კომპონენტად გვევლინება: იატაკქვეშეთი (Underground), დამხმარე ძალები (Auxiliary), პარტიზანული ძალები (Guerrilla forces), საჯარო კომპონენტი (Public component)**. მაშასადამე, წინააღმდეგობის ორგანიზაციები შედგებიან ამ ოთხი უმთავრესი კომპონენტისაგან. წინააღმდეგობის მოძრაობის მიზნები და წარმატება განსაზღვრულია თითოეული მათგანის განვითარების დონით და ასევე ურთიერთმიმართებებით მათ შორის. იატაკქვეშა და პარტიზანული ძალები წარმოადგენენ სამხედრო-პოლიტიკურ სუბიექტებს ანუ ასრულებენ როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო აქტივობებს. ჩვეულებრივ, იატაკქვეშეთი ის საწყისი ელემენტია, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს და რომელიც ეფუძნება ლიდერშიპის და სახალხო მზაობის ფაქტორებს, სახელდობრ, მზაობისა, რომ ოკუპანტი განიდევნოს ქვეყნიდან. დამხმარე კომპონენტის წევრთა ნაწილი უზრუნველყოფს ფარულ მხარდაჭერას ორივესთვის - იატაკქვეშეთისათვის და პარტიზანული მოძრაობისთვის. საჯარო კომპონენტი კი ღია პოლიტიკური სუბიექტია. თუ კი

ოკუპანტი უშვებს ამ საჯარო კომპონენტის არსებობას, მაშინ მას შეუძლია წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები საოკუპაციო ძალასთან ან მის მიერ ხელდასმულ მარიონეტულ მთავრობასთან, და თანაც ამ პროცესში ჩართოს მოლაპარაკებები, რომელთაც იგი აწარმოებს უკვე ჩრდილოვანი, ემიგრირებული თუ გადაადგილებული მთავრობის სახელით. ამგვარად, სახეზეა ეს ოთხი პრიმარული კომპონენტი: ისინი იმყოფებიან დინამიურ ურთიერთმიმართებებში და იცვლებიან შიდა და გარე ფაქტორების საპასუხოდ.

ასევე უნდა მივუთითოთ ე.წ. **დამატებით (არაპრიმარულ) კომპონენტებზე - ოკუპაციის პირობებში ფუნქციონირებად სამთავრობო ფორმაციებზე და სახალხო მონაწილეობა-მხარდაჭერაზე. პირველ მათგანს შეადგენს: ემიგრირებული მთავრობა, შიდა გადაადგილებული მთავრობა, არაოკუპირებულ დედაქალაქში დარჩენილი მთავრობა და ჩრდილოვანი მთავრობა**. მაშასადამე, მთავრობა წინასწარ უნდა გეგმავდეს, ამზადებდეს და ორგანიზებას უკეთებდეს როგორც ემიგრირებული, ასევე შიდა გადაადგილებული, ასევე ჩრდილოვანი მთავრობის ფუნქციონირებას. ამ სამთავრობო ქმედუნარიანობის უწყვეტი არსებობა აძლიერებს წინააღმდეგობის მოძრაობის ლეგიტიმურობას. რაც შეეხება ე.წ. ჩრდილოვან მთავრობას, იგი არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორც წინააღმდე-

გობის მოძრაობის ფარული სახელისუფლებო აქტივობის განმახორციელებელი სუბიექტი. კერძოდ, იგი ფარულად მოქმედებს ოკუპირებულ არეში ემიგრირებული თუ გადაადგილებული მთავრობის სახელითა და მის მხარდასაჭერად, რათა განამტკიცოს, გაზარდოს სახალხო წინააღმდეგობა ოკუპანტისადმი.

მართალია, სახალხო მხარდაჭერა წარმოადგენს დამატებით კომპონენტს, მაგრამ იგი, უთუოდ, საკვანძო მნიშვნელობისაა წინააღმდეგობის მოძრაობისათვის. მოსახლეობის უმრავლესობა, როგორც წესი, არ იღებს აქტიურ მონაწილეობას წინააღმდეგობის მოძრაობაში და არც მისი დამხმარე როლის შესრულებაში და მიუხედავად ამისა, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს წინააღმდეგობის პასიური მეთოდების განხორციელებაში, რათა ხელი შეუშალოს მტრის ძალისხმევას შემდეგი მიზნის მიღწევაში: მოახდინოს თავისი ძალაუფლების კონსოლიდაცია; და თანაც, მოსახლეობას შეუძლია ეს გააკეთოს მინიმალური რისკით საკუთარი თავისთვის. სწორედ ამ მეთოდებთან დაკავშირებით მთავრობას შეუძლია კრიზისის დადგომამდე მოსახლეობის ინფორმირება. *ეს პასიური წინააღმდეგობა შეიძლება ვარირებდეს საკმაოდ ფართო დიაპაზონში - დაწყებული ცალკეული მცირე გამოწვევებით კონკრეტული კანონების მიმართ, დამთავრებული საოკუპაციო თუ მარიონეტული*

ხელისუფლების სრული იგნორირებით. ეს პასიური წინააღმ-დეგობა ფლობს უზარმაზარ ძალას და საფრთხეს უქმნის თვით მრისხანე სამხედრო ოპონენტს. საჭიროა სათანადო დაგეგ-მარება, სტრატეგიის შემუშავება და მენეჯმენტი, რათა მოსახ-ლეობის პროტესტის და დაუმორჩილებლობის ინდივიდუა-ლური, იზოლირებული აქტები ინტეგრირებული იქნას წინა-აღმდეგობის ერთობლივ ძალისხმევაში, რასაც ყოველთვის უფ-რო დიდი, კომბინირებული ეფექტი აქვს.

ამასთან ერთად, წინააღმდეგობის მოძრაობა უნდა მკაფი-ოდ განვმიჯნოთ კონფლიქტის სხვა სახეობებისაგან, როგორი-ცაა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების ამბოხი ან კიდევ აჯანყება უკვე ხანგრძლივად დამკვიდრებული მთავრობის მი-მართ და ა.შ. სახალხო წინააღმდეგობა იწყება ადამიანთა მისწ-რაფებით, რომ მოიშორონ საოკუპაციო ხელისუფლება ან მის მიერ ხელდასმული მარიონეტული მთავრობა. სწორედ ამ უკა-ნასკნელთა დასუსტების, მორყევის და დამხობის მიზნით იგი სარგებლობს არაძალადობრივი და ძალადობრივი საშუალებე-ბით.

ძალზედ მნიშვნელოვანია საკითხი წინააღმდეგობის ორ-განიზაციის ხელმძღვანელი რგოლის შერჩევის თაობაზე. სა-ხელდობრ, ეს შერჩევა ხდება ბუნებრივი ლიდერებისგან - ყო-ფილი სამხედრო პერსონალისგან, რელიგიური ლიდერების-

გან, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისგან, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებისგან და რეგიონის წარმომადგენლებისგან (არასამთავრობო აქტივობის, კულტურის თუ პოლიტიკის სფეროში). ისტორიულად სწორედ ასეთი ჯგუფებიდან ბუნებრივად ჩნდებოდნენ ხოლმე ლიდერები წინააღმდეგობის თუ აჯანყების პროცესში, *მაგრამ წინააღმდეგობის მოძრაობის ოპერატიული მართვა მოითხოვს მათ მკაცრ შერჩევას, შემოწმებას და წინარე-კრიზისულ პერიოდში მათ გამიზნულ დამისამართებას ლიდერშიპის სხვადასხვა დონეებისკენ*. **ლიდერშიპმა უნდა შეინარჩუნოს და გაზარდოს წინააღმდეგობის სახალხო ნება: ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი თავისუფლების და სუვერენობის დაბრუნება რეალურია!**[110]

ახლა განვიხილოთ *წინააღმდეგობის მოძრაობის პრიმარული კომპონენტები.*

1. **იატაკქვეშეთი. იგი ტრადიციულად გვევლინება ფიჭურ ორგანიზაციად, რომელიც ასრულებს ოპერაციებს ურბანულ არეებში (ოკუპანტის კონტროლის ქვეშ მყოფ არეებში). ის შედგება პოლიტიკურ-სამხედრო სტრუქტურებისგან, რომლებიც გა-**

110 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

მიზნულნი არიან პოლიტიკური და სამხედრო ქმედებების შესრულებისათვის. იატაკქვეშეთის მთავარი ფუნქციებია:

- *სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქსელების ფორმირება და მართვა;*
- *ფარული რადიო-სადგურების ძირგამომთხრელი გადაცემები;*
- *მედია-ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც ფარულად აკონტროლებს გარკვეულ პრესას; ლიფლეტების ფარული ტიპოგრაფიების მუშაობა; მედია-აქტივობა სოციალურ ქსელებში; სატელიტური ტელევიზიის მუშაობა და ა.შ.*;
- *სპეციალური მატერიალური ნაკეთობების დამზადება - ყალბი პირადობის მოწმობების ან პასპორტების; ასაფეთქებელი მოწყობილობების, იარაღის, ამუნიციების და ა.შ.*;
- *ქსელების კონტროლი საკუთარი გადაადგილებადი პერსონალისთვის; ქსელების კონტროლი დამალული პერსონალისთვის, რომელსაც მტერი ეძებს; ლოგისტიკის მართვა-დამუშავება; დაფინანსების სისტემის შექმნა*;
- *საბოტაჟის აქტების განხორციელება ქალაქის ცენტრალურ უბნებში*;

- *ფარული სამედიცინო უზრუნველყოფის პუნქტების ფორმირება.*[111]

2. **დამხმარე კომპონენტი.** *დამხმარე კომპონენტი წარმოადგენს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც აქტიურ ფარულ მხარდაჭერას უწევს პარტიზანულ ძალებს ან იატაკქვეშეთს. საქმე ეხება პერსონებს, რომელთაც თხოვნით მიმართავენ ერთჯერადი ან მრავალჯერადი აქტივობის შესასრულებლად. მათი მონაწილეობა ჩვეულებრივ ატარებს წყვეტილ, ირეგულარულ ხასიათს.* **ეს კომპონენტი არ არის რაღაც განცალკევებული ორგანიზაცია, არამედ იგი ურბანული იატაკქვეშეთის ან პარტიზანული ქსელის ხელშემწყობი აქტორია. დამხმარე ძალის წევრები ნაწილობრივ მოხალისეები არიან, რომლებსაც სოციუმში კარგი, მისაღები პოზიციები უკავიათ; კერძოდ, ესენი არიან სხვადასხვა ტიპის ინდივიდები, რომლებიც ასრულებენ სპეციფიკურ ფუნქციებს იატაკქვეშეთისთვის ან პარტიზანული მოძრაობისათვის**. ეს ფუნქციები შეიძლება ატარებდნენ ლოჯისტიკურ ხასიათს ან სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების ხასიათს ან კიდევ რაღაც სხვა სახის სამუშაოს ხასიათს. დამხმარე ძალის წევრებმა წესით არ იციან რაიმე იმაზე მეტი, ვიდრე რაც ეხება მათი უშუალო ფუნქციე-

111 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

ბის თუ სხვა სერვისის შესრულებას. ამ ძალის პერსონალი თავის თავზე იღებს უდიდეს რისკს, ვინაიდან იგი ყოველდღიურ ფიზიკურ სიახლოვეშია ოკუპანტთან და ვინაიდან ოკუპანტისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია მისი ყოველდღიური ღია საქმიანობა. მეორე მხრივ, რამდენადაც ამ პერსონებს არა აქვთ დეტალური ცოდნა წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციის და მეთოდების შესახებ და რამდენადაც მცირეა მათი როლი ამ პროცესში, ამდენად მათი დაპატიმრების შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ მინიმალურ რისკს წინააღმდეგობის მოძრაობისთვის, და თანაც მათი ჩანაცვლება სხვა პერსონებით შედარებით იოლია. დამხმარე ძალის სპეციფიკური მთავარი ფუნქციებია:

- *ლოგისტიკური საქმიანობა: სხვადასხვა სახის მომარაგების დისტრიბუცია; ტრანსპორტით უზრუნველყოფა; ტელეკომუნიკაციის საშუალებებით უზრუნველყოფა;*
- *სპეციალური მატერიალური დამზადების სამუშაო (ასაფეთქებელი მოწყობილობები, ყალბი პირადობის მოწმობები ან პასპორტები, იარაღი, ამუნიცია და ა.შ.);*
- *იატაკქვეშა მოწყობილობათა და პარტიზანული ბაზების უსაფრთხოების გარკვეული ფუნქციების შესრულება;*
- *სადაზვერვო ინფორმაციების შეგროვება;*

- *რეკრუტირება წინააღმდეგობის მოძრაობის ახალი წევრებისა;*
- *კომუნიკაციის ქსელის სტაფის (მაგალითად, კურიერების, მესენჯერების) ფუნქციების შესრულება*;
- *მედია-დისტრიბუცია.*

3. **პარტიზანული მოძრაობა** *(იხ. დანართი 3).* პარტიზანული ომის მეთოდი მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს კონვენციური ომის წარმოების წესისგან. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია რეგულარული, კარგად გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც მოქმედებენ დიდი დანაყოფებით. პარტიზანები კი არარეგულარულ ჯარისკაცებად გვევლინებიან, რომლებიც შეადგენენ წინააღმდეგობის მოძრაობის სამხედრო კომპონენტს. იგი ფორმირდება ქვეყნის ე.წ. ფარული სამხედრო ძალების მცირე დანაყოფებიდან ან სამოქალაქო მოსახლეობის შიგნით შერჩეული პირებიდან ან კიდევ კომბინირებულად ორივე წყაროდან. ჩვეულებრივ პარტიზანული ძალები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ოკუპანტის რეგულარულ და სპეციალიზირებულ ძალებს ეკიპირების, შესაძლებლობების და ზოგჯერ ასევე წვრთნების თვალსაზრისით, როდესაც საქმე ეხება სამხედრო გამოცდილების არმქონე სამოქალაქო პირებს. **პარტიზანული ომის წარმოების ტექნიკა თავის თავში მოიცავს რეიდებს, ჩასაფრებებს, თავდასხმებს, საბოტაჟის აქტებს, მტ-**

რის „შეწუხების“ სხვასახვა ფორმებს და ყოველივე ამის მიზანს შეადგენს მტრის გადაადგილებისათვის ხელის შეშლა, მისი დემორალიზაცია, მისი სამხედრო პოტენციალის დასუსტება ფიზიკური და მატერიალური ზარალის მიყენების გზით. როდესაც იზრდება ხალხის მხარდაჭერა პარტიზანული მოძრაობის მიმართ, მაშინ ეს უკანასკნელიც შეიძლება გაძლიერდეს და შესაბამისად, განახორციელოს უფრო აგრესიული და ეფექტური ქმედებები.

ცხადია, პარტიზანები უნდა განვასხვავოთ დაქირავებული მეომრებისა და კრიმინალური ბანდებისაგან: წინააღმდეგობის ეს კომპონენტი ხომ იმყოფება კანონიერი კონტროლის ქვეშ და კერძოდ, ლეგიტიმური ემიგრირებული, ან გადაადგილებული, ან ადგილზე მყოფი ან ჩრდილოვანი მთავრობის კონტროლის ქვეშ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტიზანი არარეგულარული ჯარისკაცია და იმ ძალის მკვიდრი წევრი, რომელიც ორგანიზებულია სამხედრო პრინციპით, რათა განახორციელოს სამხედრო თუ პარამილიტარული ოპერაციები ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ხოლო დაქირავებულებისა და კრიმინალური ბანდების თანამშრომლობამ წინააღმდეგობის მოძრაობასთან შეიძლება სერიოზულად დააზიანოს მისი ლეგიტიმურობა და ავტორიტეტი. მეორე მხრივ, ისინი შეიძლება

გამოიყენოს საოკუპაციო ხელისუფლებამ სწორედ წინააღმდეგობის მოძრაობის წინააღმდეგ.

პარტიზანულ დანაყოფს, როგორც სამხედრო ტიპის დანაყოფს, აქვს კონვენციური სამხედრო ძალების მსგავსი მართვის სტრუქტურა: **პარტიზანთა მეთაურს ექვემდებარება სტაფები და დანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პერსონალზე, კომუნიკაციაზე, სამედიცინო და ლოგისტიკურ მხარდაჭერაზე, ოპერაციების დაგეგმარებაზე, ოპერაციების შესრულებაზე, სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებასა და ანალიზზე და იატაკქვეშეთთან ურთიერთობაზე.** დანაყოფთა მეთაურები ანგარიშვალდებულნი არიან წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერშიპის წინაშე და კონტაქტირებენ მათთან.[112]

4. **საჯარო კომპონენტი.** ეს არის წინააღმდეგობის მოძრაობის ღია პოლიტიკური გამოხატულება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუ კი მისი არსებობა დაშვებულია ოკუპანტის ან მის მიერ ხელდასმული მარიონეტული მთავრობის მიერ. **საჯარო კომპონენტი არ წარმოადგენს არც ჩრდილოვან მთავრობას და არც ემიგრირებულ მთავრობას, არამედ იგი, როგორც წესი, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიად გვევლინება, კერძოდ, არსებული საოკუპაციო რეჟიმის მიმართ ოპოზიციურ პარტიად, რომელიც**

112 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

საშუალებას აძლევს წინააღმდეგობის მოძრაობას, რომ გამოიყენოს ბრძოლის ორივე ფორმა - როგორც ძალისმიერი, ასევე არაძალისმიერი წინააღმდეგობის ფორმა. ამ კომპონენტს შეუძლია აწარმოოს პირდაპირი მოლაპარაკებები ოკუპანტთან ან მარიონეტულ მთავრობასთან. იგი ასევე შეიძლება ღიად მიმართავდეს მხარდაჭერისათვის წინააღმდეგობის მოძრაობის გულშემატკივრებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და თან ორგანიზებას უკეთებდეს ამ მხარდაჭერას თავისი მხრიდან. როდესაც წინააღმდეგობის მოძრაობას არ გააჩნია არც ემიგრირებული, არც გადაადგილებული და არც ჩრდილოვანი მთავრობა, საჯარო კომპონენტმა შეიძლება იტვირთოს უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მისია. მაგრამ, ჩვეულებრივ, კარგად ორგანიზებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში ამ კომპონენტს განკარგავს სწორედ, რომ ემიგრირებული ან გადაადგილებული ან კიდევ ჩრდილოვანი მთავრობა. მისი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა: იგი იწყება ერთი მოლაპარაკე პერსონით და მთავრდება დიდი ორაგანიზაციით.

დროთა განმავლობაში ოკუპანტმა შეიძლება შეიცვალოს თავისი ტოლერანტული დამოკიდებულება საჯარო კომპონენტის აქტივობის მიმართ და დაიწყოს ზეწოლის ყველა მეთოდის გამოყენება საჯარო ოპონენტის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ამ უკანასკნელს ესაჭიროება თავისი ღია პოლიტიკური პლატ-

ფორმის მოდიფიცირება, რათა მას კვლავ დართონ ნება ღია პოლიტიკური საქმიანობისა. აღნიშნული მოდიფიცირების პირობებში საჯარო კომპონენტის მხარდაჭერა წინააღმდეგობის მოძრაობისადმი გახდება შეფარული ან კიდევ არაპირდაპირი, ე.ი. ისეთი ფორმის მქონე, რაც საფრთხეს არ შეუქმნის მის ღია საქმიანობას.[113]

წინააღმდეგობის მოძრაობის ეს ზემოთ განხილული ოთხი კომპონენტი დინამიკურ და განვითარებად ურთიერთმიმართებაშია და განიცდიან ცვლილებებს შიდა თუ გარე ფაქტორების საპასუხოდ. თუ კი საჯარო კომპონენტი მთლიანად დათრგუნულია საოკუპაციო რეჟიმის მიერ, მაშინ წინააღმდეგობის მოძრაობა მოქმედებს საჯარო სივრცეში ირიბად და შეფარულად (ანუ შემოვლითი გზით) სხვა ღიად არსებული ორგანიზაციების მეშვეობით. შესაძლებელია აგრეთვე, რომ საჯარო კომპონენტმა გადაინაცვლოს სხვა სახელმწიფოში, სადაც იგი ღიად იმოქმედებს წინააღმდეგობის მოძრაობის მხარდასაჭერად.

ომის წარმოების მეთოდები *(იხ. დანართი 4).* მაშასადამე, ამ კონცეფციის მიხედვით წინააღმდეგობის მოძრაობა განისაზღვრება როგორც ერის ორგანიზებული, მთლიანსაზოგადოებ-

113 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

რივი ძალისხმევა, რომელიც მოიცავს არაძალადობრივი და ძალადობრივი აქტივობების სრულ სპექტრს და რომელიც წარიმართება მთავრობის მიერ (ადგილზე მყოფი, ემიგრირებული, გადაადგილებული ან ჩრდილოვანი მთავრობის მიერ), რათა აღადგინოს სუვერენიტეტი საკუთარი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, სრულად ან ნაწილობრივ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობის მეთოდების განსაზღვრა ემყარება იმ *გზებსა* და *საშუალებებს*, რომელთა მეშვეობითაც უნდა მიღწეული იქნას საბოლოო მიზანი - ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა. *ეს საშუალებებია:ქვეყნის მოსახლეობა, წინააღმდეგობის კომპონენტები და საგარეო დახმარება. რაც შეეხება გზებს - ეს შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, შეიარაღებული ბრძოლის მეთოდები და მეორე მხრივ, პასიური, არაძალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდები.* **შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებად ძირითადად გვევლინება:**

ა) ძირგამომთხრელი ქმედება (subversion) და საბოტაჟი (sabotage), რომლებსაც ახორციელებს იატაკქვეშეთი;

ბ) რეიდები (raids), თავდასხმები (attacks), დივერსიები (sabotage) და ჩასაფრებები (ambushes), რომლებსაც ახორციელებენ პარტიზანები.

ხოლო საზოგადოების იმ მრავალრიცხოვან წევრებს, რომლებიც პირდაპირ არ მონაწილეობენ წინააღმდეგობის მოძრაობაში მისი ერთ-ერთი კომპონენტის სახით, შეუძლიათ მიმართონ პასიური და არაძალადობრივი წინააღმდეგობის მრავალფეროვან მეთოდებს.

1) იატაკქვეშეთი: ძირგამომთხრელი საქმიანობა. ძირგამომთხრელი საქმიანობა წარმოადგენს ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მმართველი ძალის სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური ძლიერების ან მორალური მდგრადობის მოშლას. ეს განსაზღვრება მოიცავს ძირგამომთხრელი აქტივობების ფართო სიას: **პროპაგანდა, საინფორმაციო ოპერაციები (კიბერ-შეტევები, დეზინფორმაციების, ფეიკების გავრცელება და ა.შ.), შერჩევითი საბოტაჟი (მასში ნაგულისხმევ შინაარსს ქვემოთ დავაკონკრეტებთ), გამიზნული მოშორება ან ნეიტრალიზაცია მმართველი ძალის საკვანძო მნიშვნელობის მქონე პირებისა**.

ძირგამომთხრელი საქმიანობა მიმართულია, რათა დასცეს მმართველი ძალის გავლენა-ძლიერება და იმავდროულად ხელი შეუწყოს წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერის ზრდას. ამის ფართოდ გავრცელებული და ისტორიულად დამკვიდრებული არაერთი მაგალითი გვაქვს, სახელდობრ, როდესაც წინააღმდეგობის მოძრაობა აღვივებს

დიდ სამოქალაქო მღელვარებას ოკუპანტის მიმართ, რასაც უმეტესწილად მოჰყვება ხოლმე ამ უკანასკნელის უკურეაქცია რეპრესიული ზომების გაძლიერების სახით; ხოლო წინააღმ-დეგობის მოძრაობა, თავის მხრივ, დოკუმენტურად აფიქსირებს მოწინააღმდეგის თითოეულ ასეთ ბოროტმოქმედებას, რათა მოახდინოს მისი სრული დისკრედიტაცია როგორც საკუთარი ხალხის, ასევე საერთაშორისო საზოგადოების თვალში და უფრო მეტიც, თავად ოკუპანტი ქვეყნის საზოგადოების თვალში.

ძირგამომთხრელმა საქმიანობამ უნდა მიაღწიოს შემდეგ მიზნებს: ძირი გამოუთხაროს ოკუპანტის სამხედრო და ზოგა-დად უსაფრთხოების ინსტიტუტების ძალას და რეპუტაციას; შეაღწიოს საკვანძო მნიშვნელობის იმ სამთავრობო ორგანიზა-ციებში, რომლებსაც მართავს და აკონტროლებს საოკუპაციო ხელისუფლება და მოარყიოს-მოშალოს მათი მუშაობის მექა-ნიზმები; განახორციელოს ოკუპანტის წინააღმდეგ ფსიქოლო-გიური ოპერაციები, რათა დასცეს მისი პოლიტიკური ავტორი-ტეტი.[114]

იატაკქვეშეთი - საბოტაჟი. საბოტაჟი ზოგადად შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მოწინააღმდეგის განკარგულებაში

114 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

მყოფი საკუთრების წინასწარ-განზრახვით განადგურება; მოწინააღმდეგის სასიცოცხლოდ აუცილებელი ქმედებების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ასევე იმ პროდუქციის დაზიანება, დესტრუქცია ან კიდევ მისი შეგნებულად უხარისხო წარმოება, რასაც იგი იყენებს ომისა თუ ეროვნული თავდაცვისათვის. საბოტაჟი შეიძლება იყოს ლეტალური ან არალეტალური და იგი იყოფა გენერალურ და შერჩევით საბოტაჟად.

ა) შერჩევითი საბოტაჟი. იატაკქვეშეთი მიმართავს ე.წ. სელექციურ საბოტაჟს, რათა მწყობრიდან გამოიყვანოს გარკვეული დანადგარები თუ ზოგადად სამეურნეო (საწარმოო, ინფრასტრუქტურული) ობიექტები, რომლებიც კრიტიკულად საჭიროა ოკუპანტის მოთხოვნილებებისათვის და რომელთა დროული შეცვლა ან კიდევ შეკეთება შეუძლებელია. ამის მაგალითია ისეთი ტაქტიკური სამიზნის მწყობრიდან გამოყვანა, როგორიცაა ხიდი, რაც არსებითია მტრის ჯარების გადაადგილებისა და მომარაგების ტრანსპორტირებისათვის. სელექციური საბოტაჟის სხვა ფორმაა არაკინეტიკური დარტყმა, როგორიცაა კიბერშეტევა სატრანსპორტო ცენტრზე ან კიდევ სადისპეტჩერო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემაზე (supervisory control and data acquisition system – SCADA). იატაკქვეშეთი ჩვეულებრივ წარმატებულია შერჩევით საბოტაჟში, ვინაიდან მას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს დივერსიული აქტით გამოწ-

ვეული მოქმედების დრო, განსხვავებით იმ რთული კოორდინაციისაგან, რასაც მოითხოვს კონვენციური ძალების ფართო შეტევა იგივე ობიექტზე: მაგალითად, იატაკქვეშეთის ორგანიზაციას შეუძლია მეტ-ნაკლებად ზუსტად გათვალოს ხიდის აფეთქების დრო. მაგრამ აქ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი ვითარებაც: როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტი განადგურებულია ან დაზიანებულია იმის გათვალისწინების გარეშე თუ რა ზარალი მიადგება ამით მტერს, მაშინ ამან შეიძლება დიდი პრობლემები შეუქმნას მხოლოდ საკუთარ მოსახლეობას.

წინააღმდეგობის წევრები, რომლებიც ოპერირებენ ასაფეთქებელი ნივთიერებებით, ხშირ შემთხვევაში არ გვევლინებიან შენობათა აფეთქების ექსპერტებად და ამიტომაც საჭიროებენ შედარებით უსაფრთხო, ხელმისაწვდომ ასაფეთქებელ კომპონენტებს, რისი გაკეთება და გამოყენებაც შედარებით იოლია. მიუხედავად ამისა, ყოველთვის აუცილებელია ასაფეთქებელი მოწყობილობებით ოპერირების დეტალური ინსტრუქციების ცოდნა. **შესაბამისად, წინააღმდეგობის წევრთა ტრეინინგი და მომზადება ამგვარი საქმიანობისათვის იატაკქვეშეთის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა და ხშირად ეს მოითხოვს დახმარებას გარეშე აქტორებისაგან, კერძოდ, შესაბამისი დამატებითი სპეციალისტებით მომარაგების კუთხით**. ამგვარი უნ-

არ-ჩვევების და სპეციალური ცოდნის გადაცემის კიდევ ერთი გზაა ომის და ოკუპაციის პირობებში წინააღმდეგობის მოძრაობის უზრუნველყოფა სათანადო ლიტერატურითა და ონლაინ-მითითებებით. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა რადიოგადაცემებში ყოველდღიურად დრო ჰქონდა განკუთვნილი სპეციალურ პროგრამას - ,,კურსი პარტიზანებისათვის“ და ასევე იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ე.წ. ,,საბჭოთა ცნობარი პარტიზანებისათვის“.

ბ) გენერალური საბოტაჟი. იატაკქვეშა დივერსიული ოპერაციები არა მხოლოდ ხელს უშლიან მოწინააღმდეგის სამხედრო ქმედებებს, არამედ ხშირად უბიძგებენ მოსახლეობას საყოველთაო ანტისაოკუპაციო დესტრუქციულ ქმედებებში ჩართვისაკენ. ეს კი შეიძლება მიღწეული იქნას მოსახლეობაში სათანადო ინფორმაციების გავრცელებით, რის შედეგადაც შერჩევითი საბოტაჟი ადის საყოველთაო საბოტაჟის დონეზე. ამ უკანასკნელის აქციები იყოფა აქტიურ და პასიურ აქციებად. მართალია, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ დიდი მატერიალური ეფექტი, მაგრამ თანამემამულეების მოტივირება თუნდაც ამ უმნიშვნელო საბოტაჟის ქმედებათა შესრულებისაკენ უკვე თავისთავად დი-

დმნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს მტკიცედ აკავშირებს მათ საერთო ეროვნულ საქმესთან.[115]

ახლა რაც შეეხება ზოგადად აქტიურ და პასიურ საბოტაჟს: *გენერალური ინსტრუქცია აქტიური საბოტაჟისათვის შეიძლება შეიცავდეს მითითებებს სხვადასხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების გაკეთება-გამოყენების თაობაზე, ვთქვათ, როგორიცაა მოლოტოვის კოკტეილები ან კიდევ საყოფაცხოვრებო ნივთებისგან აწყობილი ხელყუმბარები და ა.შ. ასევე შეიძლება შეიცავდეს მითითებებს მტრის სატარანსპორტო საშუალებების დაზიანებისა და მათი გადაადგილების შეფერხების მეთოდების შესახებ; სოციალური ქსელების მეშვეობით მტრის მასიური საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ბომბარდირების თაობაზე და ა.შ. პასიურ საბოტაჟში კი შეიძლება იგულისხმებოდეს ყოველი ქმედება, რაც წინასწარ-განზრახვით აბრკოლებს იმ სახის პროდუქციის წარმოებას თუ იმ სხვადასხვა სახის მომსახურეობის პროცესს, რაც სჭირდება ოკუპანტს თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ან სამხედრო პოტენციალის უზრუნველყოფისათვის.*

2) პარტიზანული ომის მეთოდები. აქ ჩვენ ვეყრდნობით ო. რიაზანოვის ნაშრომს - ,,პარტიზანული ომის საფუძვლები: თეო-

115 Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

რია და პრაქტიკა“. მიუხედავად იმ მრავალფეროვნებისა და სახეცვლილებებისა, რომლებიც პარტიზანულ ბრძოლას ახასიათებს განსხვავებულ პოლიტიკურ, გეოგრაფიულ თუ სამხედრო პირობებში, ჩვენ მაინც შეგვიძლია განვსაზღვროთ მისთვის ზოგადად დამახასიათებელი არსებითი მახასიათებლები. სხვათა შორის, პარტიზანული ტაქტიკის უზოგადესი პრინციპი შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული მაო ძე დუნს: ,,მტერი გვიტევს - ჩვენ უკან ვიხევთ, მტერი შეჩერდა - ჩვენ მას ვაწუხებთ, მტერი დაიღალა - ჩვენ მას ვურტყამთ, მტერი უკან იხევს - ჩვენ მას მივდევთ.“ ვაანალიზებთ რა პარტიზანული მოძრაობის გაშლა-განვითარების პროცესს, უპირველეს ყოვლისა, ცხადი ხდება შემდეგი ვითარება: ჩვეულებრივ, აქტიური პარტიზანული წინააღმდეგობის დასაწყისი დაკავშირებულია რამდენიმე ან თუნდაც ერთი შეიარაღებული რაზმის მოქმედებებთან. **პირველი პარტიზანები შედიან ქვეყნის ძნელად მისასვლელ რაიონებში და ქმნიან იქ საყრდენ ბაზებს. ამის შემდგომ იწყება რაიონის ათვისება** - კარგი ურთიერთობების დამყარება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაიონის დეტალური დაზვერვა-შესწავლა, მომარაგების არხების ორგანიზება, ახალი მებრძოლების მოზიდვა, აქტიური პროპაგანდის წარმოება პარტიზანული მოძრაობის სასარგებლოდ. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ეტაპისთვის მთავარი ამოცანების გადაწყვეტა, რასაც თან ერ-

თვის პირველი ფრთხილი პარტიზანული ოპერაციები. **ამ ფაზას ეწოდება „თავდაცვის ფაზა“.**[116]

მორიგ ეტაპზე თანდათანობით იზრდება პარტიზანული აქტივობის არეალი, მათი რაზმების რიცხოვნობა და ასევე მათი შეიარაღებული მოქმედებების ეფექტურობაც, რის შედეგადაც ყალიბდება ე.წ. პარტიზანული რაიონი ან ზონა, რომელიც უშუალოდ ეკვრის საწყის საყრდენ ბაზას. ამის შემდგომ კი პარტიზანული ძალების ნაწილი მიემართება სხვა რაიონის ასათვისებლად; და ეს ექსპანსია გრძელდება შემდგომ და შემდგომ და იღებს სულ უფრო მზარდ მასშტაბებს. **ამ ეტაპზე ხდება საკმარისი რაოდენობის იარაღის, ტყვია-წამლის და ასაფეთქებელი მოწყობილობების მომარაგება შიდა თუ გარე არხებიდან და ეს იძლევა შესაძლებლობას, რათა პარტიზანებმა შექმნან დამატებითი ფარული იარაღის საწყობები უკვე ათვისებული რაიონის ფარგლებს მიღმა, ასევე შეაიარაღონ მოსახლეობის ნაწილი და რაც მთავარია, დაიწყონ პარტიზანული ომი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ადგილი აქვს სულ უფრო გაბედულ, რეგულარულ და ფართომასშტაბიან ოპერაციებს საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ.** სწორედ ამ ეტაპზე გაშლა-განვითარებას ჰპოვებს პარტიზანული ომის წარმოების მთელი სპეციფიკა, რომლის

116 Основы партизанской войны: теория и практика
(Рязанов О. http://militera.org/science/articles/r/t36666/#:~:text)

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია იმპროვიზაცია; სახელდობრ, აქ სახეზეა მუდმივი ინდივიდუალური და კოლექტიური იმპროვიზაცია გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების ხერხების განსაზღვრისას. ჩე გევარა თავის წიგნში - ,,პარტიზანული ომი" წერს, რომ კლასიკური ომის დამყაყებული მეთოდებისგან განსხვავებით პარტიზანები ყოველთვის გაწაფულნი არიან თავიანთი ტაქტიკის გამომგონებლობაში, რითაც მუდმივად მოულოდნელად თავს ადგებიან მოწინააღმდეგეს. თავის მხრივ, სოკუპაციო ძალები რეგულარულად დაკავებულნი არიან პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ აქტიური და ფართომასშტაბიანი ქმედებებით. **ესაა ე.წ. ,,წონასწორობის ფაზა".** აღსანიშნია, რომ პარტიზანთა შემდგომი ბაზირების ორგანიზება შეიძლება ხდებოდეს ან პარტიზანთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ან მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ან კიდევ ორივე მხრიდან არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. ბაზის სიცოცხლისუნარიანობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მიზანშეწონილია ძირითადი ბაზის, 1-2 დამატებითი ბაზის და 1-2 ცრუ ბაზის შექმნა. და რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ამ ბაზირების რაიონის სათანადო დაცვის უზრუნველყოფა.

და ბოლოს, **საბოლოო ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ ,,შეტევის ფაზა"**. იგი ხასიათდება მოწინააღმდეგე ძალთა ფართო მა-

ნევრული მოქმედებებით ქვეყნის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. **პარტიზანული მოძრაობა ახორციელებს სულ უფრო ფართომასშტაბიან და რეზულტატიურ ოპერაციებს, რათა მოიპოვოს ფაქტობრივი კონტროლი ოკუპირებული ტერიტორიების დიდ ნაწილზე**. მისი ქმედებები უკვე გვევლინება თავისებურ სტრატეგიულ შეტევად რამდენიმე ოპერაციონალური მიმართულებით, რასაც ხშირად მოაქვს მოწინააღმდეგის გარნიზონთა და საველე დაჯგუფებათა ბლოკირება მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. თუმცა ამ ფაზაშიც პარტიზანული მოძრაობა მტკიცედ მისდევს ომის წარმოების თავის სპეციფიკურ წესს, სტრატეგიას და მეთოდებს და შესაბამისად, არ შედის მოწინააღმდეგესთან დიდ საბრძოლო შეტაკებაში.

პარტიზანული ბრძოლის ძირითადი მეთოდებია ჩასაფრებები, თავდასხმები, დივერსიები და რეიდები.

ა) ჩასაფრებისათვის საჭირო ძალები დამოკიდებულია გარემო პირობებზე და შესაბამისად, იგი შეიძლება ითვლიდეს 30-40 მებრძოლს და შეიძლება გაცილებით მეტსაც, მაგალითად, 100-150-ს. **ჩასაფრების ორგანიზებისათვის პარტიზანული რაზმის მეთაურმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვროს ჩასაფრების ადგილი, შემდეგ, მოწინააღმდეგის გადაადგილების გზაზე ამა თუ იმ სახის წინაღობათა მოწყობის ადგილი, თავისი რაზმის საბრძოლო მოწყობა-განლაგება, ცეცხლის გახსნის წესი, მე-**

ბრძოლთა მოქმედებები ტექნიკის, იარაღის, ტყვეების, დოკუმენტების და ა.შ. ხელში ჩაგდების მიზნით; ასევე უნდა განსაზღვროს შეკრების პუნქტში უკან დახევის წესი საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდგომ.[117]

უმეტესწილად, ჩასაფრებისათვის ხდება ისეთი ადგილმდებარეობის შერჩევა, სადაც მოწინააღმდეგე იძულებულია შეანელოს თავისი გადაადგილება და სადაც შეზღუდულია მისი თვალსაწიერის და მანევრის არეალი. ამიტომაც ყველაზე უფრო მოსახერხებელია ჩასაფრებების მოწყობა ვიწროებში, ღრეებში, ხეობებში. ჩასაფრებისას საბრძოლო წყობა, როგორც წესი, შედგება 1-2 მოიერიშე ჯგუფისაგან, უზრუნველყოფის ჯგუფისაგან და რეზერვის ჯგუფისაგან. ჩასაფრებების მოწყობა ასევე ხდება მოწინააღმდეგის ავიაციის (თვითმფრინავების და ვერტმფრენების) გადაფრენის მარშრუტებზე, რაც დღესდღეობით სულ უფრო მნიშვნელოვან ხასიათს იძენს.

ბ) თავდასხმა წარმოადგენს მოწინააღმდეგის ობიექტზე მოულოდნელ თავდასხმას მისი განადგურების ან ხელში ჩაგდების მიზნით. მიუხედავად პარტიზანული ბრძოლის ამ მეთოდის დიდი ეფექტურობისა, იგი საჭიროებს საკმაოდ ხანგრძლივ მომზადებას და თანაც დაკავშირებულია გარდაუვალ ადამიანურ

117 Основы партизанской войны: теория и практика
(Рязанов О. http://militera.org/science/articles/r/t36666/#:~:text)

დანაკარგებთან. თავდასხმის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია *მოულოდნელობა და სისწრაფე*. ჩვეულებრივ, **საბრძოლო მწყობრი თავდასხმისას შედგება მოიერიშე (დამრტყმელი) ჯგუფებისაგან, საცეცხლე ჯგუფისაგან, უზრუნველყოფის ჯგუფებისაგან (ე.ი. დამფარავი და განმარიდებელი ფუნქციების მქონე ჯგუფებისაგან) და რეზერვის ჯგუფისაგან**. პარტიზანულ თავდასხმას აუცილებლად წინ უძღვის ობიექტის სკრუპულოზური დაზვერვა, რათა განისაზღვროს მისი თავისებურება და მუშაობის რეჟიმი, დაცვის სისტემა, წინაღობათა განლაგება, უახლოესი რეზერვების ადგილმდებარეობა და ობიექტისაკენ მათი მოძრაობის მარშრუტები. უმეტესწილად ამ თავდასხმების ობიექტებად გვევლინებიან მოწინააღმდეგის სამხედრო ბლოკპოსტები და ცალკეული საყრდენი პუნქტები.

პარტიზანული საცეცხლე თავდასხმა წარმოადგენს მოწინააღმდეგის შეზღუდული ზომის მქონე ობიექტებზე დარტყმას არტილერიის, ნაღმმტყორცნების, ცეცხლმტყორცნების, დრონების თუ სხვა საცეცხლე საშუალებების მეოხებით. თანაც ეს ხორციელდება ობიექტზე შეღწევის გარეშე, რაც თავისთავად დიდად ამცირებს ადამიანური დანაკარგების რისკს პარტიზანებისათვის. ასეთ ობიექტებად შეიძლება გვევლინებოდნენ მოწინააღმდეგის მართვის პუნქტები, რადიოსადგურები, მის გან-

კარგულებაში მყოფი ცალკეული შენობები რკინიგზაზე თუ სხვა საკომუნიკაციო გზებზე.

გ) დივერსია უთუოდ წარმოადგენს პარტიზანებისათვის მეტად ხელსაყრელ ბრძოლის მეთოდს, ვინაიდან მისი მეშვეობით შესაძლებელია დიდი მატერიალური ზიანი მიადგეს მტერს, თანაც მასთან საბრძოლო კონტაქტში შესვლის გარეშე. დივერსიის ობიექტებს ჩვეულებრივ წარმოადგენენ მოწინააღმდეგის მართვის პუნქტები, ადმინისტრაციის შენობები, ელექტროსადგურები, კავშირგაბმულობის კვანძები, აეროდრომები, საკომუნიკაციო გზები, ელექტროგადაცემის ხაზები და ა.შ. **დივერსიის წარმატება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: პარტიზანების მომზადების ხარისხზე; საჭირო და ხარისხიანი დივერსიული ტექნიკის არსებობაზე; დივერსიის ობიექტის შესახებ სარწმუნო სადაზვერვო ინფორმაციაზე; დივერსიის შესრულების წესის, საშუალებების და შესაბამისი დროის სწორ შერჩევაზე; შენიღბვის და კონსპირაციის მკაცრ დაცვაზე დივერსიის მომზადების და განხორციელების დროს**. დივერსიის ამოცანის შესასრულებლად პარტიზანული ჯგუფის მეთაურმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განახორციელოს სამიზნე ობიექტის დამატებითი დაზვერვა, რათა კიდევ უფრო დააზუსტოს მისი განლაგება, გამოავლინოს სუსტი ადგილები, ობიექტის დაცვის სისტემა და ასევე მასში შეღწევის შესაძლებლობები.

ამის შემდგომ პარტიზანული ჯგუფის მეთაური იღებს დივერსიის მოწყობის გადაწყვეტილებას, განსაზღვრავს ობიექტზე შეღწევის წესრიგს და დივერსიის შესრულების ხერხს, შემსრულებელთა ამოცანებს, მართვის და კავშირის სიგნალებს, უკანდახევის გზებს და შეკრების პუნქტებს.

დ) პარტიზანული ბრძოლის კიდევ ერთი ძალზედ ეფექტური და მნიშვნელოვანი მეთოდია პარტიზანული რეიდები. **იგი წარმოადგენს პარტიზანული ფორმირებების დიდ გადაადგილებას წინასწარ დაზვერილ რაიონში, რათა მათ იქ შეასრულონ გარკვეული საბრძოლო ამოცანები - თავდასხმები, ჩასაფრებები, დივერსიები**. რეიდების შესრულებისას მრავალჯერადად იზრდება პარტიზანული რაზმების სიცოცხლისუნარიანობაც, მათი მოქმედების არეალიც და მათი დარტყმების ობიექტთა რაოდენობაც. სწორედ ამიტომ, რეიდი, უთუოდ, ითვლება პარტიზანული ომის წარმოების აქტიურ ფორმად.[118]

3) დამხმარე კომპონენტის ფარული წინააღმდეგობა, როგორც ომის წარმოების შემადგენელი. წინააღმდეგობის ორგანიზაციის დამხმარე კომპონენტი ფუნქციონირებს როგორც მხარდამჭერი როლის შემსრულებელი. მისი წევრების ქმედებები ატარებენ შეფარულ ხასიათს, ვინაიდან ეს ადამიანები არ ამჟღავ-

118 Основы партизанской войны: теория и практика
(Рязанов О. http://militera.org/science/articles/r/t36666/#:~:text)

ნებენ თავიანთ სიმპატიებს ორგანიზებული წინააღმდეგობის მიმართ ან თავიანთ ჩართულობას მასში. **დამხმარე კომპონენტის კადრები ჩვეულებრივ მუშაობენ სხვადასხვა სამსახურებში და მათ შორის ისეთ პოზიციებზე, რომლებიც ძალზედ საჭირო და სასარგელო შეიძლება იყოს წინააღმდეგობის ორგანიზაციისათვის (მაგალითად, სამთავრობო უწყებების მოხელეების თუ სამთავრობო კომუნიკაციების და ტრანსპორტის მუშაკების ან კიდევ მედ-პერსონალის პოზიციებზე)**. მათი მონაწილეობა წინააღმდეგობის აქტივობებში ატარებს ეპიზოდურ ხასიათს, კერძოდ, წინააღმდეგობის მოძრაობის მოთხოვნებისა და დაკვეთების მიხედვით. მაგალითად, მათ შეიძლება დაუკავშირდეს იატაკქვეშეთი კონკრეტული დახმარების მისაღებად, ვთქვათ, ქირურგიული ოპერაციისათვის; ან კიდევ, პირიქით, დამხმარე კომპონენტი შეიძლება დაუკავშირდეს იატაკქვეშეთს ან პარტიზანებს, რათა მიაწოდოს მათ გარკვეული ინფორმაცია ოკუპანტის ჯარის გადაადგილების შესახებ.

არაძალადობრივი წინააღმდეგობა. იგი გვევლინება წინააღმდეგობის ერთიანი მოძრაობის მეორე ძირითად სახეობად, და მას შეუძლია ძალზედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საბოლოო მიზნის მიღწევაში - ქვეყნის დეოკუპაციაში. ესაა ბრძოლის მშვიდობიან, არაძალისმიერ მეთოდებზე დამყარებული საჯარო აქტივობები, რომელთა ამოცანასაც შეადგენს

ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგულარული პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევა; მოსახლეობაში საპროტესტო მუხტის გაღვიძება-გაძლიერება და მისი სულ უფრო და უფრო ფართო ფენების ჩართვა ანტისაოკუპაციო მშვიდობიან მოძრაობაში; საოკუპაციო ხელისუფლების სრული დისკრედიტაცია ხალხის თვალში; და ბოლოს, ამ აქტივობების გადაზრდა სრული ეროვნული დაუმორჩილებლობის პროცესში. აღნიშნული ამოცანების რეალიზაცია კი ემსახურება შემდეგი მიზნის მიღწევას: ესაა საოკუპაციო ხელისუფლების თანმიმდევრული პარალიზება, მისი ფუნქციონირების მოშლა და საბოლოო ჯამში, ქვეყნის (ან მისი გარკვეული ნაწილის) სრული განთავისუფლება ოკუპაციის უღელისაგან.

ამ ამოცანების შესრულებისა და დასახული მიზნის მიღწევისათვის კი არაძალადობრივი წინააღმდეგობის მოძრაობა მიმართავს მშვიდობიანი ბრძოლის ისეთ ფორმებს, როგორიცაა საპროტესტო მიტინგები, მანიფესტაციები, გაფიცვები; ჟურნალების, პროკლამაციების, მოწოდებების გავრცელება ბეჭდვითი თუ ელექტრონული საშუალებებით. ვინაიდან უმეტესწილად საოკუპაციო რეჟიმი კრძალავს ასეთი პოლიტიკური აქციების ჩატარებას, ამიტომ იგი არაძალადობრივი წინააღმდეგობის აქციებს, როგორც წესი, სასტიკად უსწორდება ძალისმიერი მეთოდებით. მაგრამ ამ ვითარებამ წინააღმდეგობის მოძ-

რაობის დათრგუნვა და დეზინტეგრაცია კი არ უნდა გამოიწ-ვიოს, არამედ პირიქით, მისი სულისკვეთების და ბრძოლისუ-ნარიანობის კიდევ უფრო გაძლიერება: სწორედ მოძრაობის ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ საოკუპაციო რეჟიმის სისას-ტიკის და ძალადობის ფაქტების გამოყენება საზოგადოებაში უკომპრომისო საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად.

არაძალადობრივი წინააღმდეგობის მოძრაობის წარმატე-ბული განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს კარგად ორგანიზებული ხასიათი: სახელდობრ, მის ცენტრა-ლიზებულ მართვა-კონტროლს უნდა ახორციელებდეს ერთია-ნი მაკოორდინირებელი ორგანო, ვთქვათ, დეოკუპაციის კომი-ტეტი ან ეროვნული ხსნის კომიტეტი; ხოლო ადგილობრივ დონეზე უნდა ფუნქციონირებდეს წინააღმდეგობის (დაუმორ-ჩილებლობის) ადგილობრივი ორგანიზაცია. სასურველია, რომ ოკუპირებული ტერიტორიის ყველა რაიონში მოქმედებდეს ასეთი ადგილობრივი ორგანიზაცია. ასევე მიზანშეწონილია, რომ ფუნქციონირებდეს სათანადო ორგანო, რომელიც მეტ-ნაკ-ლებად უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას, და კერ-ძოდ, მის დაცვას იმ აგენტურულ-ძირგამომთხრელი საქმიანო-ბისაგან, რომელსაც, ჩვეულებრივ, აწარმოებს საოკუპაციო რეჟ-იმი განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

საბოლოო ჯამში, არაძალადობრივი წინააღმდეგობის მოძრაობის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ქვეყნის (ან მისი ნაწილის) დეოკუპაციას, რაც შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური დარეგულირების გზით ან კიდევ სამხედრო მეთოდებით. ეს უკანასკნელი კი შეიძლება განხორციელდეს ან საკუთარი ქვეყნის შეიარაღებული ძალების (კერძოდ, როდესაც ქვეყნის მხოლოდ ნაწილია ოკუპირებული) ან მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ან ერთობლივი ძალების მეშვეობით.

მცირე ისტორიული ექსკურსი

წინააღმდეგობის მოძრაობის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნა და შემდგომ მისი დასახსრული კონცეპტის ჩამოყალიბება შეუძლებელია ისტორიული ექსკურსის გარეშე: ძალზედ მნიშვნელოვანია წინააღმდეგობის ცოცხალი ისტორიული მაგალითების შესწავლა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ნაშრომის ფორმატი არ გვაძლევს ვრცელი ისტორიული მიმოხილვის ჩატარების საშუალებას და ამიტომაც ძალზედ მოკლე აპელირებით შემოვიფარგლებით, რაც თავისთავად სასარგებლო და აუცილებელიცაა. უზარმაზარია სია წინააღმდეგობის ორგანიზაციათა, რომელიც სხვდასხვა ეპოქებსა და პლანეტის თითქმის ყველა მხარეს მოიცავს. ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ორ კლასიკურ მაგალითს, გამომდინარე

მათი შედეგების დიდი მნიშვნელობიდან; ესაა - ესპანური გერილია და ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა.

ის შეიარაღებული სამოქალაქო აქციები, რომლებსაც ახორციელებდნენ არარეგულარული რაზმები ნაპოლეონის „გრანდ არმიის“ წინააღმდეგ ესპანეთსა და პორტუგალიაში ე.წ. ნახევარკუნძულის ომის დროს, ხასიათდებიან პარტიზანული ომის წარმოების წესით და იგი ცნობილია „გერილიის“ სახელით. დიახ, ეს პარტიზანები წარმოადგენდნენ ფრანგული არმიის თანმიმდევრული გამოფიტვის, დესტაბილიზაციის მუდმივ წყაროს, რასაც შესანიშნავად აღწერს ერთი პრუსიელი ოფიცერი, რომელსაც უწევდა ნახევარკუნძულის ომში მონაწილეობა ფრანგების მხარეზე: „*სადაც კი ჩვენ მივდიოდით, ისინი იქიდან ქრებოდნენ; როდესაც კი ჩვენ იქაურობას ვტოვებდით, ისინი მოდიოდნენ - ისინი იყვნენ ყველგან და არსად, მათ არ გააჩნდათ რაიმე ხელშესახები ცენტრი, რაზედაც შეიძლებოდა იერიშის მიტანა*“ - წერს იგი. ნახევარკუნძულის ომის მსვლელობისას პირველად ევროპის ისტორიაში ადგილი ჰქონდა პარტიზანული ომის წარმოების ფართომასშტაბიან გამოყენებას და სწორედ ესაა არსებითი და უმნიშვნელოვანესი აღნიშნულ ომში. ფრანგების სარდლობამ, რომელიც ამ კამპანიის დროს, ღია ბრძოლის ველზე ძირითადად დაუმარცხებელი იყო, ვერ შეძლო ვერც გერილიის წინასწარგანჭვრეტა და შემ-

დეგ ვერც მისი ნეიტრალიზება; უფრო მეტიც, ნაპოლეონის არმია, საბოლოო ჯამში, არა მხოლოდ დამარცხდა ამ ომის დროს, არამედ ხანგრძლივად დაბმული აღმოჩნდა აქ - იბერიის ნახევარკუნძულზე.

1812 წლის დოკუმენტური მონაცემების მიხედვით ასეთ ირეგულარულ პარტიზანულ რაზმებში ეპანეთის ტერიტორიაზე გაერთიანებული იყო 38 520 ადამიანი და ეს ძალა დაყოფილი იყო 22 პარტიზანულ დაჯგუფებად. როდესაც აშკარა გახდა პარტიზანული ბრძოლის წარმატებები და ეფექტი როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად, 1808 წლის 28 დეკემბერს Junta Central Suprema-მ (ოკუპაციის პირობებში ჩამოყალიბებული ადგილობრივი პატრიოტული ადმინისტრაციების უმაღლესი გაერთიანება) გამოსცა დეკრეტი, რომელიც არეგულირებდა პარტიზანული რაზმების ფორმირებას. მალევე 1809 წელს მას მოჰყვა ახალი დეკრეტი, რომელიც პარტიზანებს უფლებას ანიჭებდა ბრძოლაში მოპოვებული ალაფის მითვისება-გამოყენებისა - ფულის, საკვების, ეკიპირების და ა.შ. სახით. შემდგომ და შემდგომ, ომის მსვლელობისას, ხდებოდა ამ პარტიზანული ჯგუფების ინკორპორირება ესპანეთის რეგულარულ არმიაში და

შესაბამისად, მათი ლიდერებიც იღებდნენ სამხედრო წოდებებს.[119]

ესპანელი პარტიზანები ინტენსიურად თავს ესხმოდნენ გრანდ არმიის ზურგს, მის ეშელონურ კომპონენტებს - კომუნიკაციებს, მომარაგების ხაზებს და ა.შ. ეს პარტიზანები ძირითადად იყვნენ უბრალო მოქალაქეები და უმეტესწილად, სოფლის მაცხოვრებელნი. გერილიის ეს დიდი საბრძოლო წარმატებები უმადლოდა მცირერიცხოვანი ადამიანების ჯგუფებს, მათ მცირე ეკიპირებას და უზარმაზარ ენერგიას, რასაც მოითხოვდა მუდმივი მოძრაობა, ფართო არეალის კონტროლი და ფრანგული ჯარის ნაწილების გადაადგილებისათვის პერმანენტული ხელის შეშლა. გერილიის მრავალრიცხოვან წარმატებულ აქციათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი უმნიშვნელოვანესი მოვლენები:

ა) არლაბანის ბრძოლა. ესპანელმა პარტიზანებმა (დაახლოებით 3000-4500 კაცის შემადგენლობით) მოაწყვეს ჩასაფრება და ხელში ჩაიგდეს ფრანგული კოლონის შუა ნაწილი, რომელიც შედგებოდა 150 საზიდარისა და 1050 პატიმარისაგან და რომელსაც ესკორტირებას უწევდა 1600 ფრანგი ჯარისკაცი პოლკოვნიკ ლეფიტის ხელმძღვანელობით. ეს კოლონა გაწელილი

119 Wikipedia „Guerrilla warfare in the Peninsular War" (https://en.wikipedia.org/wiki/Guerrilla_warfare_in_the_Peninsular_War)

იყო 5 კილომეტრის სიგრძის მთის გადასავლელ გზაზე, რომელიც საფრანგეთისაკენ მიემართებოდა. ამ რეიდის შედეგად პარტიზანებმა გაანთავისუფლეს 1042 ბრიტანელი, პორტუგალიელი, ესპანელი პატიმარი და ხელში ჩაიგდეს დაახლოებით ოთხი მილიონი რეალის ქონება. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ესპოზი მინა.

ბ) სანპაიოს ბრძოლა. ამ ბრძოლაში ცნობილ ფრანგ მარშალ ნეის არმია დამარცხდა ესპანურ არმიასთან. როდესაც ნეიმ დაიწყო უკან დახევა, ამ დროს იგი მოექცა გერილიის ძალების ძლიერი ცეცხლის ქვეშ, რის შედეგადაც უფრო მეტი დანაკარგი განიცადა, ვიდრე თავად ესპანურ არმიასთან შერკინების დროს.

ამგვარად, მიუხედავად ფრანგების გამარჯვებებისა ნახევარკუნძულის კონვენციურ ომში, ისინი სასტიკად დამარცხდნენ არაკონვეციურ ომში და ამან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაპოლეონის ომების საბოლოო შედეგების განსაზღვრაში. გერილიის შედეგად მიღებულ სტრესს ნაპოლეონი აღნიშნავდა, როგორც ისეთ რამეს, რაც მას კლავდა.[120]

ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა იმ ორგანიზაციათა ნაკრებია, რომლებიც იბრძოდნენ ნაცისტური ოკუპაციისა და ვიშის კოლაბორაციონისტული რეჟიმის წინააღმდეგ მეორე

120 Wikipedia „Guerrilla warfare in the Peninsular War" (https://en.wikipedia.org/wiki/Guerrilla_warfare_in_the_Peninsular_War)

მსოფლიო ომის დროს. ამ წინააღმდეგობის მოძრაობის ცალკეული უჯრედები წარმოადგენდნენ შეიარაღებული კაცებისა და ქალების მცირე ჯგუფებს და ისინი პარტიზანულ ქმედებებთან ერთად ეწეოდნენ მრავალმხრივ აქტივობას: გამოსცემდნენ იატაკქვეშა გაზეთებს, აგროვებდნენ სადაზვერვო ინფორმაციებს და ეხმარებოდნენ მტრის ზურგში ჩარჩენილ ჯარისკაცებს, რათა იქიდან თავი დაეღწიათ. წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართული იყო ფრანგული სოციუმის ნებისმიერი ფენის და ნებისმიერი პოლიტიკური ორიენტაციის წარმომადგენელი - პროფესორ-მასწავლებლები, აკადემიკოსები, სტუდენტები, ,,უბრალო“ ხალხი და არისტოკრატები, მართლმორწმუნე კათოლიკეები, პროტესტანტები, ებრაელები, მუსლიმები, ლიბერალები, კონსერვატორები, ანარქისტები და კომუნისტები.

ფრანგულმა წინააღმდეგობის მოძრაობამ აღმოცენების, ჩამოყალიბებისა და განვითარების საკმაოდ გრძელი გზა გაიარა. 1940 წლის 31 დეკემბერს გენერალმა შარლ დე გოლმა BBC-ის სპეციალურ რადიოგადაცემაში გამოსვლისას თხოვნით მიმართა თანამემამულეებს, რათა ისინი სახლში დარჩენილიყვნენ ახალ წელს დღის სამიდან ოთხ საათამდე და ამით გამოეხატათ თავიანთი პასიური წინააღმდეგობა. ამ მოწოდებას მასიური გამოხმაურება ჰქონდა მიუხედავად გერმანელ ოკუპანტთა მცდელობებისა, რომ აღნიშნულ დროს ხალხი

გარეთ გამოეტყუებინათ. მაგრამ ისტორიული მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა შარლ დე გოლის მიმართვა ფრანგი ხალხისადმი, რომელიც მან წარმოთქვა BBC-ის რადიოთი 1940 წლის 18 ივნისს და რითაც მან ბიძგი მისცა ფრანგული წინააღმდეგობის მძლავრ ამოფრქვევას.[121]

1941 წლის 5 მაისს SOE-ს (Special Operative Executive – დიდი ბრიტანეთის სპეციალურ ოპერაციათა სამსახური მეორე მსოფლიო ომის დროს) პირველი აგენტი (ოპერატიული თანამშრომელი) დაეშვა საფრანგეთის მიწაზე, სახელდობრ, კონტაქტის დასამყარებლად წინააღმდეგობის ჯგუფებთან. ეს პიროვნება იყო ჟორჟ ბეგიუ (Georges Be'gue'); სხვათა შორის, SOE უმეტესწილად რეკრუტირებას ახდენდა იმ ფრანგი მოქალაქეებისაგან, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდნენ ან კიდევ რომლებიც ლტოლვილებად დაბინავდნენ იქ. ჟორჟ ბეგიუს რჩევით ფრანგული წინააღმდეგობის ორგანიზაციები განსაკუთრებულ დავალებებს იღებდნენ BBC-ის სპეციალური მესიჯების მეშვეობით. მალევე SOE-მ დაიწყო მათი უზრუნველყოფა იარაღით, ბომბებით, ყალბი დოკუმენტებით, ფულით და რადიოსადგურებით. SOE-ს აგენტები ამზადებდნენ და წვრთ-

121 Wikipedia ,,French Resistance" (https://en.wikipedia.org/wiki/French_Resistance)

ნიდნენ წინააღმდეგობის წევრებს პარტიზანული ბრძოლის, შპიონაჟის და საბოტაჟის მეთოდებში.

აღსანიშნავია ასო V, რომელიც ომის დროს ჯერ დიდ ბრიტანეთში დამკვიდრდა, როგორც გამარჯვებისაკენ სწრაფვის სიმბოლო, ხოლო შემდგომ გადაკვეთა ლა-მანშის სრუტე და გამოჩნდა მთელ საფრანგეთში სხვადასხვა ადგილებში - ტროტუარებზე, კედლებზე და თვით გერმანულ სამხედრო მანქანებზე. იგი კიდევაც დარჩა წინააღმდეგობის მთავარ სიმბოლოდ ოკუპაციის დასრულებამდე.

1941 წლის 21 აგვისტოს ფრანგმა კომუნისტმა პიერ ჟორჟმა მოკლა გერმანელი საზღვაო ოფიცერი ანტონ მოზერი პარიზის მეტროში: ეს იყო გერმანელი ოფიცრის პირველი მკვლელობა ამ წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში. შურისძიების მიზნით ამას მოჰყვა ნაცისტი სამხედრო მმართველის, გენერალ ოტო ფონ სტულპნაგელის მიერ სამი ფრანგი მოქალაქის დახვრეტა.

1941 წლის 20 ოქტომბერს ქუჩაში მოკლეს ქ. ნანტის საველე კომენდანტი, პოლკოვნიკი კარლ ფრიდრიხ ჰოტცი. (ჩვენ აქ უბრალოდ მოგვყავს რამდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტი პარტიზანული აქციებისა, რათა ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ წინააღმდეგობის მოძრაობის თანმიმდევრული განვითარების შესახებ).

1942 წლის 2 იანვრის ღამეს ბრიტანული თვითმფრინავიდან პარაშუტით დაეშვა ვინმე ჟან მოლინი საფრანგეთის მიწაზე: მან ჩამოიტანა გენერალ შარლ დე გოლის ბრძანება მთელი წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანების შესახებ და ასევე მთელი წინააღმდეგობის მიერ მისი უზენაესი ხელმძღვანელობის ცნობის აუცილებლობის შესახებ. ამავე წელს იწყება საბოტაჟის მასობრივი აქციები იარაღის საწარმოებში, რაც განპირობებული აღმოჩნდა შემდეგი ვითარებით: წინააღმდეგობის ერთ-ერთმა გამოკვეთილმა წარმომადგენელმა ფრენეიმ გადმოიბირა ქ. ტულუზაში მცხოვრები ინჟინერი ენრი გარნიე. ეს უკანასკნელი შეუდგა იმ ქარხნის მუშების დატრეინინგებას, რომლებიც აწარმოებდნენ იარაღს ვერმახტისათვის, და კერძოდ, ასწავლიდა მათ თუ შეუმჩნევლად როგორ გამოეწვიათ პროდუქციის დაზიანება, რასაც დროთა განმავლობაში მოჰყვებოდა მათი მწყობრიდან გამოსვლა. ეს საბოტაჟის აქცია საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა.

1943 წლიდან წინააღმდეგობის მოძრაობა მასობრივ ხასიათს იღებს. 1943 წლის 26 მაისს პარიზში საიდუმლო შეკრებაზე, რომელსაც თავჯდომარეობდა ჟან მოლინი და რომელსაც ესწრებოდნენ წინააღმდეგობის ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლები, გადაწყდა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს ფორმირება. ამის შემდგომ წინააღმდეგობის მოძრაობის აქტივობე-

ბი სულ უფრო მეტად კოორდინირებული ხდება. 1943 წლის ივნისში იწყება დიდი საბოტაჟის კამპანია საფრანგეთის რკინიგზაზე. 1943-44 წლების ივნის-მაისის პერიოდში ამ კამპანიის შედეგად დაზიანდა 1.822 მატარებელი, განადგურდა 200 სამგზავრო ავტომანქანა, ხოლო 1.500 დაზიანდა; განადგურდა 2.500 სატვირთო ავტომანქანა, ხოლო 8.000 დაზიანდა.[122]

ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის პიკი 1944 წელზე მოდის. კერძოდ, მან მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების სწრაფ წინსვლას საფრანგეთის ტერიტორიაზე ნორმანდიაში დესანტირების შემდგომ, რასაც ადგილი ჰქონდა 1944 წლის 6 ივნისს. წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფები მოკავშირეთა ძალებს ამარაგებდნენ ღირებული სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაციებით, მათ შორის გერმანული თავდაცვითი ზღუდის (ე.წ. ატლანტიკური კედელის) შესახებ და ვერმახტის შენაერთებისა და დანაყოფების გადაადგილებების შესახებ. ასევე წინააღმდეგობის მოძრაობა გეგმავდა და ახორციელებდა დივერსიულ აქტებს ნაცისტების ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე, ტრანსპორტსა და ტელეკომუნიკაციის ქსელზე. ამ პერიოდში წინააღმდეგობის ჯგუფები მოექცნენ კიდევ უფრო მეტად ორგანიზებულ და იერარქიულ სის-

122 Wikipedia ,,French Resistance" (https://en.wikipedia.org/wiki/French_Resistance)

ტემაში და ისინი საზოგადოდ ცნობილნი იყვნენ ფრანგული შინაგანი ძალების სახელით. თუ კი 1944 წლის ივნისში მათი რიცხოვნობა დაახლოებით 100 000 მებრძოლს შეადგენდა, მალევე არნახული ტემპით ზრდის შედეგად ამ რიცხოვნობამ ოქტომბერში უკვე 400 00-ს მიაღწია.

ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა საკმაოდ ფართომასშტაბიანი, რეზონანსული და უნიკალური ისტორიული მოვლენა აღმოჩნდა. იგი ყოველთვის დარჩება სერიოზული ყურადღების, შესწავლის თუ მხატვრული ასახვის ობიექტად. ფაქტია, რომ მან განაპირობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მორალური შედეგები: სახელდობრ, თავისი წვლილი შეიტანა საფრანგეთის დეოკუპაციის საქმეში და ასევე ხელი შეუწყო ომის შემდგომ ფრანგი ხალხის ეროვნული ღირსებისა და სიამაყის განმტკიცებას.[123]

ეროვნული წინააღმდეგობის ფორმირება და მართვა ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური რეალიების და ფაქტორების გათვალისწინებით

ჩვენი ეროვნული წინააღმდეგობის ფორმირების და მართვის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს უზენაეს ეროვნულ მიზნებსა და ინტერესებს. ამ

123 Wikipedia ,,French Resistance" (https://en.wikipedia.org/wiki/French_Resistance)

თვალსაზრისით ყურადღებას განსაკუთრებით გავამახვილებთ შემდეგ ორიენტირებზე: სახელმწიფო სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფა; ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა; ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება; საერთაშორისო დონეზე საქართველოს ავტორიტეტის ზრდა და პოზიციების განმტკიცება, რაც გულისხმობს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და მეგობარ ქვეყნებთან სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავებას. სწორედ ეს ორიენტირები განსაზღვრავენ, ერთი მხრივ, იმას, თუ **რისთვისაა აუცილებელი** წინააღმდეგობის მოძრაობის მომზადება და განვითარება საჭიროების შემთხვევაში ანუ განსაზღვრავენ მის მიზანშეწონილებას; მეორე მხრივ კი, ამ მიზნებისა და სასიცოცხლო ინტერესების თანმიმდევრული რეალიზაციის პოლიტიკა წინარე-კრიზისულ ვითარებაში **უზრუნველყოფს წინააღმდეგობის ეფექტური გაშლის შესაძლებლობას**.

ამოვდივართ რა, ამ ნაციონალური მიზნებიდან და სასიცოცხლო ინტერესებიდან, ჩვენი ეროვნული წინააღმდეგობის ფორმირება-მართვის პროცესი არსებითად უნდა ითვალისწინებდეს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო და გეოპოლიტიკურ გამოწვევებს ქვეყნის წინაშე. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრე-

ბით გამოვყოფთ შემდეგ ვითარებებს: **აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია რუსეთის ფედერაციის მიერ; აქედან მომდინარე მცოცავი ოკუპაციის განგრძობადი პროცესი; რუსეთის ფედერაციის მიერ გაჩაღებული ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ; სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული კონფლიქტის ხელახლა აფეთქებისა და ესკალაციის საფრთხე; შეარაღებულ დაპირიპირებათა კერების ზრდა მახლობელ აღმოსავლეთში**.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამოვდივართ რა, ჩვენი ნაციონალური მიზნებიდან და ინტერესებიდან და მხედველობაში გვაქვს რა საქართველოს წინაშე არსებული უმთავრესი გეოპოლიტიკური გამოწვევები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროვნული წინააღმდეგობისთვის მზადება უპირატესად მიმართული უნდა იყოს რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებისაკენ. ფაქტია, რომ სადღეისოდ ასეთი ვითარებაა, ხოლო როდის და რამდენად შეიძლება შეიცვალოს იგი, ძნელად პროგნოზირებადია. შესაბამისად, ამან უნდა განსაზღვროს იმ უზარმაზარი სამუშაოს სპეციფიკაც, რასაც საჭიროებს ჩვენი წინააღმდეგობის ფორმირება.

ასევე ჩვენი ეროვნული წინააღმდეგობის ფორმირების და მართვის პროცესი მოითხოვს მთელი რიგი ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას. კერძოდ, წინარე-კრიზისულ

პერიოდში სათანადო მოქნილობა-მდგრადობის ჩამოყალიბებ-ბის ეფექტური წარმართვა საჭიროებს საკვანძო მნიშვნელობის ფსიქოლოგიური საკითხების გაანალიზებას, სწორი დასკვნებ-ბის გაკეთებას და აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავებ-ბას. ამ კუთხით ჩვენთვის გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებ-ბი, რასაც წინ უძღოდა კომპეტენტური ფსიქოლოგიური კონ-სულტაციები. სახელდობრ, წინააღმდეგობის მოძრაობის და განსაკუთრებით პარტიზანული ომის შესაძლებლობასთან და-კავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ საქართველოს მო-სახლეობის მოსალოდნელი როგორც პოზიტიური, ასევე ნეგა-ტიური განწყობა-რეაქციები აღნიშნული მოვლენის მიმართ. ამ განწყობასა და რეაქციებს ქვემოთ განხილული შემდეგი ფაქ-ტორები განსაზღვრავენ.

<u>ეროვნული წინააღმდეგობის და განსაკუთრებით, პარტი-ზანული ომის მიუღებლობა და მასთან დაკავშირებული ფაქ-ტორები</u>: აღნიშნული ფაქტორების განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინება მოსალოდნელია ზოგადად მცირერიცხოვან ერ-ებში და ამ ერების თვითშენახვის, თავდაცვის ინსტინქტს უკავ-შირდება. ეს ფაქტორებია: კონფორმულობა, ფსიქიკური ინერ-ცია და მენტალური გადაღლა, ბიოლოგიური მოთხოვნილებე-ბის არარეალიზებულობა (ფენომენი „რა დროს ომია, გვშია და გვცივა“), ეროვნული საკითხების მიმართ გულაცრუება, ინდი-

ფერენტობა და აპათია გაუთავებელი შიდა პოლიტიკური კონ-ფლიქტებისა და მოუგვარებელი სოციო-ეკონომიკური პრობ-ლემების გამო. ამავე დროს, საქართველოში სახეზეა რუსეთი-სადმი დამოკიდებულების ამბივალენტური ხასიათი - შიში, საფრთხის განცდა და „მიჩვევის“ ეფექტი („შეჩვეული ჭირი მარგებელიაო“). ასევე, არსებობს მოქალაქეთა ფართო კატეგო-რია, რომლებიც საერთოდ, რუსეთს მტრად არც აღიქვამენ და პირიქით, სწორედ მასთან ურთიერთობით წარმოუდგენიათ ქვეყნის მშვიდობიანი და წარმატებული არსებობა.

<u>ეროვნული წინააღმდეგობის და განსაკუთრებით, პარტი-ზანული ომის მიღება და მასთან დაკავშირებული ფაქტორები</u>**:** შელახული ეროვნული სიამაყე და პატრიოტიზმი, ქვეყნის გამ-თლიანების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთ-ხოვნილება, რევანშის იმპულსი, სახელმწიფოებრივი დამოუ-კიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცების მძაფრი ცნობიერება, დასავლური ცივილიზაციისკენ სწრაფვა.

რაც შეეხება წინააღმდეგობის მოძრაობის პერსონალის მომზადებას მოქნილობა-მდგრადობის გამომუშავების ფაზაში, საჭიროა გავითვალისწინოთ ჩვენი ნაციონალური ხასიათი-სათვის საკუთრივი მთელი რიგი თვისებები და უნარ-ჩვევები, რომლებიც შეიძლება ხელისშემშლელი, საზიანო ან კიდევ პი-რიქით, ხელშემწყობი აღმოჩნდეს წინააღმდეგობის საქმიანო-

ბისათვის. კერძოდ, ჭარბი სოციოაბილობა, ნარცისიზმი, ჭარბი ემოციურობა, დიდ სოციალურ ჯგუფებთან ინტეგრაციის ტენ-დენცია, მესუფრეობა, კომფორტის სიყვარული, ნაკლებ-ამტა-ნიანობა, დისციპლინის დეფიციტი - ესაა ნეგატივი წინააღმდე-გობის პერსონალისთვის. ხოლო პატრიოტიზმი, გაბედულება, ენთუზიაზმი-შემართება, იმპროვიზაციულობა, კრეატიულობა - პოზიტივი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფ-ლებამ ფართო საზოგადოებრივ სექტორთან ერთად, ინტენ-სიური მიზანმიმართული სამუშაო უნდა ჩაატაროს, რათა ხალ-ხში გაძლიერდეს დადებითი განწყობა-რეაქციები წინააღმდე-გობის მოძრაობის შესაძლებლობის მიმართ და შესაბამისად, მაქსიმალურად რედუცირდეს უარყოფითი განწყობა-რეაქციე-ბი. ამასთან ერთად, მოქნილობა-მდგრადობის ეტაპზე წინააღ-მდეგობის პერსონალის წინასწარი მომზადების პროცესში კვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით მან უნდა ჩაა-ტაროს ის აუცილებელი სამუშაოც (ტესტები, ფსიქოტრეინინ-გები და ა.შ.), რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ნეგა-ტიური თვისებების და უნარ-ჩვევების გამორიცხვას ან მინიმი-ზაციას, და პირიქით, პოზიტიურის გამოკვეთას და გაძლიერე-ბას.

როგორც უკვე ზემოთ დეტალურად განვიხილეთ, მოქნილობა-მდგრადობის შემუშავების ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. დაგეგმარებას წინააღმდეგობისათვის, რომელიც თავის თავში მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმარებას, დაგეგმარებას ემიგრირებული ან გადაადგილებული მთავრობისათვის და წინააღმდეგობის კომპონენტის წინარეკრიზისულ ორგანიზებას. საქართველოს მთავრობამ ეს სამუშაო ძალზედ მეთოდურად უნდა წარმართოს და შეასრულოს. **სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებით კი აქცენტს გავაკეთებდით მოკავშირეებთან მიზანმიმართულად ჩასატარებელ სამუშაოზე, რათა იატაკქვეშეთი და პარტიზანული მოძრაობა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი საგარეო დახმარებებითა და მათი მოძრაობის არხებით**. საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს გარეშე ძალიდან საფრთხის წამოსვლის და აგრესიის სხვადასხვა ვარიანტები და შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში საგარეო დახმარების შესაძლებლობები; აგრეთვე განსაზღვროს თუ რომელ ვარიანტს ენიჭება პრიორიტეტი მოცემულ პერიოდში და ყოველივე აქედან გამომდინარე, შეუდგეს მოსამზადებელ სამუშაოს მოკავშირეებთან ამ მიმართულებით.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მთავრობის მიერ წინააღმდეგობის კომპონენტის წინარე-

კრიზისულ ორგანიზებას: კერძოდ, იატაკქვეშეთის და პარტიზანული მოძრაობის კომპონენტებიც ნაწილობრივ უნდა ჩამოყალიბდნენ წინარე-კრიზისულ პერიოდში. არაა აუცილებელი, რომ ყოველი მათგანი სრულად იქნას დაკომპლექტებული იდენტიფიცირებული წევრებით, არამედ საჭიროა ზუსტად განისაზღვროს ხელმძღვანელი კადრები და გაწვრთნილი სპეციალისტები სხვადასხვა პროფილით - ისინი მზად უნდა იყვნენ კრიზისის მოახლოებისას.

მოქნილობა-მდგრადობის ფორმირების ეტაპზე საქართველოს მთავრობამ საჭიროა შეიმუშაოს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც უზრუნველყოფს საკანონმდებლო დონეზე იატაკქვეშეთის და პარტიზანული მოძრაობის სრულ ლეგიტიმურობას ოკუპაციის პირობებში და განსაზღვრავს იმ წინაპირობებს თუ კრიტერიუმებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ლეგიტიმურობის შესანარჩუნებლად. შემდგომ უკვე საქართველოს პარლამენტი დაამტკიცებს ამ კანონპროექტს. **ასევე მაქსიმალურად სრულფასოვანი გათვლების საფუძველზე ჩვენი მთავრობის მიერ უნდა მომზადდეს შესაბამისი ცვლილება საქართველოს ბიუჯეტის კანონში და სახელდობრ, გათვალისწინებულ იქნას ის სპეციალური ხარჯები, რაც აუცილებელია პარტიზანული და იატაკქვეშეთის მოძრაობის ფორმირებისა და გაშლისათვის.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც უკვე ნათელი ხდება მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი აგრესიის განხორციელების თაობაზე (და არა უბრალოდ ამის შესაძლებლობა) სახელმწიფო იწყებს წინააღმდეგობის ორგანიზაციის აქტივიზაციას ისეთივე დონეზე, როგორც მიმდინარეობს ჯარის მობილიზაცია. ხოლო როგორც კი აგრესორი თვალნათლივ ხელყოფს ეროვნულ სუვერენიტეტს და აწარმოებს მისი ტერიტორიის ოკუპაციას, მალევე იწყება ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის ამოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ პროცესში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ ზომაზე: ოპტიმალურია, როდესაც კრიზისის წინ მთავრობა ქმნის მაორგანიზებელ სუბიექტს, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს, განავითაროს და უხელმძღვანელოს წინააღმდეგობის მოძრაობას. შესაბამისად, **კრიზისის წინ საქართველოს მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს ეს მაორგანიზებელი სუბიექტი, რომელიც მიზანშეწონილია განთავსდეს თავდაცვის სამინისტროში. სავსებით ლოგიკურია, რომ ამ კორპუსის ხელმძღვანელი იყოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო მის შემადგენლობაში ფუნქციონალური მიმართულებებიდან გამომდინარე აუცილებლად შედიოდნენ უსაფრთხოების სამსახურის, საგარეო დაზვერვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, ეკონომიკის სამინის-**

ტროს, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. ამ კორპუ-სის არსებობა უნდა იყოს სრულიად გასაიდუმლოებული. იგი თავის სრულიად საიდუმლო სამუშაო გეგმას და შესაბამის რე-კომენდაციებს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

საქართველოს მთავრობამ უნდა ნათლად და მკაფიოდ ჩა-მოაყალიბოს წინააღმდეგობის მოძრაობის ერთიანი მიზანი და განზრახვა, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა და მხარდაჭერა ამ მოძრაობისადმი. სახელდობრ, აგრესიის რეალური საფრთხიდან გამომდინარე მან საჭიროა ზუსტად განსაზღვროს და გაასაჯაროოს მთელი ხალხისთვის, თუ რა მიზანს და ამოცანებს ისახავს ჩვენი ეროვნული წინააღ-მდეგობა. ამასთან ერთად, მან სასურველია შეიმუშაოს ეფექ-ტური, მოქნილი გზამკვლევი ნარატივი, რითაც იგი აწარმოებს დიალოგს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან წინააღმდე-გობის მოძრაობის თანადგომის ინტერესებიდან გამომდინარე: დიალოგს საქართველოს არასამთავრობოებთან, მეცნიერებ-თან, კულტურის მოღვაწეებთან, ბიზნესმენებთან და ა.შ. განსა-კუთრებული მნიშვნელობა ამ პროცესში ექნება ურთიერთობას საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და მის თა-ნადგომას სახელმწიფოს ანტისაოკუპაციო პოლიტიკისადმი. **მთელი ეს ძალიხმევა კი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რა-**

საც ეწოდება მთელი მთავრობის და მთელი საზოგადოების კოლაბორაცია.

წინააღმდეგობის მოძრაობის ფორმირების და გაშლის მიზნით საქართველოს მთავრობამ თანმიმდევრულად უნდა შეამზადოს და ჩამოაყალიბოს მისი კომპონენტები - ოთხი პრიმარული და ორი დამატებითი კომპონენტი. კერძოდ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ოთხი პრიმარული კომპონენტია: იატაკქვეშეთი, დამხმარე ძალები, პარტიზანული ძალები, საჯარო კომპონენტი. ხოლო ორი დამატებითი კომპონენტი - ოკუპაციის პირობებში ფუნქციონირებადი სამთავრობო ფორმაციები და სახალხო მონაწილეობა-მხარდაჭერა. როგორც ვიცით, პირველ მათგანს შეადგენს: ემიგრირებული მთავრობა, შიდა გადაადგილებული მთავრობა, არაოკუპირებულ დედაქალაქში დარჩენილი მთავრობა და ჩრდილოვანი მთავრობა. ჩვენ ახლა ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოში იატაკქვეშეთის და პარტიზანული მოძრაობის ფორმირების გარკვეულ ზოგად ასპექტებზე.

იატაკქვეშეთი. ურბანულ გარემოში პოტენციური ოკუპანტის გადაადგილების კონტროლისა და მის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის ოპერაციების დაგეგმვა-განხორციელებისათვის აუცილებელია შემდეგი: **წინააღმდეგობის მოძრაობის ერთიანი ლიდერშიპის განკარგულებაში წინასწარ უნდა არ-**

სებობდეს სისტემატიზირებული ინფორმაციები ჩვენი ქვეყნის დიდი და პატარა ქალაქების მთელი რიგი მახასიათებლების შესახებ; სახელდობრ, ქალაქის ყველა ქუჩის და მათი ზუსტი ურთიერთგანლაგების შესახებ, ქალაქიდან შემოსასვლელ-გასასვლელი არასაავტომობილო გზებისა და ბილიკების შესახებ, ყველა ხიდის და მათთან მისასვლელი დიდი თუ პატარა ქუჩების შესახებ, ქალაქში არსებული არასაცხოვრებელი რეკრეაციული ზონების, არასაცხოვრებელი სამრეწველო ზონების და სპეცზონების შესახებ, გამავალი ეზოების და სადარბაზოების შესახებ, ყოველ ქუჩაზე ამა თუ იმ ტიპის შენობა-ნაგებობის მდებარეობის შესახებ და მათ შორის იმ შენობათა შესახებ, საიდანაც შეიძლება მაქსიმალური ვიზუალური კონტროლი ამა თუ იმ გამზირისა და ქუჩებისა. ასევე მის განკარგულებაში უნდა იყოს ზუსტი ინფორმაცია ქალაქის წყალსადენის, გაზსადენის და ელექტროენერგიის ქსელის თაობაზე; მიწისქვეშა გზების სქემის თაობაზე; მეტროს გვირაბების სარეზერვო ამოსასვლელების მდებარეობის თაობაზე. ამ ინფორმაციებში დეტალურად დაფიქსირებული უნდა იყოს ყველა ის გორა, მაღლობი და ხიდი (ვთქვათ, თბილისში), საიდანაც ოპტიმალური ხედი იშლება გარკვეულ ზონებზე; იდენტიფიცირებული უნდა იყოს ის ადგილები, საიდანაც ოპტიმალურად შეიძლება განხორციელდეს ქალაქის აეროდრომებზე თვითმფრინავების აფ-

რენა-დაფრენის ვიზუალური კონტროლი. ასევე ძალზედ მნიშ-ვნელოვანია ზუსტი ინფორმაციების ფლობა ქალაქის (ვთქვათ, თბილისის) იმ ავტოსაგზაო მონაკვეთების და იმ შესაბამისი დროითი ინტერვალების შესახებ, სადაც და როდესაც ადგილი აქვს მაქსიმალურად გადატვირთულ, ინტენსიურ მოძრაობას და ე.წ. ,,საცობებს". ყოველივე ეს აუცილებელია, რათა სწორად დაიგეგმოს და ეფექტურად განხორციელდეს დივერსია გარკ-ვეულ ინფრასტრუქტურულ ობიექტზე; ან თავდასხმა ოკუპან-ტის საავტომობილო კოლონაზე; ან საოკუპაციო ხელისუფლე-ბის წარმომადგენლის თუ სამხედრო პირთა ლიკვიდაცია; ან ოკუპანტის გადაადგილების ხელოვნური დაბრკოლება; ან შე-ტევა ოკუპანტის საჰაერო მიმოსვლის საშუალებაზე და ა.შ. ამასთან ერთად ყოველივე ეს აუცილებელია, რათა უზრუნ-ველყოფილ იქნას ოპერაციის მონაწილეთა ეფექტური მიმალ-ვის თუ თავის დაღწევის პირობები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ია-ტაკქვეშეთთან დაკავშირებულ ამ ანალიზს წინ უძღოდა კონ-სულტაციები ურბანული განვითარების სპეციალისტებთან.

პარტიზანული მოძრაობა. ჩვენი ქვეყნის მიმართ აგრესი-ის რეალური საფრთხის არსებობის პირობებში პარტიზანული მოძრაობის ორგანიზებისა და გაშლა-განვითარებისათვის სა-ჭიროა შემდეგი: წინააღმდეგობის მოძრაობის ერთიანი ლი-დერშიპის განკარგულებაში წინასწარ უნდა არსებობდეს სის-

ტემატიზირებული ინფორმაციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში პარტიზანული რაზმების ბაზირებისა და გადაადგილებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ზონების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული ლანდშაფტი და პირობები საკმაოდ ხელსაყრელია პარტიზანული მოძრაობისათვის: ბაზების მოსაწყობად, ჩასაფრებების თუ რეიდების განსახორციელებლად. **სადღეისოდ აუცილებელია, რომ გეოინფორმაციული სისტემებით ხდებოდეს პარტიზანული ოპერაციების დაგეგმვის უზრუნველყოფა. სწორედ ამ სისტემების საფუძველზე უნდა კეთდებოდეს ზუსტი გათვლები პარტიზანული ჯგუფების გადაადგილების სხვადასხვა პარამეტრებისა - დროის, მანძილის, მარშრუტის, საჭირო სიჩქარის და ა.შ.** (ვთქვათ, ზუსტი გათვლები პარტიზანული რეიდისა, რომელიც შეიძლება შესრულდეს ატენის ხეობიდან ქვახვრელისაკენ ან ატენის ხეობიდან კასპის გავლით ცენტრალური მაგისტრალისაკენ; ან რეიდისა, რომელიც ხორციელდება ძამას ხეობიდან (ქარელი) ცენტრალური მაგისტრალისაკენ; ან რეიდისა, რომელიც ხორციელდება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში ლუგელას ტყიდან (ჩხოროწყუ) ცენტრალური მაგისტრალისკენ სენაკთან და ა.შ.).

ასევე ჩვენი ქვეყნის მიმართ აგრესიის რეალური საფრთხის არსებობის პირობებში წინააღმდეგობის მოძრაობის ერთი-

ანმა ლიდერშიპმა მთავრობასთან შეთანხმებით უნდა უზრუნ-ველყოს პარტიზანული რაზმებისათვის საჭირო შეიარაღების, საბრძოლო მასალის და სამედიცინო საშუალებების გარკვე-ული მარაგების ფარული განთავსება იმ ადგილებში, რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება პარტიზანების მიერ ბაზი-რებისათვის ან მხოლოდ მარაგების შესანახად.

პარტიზანული მოძრაობის ეფექტური განვითარებისათ-ვის უაღრესად მიზანშეწონილი იქნება ასევე შემდეგი: საქართ-ველოს მთავრობის ინიციატივით უნდა გამოიცეს პარტიზანუ-ლი ომის წარმოების კომპაქტური სახელმძღვანელო, რითაც უზრუნველყოფილი იქნებიან პარტიზანული რაზმები აგრესი-ის პირობებში. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება საბრძო-ლო სულისკვეთების ასამაღლებლად და ისტორიული გამოც-დილების შესაძენად პარტიზანული ჯგუფების წინასწარ შერ-ჩეული მეთაურების სათანადო მომზადება: სახელდობრ, მათ-თვის ლექციების წაკითხვა, საჭირო ლიტერატურის მიწოდება საქართველოს ისტორიის იმ ფაქტებზე, რაც დაკავშირებულია პარტიზანულ ბრძოლასთან. (ვთქვათ, დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული პარტიზანული ომის ტაქტიკა; 1922 წლის ფშავ-ხევსურეთის აჯანყება საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წი-ნააღმდეგ და ა.შ.).

და ბოლოს, გვსურს შევეხოთ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის პირობებში **არაძალადობრივი წინააღმდეგობის** განვითარების პერსპექტივებს და სპეციფიკას. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, იგი გვევლინება წინააღმდეგობის ერთიანი მოძრაობის მეორე ძირითად სახეობად, და მას შეუძლია ძალზედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საბოლოო მიზნის მიღწევაში - ქვეყნის დეოკუპაციაში. რა თქმა უნდა, უახლოესი წარსულიდან ჩვენ ხალხს აქვს მდიდარი და პოზიტიური გამოცდილება ბრძოლის ამ ფორმისა. სახელდობრ, მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში აგორებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უზარმაზარი მასშტაბი მიიღო და მართლაცდა, საერთო-სახალხო ხასიათი შეიძინა; ხოლო 1989 წლის 9 აპრილისთვის იგი გადაიზარდა სრული ეროვნული დაუმორჩილებლობის პროცესში, რამაც საბოლოო ჯამში, სხვა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფაქტორებთან ერთად მიგვიყვანა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე: 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მთელი ეს მოძრაობა გამოირჩეოდა ბრძოლის უკიდურესად მშვიდობიანი ფორმებით, რისი ცოცხალი გამოცდილებაც ჩვენს ხალხში სახეზეა და საჭიროების შემთხვევაში მისი გაღვიძება-აქტუალიზაცია რეალურად შესაძლებელია.

სახელდობრ, კრიზისის დაწყების წინ, როდესაც უკვე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისათვის ცხადი ხდება აგრესიის რეალურობა, მან მიზანშეწონილია პროპაგანდისტული მეთოდებით ხელი შეუწყოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების რეანიმაციას წარსულზე აპელირების გზით და მოამზადოს ნიადაგი ეროვნული დაუმორჩილებლობის ერთიანი ლიდერშიპის ფორმირებისათვის. ოკუპაციის პირობებში ეს უკანასკნელი გვევლინება საქართველოს დეოკუპაციის ან ეროვნული ხსნის კომიტეტად. იგი იწყებს მუშაობას ქვეყნის მასშტაბით მოძრაობის ერთიანი ქსელის ჩამოყალიბების მიზნით: კერძოდ, სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე სტრუქტურების და ადგილობრივი ორგანიზაციების მშენებლობის მიზნით და ამას უნდა აკეთებდეს მაქსიმალური კონსპირაციის დაცვით. სასურველია ეს ორგანიზაციები წარმოდგენილი იყოს საქართველოს ყველა რეგიონში. დეოკუპაციის თუ ეროვნული ხსნის კომიტეტი კოორდინაციაში უნდა იყოს ემიგრირებულ თუ ჩრდილოვან თუ ჯერ კიდევ არაოკუპირებულ დედაქალაქში მყოფ მთავრობასთან და უნდა უთანხმებდეს მას სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებს. ძალზედ მნიშვნელოვანია ამ პროცესში მოძრაობის წევრების ფსიქოლოგიური მომზადება ნებისმიერი ხასიათის პოლიტიკური დევნისა და რეპრესიებისათვის. დეოკუპაციის ამ მოძრაობის

გაშლა-განვითარებისას საჭიროა თანმიმდევრულად იხვეწებოდეს და ძლიერდებოდეს ბრძოლის აპრობირებული მშვიდობიანი მეთოდები: მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები; ინფორმაციების გავრცელება ბეჭდვითი თუ ელექტრონული საშუალებებით. მთელი ეს ძალისხმევა კი მიმართული უნდა იყოს საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ: ესაა საოკუპაციო ხელისუფლების თანმიმდევრული პარალიზება, მისი ფუნქციონირების მოშლა და საბოლოო ჯამში, ქვეყნის (ან მისი გარკვეული ნაწილის) სრული განთავისუფლება ოკუპაციის უღელისაგან.

ვაჯამებთ რა ზემოთ ფორმულირებულ დებულებებს, აღვნიშნავთ შემდეგს:

ა) ჩვენი ეროვნული წინააღმდეგობის ფორმირების და მართვის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს უზენაეს ნაციონალურ მიზნებსა და ინტერესებს;

ბ) ეს პროცესი მოითხოვს მთელი რიგი ნაციონალური ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას;

გ) წინარე-კრიზისულ ეტაპზე საქართველოს მთავრობამ ძალზედ მეთოდურად უნდა წარმართოს ის სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია წინააღმდეგობის დაგეგმარებასთან და ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილოს მოკავშირეებთან მიზანმიმართულად ჩასატარებელ სამუშაოზე, წინააღმდეგო-

ბის კომპონენტის წინარე-კრიზისულ ორგანიზებაზე, მის საკანონმდებლო და ფინანსურ უზრუნველყოფაზე;

დ) უშუალოდ კრიზისის წინ საქართველოს მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს წინააღმდეგობის მოძრაობის მაორგანიზებელი სუბიექტი და კონკრეტული ძალისმევა მიმართოს მთელი მთავრობის და მთელი ხალხის ურთიერთთანამშრომლობისაკენ;

ე) წინააღმდეგობის მოძრაობის ფორმირების და გაშლის მიზნით საქართველოს მთავრობამ თანმიმდევრულად უნდა შეამზადოს და ჩამოაყალიბოს მისი კომპონენტები - ოთხი პრიმარული და ორი დამატებითი კომპონენტი.

კერძოდ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ოთხი პრიმარული კომპონენტია: იატაკქვეშეთი, დამხმარე ძალები, პარტიზანული ძალები, საჯარო კომპონენტი. ხოლო ორი დამატებითი კომპონენტი - ოკუპაციის პირობებში ფუნქციონირებადი სამთავრობო ფორმაციები და სახალხო მონაწილეობა-მხარდაჭერა. იატაკქვეშეთის და პარტიზანული მოძრაობის ფორმირებისას მაქსილურად უნდა იქნას გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ურბანული და გეოგრაფიული სპეციფიკა;

ვ) ძალისმიერი წინააღმდეგობის ჩამოყალიბებასთან ერთად საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს არაძალადობ-

რივი წინააღმდეგობის მოძრაობის ანუ ეროვნული დაუმორჩილებლობის გაშლა-განვითარებას.

ავტორმა გაიარა კონსულტაციები:

1. პოლკოვნიკ ნოდარ ხორბალაძესთან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის უფროსი);
2. ვიქტორ წილოსანთან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი);
3. რუსუდან მირცხულავასთან (პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი).

დანართი 1

Sample Resistance Organization


Govern
ment /
Regio
Regi
Regi
Regi
Rol
Rol
Rol

დანართი 2

ოპერატიული გარემო/Operating Environment



დანართი 3

პარტიზანული მოძრაობა



დანართი 4

ომის წარმოების მეთოდები



ომის წარმოების მეთოდები

Association of Components with Methods		
underground	Guerilla	Auxiliary
Subversion	Ambushes	Non-violent Clandestine Resistance
Sabotage	Raids	
	sabotage	
	attack	

ძირითადი რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ **ქვეთავებში1-7** მოტანილი მასალა წინასწარი განხილვის ფორმატშია და შესაძლოა უფრო ფუნდამენტურ განხილვას იმსახურებდეს, ის მაინც იძლევა საფუძველს რომ ვივარაუდოთ:

ა. ტოტალური თავდაცვის ჭრილში, სამხედრო წინააღმდეგობის უზრუნველსაყოფად, ტერიტორიული თავდაცვის ძალებს შეუძლია გადამწყვეტი ფაქტორის როლის შესრულება.

ბ. ტერიტორიული თავდაცვის სწორად ფორმირებისათვის, თავდაპირველად, მართებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- **თეორიული**:

1. ***რეგიონების მიხედვით*** გეოგრაფიული მონაცემების ბაზის შედგენა;
2. მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით თითოეული რეგიონის ***სამხედრო შედეგების სტრატეგიული, ტაქტიკური და ლოგისტიკური შესაძლებლობების ანალიზის გაკეთება;***
3. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, თითოეული რეგიონისათვის ***შესაძლო სამხედრო მისიების*** ჩამონათვალის განსაზღვრა;

4. ძალთა საკმარისობის პრინციპზე დაყრდნობით, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ***მისიების განხორციელებისათვის აუცილებელი მომზადების სტანდარტის განსაზღვრა.***

➢ **პრაქტიკული:**

5. შედგეს ტერიტორიული თავდაცვის ***სპეციფიკური რეგიონალური ფორმირებების ტაბელი;***
6. ეროვნული გვარდიის ბაზაზე დაიწყოს ამ ***ფორმირებების სტრუქტურირება*** და ***ფოკუსირებული წვრთნა.***

გარდა ამისა, ამავე პრაქტიკულ ჭრილში, ანგარიშგასაწევია ბრიგადის გენერალ ამირან სალუქვაძის მოსაზრება (იხ. მე-2 ქვეთავი), რომ აუცილებელია:

➢ თავდაცვის სისტემის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვა, შეიარაღების და ტექნიკის, საბრძოლო მასალების, მატერიალური და ადამიანური რესურსების დაგროვება, მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო მარაგების შექმნა;

➢ სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარება, მოსახლეობისთვის სტაციონარული და მობილური თავშესაფარების მომზადება;

➢ სახელმწიფოს ლოგისტიკური უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროების და მარშრუტების მომზადება.

7. მისაღებია საქართველოს კანონი ,,სამოქალაქო თავდაცვის შესახებ“, სადაც გაწერილი იქნება სახელმწიფო მართვის ყველა დონის ორგანოების მოვალეობები და პასუხისმგებლობა საფრთხეების შეფასების, პროგნოზირების, პრევენციის და რეაგირების მიმართულებით;
8. შესაქმნელია სამოქალაქო თავდაცვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რომელიც ითავალისწინებს სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე სამოქალაქო თავდაცვის მართვის ორგანოების, სამსახურების, რეაგირების ძალების ჩამოყალიბებას;
9. ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში შესაქმნელია სამოქალაქო თავდაცვის რაზმები, რომელთა სტრუქტურა, რიცხოვნობა, შემადგენლობა და საქმიანობა დამოკიდებული იქნება მუნიციპალიტეტის სპეციფიკაზე (მოსახლეობის რაოდენობა, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების სპექტრი, სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი, გასატარებელი ღონისძიებების მოცულობა და სხვა).
10. **პირველ რიგში უნდა დავიწყოთ საფუძვლებიდან** - მომავალი თაობიდან. სკოლაში განათლების სისტემა მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ პირველ რიგში მათ უნდა განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება, სტრესისადმი მედეგობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ის, რასაც ისინი იცავენ, მათთვის უნდა იყოს ღირებული. ადამიანი იცავს იმას და იბრძ-

ვის იმისთვის, რაც უყვარს და რაც იცის. პატივისცემას განუ-ვითარებს ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს, ეცოდინებათ რას ემსახურება თვითონ ქვეყნის ჯარი, რა არის პატრიოტიზმი;

11. შემდეგ დონეებზეც აუცილებელია ის რადიკალური, ძირე-ული ცვლილებები, რაც გააძლიერებს სკოლაში შექმნილ ეფ-ექტს. ადრეული ეტაპიდან უნდა მიეჩვიოს მოქალაქე **სახელ-მწიფოებრივად აზროვნებას**. სკოლებში უნდა მოხდეს სამ-ხედრო საგნების შეტანა; უნდა მოხდეს სამოქალაქო და სამ-ხედრო პირების ინტეგრირება; მნიშვნელოვანია ცნობიერე-ბის ამაღლება, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით. ეს შეიძლება იყოს როგორც შედარებით მცირე ასაკიდან, ასევე შემდეგაც, განსაკუთრებით მე-12 კლასიდან.

12. **სავალდებულო ჯარისადმი დამოკიდებულების ჩამოყალი-ბება** - ადრეულ ასაკში იმის გააზრება, რომ სამშობლოს დაც-ვა არ არის მხოლოდ ჯარის მოვალეობა. მოსახლეობას უნდა შეეძლოს, თუ საჭირო გახდება, გვერდში დაუდგეს ჯარს და რაც საჭიროა, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ სამშობ-ლო გადაარჩინოს. ჯარზე არსებული მწირი ინფორმაცია გა-ნაპირობებს სავალდებულო ჯარში წასვლის დროს პირველ რიგში სტრესის მიღებას, რაც განპირობებულია არასაკმარი-

სი ინფორმაციით. ამიტომ, თვითგადარჩენის და თვითდაცვის ცოდნა მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისათვის;

13. **ქმედითი ნაბიჯების გადადგმა როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების მხრიდან.** მოსახლეობაში სურვილი უნდა იყოს, რომ ინფორმაცია მიიღონ და სახელმწიფოს მხრიდან კი, მიწოდებულ იქნას <u>სწავლებები, ტრენინგები, საგანი სკოლაში სამხედრო და საგანგებო ვითარებების შესახებ.</u> უფრო მეტი ყურადღება სამხედროზე უნდა გამახვილდეს, რადგან რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, კონფლიქტურ სიტუაციაში ვიმყოფებით. სასურველია ცოდნის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, იმისათვის რომ ემოციებს არ აყვნენ, არ ჩავარდნენ პანიკაში, ერთმანეთი არ დატოვონ და გაწირონ და ა.შ. უკეთესი იქნება თუ ამ ინფრმაციას მივაწოდებთ არა ისე რომ დავსტრესოთ, არამედ მივახვედროთ რომ ყველაფერი წესრიგშია, თუმცა მზად უნდა იყვნენ.

ჩანს, რომ მოსახლეობა ვერ აღიქვამს იმ საფრთხეს, რომ ჩვენ შეიძლება საომარ კონფლიქტში ჩავერთოთ. ამიტომ ტრენინგები საჭიროა როგორც სკოლებში, ასევე ზრდასრულ ადამიანებთან, როგორც ქართულ, ასევე არაქართულ მოსახლეობაში; სწავლების შედეგების გასაზომად, მონიტორინგი, ანალიზი და უკუკავშირი მნიშვნელოვანი ფაქტორია;

14. **თვითგანვითარებისა და კრიზისთან გამკლავების უნარების პრაქტიკის განვითარება** - მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეზე მუდმივი ზრუნვა და ხელშეწყობა მათი ფიზიკური, გონებრივი და ემოციური ჯანმრთელობის საკითხებზე. ასევე, მნიშვნელოვანია სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უნარების განვითარება და ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა რელაქსაცია, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და ა.შ.

15. **მრეწველობის დივერსიფიკაცია:**

მრეწველობის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, რათა შემცირდეს დამოკიდებულება მწარმოებელთა ვიწრო სპექტრზე. ამან შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური სტაბილურობა რისკების გადანაწილებით და უზრუნველყოს, რომ ეკონომიკა არ იყოს ზედმეტად დამოკიდებული კონკრეტულ მწარმოებლებზე, რომლებიც შეიძლება დაუცველები იყვნენ გარე შოკების მიმართ.

16. **საერთაშორისო თანამშრომლობა:**

საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ეკონომიკურად სტაბილურ მოკავშირეებთან. ეს შეიძლება მოიცავდეს სავაჭრო შეთანხმებებს, ეკონომიკურ პარტნიორობას და ერთობლივ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთე-

კონომიკურ სარგებელს და უზრუნველყოფენ მხარდაჭერას კრიზისის დროს.

17.ინვესტიციები განათლებასა და ინოვაციებში:

რესურსების გამოყოფა განათლების, კვლევისა და ინოვაციისთვის კვალიფიციური და ადაპტირებადი სამუშაო ძალის შესაქმნელად. ტექნოლოგიასა და ინოვაციებზე ფოკუსირებას შეუძლია გააძლიეროს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოს საფუძველი მომავალი ეკონომიკური ზრდისთვის.

18.ინფრასტრუქტურის მდგრადობა:

კრიტიკული ინფრასტრუქტურის გაძლიერება, რათა გაუძლოს პოტენციურ რღვევებს. ეს მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, არამედ ციფრულ ინფრასტრუქტურის დაცვას კიბერ საფრთხეებისგან. მდგრადი ინფრასტრუქტურა უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ოპერაციების შენარჩუნებისთვის კრიზისების დროს.

19.სტრატეგიული რესურსების მართვა:

სტრატეგიული რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის აუცილებელი საქონლისა და რესურსების რეზერვების შენარჩუნება. ეს უზრუნველყოფს, რომ ქვეყანა უკეთესად არის მომზადებული საგანგებო სიტუაციების

დროს დეფიციტის აღმოსაფხვრელად, რაც ამცირებს მიწოდების ჯაჭვის მოწყვლადობას შეფერხებების მიმართ.

20.საჯარო-კერძო პარტნიორობა:

საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. ამგვარ პარტნიორობას შეუძლია გააძლიეროს ეკონომიკური თავდაცვა რესურსების ეფექტიანი გამოყენებით, გამოცდილების გაზიარებით და ეკონომიკური გამოწვევების კოლექტიური მოგვარებით.

21.რისკის შეფასება და გაუთვალისწინებელი დაგეგმვა:

რეგულარული რისკების შეფასების ჩატარება ეკონომიკისთვის პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით. შემუშავდეს ყოვლისმომცველი საგანგებო გეგმები, რომლებიც ასახავს სტრატეგიებს სხვადასხვა ეკონომიკურ კრიზისებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური თავდაცვის პროაქტიულ მიდგომას.

22.ფინანსური სექტორის სტაბილურობა:

ფინანსური სექტორის სტაბილურობის გაძლიერება სისტემური რისკების თავიდან ასაცილებლად. შემუშავდეს რეგულაციები და ზედამხედველობის ზომები ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც ეკონომიკური სტაბილურობის განუყოფელი ნაწილია.

23.ადამიანური კაპიტალის განვითარება:

ინვესტირება პროგრამებში, რომლებიც ფოკუსირებულია განათლებაზე, ტრენინგზე და სამუშაო ძალის განვითარებაზე. კვალიფიციური და ადაპტირებადი სამუშაო ძალა ეკონომიკური მზადყოფნის კრიტიკული კომპონენტია, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს ეფექტიანად უპასუხოს ცვალებად ეკონომიკურ მოთხოვნებს.

24. ადაპტირებადი ეკონომიკური პოლიტიკა:

განხორციელდეს ადაპტირებადი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შეიძლება მორგებული იყოს ცვალებად გარემოებებზე საპასუხოდ. ეკონომიკური პოლიტიკის მოქნილობა იძლევა უფრო დინამიური რეაგირების საშუალებას კრიზისებსა და გამოწვევებზე.

25.რეგულარული შეფასება და კორექტირება:

ეკონომიკური თავდაცვის სტრატეგიებისა და მათი ეფექტიანობის რეგულარული შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება. შეცვალეთ პოლიტიკა და სტრატეგიები მიღებული გაკვეთილებისა და გეოპოლიტიკური ან ეკონომიკური პირობების შეცვლის საფუძველზე.

26. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა:

მდგრადი განვითარების პრაქტიკის ხაზგასმა ეკონომიკური საქმიანობის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზ-

რუნველსაყოფად. მდგრადი განვითარების პრაქტიკა ხელს უწყობს მდგრადობას გარემოსდაცვითი და ეკონომიკური სისუსტეების მინიმუმამდე დაყვანის გზით.

27.კომუნიკაცია და გამჭვირვალობა:

ეკონომიკურ საკითხებში ღია კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის შენარჩუნება. მკაფიო კომუნიკაცია ხელს უწყობს საზოგადოების ნდობას, ხოლო გამჭვირვალობა ხელს შეუწყობს ეკონომიკური გამოწვევების ადრეულ გამოვლენას.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია გააძლიეროს ეკონომიკური თავდაცვისუნარიანობა, უზრუნველყოს უფრო სტაბილური და ადაპტირებადი ეკონომიკა სხვადასხვა გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე.

28.**დაგეგმარება ემიგრირებული ან გადაადგილებული მთავრობისათვის**:

მთავრობამ უნდა შეიმუშაოს გეგმა თავისი ემიგრირების ან შიდა გადაადგილებისათვის და ესაა მისი უწყვეტობის შემადგენელი ნაწილი, როდესაც მას აქვს გამოკვეთილი მიზანი - აღადგინოს ნაციონალური სუვერენიტეტი თავისი ქვეყნის ნებისმიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

29.**წინააღმდეგობის ფუნდამენტური დაგეგმვის საკითხი**:

ეს ნიშნავს წინააღმდეგობის რამდენიმე ფუნდამენტური მომენტის განხილვას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ნებისმიერი დაგეგმარების დროს - დაწყებული სტრატეგიულიდან დამთავრებული ტაქტიკურით. უპირველეს ყოვლისა, ოპტიმალურია, როდესაც კრიზისის წინ მთავრობა ქმნის მაორგანიზებელ სუბიექტს, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს, განავითაროს და უხელმძღვანელოს წინააღმდეგობის მოძრაობას.

30. **გზამკვლევი ნარატივი**:

სახელდობრ, წინააღმდეგობის კარგად მოფიქრებული ნარატივი გააერთიანებს სამთავრობო და საზოგადოებრივ ფუნქციებს, რათა მაქსიმალური ინტეგრირება მოახდინოს საჯარო და კერძო სექტორების.

31. **წინააღმდეგობის გამაერთიანებელი მიზანი და განზრახვა:**

ეროვნული წინააღმდეგობის წარმატება დამოკიდებულია ხალხის მხარდაჭერაზე, ჩართულობაზე, ხელშეწყობაზე და აუცილებელ რესურსებზე - ეს კი მოითხოვს, რომ მოსახლეობას მაქსიმალურად გაცნობიერებული ჰქონდეს წინააღმდეგობის საერთო მიზანი და მისი მნიშვნელობა.

32. **მთელი მთავრობის და მთელი საზოგადოების კოლაბორაცია:**

საკუთარი ხალხის წინააღმდეგობისათვის მომზადების მიზნით მთავრობამ უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა სახელისუფლებო უწყებებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებას შორის და მოახდინოს ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია.

33. **მოქნილობა და ადაპტირების უნარი**:

არსებითია, რომ წინააღმდეგობის მოძრაობამ შეძლოს სწრაფი ადაპტირება შეცვლილ ვითარებასთან და ე.ი. ადექვატური გადაწყობა.

34. **ხელისუფლებამ ფართო საზოგადოებრივ სექტორთან ერთად, ინტენსიური მიზანმიმართული სამუშაო უნდა ჩაატაროს,:**

ხალხში უნდა გაძლიერდეს დადებითი განწყობა-რეაქციები წინააღმდეგობის მოძრაობის შესაძლებლობის მიმართ და შესაბამისად, მაქსიმალურად რედუცირდეს უარყოფითი განწყობა-რეაქციები. ამასთან ერთად, მოქნილობა-მდგრადობის ეტაპზე წინააღმდეგობის პერსონალის წინასწარი მომზადების პროცესში კვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით, მან უნდა ჩაატაროს ის აუცილებელი სამუშაოც (ტესტები, ფსიქოტრეინინგები და ა.შ.), რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ნეგატიური თვისებების და უნარ-

ჩვევების გამორიცხვას ან მინიმიზაციას, და პირიქით, პოზიტიურის გამოკვეთას და გაძლიერებას.

35. **სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებით კი აქცენტს გავაკეთებდით შემდეგზე:**

მოკავშირეებთან მიზანმიმართულად ჩასატარებელ სამუშაოზე, რათა იატაკქვეშეთი და პარტიზანული მოძრაობა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი საგარეო დახმარებებითა და მათი მოძრაობის არხებით.

36. **მოქნილობა-მდგრადობის ფორმირების ეტაპზე:**

საქართველოს მთავრობამ საჭიროა შეიმუშაოს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც უზრუნველყოფს საკანონმდებლო დონეზე იატაკქვეშეთის და პარტიზანული მოძრაობის სრულ ლეგიტიმურობას ოკუპაციის პირობებში და განსაზღვრავს იმ წინაპირობებს თუ კრიტერიუმებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ლეგიტიმურობის შესანარჩუნებლად.

37. **მაქსიმალურად სრულფასოვანი გათვლების საფუძველზე ჩვენი მთავრობის მიერ უნდა მომზადდეს:**

შესაბამისი ცვლილება საქართველოს ბიუჯეტის კანონში და სახელდობრ, გათვალისწინებულ იქნას ის სპეციალური ხარჯები, რაც აუცილებელია პარტიზანული და იატაკქვეშეთის მოძრაობის ფორმირებისა და გაშლისათვის.

38. წინააღმდეგობის მოძრაობის ერთიანი ლიდერშიპის განკარგულებაში წინასწარ უნდა არსებობდეს სისტემატიზირებული ინფორმაციები ჩვენი ქვეყნის დიდი და პატარა ქალაქების მთელი რიგი მახასიათებლების შესახებ;
39. სადღეისოდ აუცილებელია, რომ გეოინფორმაციული სისტემებით ხდებოდეს პარტიზანული ოპერაციების დაგეგმვის უზრუნველყოფა. სწორედ ამ სისტემების საფუძველზე უნდა კეთდებოდეს ზუსტი გათვლები პარტიზანული ჯგუფების გადაადგილების სხვადასხვა პარამეტრებისა - დროის, მანძილის, მარშრუტის, საჭირო სიჩქარის და ა.შ.
40. კრიზისის დაწყების წინ, როდესაც უკვე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისათვის ცხადი ხდება აგრესიის რეალურობა, მან მიზანშეწონილია პროპაგანდისტული მეთოდებით ხელი შეუწყოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების რეანიმაციას წარსულზე აპელირების გზით და მოამზადოს ნიადაგი ეროვნული დაუმორჩილებლობის ერთიანი ლიდერშიპის ფორმირებისათვის. ოკუპაციის პირობებში ეს უკანასკნელი გვევლინება საქართველოს დეოკუპაციის ან ეროვნული ხსნის კომიტეტად.
41. **წინააღმდეგობის ორგანიზაციის კომპონენტები:**

   წინააღმდეგობის მოძრაობის ოთხ პრიმარულ კომპონენტად გვევლინება: იატაკქვეშეთი (Underground), დამხმარე

ძალები (Auxiliary), პარტიზანული ძალები (Guerrilla forces), საჯარო კომპონენტი (Public component). მაშასადამე, წინააღმდეგობის ორგანიზაციები შედგებიან ამ ოთხი უმთავრესი კომპონენტისაგან. წინააღმდეგობის მოძრაობის მიზნები და წარმატება განსაზღვრულია თითოეული მათგანის განვითარების დონით და ასევე ურთიერთმიმართებებით მათ შორის.

დასკვნა

დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყნისათვის ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის განხორციელება, მისი ხუთივე კომპონენტის მოთხოვნათა თვალსაზრისით, შეუძლებელია.

შედეგად, ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის განსახორციელებლად ან იმ პირობების შესაქმნელად, რომელიც ამდაგვარი სტრატეგიის გამოყენებას შესაძლებელს ხდის, გასაწერია ცალკე სტრატეგია, ანდა ტოტალური თავდაცვის სტრატეგია სხვა, უფრო მარჯვე კონცეპტუალური ინსტრუმენტით უნდა შევცვალოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

მსოფლიოს ომის პრობლემების კვლევების სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტი (SIPRI).

ინტერნეტ სააგენტო www.caliber.az

ინტერნეტ სააგენტო www.evnreport.com

Военные расходы России 2023 | Take-profit.org

https://take-profit.org

https://meta-defense.fr/en

თევზაძე დავით, „მოსაზრება საქართველოში ტერიტორიული თავდაცვის ძალების ორგანიზაციის შესახებ“ 2019, ელექტრონული ჟურნალი „სპა“,

https://1tv.ge/video/davit-tevzadze-mosazreba-saqartveloshi-teritoriuli-tavdacvis-dzalebis-organizaciis-shesakheb/

John M. Collins. Military Geography for Professionals and the Public. Potomac Books, INC. Washington, D.C., 2006 (p. XXIV+435)

Horst Mendershausen. Territorial Defense in NATO and Non-NATO Europe. A report prepared for OFFICE OF THE ASSISTANT SECRETARY OF DEFENSE/INTERNATIONAL SECURITY AFFAIRS. February 1973

Альфред Вейдеман. Каждый человек на своем посту, კრებულში: *Итоги Второй мировой войны. Выводы побеждённых*, СПб.: Полигон; М.: АСТ, 1998, გვ. 287-296 (ორიგინალი –

Bilanz des Zweiten Weltkrieges. Erkentnise und Verpflichtungen fur die Zukunft. — Hamburg, 1953)

John M. Collins. MILITARY STRATEGY: Principles, Practices, and Historical Perspectives. Washington, C. Potomac Books, Inc. 2002 (2008)

Г. С. КОТАНДЖЯН, О ПРОБЛЕМЕ ОРГАНИЗАЦИИ ТЕРРИТОРИАЛЬНОЙ ОБОРОНЫ ГОСУДАРСТВА НА ПРИМЕРЕ ИЗРАИЛЯ. Военно-научный журнал «Айканан банак». 2009. №3.

(სამხრეთ კავკასია)

https://en.wikipedia.org/wiki/Caucasus#/media/File:Caucasus_topographic_map-en.svg

(საქართველოს ფიზიკური რუკა)

https://www.google.com/search?q=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98+%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90+pdf&rlz=1C1GCEA_enGE882GE882&tbm=isch&source=iu&ictx=1&vet=1&fir=AFYdFI_1KgS5sM%252Ci

(კოლხეთის დაბლობი)

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98

(დასავლეთ საქართველოს ოროგრაფიული რუკა)

https://www.google.com/search?q=%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90&rlz=1C1GCEA_e

(დასავლეთ საქართველოს მდინარეები)

https://www.google.com/search?q=%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94&rlz

(დასავლეთ საქართველოს ქალაქები და გზები) https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Physical_map_of_Georgia_(ka).svg

სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი (SIPRI). https://www.sipri.org/

ჭილაშვილი ლ, ნაქალაქარი ურბნისი, თბ. 1964

გაფრინდაშვილი, გ., ლეონტი მროველის 1066წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, თბ. 1961

გაფრინდაშვილი, გ., ვარძია, თბ. 1976 წ.

შარაძე, გ,. ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა, თბ. 1998 წ.

ალექსიძე, ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ.2006 წ.

ლუკაშუკი,ი., პასუხისმგებლობის საკითხები ხელშეკრულებათა სამართალში, საერთაშორისო, საჯარო და კერძო სამართალი 2007 წ. N 1

მალანჩუკი, პ., აკეჰარასტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2005წ.

ჩურკინა,ლ.მ., საერთაშორისო ვალდებულებების კეთილ-სინდისიერი შესრულების პრინციპის როლი მათი დაცვის კონტროლის პროცესში, ჟურნ. ,,თანამედრო-ვე სამართალი“ – 2010, N 7 .

მდივნიშვილი,ო., ტაველიშვილი, თ., მელქაძე. საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა. თბილისი. 2001 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე, #828,19/12/2008 წ.

სსიპ დ. აღმასენებლის სახელობის საქართველოს ეროვ-ნული თავდაცვის აკადემია სამხედრო შრომები, გო-რი, 2023წ N 2.

ლობჟანიძე,გ., ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ., 2005წ.

სსიპ დ. აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვ-ნული თავდაცვის აკადემია სამხედრო შრომები, გო-რი, 2023წ N 2.

შუბლაძე, თ., საგანგებო სიტუაციების მართვა. თბ. 2009 წ.

WAR AGAINST UKRAINE LESSONS LEARNED CURRICULUM GUIDE, Issued at NATO Headquarters Brussels, December 2023, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2023/12/pdf/231208-RusWar-Ukraine-Lessons-Curriculum.pdf

Chief of the Army (1972). Grundbog for hærens meninge (in Danish). Copenhagen: S. L. Møllers Bogtrykkeri. p. 19. Retrieved 1 October 2018.

Friis, Niels (1 March 2007). "Forsvarsforligets betydning for totalforsvaret" [The Defence Agreement's Effect on the Total Defence]. krigsvidenskab.dk (in Danish). Retrieved 19 June 2018.

Dragonregiment. "Hærens Basis Uddnnelse". forsvaret.dk (in Danish). Retrieved 1 October 2018.

Social Defense and National Security: The Globalized Danish Welfare State, Danish Foreign Policy Yearbook , published by the Danish Institute for International Studies, Copenhagen, 2006, pp. 56-79;

Shaishmelashvili, G.,TOTAL DEFENSE: THE STRATEGY ON HOW TO DEFEAT STRONG, Tbilisi, 2023;

Долгова, В.И., О.А. Кондратьева, ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ ЗАЩИТА, Москва 2014

https://finlex.fi/fi/laki/ajantasa/2007/20071438

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030, თბილისი, 2022წ.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ეროვნული მედეგობის სტრატეგია საქართველოსთვის: ნატო-ს, ევროკავშირის და სხვათა გამოცდილება, პოლიტიკის დოკუმენტი, დეკემბერი, 2022;

ტოტალური თავდაცვა - რას ნიშნავს ის საქართველოს უსაფრთხოებისთვის - https://kvirispalitra.ge/article/37944-totaluri-thavdacva-ras-nishnavs-is-saqarthvelos-usafrthkhoebisthvis/

https://www.nato.int/docu/review/ru/articles/2018/04/04/ustojchivost-planirovanie-total-noj-oborony-shvetsii/index.html

საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2363013?publication=10, გადამოწ.12.01.2023 წ.

Edited by Yuriy Gorodnichenko, Ilona Sologoub, and Beatrice Weder di Mauro. 2022. Rebuilding Ukraine: Principles and policies Paris Report 1. Centre for Economic Policy Research (CEPR) Press. https://cepr.org/publications/books-and-reports/rebuilding-ukraine-principles-and-policies

Euronews. Ukrainians concerned about corruption as donors pledge billions to rebuild the country https://www.euronews.com/2023/06/29/ukrainians-worried-about-corruption-as-donors-pledge-billions-to-rebuild-the-country

How Ukraine is Managing a War Economy, December 22, 2022 https://tinyurl.com/4pmfcb8c

Large-scale privatization continues in Ukraine during the war: first results. 18 April 2023 https://tinyurl.com/444w5vsd

Ministry of Defense of Georgia. (2021). *Strategic Defence Review 2021-2025* https://tinyurl.com/3r7n8nws

MINDEF SINGAPORE, Factsheet - About Total Defence, https://tinyurl.com/4thf4mhy

MINDEF Singapore, Factsheet - About Total Defence, https://tinyurl.com/4thf4mhy

Ron Matthews & Fitriani Bintang Timur. (2023). Singapore's 'Total Defence' Strategy, Defence and Peace Economics, DOI: 10.1080/10242694.2023.2187924 https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10242694.2023.2187924

Russia-Ukraine: one year of war – the economics. February 26, 2003, by Michael Roberts https://www.cadtm.org/Russia-Ukraine-one-year-of-war-the-economics

The Battle to Save Ukraine's Economy From the War, October 5, 2022, by Amy Mackinnon and Robbie Gramer, https://foreignpolicy.com/2022/10/05/russia-ukraine-war-reconstruction-european-bank-odile-renaud-basso/

WORLD BANK. Social Protection for Recovery, Europe and Central Asia (ECA) Economic Update. Fall, 2022 https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/a60043e6-7bc3-5d56-bf41-c4b15bfd022d

უკრაინის ეკონომიკას მოსალოდნელზე უკეთესი შედეგები აქვს https://businessformula.ge/News/14275
Відбудова Київщини: сотні мільйонів гривень віддали компаніям з криміналом і купленим на OLX https://bihus.info/vidbudova-kyyivshhyny-sotni-miljoniv-gryven-viddaly-kompaniyam-z-kryminalom-i-kuplenym-na-olx/
https://www.worldbank.org/en/news/press-release/2023/04/06/russian-invasion-of-ukraine-and-cost-of-living-crisis-dim-growth-prospects-in-emerging-europe-and-central-asia
https://www.imf.org/en/News/Articles/2023/04/05/cf-amid-war-ukraine-is-maintaining-macroeconomic-stability-and-embarking-on-reforms
https://continent-online.com/Document/?doc_id=30610148#pos=17;-184
Resistance Operating Concept (Swedish Defence University, Stockholm 2019; http://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1392106/FULLTEXT01.pdf)

Wikipedia ,,French Resistance”
(https://en.wikipedia.org/wiki/French_Resistance)
Wikipedia „Guerrilla warfare in the Peninsular War” (https://en.wikipedia.org/wiki/Guerrilla_warfare_in_the_Peninsular_War)
Основы партизанской войны: теория и практика (Рязанов О. http://militera.org/science/articles/r/t36666/#:~:text)
საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (https://mfa.gov.ge/national-security-concept)